ჯონ და ლიზა

ბევირები

წიგნს მოყვება რესურს DVD დისკი

ძვირფასო მეგობარო

გვიხარია, რომ ეს წიგნი თქვენს ხელთ არის! თქვენ ზეცის სიხარული და სიამე ხართ. ღვთის უდიდესი სურვილია, გიცნობდეთ და თქვენც იცნობდეთ მას. უფალი მასთან გამუდმებული მოზიარეობის კვალობაზე თავის თანამშრომლად გეპატიჟებათ, რომ მისი ბუნება გააცნოთ თქვენს ირგვლივ მყოფ ადამიანებს. როგორც პავლე მოციქული წერდა კორინთელებს, ჩვენ ქრისტეს ელჩები ვართ – მაცნეები და მისი წარმომადგენლები, რომელთა მეშვეობით ადამიანებს თავის სიტყვას აუწყებს.

ქორწინება ყველაზე მეტყველი გზაა ღვთის ბუნების გასაცხადებლად. ეს გახლავთ ქრისტესა და მის საპატარძლოს, ეკლესიას შორის არსებული წმიდა ურთიერთობის სურათი. ნებისმიერი ერთობა (რომლებიც სირთულეებით, ტკივილითა და შეცდომებით ხასიათდება) სიყვარულის, სიხარულის და მშვიდობის გამომუშავების პოტენციალს მოიცავს სხვათა საკეთილდღეოდ.

უფალმა ჩვენი გულები აღძრა ამ საკითხის თქვენთან და სხვა წინამძღოლებთან გასაზიარებლად მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს სწავლება ყოველგვარი ოჯახური სტატუსისა და პერიოდისთვის სასარგებლოა. მიიღეთ იგი მთელი ჩვენი სიყვარულით და მხარდაჭერით. გაუზიარეთ ყველას, ვისაც იცნობთ. დარწმუნებული ვართ, რომ იგი დაგეხმარებათ თქვენ და თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ადამიანებს, რომ გამორჩეული, ღვთივკურთხეული სიყვარულის ისტორია დაწეროთ თქვენი ოცნებების საფუძველზე.

ჩვენი ქორწინებაც სავსე იყო განსაცდელებით და სირთულეებით, მაგრამ ყოველთვის ვხედავდით ღვთის ერთგულებას. მან ჩვენი ქორწინება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში გასაფართოებლად გამოიყენა და თქვენთვისაც იგივეს გაკეთება სურს! ვლოცულობთ, რომ წინამდებარე წიგნის გვერდების კითხვისას საკუთარი ლამაზი ისტორიის დასაწერად გამხნევდეთ და აღიჭურვოთ.

გაგვიხარდება იმის მოსმენა, რომ ამ სიტყვამ ზეგავლენა მოახდიინა თქვენზე და თქვენს სამწყსოზე!

ქრისტეში თქვენი,

ჯონ და ლიზა ბევირები

JohnBevere@ymail.com
LisaBevere@ymail.com

Messenger International
MessengerInternational.org

ქორწინების ამბავი

ჯონ და ლიზა

ბევრები

Story of Marriage by John Bevere and Lisa Bevere, Georgian
© 2015 Messenger International
www.MessengerInternational.org
Originally published in English as Story of Marriage
Additional resources in Georgian by John & Lisa Bevere
Are available for free download at: www.CloudLibrary.org
To contact the authors: JohnBevere@ymail.com, LisaBevere@ymail.com

ქორწინების ამბავი, ჯონ ბევირი და ლიზა ბევირი ქართულად
© 2015 Messenger International
www.MessengerInternational.org
ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე
სახელწოდებით 'Story of Marriage'
ჯონ და ლიზა ბევირებისაგან, დამატებითი
რესურსები ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია
შემდეგ მისამართზე: www.CloudLibrary.org
ავტორის ელფოსტის მისამართია: JohnBevere@ymail.com,
LisaBevere@ymail.com

ეძღვნება

ჩვენს შვილებს, მათ მეუღლეებს და ჩვენს შვილიშვილებს. გარკვეულწილად, თქვენ ხართ ჩვენი ქორწინების ამბის დაწერის მიზეზი. ვხარობთ, როცა ვუყურებთ თითოეული თქვენგანის ზრდას და სიყვარულს ერთმანეთის მიმართ.

მამაცო ედისონ, მხოლოდ მარადისობა შეაფასებს შენს წვლილს სათანადოდ. უნდა ითქვას, რომ შენს გარეშე ამას ვერ შევძლებდით, ჭეშმარიტებისგან შორს როდია. გმადლობ გულმოდგინეობისა და ჩვენი სიტყვების ბიბლიური სიბრძნით შეზავებისთვის, რომ შეგვექმნა რაიმე ღირებული ადამიანთა ცხოვრების შესახებად.

საყვარელო, ბრძენო ჯეილინ! შენი საამო დამოკიდებულება და შესაშური სიბეჯითე არის მიზეზი, რომ ქორწინების ამბავი ასე ლაზათიანად მოიქარგა! დაე, იმ ყველაფერმა იუხვოს შენს ცხოვრებაში, რაც ამ საქმეში ჩააქსოვე!

ვინსენტ და ალისონ! მადლობა თქვენი დახმარებისთვის ლოცვების შედგენაში! თქვენმა ღვაწლმა გაამდიდრა და გაავრცო ეს წიგნი.

გუნდის წევრებსა და მესინჯერ ინტერნეიშენალის პარტნიორებს! მადლობა ჩვენთან ერთად დგომისთვის. ღმერთს ვერ ვთხოვდით თქვენზე უფრო ერთგულ და ნამდვილ მეგობრებს ჩვენთან ერთად მოგზაურობისთვის მსოფლიოს ერებისთვის იესო ქრისტეს დიდებული სახარების მისატანად.

და უდიდესი მადლობა შენ, ზეციერო მამა, შენი უხვი სიყვარულისთვის! ჩვენო მეუფევ იესო, შენი ძვირფასი სიცოცხლისთვის და წმიდა სულო, შენი საოცარი ძალის, ნუგეშისცემის, სწავლების და მოზიარეობისთვის!

მადლობა, რომ არასოდეს გვტოვებ მარტო!

შინაარსი

წიგნის შესახებ VI

შესავალი VII

1. თავდაპირველი გეგმა 9

2. დაწყება დასასრულის გათვალისწინებით 45

3. იყავით მზადყოფნაში!.....83

4. აღსდექი და აშენე!.....125

5. სიახლოვე 163

6. ხელახლა დაწყება 201

დანართი: როგორ მივიღოთ გადარჩენა 233

შენიშვნები 235

შემოთავაზებული რესურსები 240

ამ ინტერაქტიული წიგნის შესახებ

ეს წიგნი გახლავს მესინჯერის სერიის სწავლების ნაწილი ქორწინების ამბავზე. წიგნი იკითხება თავიდან ბოლომდე სხვა ნებისმიერი წიგნის მსგავსად. თუმცა მოგიწოდებთ, რომ პირადი გამოცდილებისთვის აღმოაჩინოთ ურთიერთმოქმედი ელემენტები.

წიგნის თითოეული თავი ხუთ ყოველდღიურ საკითხავად იყოფა შესაბამისი ლოცვებით ყოველი თავის ბოლოს. შეგიძლიათ დღეში ერთი საკითხავი დაასრულოთ ლოცვითურთ ან იგივე რესურსი თქვენი შეხედულებისამებრ გამოიყენოთ. გირჩევთ, რომ ჯგუფური შესწავლისას ერთი თავისთვის განკუთვნილი საკითხავი და ლოცვები ერთი კვირის განმავლობაში დაასრულოთ.

თუ წინამდებარე წიგნს *ქორწინების ამბავზე* მესინჯერის სერიის სწავლების ნაწილად კითხულობთ, გირჩევთ, ყოველი კვირის სწავლებას უყუროთ ან მოუსმინოთ და ჯგუფში განიხილოთ სადისკუსიო კითხვები. შემდეგ წაიკითხეთ თავი წიგნში და დაასრულეთ ლოცვები. ერთ თავს ერთი სწავლება შეესაბამება. სადისკუსიო კითხვები ყოველი თავის ლოცვებს მოსდევს.

ისიამოვნეთ!

შესავალი

შესაძლოა, იკითხო, „რა საჭიროა კიდევ ერთი სიტყვა ქორწინებაზე?“ ასეთი იყო ჩვენი პირველი რეაქცია.

ეს წიგნი სამი მიზეზის გამო დავწერეთ. პირველი, ღმერთი გვიძღოდა აქეთკენ. გარდა ამისა, ჩვენმა შვილებმა და თანამშრომლებმა გვთხოვეს. და ბოლოს, ასეთი იყო ბევრი თქვენგანის სურვილი.

ვაცნობიერებდით, რომ ბაზარი უხვია შესანიშნავი რესურსებით ქორწინების საკითხზე, რომელთაგან ბევრი თავად ჩვენთვის გამოდგა სარგებლობის მომტანი. და მაინც, ცოტა მეტად დაკვირვებამ ცარიელი ნიშა დაგვანახა. აღმოვაჩინეთ, რომ მათი უმრავლესობა ცოლის ან ქმრის თვალთახედვით იყო დაწერილი. დიდებული ქორწინება დიდებული ურთიერთობის შედეგია, ამიტომ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ერთობლივი გამოცდილების გაზიარება ფასეული იქნება.

ვიცით, რომ ყოველი ამბავი განსხვავებულია ჩვენის ჩათვლით. უნდა ითქვას, რომ ორივე ჩვენგანი მტკიცე ნებისყოფის მქონე პიროვნებებს წარმოვადგენთ. სამ ათეულ წელზე მეტია, რაც დაქორწინებული ვართ და ამ დროის განმავლობაში უნიკალური გამოწვევები გვქონდა. გავაცნობიერეთ, რომ ამ საოცარი გამოცდილების გამო ჩვენი თვალთახედვაც გამორჩეული იქნებოდა.

გარდა ამისა, გვსურდა მამაკაცებისა და ქალების გამხნევება, რომ ქორწინება ჩვენი გამოსამწყვდევი ყალიბი როდია. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ჩვენგანს აქვს ისეთი ოჯახის აშენების შემოქმედებითი უფლება, რომელიც მათ პირად საჭიროებებსა და ღვთაებრივ მიზნებს საუკეთესოდ შეესაბამება. ვიმედოვნებთ, რომ წიგნი თქვენი უნიკალური ისტორიის აღმოჩენასა და დაწერაში დაგეხმარებათ.

ვისთვის არის განკუთვნილი წინამდებარე წიგნი?

ეს წიგნი გამოდგება მათთვის, ვინც ქორწინებისთვის ემზადება, უკვე დაქორწინებულია ან ამ საკითხზე მეტის გაგება სურს.

ჩვენ უამრავი განქორწინებისა და დამახინჯებული ქორწინებების ეპოქაში ვცხოვრობთ, ამიტომ ადამიანებს ეშინიათ თავიანთი ისტორიის დაწყება. თქვენს მიერ ნანახი არ განსაზღვრავს თქვენს მომავალს.

ასევე არსებობენ თავიანთი ცხოვრების იმ თავში ჩარჩენილი ადამიანები, რომელიც მაინცდამაინც არ მოსწონთ. არ გვსურს, რომ თქვენი ქორწინების წიგნი დაასრულოთ. გვინდა, მომდევნო ფურცლების დაწერაში დაგეხმაროთ.

ჩვენ გვერდით ურიცხვი მეგობარია, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი სიყვარულის ისტორია არასოდეს დასრულდებოდა, მაგრამ მათი ცხოვრების წიგნიდან გვერდები უხეშად ამოიგლიჯა გაყრის ან მეუღლის დაკარგვის გამო. თქვენი ამბავი არ დამთავრებულა.

ეს არ გახლავს ყოვლისმომცველი წიგნი, რომელიც ქორწინების ყველა მხარეს ეხება. ამ საკითხზე შესაძლებელია ტომების დაწერა. ჩვენ კი ყველა პასუხი არ გვაქვს. და მაინც, გადავწყვიტეთ საკუთარი ამბავი გადმოგვეცა ყველაზე გულისმომკვლელი მომენტების ჩათვლით, რადგან ჩვენ გადავიტანეთ და დარწმუნებული ვართ, რომ სხვებსაც დავეხმარებით.

და ბოლოს, იესო ისევ ფიქრობს, რომ ქორწინების ამბის მოყოლა ნამდვილად ღირს. ჩვენი სიყვარული მისი აზროვნების სტილია. ვლოცულობთ, რომ წინამდებარე ფურცლებმა რწმენა, იმედი და სიყვარული გააღვივოს მარტოხელასა და დაოჯახებულში, ახალგაზრდასა და ხანდაზმულში. გვინდა წაგახალისოთ, რომ კვლავ იოცნებოთ!

თავი 1

თავდაპირველი გეგმა

„აღმოაცენა უფალმა ღმერთმა მიწიდან ხეები წარმტაცნი საცქერლად და გემრიელნი საჭმელად და შუაგულ ბაღში იყო ხე სიცოცხლისა და ხე კეთილისა და ბოროტის შეცნობისა.“

– დაბადება 2:9;

დღე 1

Ყო და არა იყო რა, იყო ერთი ბაღი, რომელიც ორი ხის ირგვლივ გაეშენებინათ. მოგეხსენებათ, ეს არ იყო ჩვეულებრივი ბაღი. იგი ყოველგვარი ტანჯვისა და ხრწნილებისგან თავისუფალი გახლდათ. ედემს მდინარეები სერავდნენ და მის მკვიდრებს ბროლივით წმიდა წყლით ამარაგებდნენ.

მხოლოდ წარმოდგენა შეგვიძლია, რაოდენ დიდებული ხეები იზრდებოდნენ ასეთ გარემოში. თითოეული მათგანი ნოყიერ ნიადაგში ფესვგადგმული სიცოცხლის უმწიკვლო სიმბოლოს წარმოადგენდა, რომელსაც მჩქეფარე წყლები აღვიძებდა და ბრწყინვალე, მაგრამ მაინც ზომიერი მზის ნათელი სხივები კვებავდა. ბაღში ბევრი ხე იდგა, მაგრამ წერილი მხოლოდ ორს გამოყოფს: სიცოცხლის ხეს და კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხეს. ორივე ხე სარგებლობდა უმწიკვლო და შეუბღალავი საარსებო პირობებით, მდგომარეობით, რომელსაც ეს ცოდვილი დედამიწა ველარასოდეს ეღირსება ხელმეორედ. და მაინც, ერთი ხე სიცოცხლეს შობდა, მეორე კი – სიკვდილს.

ალბათ, უკვე გსმენიათ ეს ამბავი, რადგან ქორწინების ყოველი ისტორიის წარმოშობა ედემის ამ ორ ხეს უკავშირდება. ჩვენი ქორწინებები მრავალ ასპექტში წააგავს სიცოცხლის ხეებს. ქორწინებები სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად ვითარდება და საუკეთესო შედეგს მაშინ აღწევს, როცა მომწიფებულ ფესვებს ეყრდნობა. ქორწინებაში არის ნაყოფისმომცემი და გვალვიანი სეზონები, ისევე როგორც, გამორჩეული ზრდის

და შეფერხების წლები. ყოველ ქორწინებაზე გავლენას ახდენს კლიმატი, რომელშიც აღმოცენდა, დროის ცვალებადობა და მძლავრი ქარიშხლები, თუმცა იგი ცვლილებების მომტანი ქარებისგან საიმედო თავშესაფარია.

წიგნის გარეკანზე აღბეჭდილი სურათი ხის სიცოცხლეში გვახედებს. რგოლების ერთობლიობაში რეალურად ხის სიცოცხლის ამბავი ჩანს – მისი მოგზაურობის ანაბეჭდი.

სკოლაში ბვერმა ჩვენგანმა ისწავლა დენდროლოგიის საფუძვლები (ხე-მცენარეთა შესწავლა) და ხის მიახლოებითი ასაკის დადგენაც შეუძლია მისი რგოლების მეშვეობით. შესაძლოა, ზოგიერთი ჩვენგანი გამოცდილი იყოს ხის რგოლების დათვლაში, მაგრამ დენდროლოგობისგან ჯერ კიდევ შორს ვართ (მიუხედავად იმისა, რომ მართლაც გვიყვარს კარგი ხე). ხის ზუსტი ასაკის გარდა ხეების ექსპერტები მისი გადაკვეთის წერტილებზე დაკვირვებით ხის სიცოცხლის წვრილმან დეტალებსაც გეტყვიან. გამოცდილი თვალისთვის თითოეული რგოლი ცალკე ისტორიას წარმოადგენს. რგოლების სისქე ხის მიერ გადატანილ ზომიერ თუ მკაცრ ზამთარზე მეტყველებს და გვალვისა თუ უხვი ნალექების ნიმუშებს წარმოაჩენს. ახლოდან დაკვირვება დაზიანებისა და ეპიდემიების შემოტევებს აჩვენებს. თითოეული წრე დროებისგან შედგენილ წელიწადს აღნიშნავს, ფორმით მრგვალია და ბუნებით გამორჩეული.

ქორწინების ყოველი წელი ხის რგოლს წააგავს: მრგვალი და გამორჩეულია. წლისთავები ერთი წლის დასრულებას და მეორის დაწყებას აღნიშნავს. ყოველწლიური თარიღი აშკარად იკვეთება, მაგრამ მისი შემადგენელი თვეები, კვირები და დღეები სიხარულის, ტკივილის, შრომისა და სურპრიზების ნაკრებს წარმოადგენს.

თქვენი ამბავი

ჩვენთან ერთად მოგზაურობის დაწყებისას გახსოვდეთ, რომ თქვენი ამბავი (ან მომავალი ისტორია) ასეთია: იგი თქვენია. ყოველი ცხოვრება და ქორწინება სიხარულის, გამარჯვებების და გამოწვევების ერთობლიობას წარმოადგენს. უკვე დიდი ხანია, რაც ეკლესიათა უმეტესობა ქორწინებათა მტკივნეული საკითხის გადასაჭრელად ზოგადი მითითებებით, შემოთავაზებებით კმაყოფილდება. გვსმენია, „ცოლებო, დაემორჩილეთ! ქმრებო, გიყვარდეთ.“ მიუხედავად იმისა, რომ ეს ჭეშმარიტებაა და ფასეულია, გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ ქორწინების ასაშენებლად ყველა შემთხვევისთვის ერთნაირად გამოსადეგი წესი არ არსებობს, რადგან თითოეულ ქორწინებას თავისი უნიკალური ანაბეჭდი გააჩნია.

მოდით, ეს სხვა კუთხით განვიხილოთ. ყოველი სახლისთვის საჭირო ნიმუში მოიცავს საფუძველს, საყრდენ კედლებს და

სახურავს, მაგრამ არქიტექტორს შემოქმედებითი თავისუფლება აქვს, რომ დიზაინი სახლის მკვიდრების განსაკუთრებული საჭიროებებისა და სურვილების შესაბამისად ცვალოს. იგივე ხდება ჩვენს ქორწინებაშიც. შემოქმედებითი უფლება გვაქვს, რომ იგი ავაგოთ ჩვენი საჭიროებებისა და სურვილების გათვალისწინებით. თითოეული პირადი ზონა განსხვავებული უნდა იყოს და ცხოვრებისეული სეზონების მიხედვით იცვლებოდეს. ჩვენს ქორწინებაში, მაგალითად, ისეთ ეტაპზე ვიმყოფებით, რომ მშობლობა ჩვენი სახლეულის ძირითად ფუნქციას აღარ წარმოადგენს. ეს ნიშნავს, რომ დიდი დრო აღარ დასჭირდება სახლის დაცლას უამრავი საწოლი ოთახისგან, როგორც ეს უწინ იყო. ასეთი ცვლილებები ბუნებრივად მოჰყვება ახალი სეზონის დადგომას. და ეს ნორმალურია.

არსებობს საყოველთაო, საუკუნო ჭეშმარიტებები და ფასეულობები, რომლებიც თქვენს ქორწინებას ბიძგს აძლევს და ქმნის იმად, რადაც არის ჩაფიქრებული. ღმერთს სურს, რომ ყოველი ქორწინება სიყვარულზე, პატივისცემაზე, სიხარულზე, მორჩილებაზე, ერთგულებაზე, ზრუნვაზე, სიახლოვესა და მემკვიდრეობაზე უნდა იყოს დაფუძნებული, და ეს მცირედია იმასთან შედარებით, რაც შეიძლება, ჩამოითვალოს. თუმცა ამ სამშენებლო ბლოკების წარმოჩენის გზა თქვენს ცხოვრებაში ასახავს თქვენი პიროვნების უნიკალურობას და ქორწინების გარკვეულ სეზონს. ღმერთი ხაზს უსვამს ძირითად პრინციპებს და სივრცეს ტოვებს ინდივიდუალური დეტალებისთვის.

ღმერთს უყვარს მრავალფეროვნება. ამას ქმნილებაზე ერთი თვალის გადავლებაც ადასტურებს. გვინდა, თავიდანვე ნათელი გავხადოთ, რომ ყველა წყვილი ვერ ჯდება ქორწინების ზოგად ყალიბში. დღესდღეობით გაცილებით ხშირია ორივე მეუღლის მუშაობა სახლის გარეთ (2012 წელს აშშ-ში შრომისუნარიანი ქალების, დაახლოებით, 60 % შრომით ძალას წარმოადგენდა) და შესაძლოა, ცოლს ქმარზე მეტი შემოსავალიც კი ჰქონდეს. მეტი ფულის გამომუშავების უნარი არ ნიშნავს, რომ იგი დაუმორჩილებელია ან წინამძღოლი არ არის. ეს უბრალოდ ნიშნავს, რომ ორივე მხარე მონაწილეობს სახლის შემოსავლების შევსებაში და მათი ოჯახი ბებიებისა და პაპების ქორწინებისგან განსხვავებულია.

ჩვენს ოჯახში ორივე ვმუშაობთ და ორივე წინამძღოლები ვართ ქორწინების გარეთ. ზოგჯერ ერთმანეთთან ვთანამშრომლობთ (როგორც ამ წიგნის წერისას), ზოგჯერ ცალ-ცალკე ვმუშაობთ, მაგრამ ქორწინების მიზანი და მისი საძირკველჩამყრელი პრინციპები ურყევი რჩება. ცოლ-ქმრის ფუნქციები არ იცვლება იმით, თუ რამდენის შემოტანის უნარი გვექნება თითოეულ ჩვენგანს.

პირველ ბაღში ღმერთმა ადამსა და ევას უბრძანა, ემრავლათ და ენაყოფიერათ. მას არ უთქვამს, რომ ევა სახლში დარჩენილიყო და ადამის გამრავლებაზე ეზრუნა. იგავის წიგნის 31-ე თავში წარმოდგენილია მრავალი სათნოებით შემკული ქალი, რომელიც სახლის კარგი მმართველი და საქმოსანია. თუ ეს თქვენი ქორწინებისთვის მისაღებია, ეს მაგალითი გაითვალისწინეთ! ასევე, ერთ-ერთ თქვენგანს შეუძლია სრული დროით სახლში ყოფნა ბავშვებით თუ მათ გარეშე. ცუდი არაფერია არც ერთ მიდგომაში.

ერთი შეხედვით ბუნებრივია, რომ ის, რაც გარკვეული რაოდენობის ოჯახებისთვის გამოსადეგია, ყველა დანარჩენი ქორწინებისთვისაც გამოსადეგი იქნება. თუმცა ჩვენ განსაკუთრებულ პერიოდში ვცხოვრობთ განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე ყოველი მიმართულებით. გვსურს, ჩვენი ქორწინება მყარი იყოს. ეს ნიშნავს, რომ გაქვთ თქვენი და არა სხვა ვინმეს საოცნებო ქორწინების აშენების თავისუფლება.

მოგიწოდებთ, რომ ღვთის სულს, რომელიც ჭეშმარიტების სულია, სთხოვოთ მისი საუკუნო ჭეშმარიტებების მეშვეობით თქვენი ქორწინების განსაკუთრებულ ურთიერთობად გარდაქმნის გზების გაცხადება იმ სახით, როგორითაც სამყაროს შექმნამდე ჩაიფიქრა.

დღე 2

როცა თქვენი ამბავი გამოწვევის წინაშე დგას

მოგზაურობის რამდენიმე წელი სრულ ისტორიაზე წარმოდგენას არ იძლევა. ორმოცდაათწლიანი ქორწინება, შესაძლოა, ორმოცდაათწლიანი სირთულის ან მუდმივი ბედნიერების წლები იყოს. უფრო ხშირად ქორწინება ცვალებადი და განსხვავებული სეზონების ერთობლიობა გახლავ.

როცა წიგნის გარეკანზე ხის შტამპის სურათს ვუყურებთ, ცხადი ხდება, რომ ყოველი მომდევნო რგოლი ხის დიამეტრს ზრდის. რთული თუ უხვი სეზონის მიუხედავად, იგი ამბავს და მოგზაურობის აზრს სოლიდურობას სძენს. იქნებოდა თუ არა შედევრი ჯონ ბუნიანის *„პილიგრიმის მოგზაურობა“* – წიგნი, რომელიც სამ საუკუნეზე მეტია იბეჭდება – ქრისტიანს (წიგნის მთავარ გმირს) ზეციური ქალაქისთვის (მისი დანიშნულების ადგილისთვის) სევდის საფლობის გავლისა და გოლიათი სასოწარკვეთის ძლევის გარეშე რომ მიეღწია? მასში სიხარულისა და გამოწვევების ჩართვის გარეშე მისი ისტორია მოსაწყენი და უფერული იქნებოდა. სწორედ ქრისტიანის ცხოვრებისეული საფრთხეები და მათზე გამარჯვება ამ წიგნს ფასეულობას მატებს და წაკითხვის ღირსს ხდის. ქორწინების სირთულეები

ჩვენს საკუთარ ისტორიას ანალოგიურ ინტერესსა და აზრს სძენს.

ნუ უგულებელყოფთ იმედგაცრუების მომენტებს. ისინი ღვთის მადლის მოსაზიდად და მისი ღვთიური ძლიერების აღმოსაჩენად გამოიყენეთ, რაც თქვენი ემოციური და სულიერი უნარის საზღვრების უგულებელყოფის საშუალებას მოგცემთ. ქორწინების სამ ათეულზე მეტი ხნის განმავლობაში აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი ცხოვრების ყველაზე ბნელი პერიოდები გზის გამნათებელ შუქურად იქცა. ისინი წამოდგომას და შინაგანი სიმტკიცის გამოჩენას გვაიძულებენ. თქვენი ახლანდელი ტანჯვანი შესაძლოა, თქვენი ამბის უდიდეს მოვლენებად იქცეს.

ქორწინების სული

სანამ ქორწინების ამბავს ჩავუღრმავდებით, მცირე დრო მისი მიზნის აღმოჩენას დავუთმოთ. ყოველგვარ ეჭვგარეშე ქორწინება მშვენიერი რამაა, მაგრამ ზოგჯერ მტკივნეული პროცესია. ბევრ ჩვენგანს მტკივნეული პროცესის დროს გაცილებით მეტი მოთმინების გამოჩენა შეუძლია, როცა მის მიზანს ვაცნობიერებთ. მაგალითად, კბილის ექიმის კაბინეტში რამდენიმე საათით დაყოვნება შეგვიძლია, თუ ვიცით, რომ პროცედურა მტანჯველი კბილის ფესვიანად ამოღებას ისახავს მიზნად. ალბათ, ოჯახში გქონიათ დღეები, როცა თავს უფრო დანტისტის სავარძელში მჯდომად აღიქვამთ, ვიდრე ზღვის სანაპიროზე მოსეირნე ტურისტად (და თუ არ გქონიათ, მომავალში გექნებათ). სწორედ ასეთ მტკივნეულ მომენტებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი მიზნის გაცნობიერება.

დღეს ქორწინების მიზანი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და ვინაიდან ბევრს არ ესმის ერთობლივი ცხოვრების მიზანი, ისინი მზად არიან მღელვარე ტალღების პირველივე შემოტევისას დატოვონ გემი. სხვები ამტკიცებენ, რომ ქორწინების მთელი ინსტიტუტი უფრო ნაკლოვანია, ვიდრე ჯანსაღი და გადახედვას ან საერთოდ ამოძირკვას საჭიროებს. ზოგიერთები იმასაც ამბობენ, რომ საქორწინო კონტრაქტი უნდა შეიზღუდოს დროის გარკვეული ხანგრძლივობით – სამუდამო კავშირის მოლოდინი, ჩანს, მეტისმეტია ნებისმიერი ჩვენგანისგან. ეს ადამიანები ამტკიცებენ, რომ არარეალურია გადაწყვეტილების მიღება, თუ როგორ იგრძნობ თავს ოცი წლის შემდეგ, როცა იმის მართვაც კი გვიძნელდება, როგორ ვიგრძნობთ თავს ხვალ.

კარგად ცნობილ სიმღერაში „Ms. Jackson“, ჰიპ-ჰოპ ჯგუფი Outkast ცნობილ გრძნობას გამოხატავს:

მე და თქვენს ქალიშვილს შორის
განსაკუთრებული რამ ხდება.
თქვენ ამბობთ, რომ ეს გატაცებაა.
ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ნამდვილია
და ვფიქრობდით, რომ სამუდამოდ გასტანდა.
შეიძლება მშვენიერი პიკნიკი დაგეგმო
და ამინდი ვერ გაითვალისწინო.

„Ms. Jackson“ გახლავთ კაცის მობოდიშება მის მიერ დაფეხმძიმებული ახალგაზრდა გოგონას დედასთან, რომლის მიმართ სიყვარული გაუნელდა. სამწუხაროდ, ეს სიმღერა სრულად ასახავს თანამედროვე შეხედულებას სიყვარულსა და ქორწინებაზე: ამ ორმა რამემ თავი კარგად უნდა მაგრძნობინოს. ეს მოსაზრება ეფუძნება რწმენას, რომ ჩვენი ემოციები გვეუბნება, რა არის სწორი და არასწორი და მათი მართვა არ შეგვიძლია. თუ თავს ბედნიერად არ ვგრძნობ, რასაკვირველია, მინდა, რაღაც შეიცვალოს. ბოლოს და ბოლოს, იმაზე მეტად არ შემიძლია ჩემი გრძნობების გაკონტროლება, ვიდრე ცხოვრებისეული სეზონების ცვლის მართვა. ანუ, როგორც Outkast გადმოგვცემს, შესაძლოა, მშვენიერი პიკნიკი დაგეგმო, მაგრამ ამინდი ვერ გაითვალისწინო.

არიან ადამიანები, რომლებსაც ქორწინების განსაზღვრების დროსთან მორგება სურთ. ისინი სვამენ კითხვას, „რატომ არ უნდა ვიყოთ მოქნილები?“ თუ ამ ინსტიტუტის გადარჩენა გვინდა, იგი უნდა განივრცოს და მამაკაცსა და მამაკაცს, ასევე ქალსა და ქალს შორის ქორწინებასაც უნდა მოიცავდეს. ზოგიერთ ცნობილ ადამიანს ოჯახის შექმნაც კი არ უნდა, სანამ ქორწინების პირობები არ გადაიხედება. (უფრო ნათლად რომ ვთქვათ, თითოეული ქორწინება უნდა იზრდებოდეს და ვითარებას ერგებოდეს, მაგრამ მისი განსაზღვრება და მონანილეები არ უნდა იცვლებოდეს.)

მაშ, ვის უნდა ვუსმინოთ? ვის აქვს ქორწინების განსაზღვრის ან გადაფასების უფლება? ვის აქვს რწმუნებულება, რომ გვითხრას, რა ზეგავლენა უნდა მოახდინოს ქორწინებამ ჩვენს ცხოვრებაზე?

დარწმუნებული ვართ, რომ ღმერთი ერთადერთია, ვინც ამას სწორი მიმართულებით წარმართავს. მისი სიტყვა აცხადებს:

„ღმერთმა და არა თქვენ დააფუძნეთ ქორწინება! მისი სული ქორწინების მცირე დეტალებშიც კი მკვიდრობს . . . ამრიგად, გაუფრთხილდით თქვენს ქორწინებას!“

– მალაქ. 2:15; *The Message*“

ეს მუხლი დაეჭვების საბაბს არ გვაძლევს: „*ღმერთმა და არა თქვენ დააფუძნეთ ქორწინება.*“ მან არა მარტო დააფუძნა ქორწინება, არამედ პირადად არის ჩართული ორი ადამიანის ერთად ქცევის პროცესში. ყოველი ქორწინება ბევრი სხვადასხვა ელემენტისგან შედგება, რომელთაგან ზოგი მარტივია, ზოგი კი – ძალზე რთული, და მაინც, ღმერთი აღძრავს (ანუ აცოცხლებს) ქორწინების ყველაზე ინტიმურ დეტალებს თავისი სულით.

ყურადღება მიაქციეთ, რომ მალაქ. 2:15 ამბობს: „[ღვთის] სული მკვიდრობს ქორწინების უმცირეს დეტალებში“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღმერთი ქორწინებაში შემოქმედებითი გამოხატვის საშუალებას გვაძლევს, მაგრამ იტოვებს შემოქმედის ყველა უფლებას მისი რაობის და მის მონაწილეთა განსაზღვრაში. ქორწინების ხელახლა შექმნა მისი თანხმობისა და მონაწილეობის გარეშე არ შეიძლება და იგი ნათლად გამოხატავს საფუძველჩამყრელ საკითხებს: „მე უფალი არ ვიცვლები!“ (მალ. 3:6).

ედემში დაბრუნება

მოდით, ედემს დავუბრუნდეთ. გახოსვთ ორი ხე? ერთი მათგანი, კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე იყო ერთადერთი, რომლის ნაყოფის ჭამა ადამსა და ევას ეკრძალებოდა. ღმერთმა ისინი გააფრთხილა, რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ისინი მოკვდებოდნენ. თუმცა ხესთან დაკავშირებულმა რაღაცამ აიძულა ისინი, რომ ყური არ ეგდოთ ღვთის გაფრთხილებისთვის და აკრძალული ხილი ეგემათ.

„როცა დაინახა დედაკაცმა, რომ კარგი იყო საჭმელად ის ხე, რომ თვალწარმტაცი და საამური სანახავი იყო ...“.

– დაბ. 3:6;

რასაკვირველია, ბაღის ბევრი ხის ნაყოფი იყო საჭმელად საამო და შესახედად თვალწარმტაცი. თუმცა სულ სხვა საქმეა ხე, რომელსაც ადამიანის ღვთის მდგომარეობამდე ამაღლების ძალა შესწევს. ევას ეგონა, რომ მასში იყო რაღაც იმაზე მეტი, ვიდრე უკვე მიეცა ღვთისგან. საოცარია, რომ ქალი მოიპოვებდა ისეთ რამეს, რაც მას არ უნდა ჰქონოდა (ღმერთთან თანასწორობა) და ამ პროცესში დაკარგავდა იმას, რის ფლობის პოტენციალი უკვე ჰქონდა (სიბრძნე).

ადამსა და ევას სურდათ ღვთის მსგავსნი გამხდარიყვნენ მისი ზეგავლენისა და ძალაუფლების გარეშე. მათ ის ფუნქცია

იგდეს ხელთ, რაც არ ეკუთვნოდათ. მათი გადაწყვეტილება სრულიად განსხვავდება მათი შთამომავლების მიერ გაკეთებული არჩევნისგან:

„[იესო], თუმცა ღვთის ხატი იყო, მიტაცებად არ თვლიდა ღვთის თანასწორად ყოფნას . . .“

– ფილ. 2:6;

ადამი და ევა ღვთის ხატად, მაგრამ არა მის თანასწორად იყვნენ შექმნილნი. ხატება რაიმეს ასახვაზე მეტყველებს და არა მის სრულ წარმომადგენლობაზე. ღმერთთან თანასწორობის ცრუ დაპირებამ კაცსა და ქალს აფიქრებინა, რომ რაღაცას მიიღებდნენ, სინამდვილეში კი ორივე დაზარალდა. მათ ვერ მოიპოვეს სიბრძნე; სანაცვლოდ ცდუნება მიიღეს.[2]

ეს მოტყუებული და ურჩი წყვილი ბაღიდან გამოაძევეს. მათ არასოდეს ექნებოდათ სიცოცხლის ხის ნაყოფთან მისადგომი. ადამია და ევა ამ მაცოცხლებელი ნაყოფის გარეშე მოკვდავობისთვის იყვნენ განწირულნი. ისინი გარდაიცვალნენ და მათი ბაღიც დიდი ხანია აღარ არსებობს. თუმცა გარკვეული თვალსაზრისით ისინი ცოცხლობენ, რადგან ჩვენ მათი შთამომავლები ვართ. მამაკაცებსა და ქალებს აღარ აქვთ პირადი უკვდავება დედამიწაზე, მაგრამ ქორწინება გამრავლების მეშვეობით სიცოცხლის გაგრძელების საშუალებაა.

კარგი ამბავი ისაა, რომ ქრისტეს ჯვარცმა გახლავთ ჩვენი საბოლოო სიცოცხლის ხე. იგი აღადგენს ყველაფერს, რაც ედემის ბაღში დაიკარგა. ღვთისნიერ ქორწინებას სიცოცხლის გამაგრძელებელი ხის მოვალეობის შესრულება შეუძლია. იგი მემკვიდრეობისა და მჭიდრო ურთიერთობისთვის აუცილებელ გარემოს ქმნის. სწორედ ამიტომ არის ღვთისთვის ასე მნიშვნელოვანი, რომ პატივს მივაგებდეთ ქორწინებას, გავუფრთხილდეთ მას და ერთმანეთი გვიყვარდეს.

ურთიერთობების ექსპერტობა საჭირო არ არის იმის მისახვედრად, რომ ბაღის დროიდან დღემდე რაღაც მნიშვნელოვანი დაიკარგა. ბევრი ოჯახი სიცოცხლის მომცემი ხისგან დიდად განსხვავდება. გაყრა, მრუშობა, იმედგაცრუება, ბედნიერების არქონა და ძალადობა – ჩვენს ქორწინებებსა და სახლებს ანადგურებს. სიყვარულში არსებული ამ ლაფსუსების გამო, ბევრი ვერ ხვდება ქორწინების მიზანს, ან საერთოდ არ სურს ოჯახის შექმნა. უკვე დაქორწინებულები ცდილობენ, როგორმე გადაურჩნენ ორმხრივ ცეცხლს. მათთვის ქორწინება უსაფრთხო ნავსაყუდელი როდია. იგი საომარ ზონას წარმოადგენს.

დღე 3

სიყვარულის წყარო

„. . . თქვენი გულისათვის . . . ღვთის სახელი იგმობა წარმართებში.“

– რომ. 2:24;

როცა ჩვენ, ქრისტეს სხეული, სათანადოდ არ ვცხოვრობთ და არ გვიყვარს, ხალხი ღვთის სახელს გმობს. ეს გასაკვირი არ არის, ვინაიდან საკუთარ თავს თუ „ქრისტიანებს“ ვუწოდებთ, ქრისტეს ელჩობაზეც გვაქვს პრეტენზია. პავლე მოციქული წერდა:

„იმიტომ, რომ ღმერთმა ქრისტეში შეირიგა წუთისოფელი და არ ჩაუთვალა მათ მათი დანაშაულებანი და გვიბოძა შერიგების სიტყვა. ამგვარად, ჩვენ ელჩები ვართ ქრისტესთვის, და ვითომც თავად ღმერთი შეგაგონებდეთ ჩვენი მეშვეობით, ქრისტეს სახელით გთხოვთ . . .“

– 2 კორ. 5:19-20;

ელჩი ოფიციალური წარგზავნილი ანუ წარმომადგენელია.[3] ჩვენ როგორც ქრისტიანები, ქრისტეს სახელით ვლაპარაკობთ. რა პრივილეგიაა! მოწვეული ვართ, დავალებულიც გვაქვს, რომ ღვთის შერიგების მსახურებაში მონაწილეობა მივიღოთ. ღვთის ნაცვლად ვლაპარაკობთ ჩვენი სიტყვებით და მოქმედებებით. ეს გახლავთ ჩვენი ცხოვრების მიზანი. ჩვენ ღვთის თანამშრომლები ვართ, რომლებიც მის მეფობას ავრცელებენ დედამიწაზე.

ამრიგად, რის გაკეთება დაგვავალა ღმერთმა ჩვენ, მის ელჩებს? იესომ თქვა: „ახალ მცენბას გაძლევთ თქვენ: გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი!“ (იოან. 13:34).

მადლობა ღმერთს, რომ ეს მისია არ არის რაღაც ისეთი, რასაც საკუთარი ნებისყოფის ძალით მივაღწევთ. წმიდა წერილი ნათელს ხდის, რომ ჩვენი მიზნის აღსასრულებლად, პირველ რიგში, ქრისტეში უნდა ვიყოთ, როგორც მისი მადლის თანამემკვიდრეები ჯვრის გამომხსნელი ღვაწლის მეშვეობით. მხოლოდ მაშინ შევძლებთ სულიწმიდის გარდამქმნელ ძალაში მოქმედებას და ერთმანეთის ისე სიყვარულს, როგორც მას უყვარვართ.

ახალი აღთქმის მადლის ქვეშ ღმერთი არაფერს გვიბრძანებს, რის აღსრულების ძალასაც არ მოგვცემს. იმის გამო,

რომ ქრისტეში ვართ, მისი სული აღძრავს ჩვენი ქორწინების საკითხს და პირად ცხოვრებას, რომ ქვეყნიერებას მისი თანდასწრება და სიყვარული აჩვენოს. თუმცა გვიძნელდება მისი სიყვარულის გაცხადება, სანამ საკუთარ თავზე არ გამოვცდით თავდაპირველად. ეფეს. 3:16-19-ში პავლე ქრისტეს სიყვარულის ძალის მიღების გასაღებს გვთავაზობს:

> „ამისთვის ვიდრეკ მუხლს . . . რომ მოგცეთ ძალა თავისი დიდების სიმდიდრისამებრ (დიდებული და უსაზღვრო რესურსებიდან) თავისი სულით შინაგან კაცში განსამტკიცებლად. ქრისტეს დასამკვიდრებლად რწმენით თქვენს გულებში და იყოთ თქვენ ფესვგადგმულები და დაფუძნებულები სიყვარულში, რათა შეძლოთ ყველა წმიდასთან ერთად ჩაწვდეთ, რა არის განი და სიგრძე და სიმაღლე, სიმაღლე და სიღრმე და შეიცნოთ ქრისტეს სიყვარული, ცოდნას რომ აღემატება, რათა აღივსოთ სრული ღვთიური სისავსით!“

იმისთვის, რომ ქრისტეს სიყვარული გაგვიცხადდეს, პირველად, ღმერთს ჩვენი შინაგანი გაძლიერების საშუალება უნდა მივცეთ სულიწმიდის მეშვეობით. თუმცა ეს არ მოხდება, თუ თქვენს ცხოვრებას მას არ დაუმორჩილებთ. თუ თქვენი ცხოვრება მას მიეძღვნება, შესაძლებლობა გექნებათ, რომ გამუდმებით გაიზარდოთ მის სიყვარულში. ეს გახლავთ მოგზაურობა, რომელიც საბოლოოდ სრულ და ჯანსაღ სიცოცხლემდე მიგიყვანთ (ქრისტესადმი თქვენი ცხოვრების დამორჩილების შესახებ მეტის გასაგებად, იხილეთ გვ. 243).

პავლე სულ რაღაც ორი მუხლის შემდეგ წერდა ძალაზე, რომელიც ქრისტეს სიყვარულის გაცნობიერებიდან მომდინარეობს. მან განმარტა ძალის მიზანი:

> „ამრიგად, შეგაგონებთ . . ., მოიქცეთ იმ მოწოდების ღირსად, რომელშიც მოწოწდებული ხართ, მთელი თავმდაბლობით, სიმშვიდითა და სულგრძელებით შეიწყნარეთ ერთმანეთი სიყვარულში! ეცადეთ შეინარჩუნოთ სულის ერთობა მშვიდობის საკვრელით!“

– ეფეს. 4:1-3;

ყურადღება მიაქციეთ პავლეს ნათქვამს, „მოიქცეთ იმ მოწოდების ღირსად, რომელშიც მოწოდებული ხართ!“ იგი კვლავ ლაპარაკობს ჩვენს მიზანზე: ღვთის სიყვარულის, ჭეშმარიტებისა და ცხოვრებისეული გზის (მისი სამეფოს) გაცხადება ქვეყნიერებისთვის. არც ერთი მათგანი არ იქნება შესაძლებელი ღვთის სიყვარულის გამოცდილებით შეცნობის

გარეშე. თეორიული ცოდნით ამას ვერ მივაღწევთ. მხოლოდ მაშინ, როცა პირადად გამოვცდით ღვთის სიყვარულს, შევძლებთ ჩვენი ცხოვრების და შესაბამისად ქორწინების აშენებას ჩვენი მოწოდების ღირსად.

ამ მონაკვეთში პავლე აღწერს გარკვეული ქცევის ნიმუშებს, რაც ქორწინებაში აუცილებელი თვისებების მსგავსია: თავმდაბლობა, სიმშვიდე, სულგრძელება, სხვათა შეცდომების შეწყნარება და ყოველი ღონის მოხმარება მშვიდობის შესანარჩუნებლად. შემთხვევითი როდია, რომ ეფესელთა მომდევნო თავში ქორწინების თაობაზე ბიბლიის ყველაზე ცნობილ მუხლებს ვპოულობთ. (გახსოვდეთ, თავებად და მუხლებად დაყოფა ეკლესიამ შემოიღო XIII საუკუნეში და პავლეს თავდაპირველ წერილში არ არსებობდა.) იქნებ ეფესელთა 1-4 თავებში პავლე მკითხველთა გულებს ამზადებდა ქორწინების შესახებ საფუძველჩამყრელი ჭეშმარიტებების გასაზიარებლად, რაც ღვთის სიყვარულის შესახებ საფუძვლიან ცოდნას მოითხოვდა?

ამრიგად, ასეთია პროცესის განვითარება: სანამ საფუძვლიანად სიყვარულს შეძლებდეთ (იქნება ეს მეუღლის თუ ვინმე სხვისა), თავდაპირველად, თქვენდამი ღვთის სიყვარულის სიღრმეები უნდა აღმოაჩინოთ! ღვთის სიყვარულის თქვენეული ცოდნა არ უნდა ეფუძნებოდეს სხვისგან მიღებულ მეორად ინფორმაციას! ეს თავად უნდა გამოცადოთ. როცა ქრისტეს სიყვარულს საკუთარ თავზე გამოცდით, „სრული ღვთიური სისავსით აღივსებით“. მხოლოდ მაშინ შეძლებთ თქვენი მოწოდების ღირსად ცხოვრებას. ცხოვრებისა და სიყვარულის ძალა თქვენს მიმართ ღვთის უსაზღვრო სიყვარულის ღრმა ცოდნას ეფუძნება.

ქორწინების მიზანი

თუ თქვენი პირადი მიზანია, რომ დედამიწაზე ქრისტეს წარმოადგენდეთ, როგორია თქვენი ქორწინების მიზანი?

მოდით, ამით დავიწყოთ: ღმერთი სიყვარულია. სიყვარული არ არის რაღაც ისეთი, რასაც ღმერთი აკეთებს. ეს არ არის ის, რაც ღმერთს აქვს. ეს გახლავთ ის, რასაც თავად წარმოადგენს. ქორწინება სიყვარულის ინსტიტუტია, პირველი ინსტიტუტი, რომელიც ღმერთმა დააფუძნა. ის არა მარტო მისი პირველი ინსტიტუტია, არამედ სიმბოლო, რომელსაც ჩვენდამი, მისი ეკლესიისა და საპატარძლოს მიმართ სიყვარულისა და პასუხისმგებლობის სიღრმეების წარმოსაჩენად იყენებს. საპატარძლო და ნეფე ეკლესიისა და ქრისტეს სახეა.

ამ საფუძვლიანი სიმბოლიზმის გამო ქორწინების წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი შეტევის მიღმა კიდევ უფრო ღრმა და მძაფრი ზრახვა იმალება, რასაც მცირედნი თუ აცნობიერე-

ბენ. ქორწინების ინსტიტუტზე თავდასხმა – მისი განსაზღვრების, დანიშნულებისა და ღვთიური ფესვების უგულებელყოფა – უფრო მეტია, ვიდრე პოლიტიკა ან სოციალური პროგრესი. წმიდა წერილი ნათელს ხდის, რომ ჩვენ უბრალოდ, ხორცსა და სისხლს არ ვეომებით და ჩვენი მტერი არც რომელიმე მთავრობა ან ორგანიზაციაა (იხილეთ ეფეს. 6:12). არის ერთი ძველი მტერი, ჩვენი სულების მტერი, რომელიც სცენის მიღმა ცდილობს ღვთიური ერთობის დაზიანებასა და გადაგვარებას. იგი არ შეწყვეტს ქორწინებაზე თავდასხმას, სანამ საბოლოოდ არ დაამახინჯებს ჩვენს თვალთახედვას ხალხის მიმართ ღვთიური სიყვარულისა და ურთიერთდამოკიდებულების გამოხატვის საშუალებაზე. უკანასკნელი, რაც სატანას ჩვენთვის ძალიან უნდა, გახლავთ ღვთის გარდამქმნელი სიყვარულის აღმოჩენა და მიღება. თუმცა ღვთის მადლით მტრის დამარცხება და იმ ყველაფრის ფლობა შეგვიძლია, რაც ღმერთს ჩვენთვის და ჩვენი ქორწინებისთვის სურს.

რას ფიქრობს იესო?

ღმერთმა არა მარტო ქორწინება შექმნა; მას ასევე აქვს გეგმა და მიზანი იმისთვის, რაც უცვლელია. მიუხედავად იმისა, რომ ქორწინების შემადგენელ ნაწილებზე კამათი საკმაოდ მწვავე თემაა ათასწლეულების განმავლობაში, იგი მყარად დგას ღვთის თავდაპირველი გეგმის მიღმა. შეხედეთ, რა უთხრა იესომ ფარისევლებს მის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ საუბარში ქორწინებასთან დაკავშირებით:

> „და მივიდნენ ფარისეველნი და გამოცდიდნენ და ეკითხებოდნენ: „შეუძლია კაცს გაუშვას თავისი ცოლი ყოველგვარი მიზეზით?“ მან მიუგო და უთხრა მათ: „ნუთუ არ წაგიკითხავთ, რომ შემოქმედმა დასაბამიდან მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი? და თქვა: „ამიტომ მიატოვებს კაცი მამას და დედას, მიეკვრება თავის ცოლს და ორნი იქნებიან ერთ ხორცად. ამრიგად, ისინი უკვე ორნი კი აღარ არიან, არამედ ერთი ხორცი. ვინაიდან ღმერთმა შექმნა ამ ორის ორგანული კავშირი, არავინ არ უნდა შებილწოს მისი შემოქმედება მათი დაშორებით.“
>
> – მათ. 19:3-6; *The Message*

ფარისევლები დაკმაყოფილდებოდნენ იმის ცოდნით, თუ რა იყო კანონიერი, მაგრამ იესოს სურდა, სრულად გაეცნობიერებინათ სიყვარულის ძალა.

არ შეგვიძლია იმ ფაქტის უარყოფა, რომ ღმერთმა თავ-

იდანვე დაგეგმა მამაკაცისა და ქალის ერთად ყოფნა. ისინი ქორწინებით შორდებოდნენ მშობლებს და ქმნიდნენ ერთობას. როცა ორი შეერთდებოდა, არავის არ უნდა დაერღვია მათი ერთობა.

რატომ აინტერესებს ღმერთს გაყრის საკითხი?

The Message ბიბლია გაყრას ღვთიური ხელოვნების შებილწვას უწოდებს. ფაქტია, რომ ქორწინება ღვთის ხელთქმნილია – მისი შემოქმედება, რომელიც გაყრის საკითხს ასე მწვავეს ხდის.

შებილწვა ნიშნავს: სიწმიდის მიმართ ძალადობრივი უპატივცემულობის გამომჟღავნებას.[4] მისი სინონიმებია: *გმობა, გაუწმიდურება, ვანდალიზმი, შეურაცხყოფა, ძალადობა.* ეს მკვეთრი ტერმინები ძალადობის არსს გადმოსცემს. ჩვენ *Message* ბიბლიის პარაფრაზი მოვიყვანეთ, მაგრამ ნებისმიერი თარგმანი გადმოსცემს ღვთის მიერ შექმნილი კავშირის დარღვევის სერიოზულობას. სათანადო კონტექსტუალური შესწავლის საფუძველზე სრული დარწმუნებით ვასკვნით, რომ იესო ყველა ქორწინებაზე ლაპარაკობს.[5]

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორი რეაგირება ექნება მსოფლიოს, ვინმემ რომ გაბედოს ლეონარდო და ვინჩის *მონა ლიზას* შებილწვა? ახალი ამბების ყველა გამოშვება ამ ამბავს გააშუქებდა. ხელმყოფი საზოგადოების მიერ დაისჯებოდა და დარჩენილ სიცოცხლეს, ალბათ, ციხეში გაატარებდა. როგორ გაბედავდა ვინმე, ხელეყო კაცობრიობის უდიდესი ხელოვნების ნიმუში? ლეონარდო საფლავში გადაბრუნდებოდა.

ამრიგად, ღმერთი ქორწინებას მისი შემოქმედების უდიდეს ნიმუშს უწოდებს, რომელიც რჩეული ქმნილების მეშვეობით უნდა გამოხატულიყო. მისი განცდა ქორწინებასთან დაკავშირებით ცხადი ხდება იესოს პასუხში ფარისევლების შეკითხვაზე. მათ აღმოაჩინეს, რომ უფლის სიტყვები მეტისმეტად მძიმე იყო მათთვის და უბრალოდ, უარი თქვეს პასუხის გაცემაზე. მათ ვერ შეძლეს ქორწინების დანახვა ღვთის თავდაპირველი განაზრახის შუქზე და მოსეს რჯულს ამოეფარნენ, რომელიც მათ გაყრის და მიტოვების საშუალებას აძლევდა და არა გაძლიერების და დარჩენისა.

> ფარისევლებმა საწინააღმდეგო არგუმენტი მოიტანეს, „აბა, მოსემ რაღატომ დადო მცნებად გაყრილობის წერილის მიცემა და გაშვება?“
>
> იესომ უთხრა: „მოსემ თქვენი გულქვაობის გამო მოგცათ თქვენი ცოლების გაშვების ნება, დასაბამიდან კი ასე არ ყოფილა. მტკიცედ მიჰყევით თავდაპირველ გეგმას და

> გეუბნებით, რომ მრუშობას აძლევთ ადგილს, თუ ერთგულ მეუღლეს გაეყრებით და სხვაზე დაქორწინდებით. ერთადერთ გამონაკლისს ვუშვებ იმ შემთხვევისთვის, როცა მეუღლე მრუშობას ჩაიდენს!"
>
> – მათ. 19:7-9; *The Message*

მოსეს რჯულის ქვეშ მყოფი ხალხისთვის გარკვეული დათმობა გაკეთდა ადამიანთა გულქვაობის გამო. ეს იყო დაშვება და არა ღვთის თავდაპირველი გეგმა. ნუ შეცდებით! ღმერთს სძულს გაყრის შედეგები. როცა ცოლ-ქმარი ერთმანეთს შორდებიან, ღვთიური შემოქმედების ერთ-ერთი საიდუმლო (ეფეს. 5:31-32-ში აღწერილი ქორწინება) შებილწული და დარღვეულია.

დღე 4

ახალი გული

> „. . . მტკიცედ მიჰყევით თავდაპირველ გეგმას და გეუბნებით, რომ მრუშობას აძლევთ ადგილს, თუ ერთგულ მეუღლეს გაეყრებით და სხვაზე დაქორწინდებით!"
>
> – მათ. 19:9; *The Message*

კიდევ ერთი, იესო არასოდეს გვთხოვს ისეთი რამის გაკეთებას, რის მიღწევის ძალასაც არ მოგვცემს. იგი მოგვიწოდებს, მივდიოთ ღვთის თავდაპირველ გეგმას ქორწინებისთვის, რადგან მას სურს ჩვენი აღჭურვა მის განსახორციელებლად. მოსეს რჯული გულის გაქვავების საშუალებას იძლევა, მაგრამ იესოს მსხვერპლით ქვის გულების ნაცვლად ახალ გულებს ვიღებთ, ვიშვებით რა სულიწმიდის მიერ.

> „ . . . მოგცემთ თქვენ ახალ გულს და ახალ სულს ჩავდებ თქვენში, ამოგარიდებთ ქვის გულს თქვენი ხორციდან და მოგცემთ ხორცის გულს!"
>
> – ეზეკ. 36:26;

ამ აზრის გახმიანებას ახალ აღთქმაში ვხედავთ. პავლე მოციქული ამ სიტყვებით გვახალისებს:

> „. . . ვიცით, რა დიდი სიყვარული აქვს ღმერთს ჩვენდამი, ვინაიდან სულიწმიდა მოგვცა, რომ მისი სიყვარულით აავსოს ჩვენი გულები."
>
> – რომ. 5:5;

გულის განახლება არ არის ის, რისი მოხერხებაც თავად შეგვიძლია. ეს ღვთის ძალასა და მისი სიყვარულის სიძლიერეზეა დამოკიდებული. თუმცა ჩვენ თავის დამდაბლებისა და იმ ძალის მიღების პასუხისმგებლობა გვაკისრია. გაითვალისწინეთ, რომ ღმერთი მის სიყვარულს თავს არასოდეს მოგახვევთ. იგი დიდსულოვანია და არაფერს გვაძალებს.

ახალი გულები მოგვეცა, რომელთაც ქრისტეს სიყვარულის მიღების უნარი აქვთ, ამიტომ ახლა შეგვიძლია, სრულად გავითავისოთ იესოს შემაშფოთებელი განცხადება ქორწინებასა და გაყრაზე ღვთის თავდაპირველი გეგმის შესახებ.

The Message იყენებს სიტყვას *ვალდებულება* (რაც „კანონის წინაშე პასუხისმგებლობას“ ნიშნავს), რითაც იმ ადამიანის მდგომარეობას აღწერს, რომელიც ერთგულ მეუღლეს ეყრება. ვიცით, რომ ეს შეიძლება რთულ ამოცანად გვეჩვენებოდეს, მაგრამ თუ ღმერთს სურს ამ სტანდარტის შენარჩუნება, ჩვენზე მეტად არის მოწადინებული, რომ მის აღსასრულებლად საჭირო მადლი მოგვცეს. ეს ცხოვრებისეული მოგზაურობა ადვილი ან თავისთავადი არ არის, ბევრი თავიდან ირიდებს მას, როცა პირიქით, შეუპოვრობის გამოჩენაა საჭირო.

ერთი კვლევის თანახმად, სამიდან ორი უიღბლოდ დაქორწინებული წყვილი ბედნიერი ხდება მათი ქორწინების პირველი ხუთი წლის განმავლობაში, თუ ისინი ერთმანეთს თავიდანვე არ გაეყრებიან.[7] ამრიგად, ნუ დანებდებით! ჩვენ არ ვიცით თქვენი ქორწინების მდგომარეობა ამ მომენტისთვის, თუმცა თავს უმწეოდაც რომ გრძნობდეთ, იმედი მაინც არსებობს. შესაძლოა გამოსავალი იქვე, ერთი მოსახვევის იქით იყოს. იესო მოვიდა, რომ კარგი ქორწინებები გააუმჯობესოს, ხოლო ნგრევის პირას მყოფი ოჯახები გაამთლიანოს.*

გამონაკლისი

„. . . ერთადერთ გამონაკლისს ვუშვებ იმ შემთხვევისთვის, როცა მეუღლე მრუშობას ჩაიდენს.“

– მათ. 9:19; *The Message*

იესომ ნათელი გახადა, რომ რომ თავდაპირველი გეგმიდან გამონაკლისი არსებობს. მრუშობის შემთხვევაშიც კი, ქორწინების დასასრული არჩევანის საკითხია. თუ თქვენი მეუღლე

** არასოდეს არ უნდა დარჩეთ ისეთ ვითარებაში, რომელიც საფრთხეს შეგიქმნით თქვენ და თქვენს შვილებს. თუ ოჯახში ადგილი აქვს ძალადობას, დაუყოვნებლივ იმოქმედეთ, რომ უსაფრთხო გარემოში იყოთ. დაუკავშირდით თქვენს ეკლესიას ან ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართეთ შემდგომი მხარდაჭერის ან ხელმძღვანელობისთვის.*

მოღალატე გამოდგება, ოჯახის შენარჩუნება სავალდებულო არ არის, მაგრამ არც მის დანგრევაა აუცილებელი. რომელი ვარიანტიც არ უნდა აირჩიო, პატიება მაინც მოგიხდება.

პატიებასა და შერიგებას შორის დიდი განსხვავებაა. უნდა აპატიოთ მას, ვინც გძარცვავთ, მაგრამ ეს არ გულისხმობს საკუთარ სახლში ქურდის მოპატიჟებას. შერიგება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა წყვილი ერთობის მდგომარეობაში აღდგება აღთქმის, რწმენისა და ნდობის სამწუხარო რღვევის შემდეგ.

ჩვენს ცხოვრებაში ადგილი არ ჰქონია მრუშობის ცოდვას, მაგრამ მხარს ვუჭერთ მეგობრებს, რომლებმაც მისი საშინელება გამოცადეს. მათგან ზოგიერთმა თანხმობა განაცხადა შერიგებაზე. მათ დიდი ძალისხმევა გამოიჩინეს თავიანთი აღთქმის ნამსხვრევების შესაერთებლად. თითოეულ შემთხვევაში მოღალატე მეუღლე მსხვრევისა და მონანიების ადგილამდე მოვიდა. მოდით, გავაცხადოთ ერთი რამ: შერიგება შეუძლებელია მონანიების გარეშე. ღმერთიც კი თავისი უსაზღვრო სიკეთით და წყალობით მონანიებას, გონებისა და გულის შეცვლას – გვთხოვს, სანამ მას შევურიგდებოდეთ.

ისეთი წყვილებიც ვიცით, რომლებიც ვერ შერიგდნენ. მათ არ უნდათ ზიდონ მსჯავრდადების ტვირთი. იესო კარგად აცნობიერებდა ღალატის სიმძიმეს და ეს აუცილებელი დაშვება გააკეთა. ჩვენ ვნახეთ ღვთის კურთხევა ამ მეგობრებზე, როცა ისინი გაყრის შედეგებისგან გამოჯანსაღდნენ.

თუ თქვენც გადაიტანეთ გაყრა, მოგიწოდებთ, რომ არ მისცეთ მას თქვენი შებოჭვის უფლება. იგი თქვენი წარსულის ნაწილია, მაგრამ თქვენი მომავლის ხედი არ უნდა განსაზღვროს.

წარსული თქვენი არ არის. იგი ღმერთს ეკუთვნის. თქვენი სულის მტერი შეეცდება, წარსული თქვენზე ღვთის სამომავლო გეგმების დასამახინჯებლად გამოიყენოს. გახსოვდეს, რომ ღმერთმა დღევანდელი დღე მოგცათ და დღეს გაკეთებული არჩევანი ხვალინდელ დღეს გამოძერწავს და არა გუშინდელს. თუ არასწორი არჩევანი გაგიკეთებიათ, ღვთის სიბრძნე და ძალა შეიძინეთ. დაიმდაბლეთ თავი მონანიების მეშვეობით და ღვთიური მადლის სასწაული გამოსცადეთ, რომელსაც ყველაზე უსიხარულო ვითარებების გარდაქმნაც შეუძლია.

გავიჭედე?

ღვთიური ქორწინების ჩანაფიქრის იესოსეული აღწერა ნორმიდან რადიკალური გადახრა უნდა ყოფილიყო. მოწაფეები შთაგონების ნაცვლად მისმა სიტყვებმა ისინი საგონებელში ჩააგდო. დააკვირდით მათ ჩივილს:

„იესოს მოწაფეები აღშფოთდნენ: „თუ ასეთია ქორწინების პირობები, მახეში ვართ გაბმული? იქნებ უმჯობესია არ დავქორწინდეთ?“

– მათ. 19:10; *The Message*

მახე? რა საშინელი პერსპექტივაა დაოჯახებული ცხოვრებისთვის! და მაინც, ბევრი ჩვენგანი მოწაფეების მსგავსად ქორწინებას შეზღუდვად მიიჩნევს. რამდენი მარტოხელა მამაკაცი და ქალია არასწორ ადამიანზე დაქორწინების და მახეში გაბმის შიშით მოცული?

ჩვენ ვისწავლეთ, რომ ქორწინება არის არა იმდენად სათანადო ადამიანის პოვნა, არამედ მართალ ადამიანად ყოფნა. არასწორად ნუ გაგვიგებთ! როცა მეუღლეს არჩევთ, მნიშვნელოვანია სულიწმიდის რჩევისა და მშვიდობის ძიება, მაგრამ ხშირად დარწმუნებული ვართ, რომ ბ-ნი და ქ-ნი სასწაულებრივად ამოავსებენ ჩვენი ცხოვრების ყველა ნაპრალს. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ამ დავალების შესრულება შეეძლოს. ეს მხოლოდ ღმერთს ხელეწიფება. ვერ შეძლებთ სხვა ადამიანის მდგომარეობის მართვას ისე, რომ გარდაქმნათ ზუსტად იმ ადამიანად, რომელიც თქვენ გჭირდებათ. ერთადერთი, რაც შეგიძლიათ გააკეთოთ, ეს არის ღვთიური განწმედის პროცესის მიღება და იმ მამაკაცად და ქალად ჩამოყალიბება, რომელიც უანგაროდ დადებს სიცოცხლეს ახლანდელი თუ მომავალი მეუღლისთვის. სიცოცხლის მიძღვნის პროცესში უფრო მეტ სისავსეს ჰპოვებთ, ვიდრე თქვენი ინტერესების დაკმაყოფილებაში.

მათ. 6:22 ამბობს, რომ სხეულის სანთელი თვალია. ეს ნიშნავს, რომ თქვენი აღქმა იქნება თქვენი რეალობა. „მახეში გაბმის“ ხედვა შეზღუდავს იმას, რაც ღმერთს შეეძლო გაეკეთებინა თქვენი ქორწინებისთვის და მისი მეშვეობით. თუ ქორწინებას უიმედობის ხაფანგად მიიჩნევთ, ასეც მოხდება. თქვენი ბუნებრივი ვითარებები, საბოლოო ჯამში, განსაზღვრავს თქვენს სულიერ ხედვას და ამ მხრივ არც ქორწინება იქნება გამონაკლისი.

შესაძლოა, იფიქროთ, რომ *ჯონ და ლიზა, ძალიან ბევრს მოითხოვთ. გინდათ, რომ ჩემი ცხოვრება მეუღლეს მივუძღვნა? ეს სასაცილოა. მერე ჩემი საჭიროებები, იმედები და ოცნებები? იესოს სურს, რომ ბედნიერი ვიყო. რაც ახლა თქვით, მშვენიერი მოსაზრებაა, რომლისკენაც სწრაფვა გინდა.* გარწმუნებთ, ღმერთს ნამდვილად სურს თქვენი ბედნიერება, მაგრამ ჭეშმარიტი ბედნიერება გულმოდგინე სწრაფვას ახლავს. ბედნიერება უმაღლესი მიზნის აღსრულებიდან მოდის და ნებისმიერი ღირსეული მიზანი სიცოცხლის მიძღვნას მოითხ-

ოვს. ეგოიზმის ჩამოშორებით ნამდვილ ბედნიერებას ვპოვებთ. ქორწინება სრულყოფილ გარემოს ქმნის საკუთარ თავზე კონცენტრირებასთან ბრძოლაში.

„თუ ორი მეუღლიდან თითოეული იტყვის – წერდნენ ტიმოთი და ქეითი კელერები – „ჩემს ეგოიზმს ქორწინების მთავარ პრობლემად მივიჩნევ“, მართლც დიდებული ქორწინების პერსპექტივა გელოდებათ.“[8] ეგოიზმი ხელს გვიშლის დიდებული ქორწინებით სიამოვნების მიღებაში, რაც ნიშნავს, რომ თავის მიძღვნა ქორწინების მთელი სისრულით სიამოვნების გასაღებია. თუ იტანჯები მეუღლესთან ურთიერთობაში, პრობლემის წყარო, სავარაუდოდ, საკუთარ თავზე კონცენტრირება იქნება.

დღე 5

ქორწინების სიდიადე

> „იესომ თქვა: „ყველა არ არის იმდენად მომწიფებული, რომ დაქორწინდეს. იგი გარკვეულ უნარსა და მადლს მოითხოვს. ქორწინება ყველასთვის არ არის. ზოგიერთები დაბადებიდანვე არ ფიქრობენ ქორწინებაზე. სხვებს ამაზე არაფერი ჰკითხეს და არც მიიღეს. ზოგიერთმა თავად გადაწყვიტა არ დაოჯახებულიყო ცათა სამეფოს გამო. მაგრამ თუ *შეგიძლიათ იტვირთოთ ქორწინების სიდიადე, ასე მოიქეცით!*“
>
> – მათ. 19:11-12; *The Message*

სანამ მოწაფეები მახეში გაბმის განცდას უტრიალებდნენ, იესომ ისეთი რამ თქვა, რაც მათი არსებობის საზღვრების გაფართოების პოტენციალს მოიცავდა. იესო ქორწინებაში მახეს ვერ ხედავს. მასში ისეთ რამეს ხედავს, რაც მოწაფეების ცხოვრებას გააფართოებს.

შესაძლოა, ისე ჩანდეს, რომ ქორწინება მისი მონაწილეების რიცხვსა და ფასეულობას ამცირებდეს; ბოლოს და ბოლოს, განა ორნი ერთი არ ხდებიან? თუმცა შემცირებისა და გაყოფის ნაცვლად, ქორწინება ზრდას იწვევს. როცა ორი ერთი ხდება, ცხოვრების ყველა სფეროში გამრავლება იწყება. ხომ არ შეეძლო ღმერთს ევას შექმნამდე მიეცა ადამისთვის გამრავლების და ნაყოფიერების მცნება – ბრძანება, რომელიც მხოლოდ შვილების გაჩენით არ შემოიფარგლებოდა. ქორწინებაში ჭეშმარიტი გამრავლების პოტენციალს რიცხობრივად ვერ გამოხატავ და მეტისმეტად ძვირფასია გასაზომად.

გარწმუნებთ, ამ წიგნს (ან ჩვენს რომელიმე წიგნს) არ წაიკითხავდით, ჩვენს ქორწინებაზე რომ არ ყოფილიყო. ჩვენი

ცხოვრებაც შეზღუდული იქნებოდა. მე (ჯონი) დღეს ვარ ის, რაც ვარ ღვთის მადლის და მისი საჩუქრის გამო, რომელსაც ლიზა ბივერი ჰქვია. ჩვენი ქორწინება ყოველთვის ია-ვარდით იყო მოფენილი? არავითარ შემთხვევაში! თუმცა ღმერთმა ჩვენი ქორწინება გამოიყენა, რომ ჩვენი ცხოვრება ყოველი მიმართულებით გაეფართოებინა.

მე (ლიზა) ზუსტად იგივეს ვგრძნობ და მადლიერი ვარ ღვთისა, რომ ჩემი ცხოვრება ჩემი ქმრის მეშვეობით გააფართოვა. როცა დავქორწინდით, ხალხის მეშინოდა, მეტწილად იმის გამო, რომ ხუთი წლის ასაკში თვალი დავკარგე სიმსივნის დიაგნოზით. ჯონმა იცოდა ჩემი შიშის შესახებ, მაგრამ მაინც ლაპარაკობდა ღვთის ნიჭზე ჩემს ცხოვრებაში. მისი გამხნევება დამეხმარა, რომ ღვთის გეგმასა და გაფართოებულ ცხოვრებაში შემებიჯებინა, რომელიც ჩემდა გასაოცრად უამრავ ადამიანთან მსახურებას მოიცავდა.

როგორც აღვნიშნეთ, ღმერთმა გამრავლება გვიბრძანა, მაგრამ მას მხოლოდ შვილების ყოლა არ ჰქონია მხედველობაში. ღმერთმა ჩაიფიქრა, რომ ერთი მამაკაცისა და ერთი ქალის დაკავშირებით (რაც, ერთი შეხედვით, მარტივ შეკრებას ჰგავდა: *ერთს მივუმატოთ ერთი*) დიადი გამრავლების შესაძლებლობას შექმნიდა. ეს პრინციპი ცხოვრების ყველა სფეროში ჭეშმარიტია: თქვენს კარიერაში, ოჯახურ ცხოვრებაში, სულიერ ცხოვრებასა და კიდევ უფრო მეტში. ღმერთმა ქორწინებით ისეთი რამ მოგვცა, რაც ჩვენს საზღვრებს აფართოებდა. თუ თქვენს ცხოვრებაში კურთხევისა და გამრავლების ნაკლოვანებას ხედავთ, დროა მცდელობა შეწყვიტოთ და თქვენი მეუღლის პატივისცემას შეუდგეთ!

ეს ადვილი არ არის

ნებისმიერი ნიჭიერი სამხედრო სტრატეგი იტყვის, რომ ბრძოლის გონივრული გეგმის შესადგენად მნიშვნელოვანია მტრის და მისი ჩანაფიქრის ზედმიწევნით ცოდნა. (როგორ ფიქრობთ, რატომ ხარჯავს ფეხბურთის გუნდი დროს მოწინააღმდეგის თამაშების ყურებაში?) როცა მტერი ქორწინებას, განსაკუთრებით კი ქრისტიანულ ოჯახს უტევს, მისი განზრახვა არის დაყოფა და გაბატონება. ეს ცოდნა მისი ზრახვების წინააღმდეგობის მოტივაციას გვაძლევს.

როცა ჩვენი ქორწინებისთვის ვიბრძვით, ღვთის იდეის გამო ვიბრძვით. გახსოვდეთ: თქვენ კი არა ღმერთმა შექმნა ქორწინება. სატანას ქორწინება სძულს, რადგან ის უფრო მეტია, ვიდრე სქესობრივი თანაცხოვრება – ეს სულიერი კავშირია. იმის გამო, რომ თქვენი ქორწინება ასე მნიშვნელოვანია, იგი წინააღმდეგობას ხვდება. თქვენ არ უნდა დანებდეთ, რომ

ჯილდო მიიღოთ (იხილეთ ფილ. 3:14). იესოს არასოდეს უთქვამს, რომ ეს ადვილი საქმე იქნებოდა. ფაქტობრივად, მან ამ სიტყვებით გამოგვიწვია:

> „...ყველა არ არის იმდენად მომწიფებული, რომ ქორწინებაში იცხოვროს. იგი გარკვეულ უნარსა და მადლს მოითხოვს.“
>
> – მათ. 19:11; *The Message*

მოწიფულობა, მეტწილად, ზრდისა და სწავლის სურვილს გულისხმობს. მწერალი გარი თომასი თავის წიგნში *Sacred Marriage* (წმიდა ქორწინება) წერს: „თუ გსურთ, უფრო მეტად დაემსგავსოთ იესოს, ამის მისაღწევად ქორწინებაზე საუკეთესო გზა ვერ წარმომიდგენია. ქორწინებაში ყოფნა გაიძულებთ ხასიათის ისეთ თვისებებს გაუსწოროთ თვალი, რასაც სხვა შემთხვევაში ვერასოდეს აღმოაჩენდით.“[9] იესომ ნათელი გახადა, რომ ოჯახური ცხოვრება ჩვენს უმწიფრობას გამოააშკარავებდა, მაგრამ მის მადლში ზრდის სურვილი თუ გვაქვს (რაც თავმდაბლობას, ეგოიზმისგან განთავისუფლებას და მოთმინებას მოითხოვს), საბოლოოდ, ქორწინების სიდიდით ვისიამოვნებთ.

კონტრაქტი ანუ აღთქმა

ადამიანები საქორწინო აღთქმას ხშირად კონტრაქტს უწოდებენ. სწორედ ეს არის პრობლემა. კონტრაქტი, მარტივად რომ ვთქვათ, გახლავს შეთანხმება, რომელიც მოძრაობას კრძალავს. იგი ირიბად ამბობს, „გარკვეული საზღვრები არსებობს. თქვენ ვერ დაარღვევთ ამ შეთანხმებას. თუ თქვენ მის პირობებს არ გაითვალისწინებთ, კონტრაქტის დარღვევის უფლება მექნება.“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, *მახეში არ ვარ გაბმული.*

ინგლისურ ენაში სიტყვა კონტრაქტი ზმნა გახლავთ, რომელიც მირიამ ვებსტერის ლექსიკონში ასე განისაზღვრება: „შემცირება შემჭიდროებით ან იძულებით“. ეს განმარტება საერთოდ არ ჰგავს იმას, რასაც იესო ქორწინების სიდიადეს უწოდებს. ქორწინებამ ჩვენი ცხოვრება უნდა გააფართოოს და არამც და არამც არ შეამციროს.

ღმერთი ქორწინებას უბრალო კონტრაქტად არ მიიჩნევს. იგი მას სულიერ აღთქმად განიხილავს. ეს გახლავთ შეთანხმება, რომელიც ამბობს, „მე მთლიანად გავცემ ჩემს თავს შენთვის. ყველაფერი, რასაც წარმოვადგენ და მაქვს, შენია და ყველაფერი, რაც შენ გაქვს, ახლა ჩემია. ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, გამრავლდება, გაფართოვდება და გაიზრდება ამ მშვენიერი გაცვლის გამო.“ აღთქმა სიხარულით წამოიძახებს: „მახეში ვარ! და ეს ძალიან მიხარია!“ ეს არის გაფართოება.

პავლემ ეფესელებს უთხრა:

„ქმრებო . . . გიყვარდეთ თქვენი ცოლები, ისევე როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია! . . .“

– ეფეს. 5:25;

პავლემ ქმრები წაახალისა, რომ ჰყვარებოდათ თავიანთი ცოლები ისე, როგორც ქრისტეს უყვარს ეკლესია. მისი სიყვარული აღთქმით სიყვარულია, რომელიც დიდად აღემატება ჩვეულებრივ კონტრაქტს. ქმრებო, არ გიხარიათ, რომ იესოს მაშინაც უყვარხართ, როცა ძალიან საყვარლები არ ხართ? არ გიხარიათ, რომ იესო თქვენთან ურთიერთობას კონტრაქტად არ მიიჩნევს, რომელშიც მან „თავი ამოჰყო“?! ჩვენი მიზანი იესოს სიყვარულის მიბაძვა უნდა იყოს ჩვენი პატარძლის საპასუხოდ და მის მიმართ დამოკიდებულებაში. (უნდა ითქვას, რომ პავლე აქ არ ჩერდება. იგი განაგრძობს იმით, რომ ჩვენი სიცოცხლე ცოლებს უნდა მივუძღვნათ. რა ბრძანებაა!)

გაითვალისწინეთ, რომ პავლე ამ სიტყვების დაწერამდე ეფეს. 3-ში ღვთის სიყვარულის სიღრმეს აღწერს. იგი ორი თავის შემდეგ წერს, რომ იგივე სიყვარული უნდა ჩანდეს ჩვენს ქორწინებაშიც, გვიყვარდეს ისე, „როგორც შეიყვარა ეკლესია.“

ჩვენი ოჯახები სამაგალითოდ უნდა წარმოაჩენდეს ქრისტეს სიყვარულს მისი პატარძლისადმი. რატომ მოინდომებენ ადამიანები ურთიერთობას იესოსთან, რომელსაც არ იცნობენ, თუ მის ხალხში სიყვარულის, ძალის, ჰარმონიის და მიძღვნის ნაკლებობაა? ხედავთ, რაოდენ მნიშვნელოვანია თქვენი ქორწინება? ეს მხოლოდ თქვენ არ გეხებათ. ეს შეეხება ღვთის წყურვილს, რომ ქვეყნიერებას მისი სიყვარულით მიწვდეს.

როგორც ადრე გაგიზიარეთ, თქვენი სიყვარული მეუღლის მიმართ თქვენს მიერ მიღებული ღვთიური სიყვარულიდან უნდა მომდინარეობდეს. ამ სრულყოფილი სიყვარულის გაყალბება არ შეიძლება. იგივე უნდა მივიღოთ მისგან, რომელიც სიყვარული ადამიანის გაგებას განსაზღვრავს.

პირველები ვიქნებით, რომლებიც გეტყვით, რომ ქორწინებისადმი ღვთიური მიდგომა ადვილი არ არის. იყო დრო ჩვენს ქორწინებაში, როცა ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას ვამჯობინებდით. გვეჩვენებოდა, თითქოს არანაირი იმედი არ დარჩა. ოცდაათ წელზე მეტი ხნის ქორწინების შემდეგ გაცილებით ბედნიერი ვართ, ვიდრე ოდესმე ვყოფილვართ და მომდევნო ოცდაათ წელს იმედითა და მოლოდინით შევყურებთ.

სიცოცხლის ხე თუ სიკვდილის ხე?

მე (ლიზას) მიყვარს მებაღეობა, მაგრამ ჯონი ამ საქმისადმი არავითარ ინტერესს არ იჩენს. მას მოსწონს ბაღის ნაყოფები, მაგრამ არა ის შრომა, რომელსაც იგი ითხოვს. ბაღს მოვლა და დიდი დრო სჭირდება. ჯონს საბედნიეროდ Whole Foods-დან

(ჯანსაღი კვების პროდუქტები) რამდენიმე წუთის სავალზე ვცხოვრობთ და მას არ სჭირდება მიწით ხელების მოსვრა.

მებაღეობის მსგავსად ქორწინების განვითარება საკმაო დროსა და ენერგიას მოითხოვს. თუ გვსურს, რომ ჩვენი ქორწინება ჯანსაღი იყოს, სწრაფი კვება არ იქნება ის გამოსავალი, რომელიც აუცილებელ სამუშაოს თავიდან აგვარიდებს. რატომ? იმიტომ რომ ვაფასებთ, რისთვისაც ვმუშაობთ და ჩვენი ქორწინებების გაფრთხილება გვჭირდება.

კარგი (და ზოგჯერ ცუდი) ამბავი ის არის, რომ ქორწინებაში დათესილს თქვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მოიმკით. ზემოთ ამ თავში ჩვენი ქორწინებები აღმოვაჩინეთ, როგორც სიცოცხლის ხეები. საწინააღმდეგოც ჭეშმარიტებაა. თქვენი ქორწინება ასევე სიკვდილის ხეც შეიძლება იყოს.

მოდით, გადავხედოთ ედემის ორი ბაღის აღწერილობას:

> *ორივე ხე ხარობდა უმწიკვლო და შეუბილწავი მდგომარეობით. და მაინც, ერთი ხე სიცოცხლეს წარმოშობდა, მეორე კი – სიკვდილს.*

ღვთიური ქორწინების ინსტიტუტი ნიადაგს ჰგავს და თქვენი ახლანდელი თუ მომავალი ქორწინება ამ ხეებს წააგავს. ქორწინების თავდაპირველი გეგმა კარგი ნიადაგია, რომელშიც თქვენი ერთობა გაიზრდება, მაგრამ არჩევანი თქვენზეა: იქნება თქვენი ქორწინება ხე, რომელიც სიცოცხლეს წარმოშობს? მისით გამოკვებილი მეუღლე, ოჯახი, მეგობრები და თანამშრომლები გამოცდიან თუ არა სიყვარულს, სიხარულს და მშვიდობას? თუ ამ ქორწინებისგან იმედგაცრუებას, ეგოიზმს და სიმწარეს უნდა ელოდნენ მისი ნაყოფის მჭამელნი?

ბევრი ჩვენგანი თავად ქორწინების ინსტიტუტში ხედავს ჩვენი პრობლემების წყაროს. სხვები თავიანთი მეუღლეების დადანაშაულებას ცდილობენ. ორივე თვალთახედვა უარს ამბობს ჩვენი გულის გახრწნილების აღიარებასა და მის გარშემო ლაპარაკზე. ვიმედოვნებთ, რომ თქვენს შემთხვევაში ასე აღარ არის.

სანამ მასში მოგზაურობას გააგრძელებდეთ, გადაწყვეტილება უნდა მიიღოთ. უნდა არჩიოთ რწმენა, რომ თქვენი ქორწინება შესაძლებელია და უნდა გახდეს კიდეც ისეთი, როგორადაც ღმერთმა ჩაიფიქრა.

შესაძლოა, თქვენ იხრებით ფიქრისკენ, *„ვირწმუნებ, თუ ვიხილავ“*. თუმცა რწმენის ცვლილება ყოველთვის წინ უძღვის ხილულის ცვლილებას, რადგან ღვთის ყველა აღთქმა რწმენით მიიღება. კარგი ამბავი ის არის, რომ თქვენი ქორწინების საქმე თქვენ კი არა, მას ეხება. ერთადერთი, რაც უნდა გააეკთოთ, თქვენს თავს სძლიეთ და ღმერთს უფლება მიეცით, იყოს ღმერთი. ბოლოს და ბოლოს, თქვენი ქორწინება მის ხელთა ქმნილებაა. თუ მას ნებას მისცემთ, მშვენიერ შედეგს მიიღებთ.

დღე 1 დღის ლოცვა

ქორწინების დროები

„ყოველივეს თავისი დრო და ყოველ საგანს
თავისი ჟამი აქვს ცის ქვეშ.“

– ეკლესიასტე 3:1;

გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი – ოთხი განსხვავებული დროა და თითოეულს თავისი სიხარული და სირთულე ახასიათებს. თქვენი ქორწინებაც ასეთია. მასში ბევრ დროს გამოცდით და ზოგიერთში ერთზე მეტად გაივლით. ყოველ დროში შეგხვდებათ რაღაც სასწავლი და ზრდის შესაძლებლობები. ავტორი და პასტორი **ჩარლზ სუინდოლი** თავის მოსაზრებებს გვიზიარებს დროებთან დაკავშირებით:

„მიხარია, რომ ღმერთი ცვლის დრო-ჟამს, თქვენ არა? ...უფალი არც დუმს და არც გულგრილია ჩვენი დროების შეცვლისას და სხვადასხვა ჟამის დადგომისას. რაოდენ დიდი შეცდომაა ცხოვრების გზაზე დროის ცვლილებებისას თვალდახუჭული, ერთფეროვანი და მომქანცველი სიარული ახალ საიდუმლოებებზე პასუხის აღმოჩენისა და ახალი მელოდიების შესწავლის გარეშე! დროები ჩვენს გასაზრდელად არის შექმნილი, რომ განვისწავლოთ ჩვენი ღვთის სიბრძნესა და გზებში. ისინი გვეხმარებიან გაძლიერებაში . . . წყლის ნაკადებთან დარგული ხის მსგავსად.“[10]

რას იტყოდით ერთ-ერთ ყველაზე მშვენიერ დროზე, რომელიც თქვენს მეუღლესთან ერთად გაიარეთ? მოკლედ აღწერეთ იგი, თუ რატომ იყო ასე განსაკუთრებული თქვენთვის.

_____

_____

_____

რომელი იყო ყველაზე რთული და ქარიშხლიანი პერიოდი თქვენი, როგორც წყვილის ცხოვრებაში? როგორ გადაიტანეთ იგი და რა გასწავლათ უფალმა?

_____

_____

_____

გამხნევებისთვის, გადახედეთ ეკლ. 3:11; რომ. 8:28; 2 კორ. 2:14

მიმოიხედეთ გარშემო! თქვენი აზრით, რომელ პერიოდში იმყოფება თქვენი ქორწინება? რა შეგიძლიათ გააკეთოთ, რომ მეტად ისიამოვნოთ მისგან?

შეჩერდით და ილოცეთ! *„უფალო. რა შეიძლება გავაკეთოთ, რომ ვისიამოვნოთ ჩვენი ქორწინების ახლანდელი დროით? მოგვეცი თვალები, რომ დავინახოთ, რას აკეთებ?! დაგვეხმარე იმ სიკეთის დაფასებაში, რომელსაც ამ დროის გავლის შემდეგ მოვიმკით მომავალში იესოს სახელით! ამინ!“*

წლების შემდეგ თქვენი ქორწინების უნიკალური „ნაკვალევი“ უფრო მკაფიო გახდება. გამოყავით დრო, შეჩერდით და მადლიერება გამოხატეთ! რით არის თქვენი ქორწინება განსაკუთრებული? იფიქრეთ თქვენი და თქვენი მეუღლის ნიჭებზე, ტალანტებზე, პიროვნულობაზე, სურვილებზე, მიზნებზე და ა.შ.

ილოცეთ და სულიწმიდას სთხოვეთ, გაგიცხადოთ, რაში მდგომარეობს თქვენი ურთიერთობის უნიკალურობა, განსაკუთრებით, რის გაკეთება სურს მას თქვენგან და თქვენი მეუღლისგან! დაწერეთ, რასაც ის გიჩვენებთ და გამოყავით დრო, რომ ეს თქვენს მეუღლეს გაუზიაროთ!

დღე 2 დღის ლოცვები

ღმერთმა შექმნა ქორწინება

„ღმერთმა და არა თქვენ დააფუძნეთ ქორწინება. მისი სული ქორწინების მცირე დეტალებშიც კი მკვიდრობს . . .“

– მალაქ. 2:15; *The Message*

დასაწყისში, სანამ ნებისმიერი სხვა რამ დაფუძნდებოდა, ღმერთმა ქორწინება შექმნა. პასტორისა და დახელოვნებული მთხრობელის, **მაძს ლუკადოს** სიტყვებით:

„ღმერთმა შექმნა ქორწინება. იგი არ არის ხელისუფლების რომელიმე ქვეკომიტეტის წარმოსახვის ნაყოფი. არც რომელიმე სოციალურმა ორგანომ განავითარა იგი. ქორწინება ჩაისახა და იშვა ღვთის გონებაში.“[11]

ღმერთმა შექმნა ქორწინება და ის მისთვის მეტად მნიშვნელოვანია – იმდენად მნიშვნელოვანი, რომ თქვენი ურთიერთობის ყველა ასპექტში სურს ჩარევა. მისი სიტყვა ამბობს, „ნუთუ გგონიათ, რომ ამაოდ ამბობს წერილი: „შურით სწადია თქვენში დავანებულ სულს!“ (იაკ. 4:5)

შეჩერდით და დაფიქრდით! მოიწვიეთ ღვთის სული თქვენი ქორწინების ყველა ასპექტში? არის მისი რჩევა არსებითი თქვენს ყოველდღიურ გეგმებში? თუ მას ზოგჯერ ეპატიჟებით ხოლმე, რამდენად განსხვავებულია თქვენი ცხოვრება მაშინ, როცა გავიწყდებათ მისი მოწვევა?

_____

_____

_____

_____

_____

თქვენ ღმერთთან ნებისმიერ დროსა და ადგილას ნებისმიერ თემაზე საუბრის პრივილეგია გაქვთ. იტანჯებით შიშის, ფინანსური გამოწვევების ან რთული ურთიერთდამოკიდებულების გამო? რატომ არ უზიარებთ თქვენს წუხილს ღმერთს ლოცვაში? დაკვირვებით წაიკითხეთ ეს მონაკვეთები და დაწერეთ, რას გეტყვით სულიწმიდა?!

ფილ. 4:6-7 ● მათ. 6:25-34 ● 1 პეტრ. 5:7 ● იაკ. 5:13-16

მათ. 7:7-11 ● იოან. 14:13-14 ● 1 იოან. 5:14-15

„და აჰა, რა გულდაჯერება გვაქვს მის მიმართ, რომ, როცა რაიმეს ვთხოვთ მისი ნებისამებრ, იგი გვისმენს. ხოლო, როცა ვიცით, რომ იგი გვისმენს, რასაც კი ვთხოვთ, ისიც ვიცით, რომ გვაქვს, რაც მისგან ვითხოვეთ.“

– 1 იოან. 5:14-15

ღმერთს არ სურს, რომ ჩვენი ქორწინება საომარ ზონას წარმოადგენდეს. იგი თქვენი ედემი უნდა გახდეს, რაც „სიამოვნების” ადგილს ნიშნავს. რა გსურთ ყველაზე მეტად, რომ შეცვალოს ღმერთმა თქვენს ქორწინებაში? თქვენი პასუხის შემდეგ, ჰკითხეთ მას, „რა უნდა გავაკეთო მე, რომ ეს მოხდეს? რის შეცვლაა საჭირო ჩემში?“

დღე 3 დღის ლოცვები

ქრისტეს წარმომადგენლობა

„ჩვენ ქრისტეს წარმომადგენლები ვართ. ღმერთი გვიყენებს ადამიანთა დასარწმუნებლად, რომ უკუაგდონ თავიანთი განსხვავებები და შეუერთდნენ ღვთიური შერიგების საშრომს. ახლა თავად ქრისტეს სახელით გელაპარაკებით . . .“

– 2 კორ. 5:20; *The Message*

ღმერთმა, ყოვლისშემძლე შემოქმედმა, მასთან თანამშრომლობის პრივილეგია გვარგუნა, რათა მისი ბუნება გაგვეცხადებინა და მისი ნება და გზები დედამიწაზე მოგვეტანა. ეს ჭეშმარიტია ჩვენს, როგორც ცალკეული პიროვნებების, ისე დაოჯახებული წყვილების მიმართ. ავტორი და მისიონერი, პასტორი **რიკ რენერი** განმარტავს:

„2 კორ. 5:20-ში პავლეს სიტყვების თანახმად, ჩვენ ზეცის დელეგატები ვართ – „ელჩები“, რომლებიც პლანეტა დედამიწაზე გამოგზავნეს ზეცის წარმომადგენლებად! ჩვენ როგორც ქრისტეს ელჩები, ზეცის ხმას წარმოვადგენთ. გვაქვს უფლის სახელით ლაპარაკისა და მოქმედების ძალაუფლება. როგორც ქრისტეს ელჩები, სრულად ვართ ზურგგამაგრებული, დაფინანსებული, დაცული და მხარდაჭერილი ზეცის ძალაუფლებით და რესურსებით!“[12]

თქვენ და თქვენი მეუღლე ღვთის წარმომადგენლები ხართ ქვეყნიერებაზე. იგი „მოწოდებით მიმართავს“ ურწმუნოებს თქვენი მეშვეობით და მასთან დაბრუნებაში არწმუნებს. ამრიგად, ხართ თუ არა დამაჯერებელი? თუ ღმერთს არ იცნობთ და დაინახეთ წყვილი, რომელიც თქვენი ქორწინების მაგალითს წარმოადგენს, რა ასპექტი მიგიზიდავდათ ღვთისკენ? რა მხარე გაიძულებდათ მისგან დაშორებას?

_____

_____

_____

_____

როცა ქრისტეს სხეული სათანადოდ არ ცხოვრობს და არ უყვარს, ხალხი ღვთის სახელს გმობს (იხილეთ რომ. 2:24). გაჩვენებთ თუ არა სულიწმიდა რაიმეს, რაც შეცვლას საჭიროებს: – დამოკიდებულებას, მოქმედებას ან რაიმე ასპექტს თქვენს ქორწინებაში, რომელიც უფალს კარგად არ წარმოაჩენს? თუ ასეა, რა არის ეს?

საჭირო არ არის თავი დამნაშავედ იგრძნოთ ან იმედი გაგიცრუვდეთ! სულიწმიდა რასაც გაჩვენებთ, მის შეცვლას ითხოვს. თქვენ მხოლოდ მისი მორჩილება და დახმარების თხოვნა გჭირდებათ!

ჩვენს ცხოვრებაში არსებობს სფეროები, როცა ვიზრდებით და უფლის უკეთესად წარმოდგენას ვსწავლობთ. როგორ ვაკეთებთ ამას? მისი სულიწმიდის ძალით! როცა პირადად იღებთ მის სიყვარულს, იღებთ თქვენი მეუღლის და თქვენსგარშემო მყოფთა სიყვარულის უნარს. დაკვირვებით წიკითხეთ ეს მონაკვეთები და დაწერეთ, რას გაგიცხადებთ სულიწმიდა მისი სიყვარულის მიღებასა და ზრდასთან დაკავშირებით?!

რომ. 5:5 ● ეფეს. 3:16-19 ● 1 იოან. 4:7-17

„. . . ღმერთი სიყვარულია, ხოლო სიყვარულში დარჩენილი ღმერთში რჩება, ხოლო ღმერთი – მასში. და როცა ქრისტეში ვცხოვრობთ, ჩვენი სიყვარული უფრო სრულყოფილი ხდება . . .“

– 1 იოან. 4:16-17 TLB

დღე 4 დღის ლოცვები

ახალი გული

„ახალ გულს მოგცემთ და ახალ სულს ჩავდებ თქვენში. ამოგაცლით ქვის გულს და მის ნაცვლად ჩავდებ გულს, რომელიც ღვთის ნებას იზრახავს და არა თავის საკუთარს. ჩემს სულს ჩავდებ თქვენში და გავაკეთებ ისე, რომ ჩემს ნათქვამს შეასრულებთ და ჩემი მცნებებით იცხოვრებთ.“

– ეზეკ. 36:26-27; *The Message*

შესაძლოა, ქორწინების შიში და მღელვარება გაქვთ. თქვენმა პირადმა გამოცდილებამ ან თქვენს კულტურაში მიღებულმა ქცევის ნორმებმა გაიძულათ, რომ ქორწინება ღვთიურ საჩუქრად კი არა, ტვირთად აღგექვათ. შესაძლოა, გული გაიქვავეთ მარცხის შიშით. თქვენც დაუსვით თავს შეკითხვა, „მახეში ვარ გაბმული?“ ღმერთს ყოველგვარი წინაღობის დანგრევა და თქვენთვის ახალი გულის მოცემა სურს, რომელიც რბილი და მგრძნობიარე იქნება მისი მოსიყვარულე შეხებისადმი, რაც აგაყვავებთ და ღვთის თავდაპირველი გეგმის შესრულებას შეგაძლებინებთ.

იესოსთვის თქვენს გულზე მნიშვნელოვანი არაფერია. ფრთხილად წაიკითხეთ მისი სიტყვები ლუკ. 8:5-15-ში. რას გაჩვენებთ სულიწმიდა ამ მონაკვეთში? რას გიცხადებთ იგი თქვენი გულის შესახებ?

_____

_____

_____

_____

მთესველის იგავის წაკითხვა შეგიძლიათ! მათ. 13:3-23-სა და მარკ. 4:3-20-ში.

თქვენით ვერ გაიგებთ, რა არის თქვენს გულში. მაგრამ უფალს შეუძლია როგორც გულის ზრახვების გამოვლენა, ისე მისი განკურნება.

დრო გამოყავით ამ ჭეშმარიტებებზე დასაფიქრებლად.

„. . . ყოველთა გულის მხილველია უფალი და ყველა ფიქრისა და ზრახვის მცოდნეა. ძებნას თუ დაუწყებ მას, იპოვი კიდეც, . . .“

– 1 ნეშტთ. 28:9;

„გული ისეთი თავსატეხია, რომლის ამოცნობა არავის ძალუძს. მე, უფალი, ვიკვლევ გულს და ვამოწმებ გონებას. ვწვდები ადამიანის გულს და საგანთ ფესვამდე ჩავდივარ. ისე ვექცევი მათ, როგორც სინამდვილეში არიან და არა ისე, როგორადაც თავს აჩვენებენ.“

– იერ. 17:9-10; *The Message*

„გამომცადე, უფალო და შეიცან გული ჩემი; შემამოწმე და შეიცან აზრები ჩემი. ნახე ბოროტების გზაზე ხომ არ ვდგავარ და წამიძეხი მარადიულ გზაზე!“

– ფს. 138:23-24;

შეჩერდი და ილოცე: „უფალო, მაჩვენე, რა არის ჩემს გულში ქორწინებასთან დაკავშირებით. გამოამჟღავნე და განკურნე იგი იესოს სახელით.“ მდუმარედ მოუსმინე, რას გაგიცხადებ უფალი. ჩაიწერე მისი ნათქვამი და მას დაემორჩილე.

გჭირდებათ ახალი გული, რომელიც ღვთის სიყვარულისა და მადლის მიღებას მოისურვებს? თქვენი ზეციური მამა ქორწინების გეგმაში ისე არ ჩაგრთავთ, რომ მის შესრულებაში არ დაგეხმაროთ. რატომ არ სთხოვთ მას დახმარებას ახლა? შეგიძლიათ ილოცოთ! . . .

„ზეციერო მამა, მადლობა ქორწინების საჩუქრისთვის! გამათავისუფლე ყველაფრისგან, რაც ხელს მიშლის ჩემი ქორწინების არასწორად აღქმასა და შესაბამისად, მისი კურთხევების დაკარგვაში! მომეცი **ახალი გული,** *რომელიც მგრძნობიარე იქნება შენი შეხებისადმი! მომეცი* **ახალი თვალები,** *რომ ჩემი ქორწინება დავინახო ისეთად, როგორსაც შენ ხედავ! დამეხმარე, რომ ვირწმუნო საუკეთესო და არ ველოდებოდე უარესს! დაგვეხმარე, რომ პირველ ადგილზე დაგაყენოთ ყველაფერში, რასაც ვაკეთებთ! გმადლობ, მამა, იესოს სახელით, ამინ!“*

დღე 5 დღის ლოცვები

ქორწინების სიდიადე

„. . . ყველა არ არის იმდენად მომწიფებული, რომ დაქორწინდეს. იგი გარკვეულ უნარსა და მადლს მოითხოვს. ... მაგრამ თუ შეგიძლიათ იტვირთოთ ქორწინების სიდიადე, ასე მოიქეცით!“

– მათ. 19:11-12; *The Message*

გაფართოება. ეს ნიშნავს გაზრდას, განვრცობას, გაძლიერებას. ღმერთს, რომელიც ქორწინების შემოქმედია, თქვენი კავშირის გამოყენება სურს გაფართოების იარაღად. თუ მიიღებთ მის ოსტატურ გეგმას, იგი თქვენი მეუღლის მხრიდან იმოქმედებს, რომ უფრო მეტად დაემსგავსოთ იესოს და შეძლოთ, იუხვოთ ყველაფერში, რასაც აკეთებთ.

„რკინა რკინით ილესება, ხოლო კაცი კაცის სახეს ლესავს.“

– იგავ. 27:17;

ნათქვამია, რომ ქორწინებაში ერთმანეთს განსხვავებული ადამიანები უკავშირდებიან. ამაში სიძლიერეა: ჩვენი განსხვავებებია სწორედ ის, რაც ერთიანს გვხდის, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ ის, რაც გვიზიდავდა, შესაძლოა დაპირისპირების საგნად იქცეს.

რომელია სამი ყველაზე მთავარი თვისება, რომლებმაც თავდაპირველად მოგხიბლათ თქვენს მეუღლეში?

რა არის ის სამი რამ, რამაც ყველაზე მეტად გაგიცრუა იმედი? არის მათ შორის რაიმე კავშირი?

სამი ძირითადი რამ, რამაც მიმიზიდა	სამი ძირითადი რამ, რამაც იმედი გამიცრუა

გახსოვდეთ, თქვენს შორის არსებული განსხვავებები თქვენს გასაერთიანებლად არის და არა დასაყოფად!

ღვთის სული სიბრძნეს გაზიარებთ თქვენ და თქვენს მეუღლეს. მისი რჩევა ყოველთვის მაშინ არ მოდის, როცა ერთად ლოცულობთ. ხშირად იგი ცალკე გეტყვით იმას, რის ცოდნაც ორივეს გჭირდებათ. ღვთისგან ნაკარნახევი, კურთხეული გადაწყვეტილებები რომ მიიღოთ, შინაგანი აღქმა დაგჭირდებათ, რომელიც უფალმა ორივე თქვენგანში ჩადო. გულწრფელად უპასუხეთ ამ კითხვებს:

ჩაკეტილი ვარ თუ გახსნილი ჩემი მეუღლის შინაგანი მიხვედრილობისადმი (სიბრძნე, მიმართულება, კონსტრუქციული კრიტიკა) ჩემს ცხოვრებაში?

რა სფეროებში ვარ გახსნილი მისი სიბრძნისადმი? რა სფეროებში ვარ ჩაკეტილი? რატომ?

ღვთისგან მოცემული მეუღლე მთავარი პირია თქვენი პიროვნების ისეთად ჩამოყალიბებაში, როგორიც დღეს ხართ. დაასახელეთ, სულ მცირე, ერთი დადებითი ცვლილება თქვენს ხასიათში ან ცხოვრებისეულ სფეროში, რაც მეუღლესთან ურთიერთობამ მოიტანა. როგორ იყენებს ღმერთი ახლა ამ თვისებას თქვენი ცხოვრების გასაფართოებლად?

ოდესმე მადლობა გადაგიხდიათ თქვენი მეუღლისთვის? თუ – არა, გამოყავით დრო, რომ გულწრფელად შეაქოთ იგი!

სადისკუსიო კითხვები

თუ ამ წიგნს ქორწინების ამბავზე უწყების სერიების (Messenger Series) *ნაწილად იყენებთ, გადახედეთ ვიდეო გაკვეთილს № 1!*

1. ქორწინება თავიდანვე ღვთიური იდეა გახლდათ. ღმერთმა შექმნა იგი და მისთვის გეგმა და მიზანი დასახა. დაკვირვებით წაიკითხეთ დაბ. 1:27-28, 31 და მალაქ. 2:15. ამოიცანით ხუთი რამ, რაც ღმერთმა ქორწინებისთვის განსაზღვრა. მათ გასწვრივ მიუთითეთ ხუთი წინააღმდეგობა, რომლებიც სატანამ მათ ჩასანაცვლებლად მოიფიქრა!

ღვთიური მიზნები	სატანის ხუთი დამახინჯებული ნაყალბევი

2. ღვთისნიერი ქორწინება გავლენას ახდენს მათზე, ვისაც ის შეეხება. შეგიძლიათ დაასახელოთ წყვილი, რომელიც ოჯახურ ცხოვრებას კარგად ართმევს თავს? როგორ შეუქმნეს მათ სიყვარულს კარგი რეპუტაცია? რა შეიძლება მათგან ისწავლოთ, რაც დაგეხმარებათ თქვენი ქორწინების სულის მოფრთხილებაში?

3. მათ. 19:6-ში იესო ამბობს: „ვინაიდან ღმერთმა შექმნა ამ ორის ორგანული კავშირი, არავინ არ უნდა შებილწოს მისი შემოქმედება მათი დაშორებით!“ (მათ. 19:3-6; *The Message*). როცა სიტყვა ორგანული გესმით, რა აზრი გებადებათ? როგორ დაგეხმარებათ ეს მოსაზრებები თქვენი ქორწინების ახალი, დადებითი კუთხით დანახვაში?

4. მათ. 19:10-12-ში იესომ თქვა: „ყველა არ არის იმდენად მომწიფებული, რომ დაქორწინდეს. იგი გარკვეულ უნარსა და მადლს მოითხოვს. ქორწინება ყველასთვის არ არის. ... მაგრამ თუ *შეგიძლიათ იტვირთოთ ქორწინების სიდიადე, ასე მოიქეცით!*“ (მათ. 19:10-12; *The Message*).

5. ქორწინება წმიდაა და ერთ მამაკაცსა და ერთ ქალს შორის აღთქმას გულისხმობს, რომელიც მთელი ცხოვრება გრძელდება. რა მოისმინეთ ამ გაკვეთილზე ისეთი, რამაც ახალი, დადებითი პერსპექტივა დაგანახათ?

6. იესომ თქვა, რომ სხეულის სანთელი თვალია (იხილეთ მათ. 6:22). ეს ნიშნავს, რომ გონების თვალით დანახული სურათი ცოცხალია, იგი თქვენი რეალობა ხდება. ეს განსაკუთრებით მართებულია ქორწინებაში. რა მოხდება, თუ „მახეში გაბმის“ შეხედულება გაქვთ ამ საკითხზე?

   წმიდა წერილი ამბობს, რომ სულიერ ომში ვართ ჩაბმული (იხილეთ ეფეს. 6:12-13 და 2 კორ. 10:3-4). როგორ გეხმარებათ ეს მეუღლესთან უთანხმოების და სირთულეების ახლებურად დანახვაში?

7. *ქორწინების ამბავი* მათ დასახმარებლადაც დაიწერა, ვინც დანიშნული ან მარტოხელაა. ასევე მათთვის, ვინც უკვე დაოჯახებულია. როგორიც არ უნდა იყოს თქვენი ოჯახური მდგომარეობა, რას ელოდებით ამ სწავლებიდან?

   თუ დაოჯახებული ხართ (ან იყავით), რის ცოდნა იქნებოდა საჭირო, სანამ იტყოდით, „გავაკეთებ”? რა სიბრძნეს მიაშველებდით თქვენი ჯგუფის დაუქორწინებელ პიროვნებებს?

თავის შეჯამება:

- ღმერთმა საქორწინო აღთქმა დაადგინა მანამ, სანამ რომელიმე სხვა ინსტიტუტს შექმნიდა. მან განსაზღვრა იგი და ეს განსაზღვრება არასოდეს შეიცვლება!

- ღვთიური ქორწინება სიცოცხლის ხეს უნდა ჰგავდეს. ჩვენ, როგორც ელჩები, ღვთიური სიყვარულის მაგალითს უნდა წარმოვადგენდეთ, რომელთა მეშვეობით იგი აღადგენს ყველაფერს, რაც ედემში დაიკარგა.

- დაიცავით თქვენი ქორწინება ღვთის მოწვევით მის ყოველ მხარეში. იგი ახალ გულს ჩაგიდგამთ და მის სიყვარულსა და ახალ თვალებს მოგცემთ თქვენი ქორწინების დასანახად მისი თვალთახედვით.

- ეგოიზმი ღვთისგან თქვენთვის ჩაფიქრებული საოცარი ქორწინების განცდისა და მისით გახარების უდიდესი დაბრკოლებაა.

- ქორწინებაზე შეტევა გახლავთ შეტევა ღვთის ურთიერთობაზე მის ერთან.

- ღმერთმა ქორწინება შექმნა თქვენი ცხოვრების ყველა სფეროში გაფართოების მოსატანად.

თავი 2

დაიწყეთ დასასრულის გათვალისწინებით!

დღე 1

ეგინიშნავთ, რომ ყველაზე რომანტიული ფილმები და წიგნები ყურადღებას მხოლოდ სასიყვარულო ისტორიის დასაწყისზე ამახვილებენ? იფიქრეთ თქვენს საყვარელ კლასიკურ ნაწარმოებზე (ვაცნობიერებთ, რომ ეს ზოგიერთებისთვის უფრო ადვილია, ვიდრე სხვებისთვის). როგორია ძირითადი ხაზი? იგი ხასიათდება ემოციური დაძაბულობით, რომელიც ფლირტის ცეკვით ვლინდება? მიკრული ხართ თქვენი სკამის კიდეზე, სანამ ფილმი გაღიზიანებთ და გიწვევთ სხვადასხვა გადახვევებით, რომლებიც შეყვარებულებს ხელს უშლით, რომ პირველი კოცნით ისიამოვნონ? რასაკვირველია, აქ გვხვდება დროებითი უკანდახევები: მეტოქე, მძაფრი კამათი ან მოულოდნელი ტრავმა, მაგრამ ვიცით, როგორ დასრულდება ეს ყველაფერი. პრობლემების მიუხედავად, რომლებიც მათ ერთად ყოფნას ემუქრებოდა, თვალებგაბრწყინებული შეყვარებულები გამარჯვების გზას პოულობენ და ამბავი ასე სრულდება, „და ცხოვრობდნენ ისინი დიდხანს და ბედნიერად.“

ეს კი ვიცით, რომ ბოლომდე ბედნიერად ცხოვრობდნენ, მაგრამ როგორ? შესანიშნავი დასაწყისი ყველაზე მარტივი ნაწილია. მძიმე შრომა სწორედ ამბის შუაში განვითარებულ მოვლენებსა და ბოლოზე მოდის.

ცხადია, რომ ჩვენს კულტურას ცალმხრივი და დამახინჯებული იდეა აეკვიატა სასიყვარულო ისტორიის დასაწყისზე. წყვილმა შეიძლება უამრავი საათი გაატაროს ქორწილის დაგეგმვაში, მაგრამ მცირე დრო თუ ეთმობა ცერემონიის შემდ-

გომი წლების დეტალურ განხილვას. პატარძალი ძალისხმევას არ იშურებს სრულყოფილი საქორწილო კაბის ძიებაში, მაგრამ ქორწინების წინა რჩევების მიღება მცირე ხნით იპყრობს თქვენს ყურადღებას. შედეგად, წყვილი სრულიად მოუმზადებელი რჩება, როცა ზღაპრის ეფექტი გაივლის და მათ რეალურ ურთიერთობაში სვლა უწევთ რეალური პრობლემების გადასაჭრელად.

ქორწინების დღეები იმედით, სილამაზით და ზეიმით აღსავსე უნდა იყოს. თუმცა ურთიერთობის გრძელვადიანი იმედი და მშვენება საუკეთესოდ ვლინდება მაშინ, როცა წყვილი ბედნიერი დასასრულის დასაგეგმად იგივე მოწადინებას იჩენს, რასაც ზეიმის დასაწყისში ჰქონდა ადგილი. *ბედნიერად ცხოვრება* არ არის დაბრკოლება, რომელზეც წავიბორძიკებთ; იგი მიზანია, რომლის მისაღწევად მტკიცე გადაწყვეტილებას ვიღებთ და გულმოდგინედ ვაშენებთ.

ირგვლივ მიმოიხედეთ და იპოვეთ მშვენიერი საგანი, რომელიც ოსტატურად არის შემკული ადამიანის წარმოსახვით. შესაძლოა, ეს იყოს სახლი, მანქანა ან სულაც თქვენი საყვარელი სკამი. რაც არ უნდა დაინახოთ, იგი ოსტატის კარგად გააზრებული შრომის შედეგი აღმოჩნდება. ალბათ, ძნელი იქნება იმის გაცნობიერება, რომ რეალურად ეს ნივთი ორჯერ გაკეთდა, პირველად იგი ადამიანის გონებაში ჩაისახა და შემდეგ ამ ჩანაფიქრს ხორცი შეესხა. მატერიალურ შენებას ყოველთვის წინ სდევს გონებრივი აღქმა. პირველად აწყობას შესაძლო შედეგის ნათელი ხედვა სჭირდება. ამის შემდეგ საქმეში ერთვება მასალა და შრომა დასახული მიზნის მისაღწევად. ყველაფერი, რასაც არ ვაგებთ, იქნება ეს სენდვიჩივით მარტივი რამ თუ ცათამბჯენის მსგავსი რთული კონსტრუქცია, ჯერ მისი წარმოდგენაა საჭირო, სანამ ყველასთვის ხილულ სახეს მიიღებდეს.

ყოვლად შეუძლებელია სახლის აგება ნახაზის გარეშე. ამგვარად საოცარი არეულობა შეგრჩებათ! ყველა ლამაზი სახლი კარგად ნაფიქრი ესკიზით იწყება. მას შემდეგ, რაც სახლის გეგმა ხელთ გექნებათ, შეძლებთ მის აგებას გულმოდგინე შრომით და სწორად შერჩეული მასალით.

ნახაზებს, ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშნებლობის დანახარჯების დასაანგარიშებლად. თავს მშვიდად იგრძნობთ, თუ სახლის შენებას ისე დაიწყებთ, რომ სავარაუდო ღირებულება არ გეცოდინებათ? იესომ ეს საკითხი მაშინ წამოჭრა, როცა ჩვენი ცხოვრების შენებაზე გვასწავლიდა:

„რომელიმე თქვენგანმა რომ კოშკის აშენება მოისურვოს, განა თავდაპირველად არ დაჯდება და არ იანგარიშებს იმ ფასს, რაც მის დასამთავრებლად იქნება საჭირო?

> რადგან საძირკველს თუ ჩაყრის და ვერ დაამთავრებს, ყველა, ვინც დაინახავს, დაცინვას დაუწყებს და იტყვის: ამ კაცმა შენება დაიწყო და ვეღარ დაამთავრაო!“
>
> – ლუკ.14:28-30;

რაც ჭეშმარიტია შენობის აგებისას, ჭეშმარიტია ქორწინების საკითხშიც. ამრიგად, რა სახის ქორწინებას აგებთ? დაითვალეთ დანახარჯები და დაადგინეთ პირობები, რასაც თქვენგან მოითხოვს ქორწინების აგება?

ღმერთს არ სურს, რომ ჩვენი ქორწინება ტკივილით და სირცხვილით დასრულდეს. მას არ სურს, მანამ შევწყვიტოთ, სანამ სრულყოფილ სახეს არ მიიღებს. მნიშვნელობა არ აქვს, თქვენი ქორწინება ახლა იწყება თუ უკვე წლებია, რაც იბრძვით. ღვთის გეგმის მიყოლა გვიანი არასოდეს არ არის. უფალში გვაქვს ხედვა, იარაღები და ძალა იმ ქორწინებების ასაშენებლად, რომლებიც მის სიდიადეს ასახავს. საოცარი ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ ღმერთს თქვენი ქორწინებისთვის ბედნიერი დასასრული აქვს, მისი შედევრის დასრულებული შენობა, იმაზე უფრო მეტი, რის გაკეთებაც თქვენ შეგიძლიათ.

ეს თავი მოიცავს ჭეშმარიტებებს, რომლებიც გიბიძგებთ დაგეგმვის და შესაბამისად, თქვენი ოჯახური ცხოვრების კარგად წარმართვისაკენ. გაგიზიარებთ, თუ რას ვაკეთებდით ჩვენი ქორწინების დასაწყისში, რამაც მტკიცე საფუძველი შეგვიქმნა ცხოვრებისეული ქარიშხლების გადასატანად. ჩვენ აღგჭურვავთ და დაგავალებთ გეგმის შედგენას, რომელიც *დიდხანს* და *ბედნიერად ცხოვრებისკენ* წაგიყვანთ. დავიწყებთ პრინციპებით და დავასრულებთ პრაქტიკული საკითხებით. ეს თავი არ არის მხოლოდ ახადაქორწინებულთათვის ან მათთვის, ვინც დაოჯახებას აპირებს. ოჯახური ცხოვრების ვეტერანებო, თქვენც შეგიძლიათ სარგებლის მიღება თქვენი ურთიერთობის ახლებური მზერით დანახვის შედეგად. ჩვენ ეს მოვახერხეთ!

ღმერთი იწყებს დასასრულის გათვალისწინებით

სისულელეა აღთქმით ურთიერთობაში შესვლა, თუ თავდაპირველად თავს არ დაუსვამ კითხვას, „რატომ ვაკეთებთ ამას და საით მივდივართ?“ ყველა აღთქმას შესაბამისი ხედვა უნდა ჰქონდეს. მაგალითად, რა გააკეთა ღმერთმა? მას განსაკუთრებული მიზანი ჰქონდა მხედველობაში, როცა აბრაამთან აღთქმა დადო.

თქვენი აზრით, რატომ ამოირჩია ღმერთმა აბრაამი მისი რჩეული ერის მამად? როცა ამ კითხვას ვსვამთ, უმეტესად, ასეთ პასუხს ვიღებთ, „მისი დიდი რწმენის გამო“. ღვთის გე-

გმაში თანამშრომლობისთვის რწმენა მნიშვნელოვანია, მაგრამ ღმერთს აბრაამი ამისთვის არ აურჩევია. უფალმა იცოდა, რომ აბრაამი თავის შთამომავლებს უფლის გზაზე სიარულს ასწავლიდა.

> „ვიცი, რომ *უანდერძებს იგი თავის შვილებსა და თავის სახლს შემდეგ*, იარონ უფლის გზაზე! მოიქცნენ სიმართლით და სამართალი საჯონ, რათა აუხდინოს უფალმა აბრაამს ყველაფერი, რაც ნათქვამი აქვს მასზე!“
>
> – დაბ. 18:19;

როცა ღმერთმა ეს უშვილო მომთაბარე აირჩია, აბრაამის მიღმა გაიხედა და მისი შთამომავლობა იხილა. ღვთისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ აბრაამს ღვთის გზების დაცვა ესწავლებინა მისი შვილებისთვის, რადგან გამოსყიდვის გეგმის განხორციელება აბრაამის გენეალოგიური შტოს მეშვეობით ჩაიფიქრა. მან იცოდა, რომ აბრაამი და სარა ბევრ შეცდომას დაუშვებდნენ, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მათ სწორი ნედლი მასალა ჰქონდათ. როცა ღმერთი აღთქმას დებს ჩვენთან, იგი ყოველთვის ფართო მასშტაბით ფიქრობს, რადგან ჩვენი ხვალინდელი იხილა და იცის, რა უნდა მოხდეს დრეს, რომ ხვლა იმ ადგილზე აღმოვჩნდეთ.

აღთქმა, რომელიც ღმერთმა აბრაამთან დადო, დღემდე გრძელდება და ჩვენამდე მოაღწია. აბრაამი უშვილო კაციდან ვარსკვლავებივით ურიცხვი შთამომავლობის მქონე ადამიანად იქცა. კაცი, რომელიც ერთ დროს მოხეტიალე და უმიწაწყლო იყო, რწმენით გახდა ყველა ერის მამა.

> „აბრაამი ხომ დიდ და ძლიერ ხალხად იქცევა. ყველა ხალხი დედამიწის ზურგზე კურთხეული იქნება მისით . . .“
>
> – დაბ. 18:18;

ჩვენი ცხოვრება აბრაამის ცხოვრებისგან განსხვავდება, მაგრამ პრინციპი იგივე რჩება. ღმერთი ისეთ ადამიანებს ეძებს, რომელთა მეშვეობით მიზანმიმართულად გაავრცელებს მის აღთქმას. თქვენი ამბავი მარტო თქვენ და თქვენს მეუღლეს არ გეხებათ.

მხოლოდ ზეცაში გამოვლინდება ღვთის აღთქმის სრული ზეგავლენა, რომელიც უფალთან თქვენი ურთიერთობის მეშვეობით მოახდინა. მას სურს, მიაღწიოს ყველა ადამიანს, რომელიც თქვენგან გამოვა (თქვენი მემკვიდრეები) და ყველა ადამიანს, ვინც თქვენი გავლენის სფეროში მოექცევა. ეს ნიშ-

ნავს, რომ თქვენ უნდა გაითავისოთ ხედვა, რომელიც თქვენით არ სრულდება და არც თქვენი შეზღუდული გაგებით შემოიფარგლება. ღვთის განზრახვა თქვენს ქორწინებაზე ყოველთვის მოიცავს მომავალ თაობას.

დღე 2

ღვთის შვილები

„ღმერთმა და არა თქვენ დააფუძნეთ ქორწინება. მისი სული ქორწინების მცირე დეტალებშიც კი მკვიდრობს. რა უნდა კაცს ქორწინებისგან? შთამომავლობა ღვთისაგან! . . . “

– მალაქ. 2:15; თარგმანი; *The Message*

შვილები ღვთისგან! აი, რა სურს ღმერთს ქორწინებიდან. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მას უფრო მეტი ბავშვი უნდა დედამიწის მოსახლეობის გამრავლებისთვის? დიახ და არა.

მალ. 2:15 არ გვეუბნება, რომ ღმერთს ქორწინება *შვილების* გასამრავლებლად უნდა. იგი ამბობს, რომ ქორწინება *ღვთის შვილების* გასამრავლებლადაა. ღმერთს სურს ნებისმიერი ასაკის შვილები, რომლებიც მის სახელს განადიდებენ და მისი გზებით ივლიან. გახსოვდეთ, ჩვენ მისი ელჩები ვართ. მისი მიზანია თავის გაცხადება ჩვენი მეშვეობით.

ვესტმინსტერის მოკლე კატეხიზმო ამბობს, „ადამიანის მთავარი მიზანია ღვთის განდიდება და მისი გახარება მარადისობაში.“ ჩვენ მოგვწონს ეს! *განდიდება* არ არის ყოველდღიურ საუბარში ხშირად გამოყენებული სიტყვა. იგი წმიდა წერილში უხვად გვხვდება და სულიერ და ცოტა არ იყოს, ბუნდოვან სიტყვად ითვლება. *განდიდება*, უბრალოდ, ნიშნავს, რომ ღმერთს ადამიანებისთვის ცნობილს ვხდით. ღვთის სურვილია, რომ გაცხადდეს ჩვენი ცხოვრების, ქორწინების და შთამომავლობის მეშვეობით. უნდა ითქვას, რომ ქორწინებასავით არაფერი აჩქარებს ჩვენს ღვთის შვილებად ჩამოყალიბებას.

თუნდაც ვერასოდეს აღზარდოთ შვილი, ღმერთს ქორწინების გამოყენება სურს, რომ თქვენგან შექმნას ღვთის შვილი. მას სურს თქვენი გაწმედა, რომ მისი დიდების წარმომადგენელი იყოთ და მამა ღვთის მსგავსად ჩამოყალიბდეთ. თქვენი ცხოვრების სხვა ადამიანთან დაკავშირება მრავალ შესაძლებლობას შეგიქმნით, რომ ღმერთს უფრო მეტად დაემსგავსოთ. აღმოვაჩინეთ, რომ უფრო ხშირად, ღვთიური ბუნება კურთხევის ზღვაში არ წარმოიშობა. იგი ოჯახური ცეცხლის ქურაში იწრთობა.

მე (ჯონი) ქორწინებას ქურას ვამსგავსებ, ხოლო ჩვენს ცხოვრებას ძვირფასი ლითონის შენადნობს. რას უშვრება გავარვარებული ქურა შენადნობს? იგი უწმიდურებას აცლის. ჩემი საქორწინო ბეჭედი, შესაძლოა, კიდეც ჰგავდეს წმინდა ოქროს, მაგრამ მისი ორმოცდაათი პროცენტი სხვა მინარევებისგან შედგება. ჩემი ბეჭედი ქურაში რომ მოვათავსო, მინარევი გამომჟღავნდება. ანალოგიურად, ოჯახური ცხოვრებისას წარმოშობილი სიძნელეები, იქნება ეს ყოველდღიური უთანხმოებანი თუ მართლაც რთული პერიოდები, თქვენი ცხოვრების უწმიდურობებს ავლენს. (ზოგიერთ მინარევს უფრო მეტი მხურვალება სჭირდება გამოსავლენად).

როცა ქორწინება უმოწყალოდ ავლენს ჩვენს არასრულყოფილებას, ადვილია მეუღლის ბრალდება. როცა მეუღლე ჩვენს „ნაკლოვანებებს“ აზვიადებს და ამის გამო იმედგაცრუება გვიპყრობს, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ქორწინება უფრო მეტად გვამსგავსებს იესოს. განა ეს არის საბოლოო მიზანი?

მიზნის ამოცნობა სიძნელეების ჟამს

ვიცი, რომ ქურის ანალოგია არ გვახარებს, მაგრამ ბედნიერი დასასრულისკენ მიმავალი გზა ზღაპარს არ ჰგავს. შესაძლოა, თქვენი ამბავი ნაკლებად ჰგავდეს მზის ჩასვლით ტკბობას და უფრო ევერესტის მთაზე ასვლას მოგაგონებდეთ.

მათ, ვინც ჰიმალაის თოვლიან მთებს შეეჭიდება და ევერესტის მწვერვალისკენ მიმავალ მკაცრ და ძნელ გზას აუყვება, მხედველობაში უნდა ჰქონდეს ორი რამ. პირველი, მათ უნდა იცოდნენ, რომ ეს საქმე მათი ემოციური და ფიზიკური შესაძლებლობების ზღვარს გამოცდის. ამ ძვირფასმა მამაკაცებმა და ქალებმა არ იციან მომავალი საფრთხეების ყველა დეტალი, მაგრამ სირთულეებს ელოდებიან. მეორე, მათ მიზანი უნდა ახსოვდეთ: მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი უნდა დალაშქრონ! მათთვის გამარჯვება ზღვის დონიდან 8.848 მ-ის დალაშქვრაა. ამ მიზნის გაცნობიერების გარეშე მთამსვლელები სწრაფად დაბრუნდებიან უკან, როცა კი პირველ მნიშვნელოვან დაბრკოლებას წააწყდებიან.

იგივე მიდგომა გამოსადეგია ქორწინებაში. თუ ვაცნობიერებთ, რომ სირთულეები ჩვენი ამბების დაფუძნების განუყოფელი ნაწილია, მაშინ მტკიცედ ვიდგებით, როცა ჩვენი ემოციური, ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობები გამოიცდება. თუ დავიწყებთ და ვაშენებთ დასასრულის გათვალისწინებით, არ დავნებდებით მთავარი პრობლემების დადგომის დროს..

იესომ სულიერი მოწაფეობის სწავლებისას თქვა, რომ *გასაჭირი* და *დევნა* ექნებათ ღვთის სიტყვის მორწმუნეებს (იხილეთ მარკ. 4:17). ბერძნულ დედანში, ეს სიტყვებია *თლიპსის*

და დიოგმოს. თლიპსის ნიშნავს „გასაჭირს, რომელსაც ტკივილი, შევიწროება, ნაღველი, ტანჯვა“ მოაქვს.[1] *დიოგმოს ნიშნავს „ვინმეს გაღიზიანების და შევიწროებისთვის მოფიქრებულ გეგმას ან პროგრამას“.*[2] არც ერთი მათგანი არ ჰგავს გართობას, მაგრამ ღმერთში ჩვენს ზრდას კი ორივე უზრუნველყოფს. პავლე იესოს სიტყვებს ეხმიანება:

> „და არა მარტო ამით, გასაჭირითაც (თლიპსის) ვიქადით, რადგან ვიცით, რომ გასაჭირი შეიქმს მოთმინებას, მოთმინება – სიმტკიცეს, სიმტკიცე – სასოებას, ხოლო სასოება არ არის შემარცხვენელი, ვინაიდან ღვთის სიყვარული ჩაგვესახა გულებში სულიწმიდის მეშვეობით, რომელიც მოგვეცა ჩვენ.“
>
> – რომ. 5:3-5;

პავლემ დაწერა, რომ პრობლემებსა და განსაცდელებში უნდა ვიხაროთ. რატომ? განსაცდელები ხასიათის სიმტკიცის განვითარების საშუალებას გვაძლევს. პრობლემები გვეხმარება, რომ უფალს დავემსგავსოთ. შეგვიძლია დაიმედებული ვიყოთ იმის ცოდნით, რომ ღმერთს ვუყვარვართ და ჩვენთვის ყოველთვის საუკეთესო სურს, იმდენად, რომ მისი სულიწმიდა მოგვცა. იგი სიყვარულით ავსებს ჩვენს გულებს უდიდესი გასაჭირის დროსაც კი.

წმიდა წერილი ასევე ცხადყოფს, რომ ღმერთი არ გახლავთ ჩვენი ტანჯვების ავტორი. სატანა დგას ყოველი გასაჭირისა და დევნის უკან (იხილეთ მარკ. 4;15 და იაკ. 1:12-13), მაგრამ ღმერთი მტრის ზრახვებს მისივე წინააღმდეგ მიაქცევს. დიადი გამომსყიდველის ხელში ჩვენს გასანადგურებლად მიმართული ყოველი ჩანაფიქრი ღვთიური ინსტრუმენტია, რომ მისი მსგავსი გაგვხადოს.

გახსოვდეთ, მტერს სძულს ქორწინება და ყველაფერი, რასაც ის წარმოადგენს. იგი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ჩვენი ერთობა გაყოს და ერთი შეხედვით აუტანელ განსაცდელებს გვიმზადებს. ჩვენი კავშირისთვის აუცილებელი ხედვის და იმ რწმენის ქონა, რომელიც ღმერთს სიძნელეების მეშვეობით მოაქვს, მტრის შემოტევების წინააღმდეგობის ძალის იმედით გვავსებს. ღმერთს მხოლოდ ის არ უნდა, რომ ქორწინების წინააღმდეგ მიმართული თავდასხმები ავიცილოთ. მთავარია, გვახსოვდეს, რისთვის ვიბრძვით?! (ღვთის მიზნისთვის), ვის წინააღმდეგ ვიბრძვით? (სატანის) და ვინ არის ჩვენს მხარეს? (ღვთის სულიწმიდა). ჩვენი რწმენა და იმედი, რეალურად, გადატანილი სირთულეების მეშვეობით ძლიერდება, თუ მანამდე არ დავნებდებით, სანამ იგი თავის საქმეს დაასრულებს ჩვენში.

იესოსმიერი „ბედნიერად და დიდხანს“ ცხოვრება

იესო უფრო მეტად იტანჯა, ვიდრე რომელიმე სხვა ადამიანი. იგი, სრულყოფილი ღმერთი, ჩვენი მსგავსი გახდა, რომ უსამართლო ადამიანური სიკვდილის ტკივილი და დამცირება განეცადა. მან ღმერთთან შერიგების გზა გაგვიხსნა, თუმცა კაცობრიობის უმრავლესობა ჯერ კიდევ უარყოფს მას.

როგორ შეძლო იესომ ამხელა ტკივილისა და უარყოფის ატანა? პასუხი მარტივია და თან საოცრად საფუძვლიანი: მას არასოდეს დაუკარგავს მხედველობიდან თავისი ბედნიერი დასასრული. მისი მაგალითის გათვალისწინებით ჩვენი საკუთარი ამბების გეგმის ჩამოწერაც შეგვიძლია:

> „შევხედოთ რწმენის მიზეზსა და სრულმყოფელს – იესოს, რომელმაც დაიწყო და დაასრულა ეს სარბიელი, რომელშიც ახლა ჩვენ ვართ ჩაბმული. ისწავლე, როგორ გააკეთა ეს. მას არასოდეს დავიწყებია მიზანი: გამამხნევებელი დასასრული ღმერთში და მასთან ერთად შეძლო მისთვის შეთავაზებული სიხარულის ნაცვლად დაეთმინა: ჯვარი, სირცხვილი და ნებისმიერი რამ.“
>
> – ებრ.12:2; *The Message*

იესომ მოითმინა, რადგან, იცოდა საით მიდიოდა. მან გაიხადა ტანჯვის მიღმა და აღთქმული დაინახა.

ებრაელთა მიმართ 12:1-2-ის ასეთი თარგმანიც არსებობს:

> „... შევხედოთ რწმენის მიზეზსა და სრულმყოფელს – იესოს, რომელმაც მითვის შეთავაზებული სიხარულის ნაცვლად დაითმინა ჯვარი . . .“.

ამოიცანით მთავარი აზრი? „მისთვის შეთავაზებული სიხარული“. იესოს უხაროდა მოსლადნელი ჯვარცმა? არავითარ შემთხვევაში. იგი ისე იყო დამწუხრებული, რომ დასჯის წინა ღამე ლოცვაში გაატარა ზეციერი მამის წინაშე ლოცვაში, რომ სხვა გზა გამოეთხოვა. თუმცა იესოს რაღაც ისეთი ჰქონდა, რაც ბევრ ქორწინებას აკლია. მას არჩვეულებრივი ხედვა გააჩნდა. მას შეეძლო ვითარებების მიღმა გახედვა და მისი არჩევანის მეშვეობით მოსული ძალაუფლებისა და აღთქმის დანახვა. რას ელოდებოდა იესო? პასუხს ეფესელთა მე-5 თავში ვპოულობთ:

> „...ქრისტემ შეიყვარა ეკლესია და თავი გაწირა მისთვის, რათა წმიდაეყო და განეწმიდა წყალში განბანით სი-

ტყვის მეშვეობით. რათა *განემზადებინა იგი თავისთვის* დიდებულ ეკლესიად. არ ჰქონოდა მწიკვლი ან მანკი ან რაიმე მისი მსგავსი, არამედ, პირიქით, რათა წმიდა და უბიწო ყოფილიყო.“ (მმ. 25-27)

ჩვენ ვართ იესოს ბედნიერი დასასრული. ჩვენ ვართ მისთვის შეთავაზებული სიხარული. იესომ ჯვარცმა აიტანა, რომ ჩვენთან, მის საპატარძლოსთან შერიგება შეძლებოდა. ახლა ეკლესიას შეუძლია სავალალო წარსულის გამო სირცხვილის გარეშე შეხვდეს მას, რადგან მასში ახალი იდენტობა გვაქვს. ასეთი ურყევობა, წყალობა და უპირობო სიყვარული უნდა ახასიათებდეს ჩვენს ქორწინებას. ამას ხედვა სჭირდება, იმედი, სიძნელეების გადასალახავად, რაც არ უნდა იყოს.

ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი თავის შეგონებას განაგრძობს:

„იფიქრეთ იმაზე, ვინც მოითმინა ესოდენი სიძულვილი ცოდვილთაგან, რათა თქვენ არ გატეხილიყავით სულდაძაბუნებულნი, როცა რწმენაში მოიკოჭლებთ, ისევ გაიხსენეთ იესოს ამბავი, პუნქტიდან პუნქტამდე, მტროების გრძელი ჩამონათვალი. ეს ადრენალინს ჩაღვრის თქვენს სულებში!“

–ებრ. 12:3; *The Message*

ზოგჯერ სულიერად დაძაბუნებული ვართ. სწორედ ამიტომ იყენებს ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი სიტყვას, *როცა* და არა *თუ* რწმენაში დაძაბუნდებით. დიდი ქორწინება დიდ რწმენას მოითხოვს, რადგან ერთგულება რწმენით აღსავსეს ნიშნავდა. როცა თქვენი ქორწინება სიძნელეებს გადის, გაიხსენეთ, რა გადაიტანა ქრისტემ. ისევ გადახედეთ იესოს ამბავს. თქვენი დროებითი სიძნელეები, რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს, არაფერია ჯვარცმასთან შედარებით. როცა მეუღლისადმი ერთგულება თანდათან ძალას კარგავს, კარგად გაიხსენეთ იესოს ერთგულება თქვენდამი. მისი მაგალითი დიდად გაგამხნევებთ!

დღე 3

საუკეთესოს რწმენა

„მე ღმერთი ვარ და არ არის სხვა ღმერთი, არავინა ჩემი მსგავსი. დასაბამიდან ვაცხადებ მომავალს . . .“

– ეს. 46:9-10;

ბანალური ჩანს იმის წერა, რომ „არავინაა ჩვენი ღმერთის მსგავსი“, მაგრამ ხშირად გვავიწყდება ამ განცხადების ძალა და ჭეშმარიტება. ჩვენ, როგორც ღვთის შვილები, მოწოდებული ვართ, რომ მას დავემსგავსოთ და მისი ბუნება გავითავისოთ! ჩვენ რწმენით ვხდებით მომავლის შემქმნელები და ჩვენს ცხოვრებას, შვილებსა და ქორწინებებს ვაყალბებთ დასასრულის დასაწყისშივე გაცხადებით.

ახლავე ვაცხადებთ, რომ *დიდხანს* და *ბედნიერად* არ არის ისეთი რამ, რაზეც უნდა წვიბორძიკოთ. ეს მიზანმიმართულად უნდა ვაშენოთ. ტექსტიდან ბუნებრივად მომდინარეობს კითხვა, „როგორ უნდა ვაშენო ჩემი ბედნიერი დასასრული?“ შესაძლოა, ეს მუხლები არაერთხელ წაგიკითხავთ, მაგრამ კვლავ წაიკითხეთ:

> „რწმენა არის მტკიცე დარწმუნება იმაში, რასაც ვესავთ . . . რწმენით შევიტყობთ, რომ საუკუნეები მოწყობილია ღვთის სიტყვით, რადგან წარმოიშვა უხილავისგან.“
>
> – ებრ. 11:1,3;

ჩვენი მიზანია *დიდხანს* და *ბედნიერად* ვაშენოთ, რომელიც ჯერ არ არსებობს და რწმენა არის ჯერ უხილავის საშენი მასალა.

ღმერთმა მანამ ირწმუნა ჩვენი, სანამ რაიმე რწმენის ღირსს მოვიმოქმედებდით. მას დიდი რწმენა აქვს თქვენი, რადგან დიდად სწამს საკუთარი თავის. ერთადერთი, რაც ღვთის შეუზღუდავი ძალით გახარებაში გვაბრკოლებს, ურწმუნოებაა, რომელიც საბოლოო ჯამში, სიამაყეშია ფესვგადგმული.

სიამაყე ქედმაღლობაში ანუ საკუთარი შესაძლებლობების მეტისმეტ რწმენაში ვლინდება. ასევე არსებობს სიამაყის შეფარული ფორმა, რომელიც საკუთარი თავის სიძულვილის უკან იმალება. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს გახლავთ უარის თქმა ყველაფერ იმაზე, რაც ღვთის დიდებულმა ძალამ შეიძინა ქრისტეს ჯვარცმის მეშვეობით. იესო მოკვდა, რომ ჩვეულებრივი არ ყოფილიყავი. „შესაძლოა, კმაყოფილი ვიყოთ – ამბობს ქ. ს. ლუისი, რომ ე. წ. „რიგით ადამიანად“ ვრჩებით, თუმცა უზენაესმა სრულიად სხვა გეგმა განგვისაზღვრა. ამ გეგმისგან გაქცევა სულაც არ არის თავმდაბლობა. ამას სიზარმაცე და სიმხდალე ჰქვია. მისი დამორჩილება არ გახლავთ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა, განდიდების მანია. ეს მორჩილებაა.“[3] ჩვენ სიხარულით ვიღებთ საოცარ სიცოცხლეს, რომელსაც ღმერთი გვთავაზობს, თუ ჩვენს აზროვნებას მისი უზრუნველყოფის დონემდე ავწევთ.

გჯერა, რომ დიდებული ქორწინების ღირსი ხარ? შესაძლოა, შენს გონებას ასეთი აზრები აწვალებს:

მეტისმეტად ბევრი წინააღმდეგობა მაქვს.
კარგი ოჯახიდან არ მოვდივარ.
ჩემმა მშობლებმაც ვერ შეძლეს ეს.
უკვე ბევრი შეცდომა დავუშვი.
საჭიროა, კმაყოფილი ვიყო იმით, რომ უბრალოდ
ბოლოში გავიდე!

თუ თქვენ ვერ შენიშნეთ, გეტყვით, რომ ღმერთს გამოწვევები უყვარს. რწმენის ნაკლებობა ჩვენს ცხოვრებაში მისი ძალის ეფექტურობას ზღუდავს. მისი სიდიადის გამოცხადება აღგვძრავს, რომ მასში გაბედულები ვიყოთ და ამავდროულად, თავმდაბლობაც შევინარჩუნოთ. თავმდაბლობა ღვთისგან საუკეთესოს კარს აღებს ჩვენს ცხოვრებაში. ეს. 55:8-9 აცხადებს:

„ჩემი ზრახვები არ არის თქვენი ზრახვები და ჩემი გზები არ არის თქვენი გზები – ამბობს უფალი, რადგან როგორც ცა არის მაღალი მიწაზე, ასევე მაღალია ჩემი გზები თქვენს გზებზე და ჩემი ზრახვები თქვენს ზრახვებზე.“

ალბთ, იმასაც აცნობიერებთ, რომ ღმერთი თქვენზე გაცილებით ჭკვიანი, გამჭრიახი და უნარიანია. „ღმერთში – წერდა ლუისი, აწყდებით რაღაც ისეთს, რაც ყველა ასპექტში თქვენზე განუზომლად დიდია.“[4] ეს უნდა ირწმუნოთ, თუ გსურთ, რომ დიდებული ქორწინებისთვის არსებით მასალასთან წვდომა გქონდეს.

როგორადაც არ უნდა წარმოგვედგინოს ჩვენი ქორწინების პოტენციალი, ღმერთს გაცილებით დიდი ხედვა აქვს. მან არა მარტო ბევრი იფიქრა მასზე, არამედ დიდებული გეგმაც შეადგინა მისთვის.

„მე ვიცი ის ზრახვები, რაც მე განვიზრახე თქვენზე – სიტყვა უფლისა, ზრახვები მშვიდობაზე, რომ მოგცეთ თქვენ მომავალი და იმედი.“

– იერ. 29:11;

ეს აღთქმა ორ არჩევანის წინაშე გვაყენებს: დაიჯერეთ, რომ ეს გაცხადება ჭეშმარიტია და მიიღეთ ღვთიური ხედვა თქვენი ქორწინებისთვის ან იგი მატყუარად ჩათვალეთ. როცა ღმერთი თქვენი კავშირის მომავალს უყურებს, იგი მისი ძის გამოხატულებას ხედავს. ღვთიური ხედვის ხორცშესხმის ერთადერთი გზა მისი მადლის (ძალით შემოსვა) მიღებაა თავმდაბლობისა და რწმენის მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ *დიდხანს* და *ბედნიერად ცხოვრება* დაგეგმილი გვაქვს, იგი არ არის შეზ-

ღუდული ჩვენი საკუთარი ძალით. იგი გახლავთ ღვთიური სიყვარულის გამოხატულება, რომელიც ჩვენში მოქმედი სულიწმიდის მეშვეობით მიიღწევა.

შესაძლოა, ასე ფიქრობდეთ: *დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთმა ხელი აიღო ჩემს ქორწინებაზე, არავითარი იმედი არ არსებობს, მომავლის ხედვა აღარ გვაქვს. ერთმანეთის მიმართ სიყვარულიც გაქრა.*

შესაძლოა, ასე იმიტომ ფიქრობთ, რადგან აქამდე საკუთარი ძალით იღწვოდით? ღმერთს გაუცვალეთ თქვენი ძალისხმევა და ხედვა ოჯახზე. თუ მას მიანდობთ თქვენს ქორწინებას, იგი აიღებს თქვენს ხედვას, სიცოცხლეს ჩაჰბერავს მას და გულის სიღმეში ზეციური ვერსიის ნერგს ჩაგინერგავთ.

ეს ნიშნავს, რომ ქმრებო, ღმერთი მოგცემთ ძალას, რომ ისე გიყვარდეთ თქვენი ცოლები, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია, ყოველგვარი ეგოიზმის უარყოფით. ცოლებო, იგი ასევე აღგჭურვავთ ძალით, რომ პატივი სცეთ თქვენს ქმრებს. ამრიგად, ორივე თქვენგანს ექნება ქორწინების სიდიადეში ზრდის შესაძლებლობა.

ბიბლია ნათლად აცხადებს, რომ რწმენის გარეშე ღმერთს ვერ ვაამებთ (იხილეთ ებრ. 11:6). რატომ უყვარს ღმერთს რწმენა ასე ძალიან? იმიტომ, რომ მისი რწმენის მეშვეობით ვიღებთ ძალას, რომ მას დავემსგავსოთ და არ არსებობს ღვთის მსგავს სიცოცხლეზე უკეთესი მდგომარეობა. იგი სიამოვნებას პოულობს იმაში, რომ თქვენ გასიამოვნებთ, და ჩვენ არ ვლაპარაკობთ ხანმოკლე ბედნიერებაზე. ის, რასაც ჩვენ აღვწერთ, ხაგნრძლივი სიხარული, კმაყოფილება და სისრულეა. ღმერთს საუკეთესო სურს თქვენი ქორწინებისთვის და მისი საუკეთესო მხოლოდ იმ ერთობაში ფუძნდება, რომლის არსიც ღმერთშია.

გეგმა-მონახაზი

რწმენა და იმედი ხშირად ერთმანეთში ერევათ, მაგრამ ეს ორი რამ განსხვავდება. თუ რწმენა დიდებული ქორწინების საშენი მასალაა, იმედი მის გეგმას წარმოადგენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმედი ყალიბია, რომელსაც რწმენა ავსებს. რწმენა გახლავთ უფორმო სუბსტანცია, როგორც საშენი მასალა ყალიბის გარეშე.

გაიხსენეთ, რომ ღვთისგან რჩეული აბრაამი გახლდათ განსაკუთრებული მიზნის მქონე აღთქმის მიმღები, რომ იგი თავის შთამომავლებს უფლის გზებს ასწავლიდა. აბრაამი უშვილო იყო, როცა ღმერთმა აღთქმით მოუწოდა, მაგრამ დაარწმუნა, რომ დიდი ერის მამად აქცევდა.

აბრაამი უჩვეულო რწმენის კაცი იყო, რომელზეც წერილი ამბობს, „იგი არ დაეჭვებულა ღვთის აღთქმაში“ (რომ. 4:20).

და მაინც, დაბ. 15-ში ვპოულობთ, რომ რწმენის სამყაროში შებიჯებამდე იგი იმედგაცრუებას ებრძოდა.

„. . . აბრაამს ხილვაში ესმა სიტყვა უფლისა: „ნუ გეშინია აბრაამ, მე ვარ მფარველი შენი! ძალზე დიდია შენი საზღაური!“

და უთხრა აბრაამმა: „ბატონო უფალო, რა შეგიძლია მომცე, როცა უშვილოდ გადავდივარ და ჩემი მემკვიდრე დამასკოელი ელიეზერია?! . . . შენ არ მოვიცია ჩემთვის შთამომავალი და ჩემი მსახური, რომელიც ჩემს სახლშია შობილი, გახდება ჩემი მემკვიდრე!

და იყო სიტყვა უფლისა მის მიმართ: „არ გახდება იგი შენი მემკვიდრე, არამედ შენგან გამოსული იქნება იქნება შენი მემკვიდრე!

და გაიყვანა იგი გარეთ და უთხრა: „ახედე ზეცას და დაითვალე ვარსკვლავები, თუ ძალგიძს აღრიცხვა მათი?!“ და უთხრა მან: „ასე იქნება შენი შთამომავლობაც!“

და ერწმუნა იგი უფალს: და ეს შეერაცხა მას სიმართლედ.“

– დაბ. 15:1-6;

შესაძლოა, ველოდით, რომ ღმერთი აბრაამს რწმენის ახალ საფეხურზე აიყვანდა. ნაცვლად ამისა, მან აბრაამის რწმენა ხილვით გაამყარა, რომელსაც უნდა ჩასჭიდებოდა. ამან მისი რწმენა გაძლიერა, რადგან მის იმედს ყალიბი მიეცა. ღმერთმა აბრაამი გარეთ გამოიყვანა ვარსკვლავების დასათვლელად. ღამის ცამ მას ვარსკვლავური გეგმა დაანახა მისი რწმენისთვის, რადგან ურიცხვი ვარსკვლავი მის წარმოდგენაში ურიცხვ შთამომავლად გარდაიქმნა. ღმერთმა იმის ნაცვლად, რომ აბრაამისთვის სიტყვიერად ეთქვა ვარსკვლავებივით ურიცხვი შთამომავლობის ყოლის შესახებ, მისი მომავალი მუდმივი, ცოცხალი, ფიზიკური თვალსაჩინოებით წარმოუდგინა. ამ ციური „მაჩვენე და თქვი“ საშუალებით, ღვთიური ხედვა აბრაამის წარმოსახვაში აღიბეჭდა.

ანალოგიურად, ღმერთს სურს თქვენი წარმოსახვის გამოყენება მისი ხედვის ჩასანერგად თქვენი ქორწინებისთვის, რადგან იმედი იქ არის, სადაც ხედვაა. სწორედ ამიტომ მოგვიწოდებდა პავლე, რომ დაგვემხო ყოველი წარმოდგენა, რომელიც ღვთის შემეცნებაზე მაღლა დგას (იხილეთ 2 კორ. 10:4-5).

თქვენ უნდა დაიცვათ გონების სურათები, რადგან იგი განსაზღვრავს თქვენი მოქმედების ბუნებასა და ფასეულობას. თქვენი წარმოსახვა იმედის სახატავ დაფად ჩათვალეთ.

ღმერთი იმედით ავსებას შეგვპირდა, მაგრამ ამას როგორ უნდა მივაღწიოთ? მისი წმიდა სული ლოცვაში გვავსებს აღმატებული იმედით:

> „სასოების ღმერთმა აგავსოთ ყოველგვარი სიხარულით და მშვიდობით რწმენაში, რათა სულიწმიდის ძალით იუხვოთ სასოებაში!“
>
> – რომ. 15:13;

ღმერთი ჩვენი იმედის წყაროა. თუ ვითხოვთ, იგი სიხარულით და მშვიდობით აგვავსებს. ეს ის არის, რაც ყველას გვინდა ქორწინებაში. თუ მასთან თავმდაბლობით მივდივართ, სულიწმიდის ძალით ვიუხვებთ იმედში. რა საოცარი აღთქმაა!

იგავ. 29:18 გვეუბნება, რომ ხილვის გარეშე დავიღუპებით. მართლაც, ქორწინებები ღვთიური ხედვის გარეშე სიცოცხლეს მოკლებულია. ამრიგად, მოგიწოდებთ ფართომასშტაბიანი ხედვისკენ! როცა თქვენი ოცნებებისა და მიზნების სცენარს ამზადებთ, ილოცეთ, რომ ღმერთმა გააღვიძოს თქვენი გული მისი გეგმის დასანახად და შესასრულებლად.

დღე 4

ჩინური რესტორანი

როცა ახალდაქორწინებულები ვიყავით, ერთი განსაკუთრებული ადგილი გვქონდა, სადაც ჩვენს მომავალზე სალაპარაკოდ მივდიოდით. ეს გახლდა პატარა ჩინური რესტორანი ჩვენს სახლის მახლობლად. კოლეჯი ახალდამთავრებული გვქონდა და ფინანსები ყაირათიანად უნდა დაგვეხარჯა, რომ ერთი ულუფა მუ შუს ქათამი შეგვეკვეთა ერთი ზედმეტი ბლინით და ქლიავის საწებლით. რესტორანი წყნარი და მოკრძალებული და თან უცხოური იყო, ამიტომაც მისი გარემო ჩაის სმასთან ერთად ახალგაზრდა წყვილებს შორეულ ქვეყნებზე ოცნებებისა და სამომავლო იმედებზე ფიქრისკენ აღძრავდა.

იმ დროს ბევრი არაფერი ვიცოდით, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვიყავით: გვინდოდა ღმერთს ერთად მოვმსახურებოდით მთელი გულით, გონებით და ძალით. გადაწყვეტილი გვქონდა, რომ ცხოვრება და ოჯახი კარგად აგვეწყო. სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ არაფერი ვიცოდით,

რა მოგზაურობა ან რომელი ქვეყნები გველოდა ცხოვრების გზაზე, მაგრამ ის კი ვიცოდით, როგორ უნდა გაგვეტარებინა იგი. გვინდოდა ისე გვეცხოვრა, რომ ღმერთს ჩვენგან ახალი შთამომავლობა დაეტოვებინა.

მე (ჯონი) დიდებული ოჯახური წარსული მქონდა. ჩემი მშობლები დაქორწინებული იყვნენ სამოცდახუთი წლის განმავლობაში. მამას უყვარდა ოჯახი და ერთგულად ზრუნავდა ჩვენზე, ხოლო დედაჩემი კლასიკური დიასახლისის სახე გახლდათ. ჩემმა მშობლებმა ბევრი შესანიშნავი მაგალითი დამანახეს ქორწინებასა და ოჯახზე და ამის გამო სამარადისოდ მადლობელი ვარ მათი.

მე (ლიზა) სხვა გაქანების ოჯახიდან ვარ. ჯონის მშობლები სრულყოფილები იყვნენ ჩემს ოჯახთან შედარებით, რომელსაც ალკოჰოლიზმი, მრუშობა, ძალადობა, ღალატი, სიხარბე, ზარალი და გაყრა ანგრევდა. როცა მე და ჯონმა ერთობლივი ცხოვრება დავიწყეთ, ნათელი გახდა, რომ წარმოდგენა არ მქონდა ჯანსაღი ოჯახის რაობაზე, მაგრამ მთელი გულით მინდოდა მისი ნაწილი ვყოფილიყავი.

როცა იმ ჩინურ რესტორანში ვსაუბრობდით, ვიცოდით, რომ ჩვენი ქორწინება სხვანაირი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ დიდ პატივს ვცემდით ჯონის მშობლების თვალსაზრისით წარმართულ ოჯახურ ცხოვრებას, მათი მაგალითი ჩვენთვის მისაღები არ იყო. ორივემ ვიცოდით, რომ ქორწინებაში ბევრად უფრო ღრმა რაღაც იდო, ვიდრე ჩვენ გვენახა. თავად ამ ინსტიტუტში ღვთიური მოწოდება დევს. ქორწინება არ იყო ჩვენთვის, უბრალოდ, ერთად ცხოვრება დარჩენილი ცხოვრების მანძილზე. ის იყო მარადიული მემკვიდრეობის შენება ჩვენი კავშირის მეშვეობით. რასაკვირველია, ეს ჩვენს შვილებსა და მათ შვილებსაც მოიცავდა, მაგრამ მათთან ერთად უამრავი ადამიანების ცხოვრებაზე ზეგავლენასაც გულისხმობდა.

ჩვენ ქორწინების ხედვის წარმოსახვა დავიწყეთ. ერთმანეთს კითხვებს ვუსვამდით, პარამეტრებს ვსაზღვრავდით და რამდენადაც შეგვეძლო, დიად საგნებზე ვოცნებობდით. ვთანხმდებოდით, რომ ჩვენი ძირითადი მიზანი ღვთის ერთობლივი მსახურება და ჩვენს მიერ გაკეთებული არჩევანით მისთვის პატივის მიგება გახლდათ. ყველაფერ დანარჩენს ამ ფილტრში უნდა გაევლო.

ოცდათორმეტწლიანი ქორწინების განმავლობაში ისეთი პერიოდებიც დადგა, რომ ჩვენს ოჯახურ ცხოვრებას მხოლოდ ღვთისადმი პატივის მიგების ერთობლივი გადაწყვეტილება ამაგრებდა. იყო პერიოდები, როცა მე (ლიზა) არავითარ სიყვარულს არ ვგრძნობდი ჯონის მიმართ და ფაქტობრივად, ჯონმაც მითხრა, რომ ჩემს მიმართ გაცივდა. მან თავი მიუძღვ-

ნა ინტენსიური მოგზაურობის გრაფიკს, მე კი ჩვენი მცირეწლოვანი შვილებით მარტო ვრჩებოდი.

გულწრფელად რომ ვაღიარო, სამომავლოდ სიყვარულის განცდის იმედი აღარ მქონდა. ჩემი გული დასერილი იყო იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი ჭრილობებით. თავს მიტოვებულად ვგრძნობდი როგორც ემოციურად, ისე ფიზიკურად. ოდესმე გაყრა ერთ-ერთ შესაძლებლობად რომ მიმეჩნია, სიხარულით დავადგებოდი ამ გზას. ჩვენი ქორწინების ხედვა დავკარგე. მისგან რაღაც ფერმიხდილი აჩრდილიღა დარჩა. იყო დრო, როცა რეალურად, ასე ვფიქრობდი: *ღმერთო, ოჯახს არ დავანგრევ, თუ შემპირდები, რომ ზეცაში ჯონთან ერთად ცხოვრება არ მომიწევს*. ასეთი მარტოსული ვიყავი, მაგრამ მსახურთა ცოლებისთვის ძნელია მათი ტკივილის ვინმესთვის გაზიარება.

მე (ჯონი) იმ დროს სრულიად უიმედოდ ვიბრძოდი. ვგრძნობდი, რომ არაფრის გაკეთება არ შემეძლო, რაც ლიზასთვის მოსაწონი იქნებოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი შეფასება სწორი იყო მის მიერ გამოვლენილი უპატივცემულობისა და მკაცრი სიტყვების ფონზე. ჩვენ თავქვე მივექანებოდით და ვერც ერთი ჩვენგანი ვერ ხედავდა სიყვარულის, პატივისცემისა და ზრუნვის აღდგენის რაიმე შესაძლებლობას.

იმდროინდელი ემოციური და სულიერი ტკივილი აუტანელი ჩანდა. ეს საშინელება იყო, მაგრამ მხოლოდ იმ პერიოდს ახასიათებდა, დრო კი იცვლებოდა. გლოვის ჟამი, შესაძლოა, დაუსრულებელ ღამედ მოგვეჩვენოს, მაგრამ ღვთის აღთქმა გვაქვს, რომ დილით სიხარული მოვა (იხილეთ ფს. 29:6). ახლა, როცა უკან ვიხედებით, ის დრო არარეალური ჩანს, თითქოს სულ სხვა წყვილმა გადაიტანა. ღვთის მადლით, მისთვის პატივის მიგების მიზნის ერთგული ვრჩებით. ჩვენი ეგოიზმის გულწრფელად მონანიების შემდეგ, რომელსაც ღვთიური სიბრძნის მორჩილებაც ერთვოდა, ჩვენი ქორწინებისა და სიყვარულის უდიდესი ძალით ზრდის მომსწრეც გავხდით.

ჩვენი შეხედულება ცხოვრებაზე რთული პერიოდის გადალახვაში სიმტკიცის შენარჩუნების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა გახდა. ჩვენ მას არ ვუყურებთ სამოცდაათ ან ოთხმოცწლიანი ცხოვრების თვალსაზრისით, არამედ მარადიულობის პერსპექტივით. სამოცდაათი-ოთხმოცი წელი ერთი ამოსუნთქვაა მარადისობასთან შედარებით. წმიდა წერილი ამბობს, რომ ჯვრისადმი ჩვენი დამოკიდებულება განსაზღვრავს, თუ *სად* გავატარებთ მარადისობას; თუმცა ჩვენი, როგორც მორწმუნეების ცხოვრების გზა განსაზღვრავს, თუ *როგორ* გავატარებთ მარადისობას. პავლე წერს:

„. . . გვირჩევნია სხეულს განვშორდეთ და უფალთან დავბინავდეთ. ამიტომ ვცდილობთ კიდეც, აქ ვიქნებით თუ იქ, მისთვის სასურველნი ვიყოთ. ვინაიდან ჩვენ ყველანი უნდა გამოვცხადდეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე, რათა თითოეულმა მიიღოს იმის მიხედვით, რასაც სხეულის სიცოცხლის დროს აკეთებდა –კეთილს თუ ბოროტს.“

– 2 კორ. 5:8,10;

ნათელია, რომ პავლე ურწმუნოებზე არ წერს, რადგან სხეულს განშორებული ურწმუნოები უფლის თანდასწრებაში არ არიან. იგი მათ მიმართავს, ვინც ღვთის ოჯახს შეურთდა იესო ქრისტეს გადამრჩენელი მადლის მეშვეობით. ჩვენ მის წინაშე წარვდგებით და ანგარიშს ჩავაბარებთ მიღებული გადაწყვეტილებებისა და ჩვენი, როგორც მორწმუნეების მიერ გატარებული ცხოვრებისთვის. ქრისტეს განაჩენი საუკუნო საზღაურს ან საუკუნო ზიანს მოიტანს და მოიცავს ნებისმიერ რამეს ჩვენი ცხოვრებისეული საქმეების დაწვიდან საუკუნო ჯილდოს ხილვასა და მასთან ერთად მარადიული მეფობის ჩათვლით. ამ ფუნდამენტურმა დოქტრინამ სწორ გზაზე ჩვენი სიარული უნდა განაპირობოს. არც ერთმა ჩვენგანმა არ უნდა აგოს პასუხი იესოს ტახტის წინაშე იმის გამო, რომ ქორწინების კავშირის მისეული ხელოვნება შევბილწეთ (სამსჯავრო ტახტის შესახებ უფრო მეტი იხილეთ ჯონის წიგნში „*მარადისობით ამოძრავებულნი*“).

ღვთისთვის პატივის მიგების შემდეგ ჩვენი მეორე მიზანი იყო ერთმანეთის უფრო მეტად სიყვარული ჩვენი მოგზაურობის ბოლოს, ვიდრე მის დასაწყისში. ამ მიზანმა გვაიძულა რთული პერიოდების გავლა და ერთმანეთის სიყვარული მაშინაც კი, როცა ამას საერთოდ არ ვგრძნობდით. ქ. ს. ლუისი წერდა: სიყვარული . . . ღრმა ერთობაა, რომელიც ნებისყოფით ნარჩუნდება და ჩვევით მყარდება; იგი ძლიერდება (ქრისტიანულ ქორწინებებში) მადლით, რომელსაც ორივე მხარე ითხოვს და იღებს ღვთისგან. მათ შეიძლება იმ მომენტებშიც ჰქონდეთ ეს სიყვარული, როცა საერთოდ არ მოსწონთ ერთმანეთი.[5]

ნამდვილად იყო ისეთი დროები, როცა ერთმანეთი არ მოგვწონდა, მაგრამ უფალმა შეგვიწყალა და გადაგვატანინა ისინი. იგი თქვენს ცხოვრებაშიც იგივეს გააკეთებს. დღეს უფრო მეტად გვიყვარს ერთმანეთი, ვიდრე ქორწინების დღეს, ეს ჭეშმარიტებაა! და ჩვენ ველოდებით, რომ ყოველი გასული

ათწლეულის შემდეგ კიდევ უფრო გავიზრდებით ერთმანეთის სიყვარულში.

ღმერთი ჩანაწერებს აკეთებს

როცა ჩვენს ოცნებებს რესტორნის ქაღალდის ხელსახოცებზე ვჯღაბნიდით, ვლაპარაკობდით ბავშვების აღზრდაზე, რომლებიც ჯერ არ გვყავდა. ვმსჯელობდით, როგორ გავწვრთნიდით, როგორ შევინყნარებდით, როგორი იქნებოდა ყოველდღიური მოვალეობები, როგორ გავინაწილებდით ოთახებს. ვლაპარაკობდით ჩვენს მემკვიდრეობაზე და მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც გავლენას მოახდენდა ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებზე. ჩვენთვის არსებითი იყო, რომ მათთვის გადაგვეცა სულიერი და ფინანსური მემკვიდრეობა (იხილეთ იგ. 13:22).

წარმოვიდგინეთ ჩვენი მომავალი სახლი. ჩვენთვის მნიშნელოვანი არ იყო დიდი ან დახვეწილი სახლის ქონა; გვინდოდა, რომ იგი ყოფილიყო მიმზიდველი და თბილი, ადგილი, სადაც ადამიანები თავს უსაფრთხოდ იგრძნობდნენ, როცა მის ზღურბლს გადმოაბიჯებდნენ. ასევე გვინდოდა, რომ იგი გასართობადაც გამომდგარიყო, სადაც ჩვენი შვილები თავიანთ მეგობრებს მოიყვანდნენ.

ასევე ვლაპარაკობდით, თუ რის საკეთებლადაც მოგვიწოდა ღმერთმა და რა ზეგავლენას მოახდენდა ჩვენი მოწოდება ქორწინების მიმდინარეობაზე. ვსაუბრობდით ქალებისა და მამაკაცების ფუნქციებზე. განვსაზღვრეთ, როგორ უნდა გაგვენაწილებინა ფინანსები ისე, რომ ვალები არ აგვეღო. ვაგრძელებდით ლაპარაკს, სანამ ჯერ კიდევ ვხედავდით, რა გვეჭირა ხელში და აღმოვაჩინეთ, რომ ხელსახოცებზე ნაწერები ჩვენი ცხოვრების სახელდახელო გეგმად იქცა, რომლის შენებასაც ვაპირებდით.

ვფიქრობთ, რომ ქაღალდზე ნაწერი ჩვენი გეგმები ღმერთმაც ჩაიწერა.

> „როცა უფლის მოშიშნი ლაპარაკობენ ერთმანეთში, ყურს უგდებს უფალი. ესმის და იწერება მის წინაშე სამახსოვრო წიგნი უფლისმოშიშთათვის და მისი სახელის მომხსენიებელთათვის.“
>
> – მალ. 3:16;

ძალიან ბევრ რამეზე ვილაპარაკეთ იმ დღეებში, რაც ღმერთს ახსოვდა, თუმცა ჩვენ დაგვავიწყდა და ისინი შემდეგში აღასრულა. ღმერთი იწერს საუბრებს, რომლებიც მის

მოშიშ ადამიანებს ჰქონიათ. როცა ისეთ ქორწინებას გეგმავ, რომელიც სიცოცხლის ავტორს პატივს მიაგებს, ზეცა ჩანაწერებს აკეთებს.

დღე 5

თქვენი ხედვის ჩაწერა

„. . . ჩაწერე ხილვა. ქვის დაფებზე ამოკვეთე, რომ სწრაფად წაიკითხოს მკითხველმა!“

– აბაკ. 2:2;

კვლავ ვიმეორებთ, რომ არასოდეს არ არის გვიანი თქვენი ქორწინების ხედვის ჩაწერა. თავისუფლად წერეთ და გადაწერეთ იგი, სანამ არ ჩამოაყალიბებთ იმას, რაც გამორჩეული და ადვილი გასაგებია. ნათელი ხედვა ენერგიას მოგცემთ, რომელიც ფინიშამდე მისასვლელი გზის გასავლელად დაგჭირდებათ.

გთხოვთ, დრო გამოყავით თქვენს მეუღლესთან (ან მომავალ მეუღლესთან) სალაპარაკოდ თქვენი ქორწინების საერთო ხედვის გასაზიარებლად. თუ ჯერ მარტოხელა ხართ, ახლა დაიწყეთ ხედვის ჩაწერა თქვენი მხრიდან. იპოვეთ ადგილი, სადაც ამის წარმოდგენას შეძლებთ. კონკრეტული სახე მიეცით თქვენს სურვილებსა და მოლოდინს. განსაზღვრეთ მარადიული პრინციპები და ფართომასშტაბიანი სურათის წარმოსახვის ნუ შეგეშინდებათ! ეს ხედვა თქვენი პოლარული ვარსკვლავი იქნება მომავალი დღეებისთვის.

ქორწინება მარათონულ რბენას ჰგავს, რომლის საწყის და საბოლოო წერტილებს შორის ათწლეულები გადის. ბევრი წყვილი მოკლევადიან ხედვას სახავს. ისინი სახლის ყიდვას და შვილების გაზრდას გეგმავენ, რაც დიდებული მიზნებია, მაგრამ არც ერთი მათგანი არ წაგიყვანთ საკმარისად შორს. კიდევ რამდენი რამ არის გაცილებით დიდი?! გააგრძელეთ ოცნება!

მხედველობაში იქონიეთ, რომ თქვენ და თქვენმა მეუღლემ ერთად უნდა იაროთ და ერთმანეთს არ უნდა გაეჯიბროთ. თქვენი სავალი მარტომ არ უნდა გაიაროთ, ამიტომ გუნდურად უნდა იშრომოთ. თუ არცთუ სახარბიელო დასაწყისი გქონდათ, თავი ინუგეშეთ იმის ცოდნით, რომ ასპარეზის კარგად დასრულება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დასაწყისი. საჭიროა ხედვა თვალწინ გქონდეთ, რომ იცოდეთ საითკენ ისწრაფვით.

„უკვე დათქმული ჟამისთვის არის ხილვა. და ბოლოს გაცხადდება, არ გამტყუნდება. თუ დააგვიანდეს, დაელოდე, რადგან უსათუოდ მოვა, არ დაბრკოლდება . . . მართალი კი თავისი რწმენით იცოცხლებს.“

– აბაკ. 2:3-4;

თქვენი ღვთისგან შთაბერილი ხედვა წინ წაგიძღვებათ აღსრულებისთვის. თუ ხედვას თვალთაგან არ მოიშორებთ, იგი არ გიღალატებთ. შეიძლება დადგეს დრო, როცა მოგეჩვენებათ, რომ ღვთის ნათქვამი მართალი არ არის. თქვენი გზა ზოგჯერ ისეთ ადგილებში მიგიყვანთ, რაც არ გსურთ და არც ელოდებით. მიენდეთ პროცესს. ღმერთმა იცის, რა უნდა მოგაცილოთ, რომ თქვენი ასპარეზი დაასრულოთ. ხედვის შთამაგონებლის ძალა გაგაძლიერებთ საჭიროების მომენტში. თუმცა ხედვა უნდა შეინარჩუნოთ.

თქვენი გეგმა ცოცხალი, მსუნთქავი, ორგანული დოკუმენტი უნდა იყოს. ეს ნიშნავს, რომ იგი ორ რამეს უნდა მოიცავდეს:

ნათლად განსაზღვრული ფასეულობები

გარკვეული მრწამსი და დაპირებები თქვენი ხედვისთვის აუცილებელ გარემოს უზრუნველყოფს, მაგალითად „ჩვენი ქორწინება პატივს მიაგებს ღმერთს“ ან „ერთმანეთის საჭიროებას საკუთარზე წინ დავაყენებთ“. ეს გახლავთ საკითხები, რომლებიც კამათს არ ექვემდებარება. ისინი არასოდეს შეიცვლება და დათმობაზე არ უნდა წახვიდეთ.

ზრდისთვის საჭირო სივრცე

კარგი გეგმა ყველა კითხვაზე პასუხს არ სცემს. მას სიცხადე მოაქვს. მხოლოდ ღმერთმა იცის ყველაფერი, რაც მომავალში ამ გზაზე შეგხვდებათ და თანდათანობით გაგიცხადდებათ ღვთის გეგმა მისი წმიდა სულის წინამძღოლობით. გარკვეული დროის შემდეგ თქვენი ხედვა გაცილებით მასშტაბური გახდება და სიმკვეთრეს შეიძენს ყოველი სეზონის სასარგებლო მხარეებისა და სირთულეების გათავისებით. ცვლილების ეს სფეროები შეიძლება, მოიცავდეს დროს, როცა შვილების გაზრდაში იხარჯებით ან ერთმანეთის კარიერისა და მოწოდების მხარდაჭერის გზებს ეძებთ.

აი, ხუთი პრაქტიკული ნაბიჯი თქვენი ქორწინების გეგმის დასაწერად:

1. ლოცვა
ღმერთს სთხოვეთ, რომ თქვენი საუბრები, ფიქრები და მისწრაფებები მისი სულით გაჟღინთოს. სთხოვეთ მას, რომ მოგაწოდოთ იმედის ყალიბი, რომელიც თქვენი რწმენით უნდა აავსოთ!

2. შთაგონების შეგროვება
შეაგროვეთ ადგილები წერილიდან, სტატიები, ფოტოები, სიმღერის ტექსტები, ჟურნალების ამონაჭრები და ნებისმიერი რამ, რაც დაგელაპარაკებათ!

3. გაემართეთ იქ, სადაც ხედვას ჩამოაყალიბებთ!
ეს ადგილი არ უნდა იყოს ძალზე დახვეწილი ან ძვირადღირებული! ეს შეიძლება იყოს უბრალო რესტორანი ქუჩის კუთხეში ან მეზობელი პარკის სკამი.

4. დაადგინეთ მიზნები!
იოცნებეთ დიდზე! თავს ნუ შემოისაზღვრავთ ახლანდელი ვითარებებით ან წარსულის გამოცდილებით!

განსახილველ საკითხებში შედის: ფინანსები, მშობლის ფუნქციები, ოჯახური პრინციპები, პირადი განვითარება, სულიერი ზრდა, ურთიერთობა, დასვენება და აღდგენა, კარიერა, პასუხისმგებლობა სახლში, ეკლესიაში ჩართულობა, საზოგადოება და ა. შ.

5. განსაზღვრეთ მათი მიღწევის გზები!
ხედვის ჩამოყალიბების შემდეგ გააკეთეთ ანალიზი: სად ხართ ახლა და რას გინდა მიაღწიოთ? შეაფასეთ თქვნი ახლანდელი მდგომარეობა და დასახეთ სტანდარტები, ნაბიჯები ან ცვლილები, რომლებიც დაგაყენებთ სწორი მიმართულებით ან შეინარჩუნებთ მას.

თქვენი გეგმა ცხოვრების მრავალ პერიოდს შეეხება. მიზნების გათავლისწინებით უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

როგორ იქნება ჩვენი ქორწინება, როცა ჩვენ . . .
უშვილო წყვილად ვრჩებით?
ვზრდით შვილებს?
ვართ მოზარდების მშობლები?
მარტო დავრჩით ოჯახში?
შვილიშვილებით ვხარობთ?
ოჯახური ცხოვრების დასასრულს ერთად ვუახლოვდებით?

თუ ხართ მარტოხელა, შეყვარებული ან დანიშნული, როგორ განაწყობთ თავს მიზანმიმართულად იმ ტიპის ქორწინებისთვის, როგორიც მომავალში გინდათ გქონდეთ?!

თქვენ დასახეთ მიზნები ფინანსების, მშობლობისა და კიდევ სხვა საკითხებითვის. ესენია ცხადი მიზნები, მაგრამ მათი მიღწევა და შენარჩუნება თქვენი სტანდარტების, ყოველდღიური არჩევანისა და და ჩვევების მეშვეობით ხდება. იფიქრეთ შემდეგ კითხვებზე:

როგორ და როდის შეძლებთ თქვენი ყოველთვიური ბიუჯეტის განკარგვას?
რა სახის დასვენებას გამოიყენებთ და როგორ დაგეგმავთ მას?
რა სახის საქმიანობას და გართობას გეგმავთ ერთობლივად?
როგორ გააგრძელებთ შეხვედრებს თქვენს მეუღლესთან?
როგორ გადაჭრით განსხვავებებს თქვენსა და მეუღლეს შორის?
როგორ გაატარებთ დროს შვილებთან?
როგორ გაწვრთნით თქვენს შვილებს?
ორივეს გსურთ კარიერის აწყობა სახლის გარეთ? თუ ასეა, ამას განსხვავებული სახე ექნება თქვენი ქორწინების სხვადასხვა ეტაპზე?
როგორ დაუჭერთ მხარეს ერთმანეთს კარიერაში ან სხვა მთავარ მიზნებში?
რა სახის საგანმანათლებლო შესაძლებლობებს გამოიყენებთ თქვენთვის? თქვენი შვილებისთვის?
რა სახის გართობა იქნება შესაძლებელი თქვენი შვილებისთვის? რით დაუჭერთ მხარს მათ ინტერესებსა და სხვადასხვა ნიჭს?
რას გააკეთებთ ფიზიკური ჯანმრთელობისთვის? (ვარჯიში, დასვენება, კვება და ა. შ.)
რას გააკეთებთ სულიერი ჯანმრთელობისთვის?
როგორ აღზრდით შვილებს ღვთის შემეცნებაში?
რა გავლენას მოახდენს თქვენი ქორწინება და ოჯახი თქვენს გარშემო სამყაროზე? (თქვენი ეკლესია, საზოგადოება, მეზობლები, სამუშაო და ა.შ.)

როგორც აღვნიშნეთ, თქვენი გეგმის მახასიათებლები შეიძლება შეიცვალოს და განვითარდეს სიბრძნესა და გამოცდილებაში თქვენი მომწიფების კვალობაზე. ეს ნორმალურია. თუმცა არსებითია, რომ თქვენი გეგმის სტრუქტურა ჩამოაყალიბოთ

და სტანდარტებს უერთგულოთ, რაც საფუძველჩამყრელი იქნება მომავლისთვის.

ევერესტზე ასვლა

წარმოიდგინეთ წყვილი, რომელიც თვითმფრინავში ადის. ისინი აღფრთოვანებული არიან მოგზაურობით, მაგრამ წარმოდგენაც კი არ აქვთ, სად მიდიან?! მათ მხოლოდ ის იციან, რომ თვითმფრინავმა დიდებულ თავგადასავალს უნდა აზიაროს. ისინი ვარაუდობენ, რომ სადმე თბილ ადგილას მიემგზავრებიან, სადაც ზღვის სანაპიროზე გამოსადეგი სამოსი და შესაძლოა, რამდენიმე თხელი პულოვერი დასჭირდებათ გრილი საღამოებისთვის. რამდენიმე საათის ფრენის შემდეგ მათ დანიშნულების პუნქტს მიაღწიეს და მაშინ აღმოაჩინეს, რომ ნეპალში ჩაფრინდნენ. ისინი ტროპიკულ გასეირნებას გეგმავდნენ, მაგრამ ევერესტის მთის მკაცრ ლაშქრობაში აღმოჩნდნენ. ისინი ნამდვილად არ იყვნენ მზად მუხანათური და საშიში მოგზაურობისთვის, ამიტომ მაშინვე სახლში დაბრუნება დააპირეს.

ბევრს ქორწინება ზღვის სანაპიროზე გასეირნება ჰგონია, მაგრამ იგი უფრო მაღალი მთის მწვერვალზე ასვლას ჰგავს: მას საზღაური აქვს და წამახალისებელია, მაგრამ რთულიც არის. შესაძლოა, ზემოთ მოყვანილი მაგალითი სასაცილოც არის, მაგრამ ქორწინების სიკვდილიანობის მაჩვენებელი, რეალურად, 25-ჯერ აღემატება ევერესტზე ასვლის მსურველთა სიკვდილიანობას.[6]

რატომ არიან ევერესტზე ამსვლელები დაოჯახებულ წყვილებზე წარმატებულები? იმიტომ, რომ მათ აქვთ ხედვა თავიანთი მოგზაურობისთვის და იციან, რას უნდა ელოდონ. მათ ელდა არ ეცემათ, როცა გაიშვიათებული ჰაერის, დიდი ყინვის ან დაუცხრომელი გრიგალების ზონას მიაღწევენ. სამწუხაროდ, ბევრი ქორწინება ინგრევა არარეალური მოლოდინების და ხედვის ნაკლებობის გამო. იგი ღირსია, რომ დრო გამოყოთ თქვენი გეგმის ჩამოსაყალიბებლად.

კარგად კეთება

ქორწინების მიმდინარეობისას ღმერთი თქვენი ხედვის სტრუქტურას გააფართოებს და მშვენიერ დეტალებს შემატებს, მაგრამ არასოდეს შეურაცხყოფს იმ ცხოვრებას, რომელსაც თქვენს მეუღლესთან ერთად ააშენებთ. შესაძლოა, განსაცდელები თქვენს ოჯახზე ღვთის შეტევად მოგეჩვენოთ და მის მიმართ სიბრაზის ან იმედგაცრუების ცდუნებამ გძლიოთ. იცოდეთ, რომ ღმერთი არ არის თქვენი განსაცდელების ავტორი და იგი ყოველივეს თქვენს სასიკეთოდ მოაქცევს (იხილეთ

რომ. 8:28). მისი მადლი და სულიწმიდა არასოდეს მიგატოვებთ და მისი დაპირების თანახმად, ისეთი განსაცდელი არ გეწევათ, რომ გადატანა ვერ შეძლოთ.

„. . . ღმერთი ერთგულია. იგი არ დაუშვებს მეტისმეტად დიდ საცდურს. როცა გამოიცდებით, გზას გაჩვენებთ რომ გაძლოთ.“

– 1 კორ. 10:13;

ზოგჯერ გეგონებათ, რომ ყველაფერი ინგრევა, მაგრამ თუ იმედიანად იქნებით, შეძლებთ და ქარიშხლებს შეეწინააღმდეგებით. როცა ყველაფერი ითქმება და გაკეთდება, უფლის სიტყვებს გაიგონებთ:

„კარგი, კეთილო და ერთგულო მონა! . . . .“

– მათ. 25:23;

განა საინტერესო არ არის, რომ უფალი ამბობს „კარგი“ და არა „სრულყოფილია“? არც ერთი ჩვენგანი არაფერს აკეთებს ცხოვრებაში სრულყოფილად. თუმცა ჩვენ შეგვიძლია ცხოვრება და ქორწინება *კარგად* წარვმართოთ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს ქორწინებას საღად და თავმდაბლობით მივუდგებით, შეცდომებზე ვისწავლით და ღვთის მადლით ვიშრომებთ საუკეთესო შედეგების მისაღწევად. თუ ამ გზით სიარულს აირჩევთ, თქვენი ქორწინება გაცილებით მეტს გააკეთებს, ვიდრე უბრალოდ ცხოვრებაა. იგი აყვავდება. ღმერთი ბოლომდე მიგიყვანთ.

„. . . გვსურს, რომ ყოველი თქვენგანი, სასოების სისრულისთვის იჩენდეს იმავე ერთგულებას ბოლომდე. რათა არ გაზარმაცდეთ, არამედ მიბაძოთ მათ, ვინც რწმენით და სულგრძელებით იმკვიდრებს აღთქმებს“.

– ებრ. 6:11-12;

ღმერთს სურს, რომ თქვენი ქორწინებისთვის მისი აღთქმები დაიმკვიდროთ. დაეყრდენით იმედს, რომელსაც მისი სულიწმიდა გაძლევთ. მოთმინება გამოიჩინეთ მეუღლის მიმართ და რწმენით დაიმკვიდრეთ ის, რადაც თქვენი ქორწინება უნდა იქცეს. გაოცდებით იმით, რის გაკეთებაც ღმერთს შეუძლია ორ არასრულყოფილ ადამიანში და მათი მეშვეობით. ღმერთს დაშურებით სწადია ოჯახების შენება, რომელთა უდიდესი ისტორიები ცხადდება მათი დასასრულითა და არა დასაწყისით.

შედევრი კეთილებაში

„ვინაიდან მისი ქმნილებანი ვართ, ქრისტე იესოში შექმნილნი კეთილი საქმეებისთვის, რომლებიც წინასწარ გაგვიმზადა ღმერთმა, რათა ამ საქმეებით ვიაროთ.“

– ეფეს. 2:10;

ღმერთი ყველაფერს გარკვეული მიზნისთვის ქმნის, მათ შორის ქორწინების ჩათვლით. უფალს სურს თქვენი ქორწინება მისი მადლის შედევრად აქციოს თქვენს ცხოვრებაში მისი სულიწმიდის პირადი ჩართვით.

იფიქრეთ იმ დროზე, როცა მარტოხელა ან დანიშნული იყავით. როგორ წარმოგედგინათ ქორწინება? რა სრულყოფილ

_____

_____

_____

_____

რამდენად განსხვავდება თქვენი ქორწინება წარმოდგენილისგან?

_____

_____

_____

_____

ღმერთმა ქორწინება აღთქმის სახით ჩაიფიქრა. იგი მთელი ცხოვრება გრძელდება, „სანამ სიკვდილი არ დაგვაშორებს“ შეთანხმებით. აღთქმაში თითოეული მხარე ემორჩილება და მთელს თავის რესურსებს სთავაზობს მეორე მხარეს. ერთი პიროვნების სირთულეები მეორის ხდება და თითოეული პიროობას დებს, რომ დაიცავს მეორეს და უზრუნველყოფს მის საჭიროებებს.

ავტორები და მქადაგებლები **ბობ და ოდრი მაისნერები** თავიანთ შეხედულებას გვიზიარებენ აღთქმის შესახებ.

„აღთქმა ღვთიური რამაა. ბიბლია ნათლად ლაპარაკობს აღთქმაში სიარულის კურთხევებზე, რომელიც ღვთის კეთილგანწყობას, კურთხეულ ფინანსებს, დაცვასა და მინდობას, ჯანმრთელობასა და ღვთიურ ხასიათს მოიცავს . . . აღთქმის გარემოში თავს დაცულად ვგრძნობთ, რომ ჩვენი შეცდომები და პერიოდულად წამოჭრილი პრობლემები ვაღიაროთ. ვიცით, რომ ჩვენი გულწრფელობის გამო უარყოფილი არ ვიქნებით. მეუღლეს თავისუფლად შეუძლია სიყვარულით გვითხრას ჭეშმარიტება ჩვენს მარცხზე გამარჯვებაში დასახმარებლად, რადგან ჩვენთან გადის სიძნელეებს. ეს გახლავთ ქრისტეში ცხოვრების აღთქმა მისი საუკეთესო გამოვლინებით.“[7]

რას გეუბნებათ ღმერთი აღთქმის შესახებ? ჰკითხეთ საკუთარ თავს, მახარებს აღთქმით ქორწინება? რის გაკეთება მსურს მასში საცხოვრებლად? ილოცეთ და სულიწმიდას სთხოვეთ ჩარევა და ძალა!

ღმერთს შესანიშნავი მიზანი აქვს თქვენი ქორწინებისთვის და გაცილებით მეტის მიღწევა სურს, ვიდრე თქვენ და თქვენი მეუღლე ხართ. მას თქვენი ერთობა სურს აბრაამისა და სარას მსგავსად, რომ მისი სიყვარული და ჭეშმარიტება შორეულ მომავალს მიაწვდინოს. ჰკითხეთ საკუთარ თავს და უფალს, *ვის ზე მოახდენს ზეგავლენას ჩემი ქორწინება და რა ნაყოფებს დატოვებს?*

შეჩერდით და ილოცეთ: „წმიდა სულო, როგორ უნდა გავავრცელოთ შენი აღთქმა ჩემს შვილებზე, შვილიშვილებსა და ჩემი გავლენის სფეროში მყოფ ადამიანებზე?!“

დადექით ღვთის წინაშე და მოუსმინეთ, რას გელაპარაკებათ ახლა და რას გეტყვით მომავალში?! ჩაიწერეთ მისი მითითებები და ითხოვეთ მისი მადლი დასამორჩილებლად!

ქურაში გამოწრთობილი

„საყვარელნო, ნუ გაგაოცებთ თქვენზე მოვლენილი ცეცხლოვანი განსაცდელი, თითქოს უცხო რამ დაგმართოდეთ! არამედ გიხაროდეთ, როგორც ქრისტეს ტანჯვათა მოზიარეებს, რათა თქვენც იხაროთ და იმხიარულოთ მისი დიდების გამოცხადებისას!“

– 1 პეტრ. 4:12-13;

ქორწინება სულიერი წრთობის პროცესია და ღმერთი არის გამომწრთობელი. მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის თქვენი პრობლემების წყარო, მათ იყენებს მეუღლეების იესოსთვის დასამსგავსებლად.

თვალი გავუსწოროთ მას. განსაცდელი არავის უყვარს. სიამოვნებით ავიცილებდით თავიდან, რომ შეგვძლოს. თუმცა სირთულის გზას თავისი ფასეულობა გააჩნია.

დრო გამოყავით და იფიქრეთ ამ ჭეშმარიტებებზე განსაცდელების სიკეთის შესახებ. ჩვენ ისინი უშუალოდ თქვენს ქორწინებას მოვარგეთ.

„მაგრამ მან [ღმერთმა] იცის ჩემი [და ჩემი მეუღლის] ასავალ-დასავალი; გამომცადოს და ოქროსავით გამოვდნები.“

– იობ. 23:10;

„რადგან გამოგვცადე ჩვენ [მე და ჩემი მეუღლე] გადაგვადნე, როგორც ვერცხლს გადაადნობენ . . . შევედით ცეცხლსა და წყალში, მაგრამ შენ გაგვიხალვათე.“

– ფს. 65:10,12;

„ყოველივე სიხარულად ჩათვალეთ, [ქმრებო და ცოლებო], როდესაც განსაცდელები ყოველი მხრიდან მოდის. რაკი იცით, რომ შევიწროებისას თქვენი რწმენა ამოქმედდება და ჭეშმარიტ სახეს წარმოაჩენს. ნუ იჩქარებთ მათგან გაქცევას. დაე, განსაცდელმა თავისი საქმე გააკეთოს, რათა იყოთ მოწიფულნი და კარგად ჩამოყალიბებულნი, წუნდაუდებელნი და ყოველმხრივ უნაკლონი.“

– იაკ. 1:2-4; *The Message*

„. . . ამჟამად მრავალგვარ განსაცდელში მცირე ხანს უნდა განვალდეთ, რათა გამოჩნდეს თქვენი გამოცდილი რწმენა, ხრწნად ოქროზე ძვირფასი. როცა თქვენი რწმენა გაძლიერდება მრავალი განსაცდელის მეშვეობით, [თქვენ და თქვენს მეუღლეს] ქებას, პატივსა და დიდებას მოუტანს იესო ქრისტეს გამოცხადებისას . . .“

– 1 პეტრ. 1:7;

მოკლედ აღწერეთ თქვენი და თქვენი მეუღლის გასაჭირის ქურა (კონფლიქტი), რომელსაც ახლა გადიხართ.

_____

_____

_____

რას გაჩვენებთ სულიწმიდა თქვენს, თქვენი მეუღლის და თქვენი გარემოების შესახებ ზემომოყვანილი მონაკვეთების მეშვეობით?

_____

_____

_____

მეუღლის ნაკლის ცოდნა თქვენ ვერ შეგცვლით. ცვლილება იმის გაცნობიერებით იწყება, რაც პირადად თქვენ გეხებათ. შეჩერდით და ილოცეთ: „წმიდა სულო, რა ხდება ჩემს გულსა და გონებაში?! რისი შეცვლა გინდა ჩემში? რა შეხედულება მაქვს ჩემს თავზე, რაც სწორი არ არის? დამეხმარე, გავიგონო შენი ხმა და შენს მითითებებს დავემორჩილო იესოს სახელით!“

ჭეშმარიტება, რომელსაც სულიწმიდა მიცხადებს ჩემს შესახებ . . .

_____

_____

_____

სულიწმიდა მიბიძგებს შემდეგი ნაბიჯების გადასადგმელად . . .

_____

_____

_____

რწმენა, იმედი და თავმდაბლობა

„სასოების ღმერთმა აგავსოთ ყოველგვარი სიხარულით და მშვიდობით რწმენაში, რათა სულიწმიდის ძალით იუხვოთ სასოებაში.“

– რომ. 15:13;

რწმენა უზრუნველყოფს ფანტასტიური ქორწინების სამშენებლო ბლოკებს, ხოლო იმედი ნახაზია, რომელიც მას ხორცს ასხამს. ღმერთს, რომელიც იმედის წყაროა, თქვენი და თქვენი მეუღლისა სჯერა. თუ მას ენდობით, იგი მოგცემთ თქვენი ქორწინების გეგმას და ძალას თქვენი საოცნებო ქორწინების განსაცდელად.

პასტორი და ავტორი **ფ. ბ. მეიერი** წერს თავის წიგნში *აბრაამი ანუ რწმენის მორჩილება*:

„რწმენა პაწაწინა თესლია, რომელიც ქრისტიანული ცხოვრების ყველა იშვიათ სურნელსა და დიდებულ ფერებს მოიცავს და მხოლოდ ღვთიურ კვებასა და კურთხევას ელოდება. როცა ადამიანს სწამს, საჭიროა განათლება და დრო, რომ განვითარდეს ყველაფერი, რაც მასში არსებულ ემბრიონშია. ...რწმენა იმდენად გვაერთიანებს ღვთის ძესთან, რომ მასთან ერთნი ვართ სამუდამოდ; და მისი ბუნების ყოველგვარი დიდება ... ჩვენ გვეთვლება.“[8]

ამრიგად, რა არის რწმენა? საიდან მოდის იგი? როგორ უნდა მიხვდეთ, რომ თქვენს ცხოვრებაში რწმენა ძლიერდება? დაკვირვებით იფიქრეთ ამ ადგილებზე და დაწერეთ, რასაც სულიწმიდა გაგიცხადებთ.

რომ. 1:11-12; 10:17; 12:3●ებრ. 11:1,6●ეფეს. 2:8●კოლ. 2:6-8

_____

_____

_____

რწმენასთან ერთად იმედიც გჭირდებათ, ღვთიური გეგმა თქვენი ერთობისთვის. შეჩერდით და ილოცეთ, „უფალო, ჩადე ჩემსა და ჩემს მეუღლეში შენი ღვთიური ნახაზი ჩვე-

ნი ქორწინებისთვის. როგორც აბრაამს მიეცი ვარკვლავებიანი ცის თვალსაჩინოება, ისე ამოკვეთე ჩვენს გულებში სახე, რომ გასაგები იყოს და სამუდამოდ დაგვამახსოვრდეს. იესოს სახელით". დააკვირდით, მოისმინეთ და ჩაიწერეთ, რასაც უფალი გეტყვით.

არებობს ერთი საკვანძო თვისება, რომელიც რწმენისა და იმედის მისაღებად დაგჭირდებათ. ეს გახლავთ თავმდაბლობა. იგი ამბობს: „არაფერი შემიძლია, უაფლო, შენს გარეშე, მაგრამ ყველაფერი შემიძლია შენი მეშვეობით!" როცა თავმდაბალი გული გაქვთ, ღვთისგან საუკეთესოს კარი ფართოდ იღება თქვენი ქორწინებისთვის.

მეცხრამეტე საუკუნის ავტორმა და პასტორმა **ენდრიუ მიურეიმ** თქვა: „იესო თავმდაბლობის მოსატანად მოვიდა დედამიწაზე, რომ ამ თვისების მოზიარე ვყოფილიყავით და მისით მიგვეღო გადარჩენა ... მისი თავმდაბლობა ჩვენი ხსნაა. მისი ხსნა ჩვენს მიერ თავის დამდაბლებაა. ნამდვილად თავმდაბლები მხოლოდ მის ღვთაებრივ სიმდაბლეში ქრისტეს დამკვიდრებით ვხდებით."[9]

ჩაუკვირდით ამ მუხლებს. რას გიცხადებთ ღმერთი?

მათ. 11:28-30 ● იოან. 13:1-17 ● ფილ. 2:1-11 ● იაკ. 4:6 ●1 პეტრ. 5:5

„... მთელი თავმდაბლობით, სიმშვიდითა და სულგრძელებით შეიწყნარეთ ერთმანეთი სიყვარულში! ეცადეთ შეინარჩუნოთ სულის ერთობა მშვიდობის საკვრელით!"

– ეფეს. 4:2-3;

ერთად იოცნებეთ დიადზე!

„ორნი სჯობიან ერთს, რადგან კარგი გასამრჯელო აქვთ თავიანთ შრომაში. . . . სამმაგი ძაფი მალე არ გაწყდება!“

– ეკლ. 4:9,12;

ქორწინების სიდიადეში ცხოვრება და მისი განცდა ღვთიური ჩანაფიქრია ყველა ქმრისა და ცოლისთვის. თქვენი ერთობის ცენტრში სულიწმიდის თანდასწრებით თქვენ და თქვენი მეუღლე სიდიადისთვის მზად იქნებით!

გინდათ ფართოდ ცხოვრება? დრო გამოჰყავით დიდი ოცნებისთვის. ამ თავის ბოლოს აღჭურვილი იქნებით, რომ თქვენი ქორწინების ხედვა ჩაიწეროთ. ახლავე მოემზადეთ ამ განსაკუთრებული ხედვის მიღების დროისთვის.

დაასახელეთ რამდენიმე ადგილი, სადაც თქვენ და თქვენს მეუღლეს ერთად ყოფნა გიხარიათ, განტვირთვის ადგილები, სადაც თავისუფლად იფიქრებთ ხედვაზე!

_____

_____

_____

იფიქრეთ თქვენს პასუხებზე, შემდეგ აირჩიეთ ერთი ან მეტი ადგილი, სადაც თქვენი ოცნებების სერიისთვის შეხვედრებს დაგეგმავთ.

ერთად ოცნება თქვენ და თქვენს მეუღლეს გულისნადებისა და წარმოსახვის გულწრფელად გაზიარების საშუალებას მოგცემთ, თუ რის გაკეთება შეგიძლიათ ერთად ღვთის ძალით, სიბრძნით, კეთილგანწყობით და წინასწარხედვით, „რის გაკეთება შეგიძლიათ როგორც წყვილს, რომ თქვენი ძიებანი უფრო ეფექტური იყოს? ჰკითხეთ ავტორებს, **ბილ და პემ ფარელებს.** „იყავით მიზანმიმართულნი . . . იმის გასაგებად, გაქვთ თუ არა წინსვლა თქვენს ხედვაში, საჭიროა მიზნების და მათი მიღწევის გზების ჩაწერა?! მიზანი უნდა იყოს კონკრეტული ... რეალური ... [და] მიღწევადი ღვთის შემწობით!“[10]

მიზნების დაგეგმვაზე მომდევნო დღის საკითხავის განხილვისას ვიმსჯელებთ. ახლა კი, რა ოცნებებია თქვენს გულში?

იფიქრეთ: თქვენს სურვილებსა თქვენს ურთიერთობებზე და ბავშვების აღზრდასა, ფინანსური დაცულობაზე, განათლებასა და კარიერზე, სახლის ყიდვასა ან შენებაზე, საპენსიო ასაკსა და სხვა ამგვარ საკითხებთან დაკავშირებით!

ჩემი უდიდესი ოცნება ჩვენი ქორწინებისთვის არის . . .

_____

_____

_____

მას შემდეგ, რაც თქვენს ოცნებებს გამოთქვამთ და ჩაიწერთ, თქვენს მეუღლეს სთხოვეთ თავისი გაგიზიაროთ და დაწეროს.

ჩემი მეუღლის უდიდესი ოცნებები ჩვენი ქორწინებისთვის არის . . .

_____

_____

_____

თქვენი ხედვის რა სფეროები ემთხვევა? რა აქვთ საერთო? იმსჯელეთ ერთობლივად.

ჩვენი ქორწინების უდიდესი ოცნებებია . . .

_____

_____

_____

გახსოვდეთ: „იცით, რომ ღმერთს ყველაფერი შეუძლია, გაცილებით მეტი, ვიდრე ოდესმე გონებით წარმოგისახავთთ, მიხვედრილხართ ან გითხოვიათ თქვენს ყველაზე წარმოუდგენელ ოცნებებში! (ეფეს. 3:20 The Message). თქვენი ოცნებები უფალს დაუმორჩილეთ ლოცვაში და სთხოვეთ მას, გაჩვენოთ კონკრეტული ნაბიჯები მათ განსახორციელებლად!

ჩაიწერეთ თქვენი ხედვა!

„. . . ჩაწერე ხილვა. ქვის დაფებზე ამოკვეთე!. . .“

– აბაკ. 2:2;

ახლა, რაკი თქვენ და თქვენმა მეუღლემ ერთად იოცნებეთ, შემდეგი ნაბიჯი თქვენი ხედვის ჩაწერა იქნება. ხედვის ქონა ქორწინებისა და თავად თქვენთვის რეალური ოცნების ქონას ნიშნავს, თუ რად უნდა იქცნენ მომავალში ღვთის მიმართულებისა და მადლის მეშვეობით.

ავტორმა, პროფესორმა და საოჯახო მრჩეველმა, **ჰ. ნორმან რაითმა** ხედვის თემაზე დასაფასებელ მიგნებებს გვთავაზობდა:

„**ხედვას** შეიძლება, განჭვრეტაც ეწოდოს, ახლანდელი ვითარებების, შესაძლებლობების და წარსულის გამოცდილებიდან სწავლის ფასეულობის გაცნობიერებით. ხედვა ასევე შეიძლება, აღიწეროს როგორც უხილავის დანახვა და ხილულად ქცევა. ეს გახლავთ გონებაში წარმოსახული სურათი მოვლენების შესაძლო ან საჭირო განვითარებით მომავალში. ხედვა ასევე არის იმ პირობების წარმოსახვა, რომელიც ჯერ არ არსებობს. იგი არის მომავალზე კონცენტრირება წარსულსა და აწმყოში ჩარჩენის ნაცვლად. ხედვა უკეთესი მომავლის შექმნის პროცესია ღვთიური გაძლიერებით და ხელმძღვანელობით.“[11]

წარმატებული ქორწინების ხედვას ფასეულობები გააჩნია. მოინიშნეთ რამდენიმე შეუვალი პრინციპი, რომელსაც თქვენ და მეუღლე ყოველგვარი დათმობის გარეშე დაიცავთ!

ისინი შეიძლება მოიცავდეს ერთმანეთთან დაპირისპირების თავიდან არიდებას, ვალის აღებისგან თავშეკავებას, ყოველთვის პატიების სურვილს, ერთმანეთის კრიტიკაზე უარის თქმას და ა.შ.

ხელახლა წაიკითხეთ ხედვის რაითისეული აღწერა! რას გეუბნებათ იგი? როგორია მოკლევადიანი მიზნები თქვენი ქორწინებისთვის, რის განხორციელებასაც თქვენ და თქვენი მეუღლე **უახლოეს რამდენიმე წელიწადში გეგმავთ?**

_____

_____

_____

როგორია თქვენი **საშუალო ხანგრძლივობის ხედვა** ქორწინებისთვის? რა მიზნები გაქვთ დასახული მომდევნო 5-10 წლისთვის? გახსოვდეთ, იყავით კონკრეტული და რეალისტური. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რისი დანახვაც გინდათ.

_____

_____

_____

როგორია თქვენი **გრძელვადიანი ხედვა** ქორწინებისთვის? რა განსაკუთრებული მიზნების მიღწევას გეგმავთ მომდევნო ოციდან ოცაათი წლის განმავლობაში? იფიქრეთ საპენსიო ასაკზე, შვილიშვილებზე, მსახურების ან შვებულების შესაძლებლობებზე, მოგზაურობაზე და ა.შ.

_____

_____

_____

„უკვე დათქმული ჟამისათვის არის ხილვა და ბოლოს გაცხადდება, არ გამტყუნდება. თუ დააგვიანდეს, დაელოდე, რადგან უსათუოდ მოვა, არ დაბრკოლდება!“

– აბაკ. 2:3;

სადისკუსიო კითხვები

თუ ამ წიგნს *ქორწინების ამბავზე* უწყების სერიების (*Messenger Series*) ნაწილად იყენებთ, გადახედეთ ვიდეოგაკვეთილს № 2!

1. ბევრი დაქორწინებული წყვილი თავის გადარჩენის რეჟიმში ცხოვრობს. ღმერთს არ სურს, რომ ქორწინებები მხოლოდ დასასრულამდე ვაივაგლახით მიღწევისთვის არსებობდეს. მას აყვავებული ქორწინებები სურს! გამოყავით რამდენიმე წუთი იმის გასაზიარებლად, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ქორწინებისთვის თქვენი ხედვის გავრცობა თქვენი და თქვენი მეუღლის მიღმა.
2. ეჭვგარეშეა, სიძნელეებს წააწყდებით ქორწინებაში. თქვენ და თქვენი მეწყვილე ორი განსხვავებული პიროვნება ხართ, რომლებიც გარკვეული პროცესის განმავლობაში ერთნი ხდებიან. ებრ. 12:2-3 დამტკიცებულ გეგმას გვაწვდის სირთულეებთან გამკლავებისთვის. გულმოდგინედ წაიკითხეთ ეს ადგილი და გააცნობიერეთ ღვთიური სტრატეგია საწრთობ ქურაში თქვენს გასატარებლად, საიდანაც ბაჯაღლო ოქროსავით გაწმედილი გამოხვალთ.

„შევხედოთ რწმენის მიზეზსა და სრულმყოფელს – იესოს, რომელმაც დაიწყო და დაასრულა ეს სარბიელი, რომელშიც ახლა ჩვენ ვართ ჩაბმული. ისწავლე, როგორ გააკეთა ეს. მას არასოდეს დავიწყებია მიზანი – გამამხნევებელი დასასრული ღმერთში და მასთან ერთად შეძლო, მისთვის შეთავაზებული სიხარულის ნაცვლად დაეთმინა: ჯვარი, სირცხვილი და ნებისმიერი რამ. და ახლა, იგი იქ არის, საპატიო ადგილას, ღვთის მარჯვნივ. როცა რწმენაში მოიკოჭლებთ, ისევ გაიხსენეთ იესოს ამბავი, პუნქტიდან პუნქტამდე, მტრობის გრძელი ჩამონათვალი. ეს ადრენალინს ჩაღვრის თქვენს სულებში!“

– ებრ. 12:2; *The Message*

3. სიამაყე ხელს გვიშლის, რომ გავიხაროთ ღვთისგან საუკეთესოს მიღებით. რამდენად აძლევთ საშუალებას სიამაყეს, რომ შეზღუდოს თქვენი ხედვა ქორწინებაზე? რა ცვლილებები უნდა განახორციელოთ, რომ ღვთისგან თქვენთვის შენახული ქორწინება რეალური გახდეს?
4. სიდიადით გამორჩეულ ბედნიერ, ჯანსაღ ქორწინებებს ხე-

დვა ჰქონდათ. კარგ ხედვას მხარს უჭერს კონკრეტული, რეალისტური გეგმა. თითოეული წყვილი საკუთარ გეგმას იმუშავებს და როგორც ქმარი, ისე ცოლი მისი შესრულების პირობას დებს. დაასახელეთ ქორწინების რამდენიმე მხარე, სადაც აუცილებელია დეტალური ხედვის ქონა. რატომ არის ასე მნიშვნელოვანი და სასარგებლო კონკრეტული გეგმის ჩაწერა? რატომ არის მნიშვნელოვანი ხედვის მორგება და რეგულირება დროის მიხედვით?

წინამძღოლებო: თქვენს ჯგუფს წააკითხეთ აბაკ. 2:2-3; იგ. 29:18.

5. მათ. 25:23, „კეთილი და ერთგული“ მონა ბატონის საშუალებების „კარგი“ გამოყენებისთვის შეაქეს. ქორწინების სრულყოფილად წარმართვა განსხვავდება მისი კარგად წარმართვისგან. როგორ გვიშლის ხელს სრულყოფილი ქორწინებისკენ სწრაფვა ოჯახის კარგად წარმართვაში? რას ნიშნავს კარგი ქორწინება ჩვენი სტანდარტებით? ჩვენი დამოკიდებულებით? შეცდომებზე ჩვენი რეაგირებით?

თავის შეჯამება:

- თქვენი ქორწინების ამბავი უფრო მეტია ვიდრე მასში მონაწილე ორი მხარე. იგი ზეგავლენას ახდენს ყველა იმ ადამიანის ცხოვრებაზე, რომელთანაც თქვენ და თქვენს მეუღლეს გექნებათ შეხება და მომავალ თაობას წვდება თქვენი მემკვიდრეობა.
- ქორწინება იდეალურ გარემოს ქმნის მამაკაცებისა და ქალებისთვის, რომ ქრისტეს მსგავსად გარდაიქმნან. ეს ღმერთს განადიდებს და მას ცნობილს ხდის.
- რწმენა შესანიშნავი ქორწინების საშენი მასალაა, რომელიც ჯერ რეალობაში არ გამოვლენილა. იმედი გეგმა ანუ ღვთისგან მოცემული ხედვა გახლავთ, რომელსაც რწმენა აშენებს.
- თავმდაბლობა ღვთისგან საუკეთესოს მიღების კარს ხსნის. თავმდაბლობის მეშვეობით ღვთის მადლს (გაძლიერებას) ვიღებთ მის მიერ ჩაფიქრებული ქორწინების სიდიადის განსაცდელად.
- თქვენი ქორწინების ახლანდელი მდგომარეობის მიუხედავად, იგი შეიძლება გადაიზარდოს დიდხანს და ბედნიერად ცხოვრებაში.
- ჩაიწერეთ თქვენი ქორწინების ხედვა: ცოცხალი, შთაგონებული გეგმა, რომელიც დროთა განმავლობაში ივსება და მოიცავს იმედებს, ოცნებებს და ურყევ სტანდარტებს!

თავი 3

იყავით მზადყოფნაში!

ბრძოლისთვის მზადყოფნა (ინგლ.: clear the decks; გემბანის გაწმენდა): გარკვეული მოვლენის ან მიზნისთვის მზადება ყველა იმ დაბრკოლების მოცილებით, რომელიც მის წინსვლას ხელს შეუძლის[1]

დღე 1

ეს საზღვაო ტერმინი თავდაპირველად გემებისთვის მიცემულ ბრძანებას წარმოადგენდა ბრძოლისთვის მოსამზადებლად. მეზღვაურებმა იცოდნენ, რომ მისი გაგონებისთანავე გემბანიდან უნდა მოეშორებინათ ნებისმიერი ინსტრუმენტი, ბაგირები ან სხვა ნივთები, რომლებიც ხელს შეუშლიდა გემის თავისუფალ გადაადგილებას.[2] დღეს ეს ტერმინი ნებისმიერი სამზადისის აღსანიშნავად გამოიყენება, რაც თავისუფალი მოქმედების საშუალებას მოგვცემს.

ბოლო თავში თქვენს ქორწინებაზე ვისაუბრებთ მოქმედი, ცოცხალი გეგმის თვალსაზრისით. ამ თავის მიზანია ნებისმიერი საკითხის განხილვა, რაც წინსვლასა და ქორწინების სიდიადის განცდაში დაგაბრკოლებთ. გემბანის გაწმენდა ბაგირების ერთმანეთში გადახლართვის თავიდან აცილებას ემსახურება. თუ გემბანი ნივთების ნამტვრევებითაა მოფენილი ან მოუწესრიგებელია, სრულიად შესაძლებელია, რომ ძნელბედობის ჟამს ანუ ქარიშხლებისას ადამიანებმა ერთმანეთს ხელი შეუშალონ, მაშინ როცა, იგივე რამ დაბრკოლება არ იქნებოდა წყნარ ამინდში ცურვისას.

მოგვწონთ, თქვენი მომავლისკენ წარმატებული ცურვის მდგომარეობაში მოყვანის იდეა, როცა თან მიგაქვთ ყველაფერი, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია და ამავდროულად, გემბანიდან იშორებთ ნებისმიერ საგანს, რომელიც გამძიმებთ ან წარსულში გტოვებთ. მეტისმეტად ბევრი ადამიანი იმსხვერპლეს „მოუწესრიგებელმა გემბანებმა“ და არა მარტო ტკივილით გაიტანჯნენ, არამედ გემბანს მიღმა აღმოჩნდნენ და ზღვაში დაიკარგნენ.

ღვთიური ჩანაფიქრი ქორწინებისთვის უნაკლოა. და მაინც, ქორწინებასავით არც ერთი სხვა ინსტიტუტი არ ავლენს მეუღლეთა ნაკლს. გვინდა გზის გაწმენდის ჯანსაღ პოზიციაზე დაგაყენოთ ნაცვლად იმისა, რომ უიმედოდ გზასაცდენილი გემის მართვა განაგრძოთ კლდეებზე მინარცხების, ტვირთის დაკარგვის, მჟონავი ნახვრეტების და გაყინული თოკების პირობებში.

ზემომოყვანილი საზღვაო შედარების გათვალისწინებით, ურთიერთობის საფუძველჩამყრელი საკითხებისადმი გონივრული მიდგომის გარეშე შუა ზღვაში მყოფ გემს ემსგავსებით, რომლის ტრიუმში არსებული ნახვრეტის დაცობას უბრალო კორპით ცდილობთ. შესაძლოა, ამან ცოტა ხანს გაჭრას, მაგრამ საბოლოოდ, წყლის დაწოლის ძალას ვეღარ გაუძლებს.

არ გვინდა, გზას აცდეთ ან ჩაიძიროთ. ჩვენი სურვილია, რომ თქვენი ქორწინება იმ კიდობანს ჰგავდეს, რომელიც ნებისმიერ ქარიშხალს გაუძლებს. როცა წინა თავში აღწერილ ქორწინების გეგმაზე მუშაობდით, ალბათ, უკვე ამოიცანით რამდენიმე მოსაგვარებელი საკითხი, სანამ მიღებულ ხედვაში წინ წაიწევდეთ. ამრიგად, გადავხედოთ ყოველ გამომწვევ ნაკლს, რომელიც ეგოიზმში, სიამაყესა და წყენაშია ფესვგადგმული! მოდი, მოვიცილოთ ყოველგვარი ბორკილი და შემბოჭავი შიში! დაე, იმედი იყოს ჩვენი ღუზა!

ჩვენი დასაწყისი

ვიცით, რომ გემბანის გაწმენდა მნიშვნელოვანია, რადგან ასე ვიწყებთ ჩვენს ერთობლივ მოგზაურობას. ზოგადად, ყურადღებით არ მოვეკიდეთ ქორწინებისწინა რჩევებს. როცა მრჩეველი ცდილობდა კონფლიქტურ სიტუაციაში ქარიშხლიან წყლებში მოქმედების დარიგება მოეცა, ჩვენ ვფიქრობდით, *ჩხუბი? არავითარ შემთხვევაში! ეს რჩევა იმ ადამიანებისთვის არის, რომლებსაც ჩვენსავით არ უყვართ ერთმანეთი. ჩვენ ის ხალხი არ ვართ, ღვთის ხელია ჩვენზე.*

ქორწინებიდან სულ რაღაც რამდენიმე კვირის შემდეგ პრობლემები დაიწყო. დიდი დრო არ დასჭირვებია იმის მიხვედრას, რომ ვცდებოდით. ჩვენ სრულყოფილი მეუღლეების ქორწინების ხედვაში შევედით, მაგრამ საოცრად სწრაფად აღმოვაჩინეთ ერთმანეთის ნაკლოვანებები. ახლა ძალისხმევას არ ვიშურებდით ერთმანეთის შესაცვლელად. შედეგად, ჩვენი კურთხეული ქორწინება ორი მტკიცე ნებისყოფის, ჯიუტი ადამიანის ბრძოლის ველად იქცა. როცა რკინის იარაღები ილესება, ნაპერწკლები ცვივა.[3]

ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებდით, რომ ჩვენი კავშირი, რეალურად, მეტად სუსტი და მსხვრევადი იყო. დიახ, ერთ-

მანეთის ერთგულები ვიყავით, მაგრამ საკუთარ ხასიათზე მეტისმეტად კარგი წარმოდგენა გვქონდა, განსაკუთრებით, მოთმინებისა და უანგარობის მხრივ. უფრო მეტი რამ გვქონდა გამოსასწორებელი, ვიდრე ამას ვაღიარებდით და ის, რაც კარგი იყო ჩვენში, განმტკიცებას საჭიროებდა, მოსალოდნელი გამოწვევებისთვის რომ გაეძლო.

ნაცვლად იმისა, რომ ღვთისთვის მიგვეცა ჩვენი გემბანების გაწმენდის საშუალება, თავად დავიწყეთ ერთმანეთის წმენდა. წყვილი, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ მათი ქორწინება უშუალოდ ზეცაში გადაწყდა, ნეტარების ადგილიდან ძირს ჩამოვარდა. ეკლესიაში კვლავ კარგი რეპუტაცია გვქონდა, მაგრამ სახლში ჩვენი ცხოვრება წააგავდა სატელევიზიო შოუს „ბრძოლა წესების გარეშე“ (WWF Monday Night Raw).

ქორწინების პირველ წელს იყო დრო, როცა ჩვენი ურთიერთობისთვის შეიძლებოდა „ინტენსიური მოზიარეობა“ გეწოდებინათ. ჯონს არ უნდოდა, რომ მე (ლიზა) ოთახიდან გავსულიყავი, ასე რომ ლოგინზე დაჯდომა შემომთავაზა. მე ოთახიდან გასვლას ვაპირებდი, სანამ რაიმე ისეთს ვიტყოდი, რაც დილით სანანებელი მექნებოდა. ჯონმა მითხრა, საწოლზე დავმჯდარიყავი, მაგრამ უკვე დაწყებული მქონდა მოძრაობა ოთახიდან გასასვლელად. იგი შეეცადა, ძალით დავესვი საწოლზე, რომ პრობლემაზე გველაპარაკა. ჩემი წინ გადახრით მოძრაობისა და ჯონის ძალდატანების კომბინაციამ იატაკზე დამაგდო.

ფეხზე რომ წამოვხტი, ხელში ტორშერი მეჭირა. ჯონი გაოცებით მიყურებდა. სახეზე შიში აღბეჭდოდა.

„ამით რის გაკეთებას აპირებ?“ – მკითხა მან.

„არ ვიცი“ – წავიბურტყუნე მე.

ამ სასაცილო სცენამ ორივე დაგვაშოშმინა და ლაპარაკი მშვიდად გავაგრძელეთ, თუმცა პრობლემის ფესვი გადაუჭრელი დარჩა.

რამდენიმე დღის შემდეგ ერთ ჩემს მეგობართან ვსადილობდი. იგი ჩემზე ადრე გათხოვდა, ამიტომ გული გადავუშალე და ჩემს ოჯახურ ბრძოლებზე ვუამბე. თუმცა ტორშერის შემთხვევაზე პირდაპირ საუბარს მოვერიდე და უფრო შორიდან მოვლა ვარჩიე. მეგობარს სხვათა შორის ვკითხე: „ოდესმე გქონია ქმართან უთანხმოება ისე, რომ მოულოდნელად ტორშერით ხელში აღმოჩნდი მის წინ?“

მან ისე შემომხედა, რომ კითხვის აბსურდულობაში დამარწმუნა. „არა!“

მეც სწრაფად ვუპასუხე, „არც მე!“

აშკარად ვიცრუე. ალბათ, ჩემი მეგობარი დაასკვნიდა, რომ ჩემი უცნაური კითხვა დახმარების ვედრებას წააგავდა. ოჯახურმა თვალთმაქცობამ საუბრის გაგრძელებისგან თავი შეგვაკავებინა.

მე და ჯონს ისეთი შეგრძნება გვქონდა, რომ წასასვლელი არსად გვქონდა. მნიშვნელოვანი საკითხები მწიფდებოდა ჩვენს ოჯახში, მაგრამ არ ვიცოდით, საიდან დაგვეწყო. ეკლესიაში ჩვენს დაპირისპირებას ვმალავდით და ტკივილსაც არავის ვუმხელდით. ვიცოდით, რომ ურთიერთდაპირისპირება თანდათან მწვავდებოდა, მაგრამ რა უნდა გვეღონა, არ ვიცოდით?! ჩვენი მდგომარეობის უიმედობა და სირცხვილი ისედაც ცუდ ვითარებას კიდევ უფრო აუარესებდა. საბოლოოდ, დაძაბულობა ჩვენს ოჯახში აუტანელი გახდა.

მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო. ჩვენმა კონფლიქტმა კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა მე (ჯონმა) ლიზას გავარტყი. ამ შემთხვევამდე ფიზიკურად ვეხებოდით ერთმანეთს, ნავუბიძგებდი ხოლმე მას, ახლა კი პირველად გავარტყი. უცებ გავიაზრე, რაც ჩავიდინე. ჩემმა საქციელმა შემაძრწუნა და სინდისის ქენჯნა ვიგრძენი. ლიზამ საპასუხო დარტყმა მაგემა და აბაზანაში ჩაიკეტა. იმ საღამოს ორივე საწოლისკენ გავემართეთ დანაკარგის შეგრძნებით.

მომდევნო დილას ორივე გავემზადეთ სამუშაოზე წასასვლელად. ლიზა ხმას არ იღებდა და საოცრად მიუწვდომელი იყო. ისე ჩანდა, რომ ჩვენმა უერთიერთობამ დაკარგა ყოველგვარი სიწმიდე და ნდობა. ორივე სრული დროით ვიყავით დასაქმებული და სამუშაო კვირის ბოლოს ჩვენს შორის მანძილი კიდევ უფრო გაიზარდა. ლიზა იმ დროს ვაჭრობის სფეროში მუშაობდა და განზრახ გვიან მოდიოდა სახლში მაღაზიების შემოწმების საბაბით, რომ ჩემთან კონტაქტისთვის თავი აერიდებინა. როცა სახლში გამოჩნდებოდა, ჩემთან საუბარს ან ჩემთან ერთად ვახშმობას ერიდებოდა და პირდაპირ საწოლი ოთახისკენ მიემართებოდა წიგნის საკითხავად. მოუთმენლად ველოდებოდი უქმე დღეებს, რომ შექმნილი ვითარება მოგვეგვარებინა.

ჩემი ფიცი

ჯერ კიდევ ახალგაზრდა გოგო ვიყავი, როცა მე (ლიზამ) დავიფიცე, რომ მივატოვებდი ჩემს მომავალ ქმარს, თუ ოდესმე გამარტყამდა. ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც ძალადობა იყო გამეფებული და მაძრწუნებდა მსგავს მდგომარეობაში ჩავარდნის შიში. როცა ჯონმა გამარტყა, ჩემი ფიცი გავიხსენე და ცხოვრების მიმართულების შეცვლის გადაწყვეტილების წინაშე დავდექი. შემეძლო თუ არა ოჯახში დარჩენა? შემეძლო მყვარებოდა და თავი მიმეძღვნა მამაკაცისთვის, რომელმაც ხელი აწია ჩემზე?

ჩემი თანამშრომლები ხვდებოდნენ, რომ რაღაც ძლიერ მაღელვებდა. ერთ-ერთი ზედამხედველი მიხვდა, რაშიც იყო საქმე. ამ ქალმა კითხვების დაუსმელად მითხრა, რომ ქმარს

დაუყოვნებლივ გავშორებოდი. შაბათ-კვირას ველოდებოდი, რომ ჯონი სახლიდან გამებრძანებინა. გარდა ამისა, თანამშრომლებსაც ვესაუბრებოდი და თან დ-რ ჯეიმს დობსონის წიგნს, *Love Must Be Tough (სიყვარული უკომპრომისო უნდა იყოს)*, ვკითხულობდი, რომელმაც შთამაგონა, რომ შექმნილი ვითარება კრიზისამდე მიმეყვანა.

როცა ჯონი საღამოს დაბრუნდა, სახლში შემოსვლა ვეღარ შეძლო. ჩავკეტე კარის საკეტი, რომელიც მხოლოდ შიგნიდან იღებოდა. მას შემოსვლის შანსი აღარ დარჩა. იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო მობილური ტელეფონები. ასე რომ, ჯონი გარედან ყვიროდა, „ლიზა, სახლში მოვედი! გთხოვ, შემომიშვი!“ როგორც იქნა, ფანჯარა გამოვაღე და ვაცნობე, რომ მშვენივრად ვიცოდი, სადაც იყო, მაგრამ ღამის გასათევი სხვაგან უნდა ეპოვნა. ჯონი ყურებს არ უჯერებდა. ცოტა ხნის შემდეგ მიხვდა, რომ სახლში ვერ შემოვიდოდა და გადაწყვიტა, მეგობართან დარჩენილიყო, ვითომდა ლოცვა-მარხვის საბაბით.

ახლა, რაკი ჩემი თავისთვის მოვიცალე, გადავწყვიტე, ღმერთთან სერიოზული საუბარი გამემართა. ვფიქრობ, ჩემი თავდაპირველი ლოცვა რაღაც ამდაგვარი იყო: „კარგი, ღმერთო რამდენიმე იდეა მაქვს შენთვის. სანამ ჯონი წასულია, გამოცხადება უნდა მიიღოს, რა საშინლად მექცეოდა. იქნებ კოშმარი გაუგზავნო ან მეხის დარტყმით შეაშინო. არ მინდა, რომ მოკლა, რადგან ამისთვის სიცოცხლის დაზღვევის თანხა არ მეყოფა!“

მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენს ვლოცულობდი ჯონის შესახებ. ერთადერთი პიროვნება, ვისზე ლაპარაკიც ღმერთს ჩემთან უნდოდა, თავად მე ვიყავი. ღმერთს სულაც არ ჰქონდა განზრახული, რომ ჩემთან ჯონზე ელაპარაკა. მას სურდა, ყურადღება მიმექცია ჩემი გულის მდგომარეობისთვის. მან ასე მითხრა: „ლიზა, შენ ქორწინებაში ზებუნებრივი ჩარევა გჭირდება. და თუ გსურს ქორწინებაში ზებუნებრივი ჩარევა, ზებუნებრივადაც უნდა იმოქმედო. ეს ნიშნავს, რომ აპატიებ მაშინ, როცა ფიქრობ, რომ ამას არ იმსახურებს!“

„ლიზა, – განაგრძობდა ღმერთი, – შენ ჯონის შესახებ ანგარიშს აწარმოებ!“

ანგარიშის წარმოება

როცა მე და ჯონი ვკამათობდით, მხოლოდ იმ საკითხს არ ვეხებოდით, რაც მაშინ გვაღელვებდა. ჩვენ ქორწინების თვეების განმავლობაში ნაგროვებ საბრძოლო მასალას ვიყენებდით, რომ ერთმანეთი დაგვემცირებინა და შეგვერცხვინა. ყოველი უთანხმოების საფუძველი შეურაცხყოფის შემთხვევების, ბრალდებებისა და სიმწარის გამუდმებით მზარდი ჩანაწერი

გახლდათ. პატარა გაუგებრობაც კი იმხელა მასშტაბებს იღებდა, რომ გრანდიოზულ ომში გადაიზრდებოდა.

ამ გახანგრძლივებული კონფლიქტების მთავარი დამნაშავე მე ვიყავი, მაგრამ არ მინდოდა ჯონისთვის წარსული წყენა მეპატიებინა. იმ ტკივილის გამო, რომელიც ჩვენს ურთიერთობაში შემოვიტანე, მეშინოდა, რომ მისი შეცდომების დავიწყებით საკუთარ ემოციურ და ფიზიკურ სიმშვიდეს საფრთხეს შევუქმნიდი. და მაინც, ღმერთმა მითხრა, რომ ჯონი ჩემგან პატიების ღირსი იყო, თუმცა სრულყოფილებისგან შორს გახლდათ.

ისევ ვაგრძელებდი ღვთის ყურადღების ჯონისკენ გადატანას, მაგრამ ღმერთი ამაში ვერ დავითანხმე. მე ისევ ვევედრებოდი, „ყოველთვის მე რატომ უნდა შევიცვალო? ვიმედოვნებ, რომ ჯონსაც ეტყვი იგივეს, რადგან იგი შეცვლას არ აპირებს, თუ არ ეტყვი?“

მთელი ამ ხნის განმავლობაში ღმერთი ჩემი გულის გახრწნილებას მიცხადებდა. მალე სიამაყემ და ეგოიზმმა წამოყვეს საზიზღარი თავები. ერთმა აზრმა მიიქცია ჩემი ყურადღება: რა მოხდებოდა, როცა კვირა დღეს ხალხი დაინახავდა, რომ მე და ჯონი ეკლესიაში ერთად არ ვიჯექით და არც ხელი გვქონდა ჩაკიდებული. გადავწყვიტე, მისთვის სახლში დაბრუნების უფლება მიმეცა, რომ ტანსაცმელი გამოეცვალა და ეკლესიაში ერთად წავსულიყავით, რომ გარეგნული რეპუტაცია შეგვენარჩუნებინა. სულ არ მაღელვებდა ჯონი ან ჩვენი ურთიერთობა. უფრო ის მაინტერესებდა, ხალხი რას იფიქრებდა. ჩემი სიამაყე ხელს მიშლიდა, რომ ღვთის მადლის გარდამქმნელი ძალა განმეცადა მაშინ, როცა ასე ძალიან მჭირდებოდა.

ბოლოს და ბოლოს, დავნებდი და ღმერთს ნება მივეცი, რომ ჩემი გული შეეცვალა. ჯონის საზიზღარი შეცდომის მიუხედავად, ვარჩიე ჩემი წილი დანაშაული მეღიარებინა. როგორც კი თავი დავიმდაბლე, ღვთის მადლით ავივსე. თავმდაბლობა ყოველთვის ხსნის მადლის უხვ ნაკადს:

> „. . . ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს.“
>
> – 1 პეტრ. 5:5;

ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ჯონს ვერ შევცვლიდი. ეს მხოლოდ ღმერთს შეეძლო, მაგრამ მისთვის ამის საშუალება უნდა მიმეცა.

ჯონი უქმეების შემდეგ სულ სხვა ადამიანად დაბრუნდა. ღმერთმა მას ჭკუა ასწავლა ჩვენი ქორწინების პირველსავე წელს, ასე რომ, ჩემთვის აღარასოდეს დაურტყამს თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში. ჩვენი ერთობა გარდაიქმ-

ნა, რადგან ორივე თავმდაბლობით გამოვეხმაურეთ უფალს და ერთმანეთს სრული აღდგენის და შერიგების იმედით.

ამბის მორალი

ვისურვებდით, გვეთქვა, რომ იმდროინდელი ჭრილობები ერთ ღამეში მოგვიშუშდა, მაგრამ ასე არ ყოფილა. მომდევნო ორი წლის განმავლობაში ჩვენი ქორწინება დიდი ემოციური ქარტეხილებით და ბრძოლით ხასიათდებოდა, როცა ვცდილობდით ერთად ცხოვრებას ისე, რომ ღვთისთვის პატივი მიგვეგო. მოვისმინეთ რჩევა, რომელიც ცვალებადობდა ორივეს უფროსობიდან საბოლოო ჯამში, ლიზას ხმის უფლებისა და ფუნქციის გაქრობამდე.

სულიერი უმწიფარობისას ხშირად ვუტევდით ერთმანეთს, როცა ღმერთი თავის საქმეს აკეთებდა თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში. ჩვენი ქორწინების პირველი ოთხი წლის შემდეგ თავს განადგურებულად ვგრძნობდით. გარკვეული თვალსაზრისით, ჩვენი შეცდომების შედეგებს ვიმკიდით. გარშემო ჩვენი წარუმატებლობის ფიზიკურ დასტურსაც ვხედავდით დაზიანებული მაცივრის ან გამოცვლილი ფანჯრის სახით. თუმცა ღმერთს ჩვენი იმედი არ დაუკარგავს. იგი ჩვენი შეცდომების გამოსყიდვას ცდილობდა გემბანის გასაწმენდ შესაძლებლობებად მათი გადაქცევით. რაც მტერმა ჩაიფიქრა ჩვენი ქორწინების გასანადგურებლად, ღმერთმა ჩვენი მომავლის საფუძვლად გამოიყენა.

არასდროს დაგვიმალავს, რომ ბრძოლები გადავიტანეთ, მაგრამ ჩვენს სწავლებებში ამდენი დეტალი არ მოგვიყვანია. ახლა გაცილებით მეტ ინფორმაციას გაწვდით არა იმიტომ, რომ ჩვენი ქცევის გამართლება გვინდა, არამედ თქვენს გასამხნევებლად, რომ სასიკეთო ცვლილებები მოდის. ასევე ვაცნობიერებთ, რომ ყოველ ძალადობას არ აქვს ბედნიერი დასასრული და არც ერთ მამაკაცს ან ქალს არ მოვუწოდებთ იმ ვითარებაში დარჩენას, სადაც ისინი ან მათი შვილები უსაფრთხოდ არ იქნებიან. იყავით დაცული და მიიღეთ საჭიროზე მეტი დახმარება კონკრეტულ მომენტში!

იმ რთულ პერიოდში ჩვენი ქორწინება სრულიად უიმედოდ გამოიყურებოდა. და მაინც, ოცდაათი წლის შემდეგ გაცილებით მეტად ვხარობთ ერთობლივი ცხოვრებით, ვიდრე უწინ. ჩვენი ქორწინება საოცარია და ღვთის სასწაულმოქმედი ძალის ნამდვილ მოწმობას წარმოადგენს. იმის თქმა არ გვინდა, რომ ასეთი ბრძოლის ველი მეტად არასოდეს შეგვხვედრია. თუმცა ერთი რამ ცხადია: თუ ერთმანეთის სიყვარულს ავირჩევთ, ღმერთი ერთგულად დაგვიდგება გვერდში ერთმანეთის გადასარჩენად.

არ ვიცით, როგორია თქვენი ურთიერთობა ახლა, მაგრამ გარწმუნებთ, რომ იმედი არის! ღვთისკენ მოაბრუნეთ გული და მასში საქმიანობის უფლება მიეცით. თქვენ ვერ შეცვლით თქვენს მეუღლეს, მაგრამ მას შეუძლია. მას გადააბარეთ ეს პასუხისმგებლობა. იგი შესანიშნავ ცვლილებას წამოიწყებს, თუ ამის ნებას მისცემთ.

სიტყვა ძალადობაზე

გვინდა ამ საკითხს ნათელი მოვფინოთ. ქმარო, ცოლის ფიზიკური შეურაცხყოფა არასოდეს არის კარგი. ბიბლია ამბობს, რომ მას პატივი უნდა მიაგოთ, როგორც უუძლურეს ჭურჭელს (იხილეთ 1 პეტრ. 3:7). ცოლის ემოციური და თუნდაც ფიზიკური შემოტევა ანალოგიური პასუხის გაცემის უფლებას არ გაძლევთ. ყურადღება არ მიაქციოთ, თუ ასეა საჭირო! ნუ უპასუხობთ ფიზიკური ძალადობით, თუნდაც ეს ცოლის შემოტევებს შეეხებოდეს, თუ არა და მის ნდობას უღალატებთ! იგი თავს მშვიდად ვერასოდეს იგრძნობს თქვენს მკლავებში! თუ ძალადობას უკვე მიმართეთ, სასწრაფოდ მოინანიეთ ღვთის წინაშე და მეუღლეს პატიება სთხოვეთ.

ცოლო, თქვენი ქმრის ბუნებრივი სურვილია თქვენი დაცვა. ღმერთმა ბევრ კაცს სწორედ ამ მიზნით მისცა უფრო მეტი ძალა. შესაძლოა, თქვენი ფიზიკური შემოტევები სიბრაზის ჩვეულ გამოვლინებად მიგაჩნიათ, რომელიც სრულიად უწყინარია, თუ არავითარი ფიზიკური ზიანი არ მოჰყვება. თუმცა მისთვის თქვენი შეტევები გამანადგურებელია. სწორია თუ არასწორი, კაცები ასე არიან მომართული, რომ ფიზიკურ დარტყმას დარტყმითვე უპასუხონ. ჩვენ არ გიწვევთ და არც უფრო ცუდ გრძნობებს აღგიძრავთ ერთმანეთის მიმართ! პირიქით, საუკეთესო გვსურს თქვენთვის. თუ ქმრის მიმართ ძალადობას იჩენთ, მოინანიეთ და დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ ამგვარი ქცევა!

შესაძლოა, ისეთ ოჯახში გაიზარდეთ, სადაც ძალადობა ჩვეულებრივი ამბავი იყო. შესაძლოა, ოჯახის წევრები იტანჯებოდნენ სიტყვიერი, ემოციური ან ფიზიკური ძალადობისგან. ქრისტიანული დარიგება ცხოვრებისეული და ოჯახური პრობლემების გადაჭრისთვის საჭირო იარაღებს განვდით. ბევრი ეკლესია ამ საკითხზე პატარა ჯგუფების სწავლებას ატარებს. ნუ შეგრცხვება პროფესიონალური და სულიერი დახმარების მოძიება!

ეს ეხება ორივეს, როგორც ქმრებს, ისე ცოლებს: თუ თქვენი მეუღლე თავს უსაფრთხოდ არ გრძნობს თქვენს გვერდით, თავი ანებეთ მასთან დაახლოების მცდელობებს და მისი ნდობა მოიპოვეთ! ნუ დააძალებთ საუბრის გამართვას გარემოში,

სადაც თავს კარგად არ გრძნობს! თუ ასე მოიქცევით, სიტუაციას გაამწვავებთ და დიდი ალბათობით, ჩაიდენთ რაღაც ისეთს, რასაც შემდეგ ინანებთ!

დღე 2

წყენა

პატიება პატიმრის განთავისუფლებას და იმის აღმოჩენას
ნიშნავს, რომ ის პატიმარი თქვენ იყავით.
– ლუის ბ. სმიდსი

პირველი, რისგანაც თქვენი ქორწინების გემბანი უნდა გაწმინდოთ, წყენა გახლავთ. წყენა იმდენად შხამიანია, რომ ამ თავის უმეტეს ნაწილს მხოლოდ მის განხილვას დავუთმობთ.

პატიებაზე უარის თქმა თავისუფლებას გვაკარგვინებს და ჩვენს სწრაფვას აბრკოლებს. იგი გადაგვარებულ სიამოვნებას განგვაცდევინებს შურისძიების დევნაში, რომელიც უსასრულო და ტანჯვით სავსე ძიებაა. პატიების აქტი როგორც შეურაცხყმოფელის, ისე შურაცხყოფილის განთავისუფლება გახლავთ.

ბევრი დარწმუნებულია, რომ პატიება მანამდე უნდა დაუკავდეს ადამიანს, სანამ მის საქციელს შესაბამისი რეაგირება არ მოყვება. რამდენ ჩვენგანს უთქვამს, „მაშინ ვაპატიებ, როცა შეიცვლება“? ღვთის სასუფეველში პატიება არჩევანის საკითხი არ გახლავთ. ეს ცხოვრების წესია. რამდენადაც მეტს ვპატიობთ, იმდენად ვემსგავსებით ჩვენს ზეციერ მამას. თუ მისი სიდიადის წარმოჩინებას ვაპირებთ, პატიების ძალაც უნდა გავითავისოთ.

პავლე გვავალებს:

„შეიწყნარეთ ერთმანეთი და მიუტევეთ ერთმანეთს, თუ ვინმესთან რაიმე სადაო აქვს ვინმეს, როგორც ქრისტემ მოგიტევათ, ასევე – თქვენც!“

– კოლ. 3:13;

ეს ხშირად ძნელი გასაკეთებელია. იგი ბრძანებაა და არა რჩევა! აქ მოცემული არ არის რაიმე პირობები ან გამონაკლისი. ღმერთი გვეუბნება, რომ ვაპატიოთ ჩვენს შეურაცხმყოფლებს. ამბის დასასრული.

ხშირად ლიბერალური აზროვნებით და თავის მართლებით ვუდგებით საკუთარ შეცდომებს და სხვებისგანაც იგივეს ვე-

ლოდებით. თუმცა აღმოვაჩენთ, რომ გაცილებით გვიძნელ-
დება სხვების, განსაკუთრებით კი, მეუღლის პატიება. თუ ვინ-
მეს არ შეუძლია პატიება, ავიწყდება, რომ თავადაც ეპატია.
ბევრი ჩვენგანი გახდა მართალი საკუთარ თვალში და დაავი-
წყდა, რომ ყველანი საუკუნო სატანჯველს ვიმსახურებდით.
ჩვენი შეურაცხყოფა ღვთის მიმართ იმდენად დიდი იყო, რომ
მან ერთადერთი ძე გაწირა მისი შედეგების აღმოსაფხვრელად.
ქრისტემ ჯვრიდან განაცხადა თავის პატიებაზე, როცა გამ-
წარება ბევრად ადვილი გამოსახატავი იქნებოდა. მან მანამ
მოგვიტევა, სანამ მის პატიებას დავიმსახურებდით და ჩვენც
ასევე უნდა მოვიქცეთ!

ალბათ, არ დაგვჭირდება თქვენი დარწმუნება, რომ თქვენი
მეუღლე სრულყოფილი არ არის. არავინ არის ასეთი! თუმცა
შეცდომები ღვთის მადლია გავრცობის შესაძლებლობას გვა-
ძლევს. პატიების სურვილი ქრისტეს ჩვენში ყოფნის უდიდესი
დასტურია.

ტკივილისგან გათავისუფლება

როცა ახალდაქორწინებული ვიყავით, სწორედ მე (ლიზა)
ვამბობდი, „გაპატიებ, თუ შეიცვლები“. სანამ ჯონი საქციელს
არ გამოასწორებდა, ჩემი მიმდინარე სია, რომელშიც მის შეც-
დომებს ვინიშნავდი, თანდათან იზრდებოდა. ვფიქრობდი, რომ
პატიების დაკავება მას ცვლილებების სურვილს გაუჩენდა, მა-
გრამ ეს მას მსჯავრდების, უიმედობის და უღონობის მდგო-
მარეობაში ტოვებდა.

ყველაფერი შეიცვალა, როცა ღმერთმა მაჩვენა, თავად რო-
გორ პატიებდა. მისი მიტევება გარდაქმნილი ქცევის საზღაუ-
რი არ გახლავთ. ეს ნდობის გამოძახილია. რაკი ღმერთმა პა-
ტიებაზე ჩემი შეხედულება შეცვალა, ბაგიდან ძველი სიტყვები
მომაშორა და მისი გულის ამსახველი სიტყვებით ჩაანაცვლა:
„დარწმუნებული ვარ, რომ შეცვლა გინდა, ამიტომ გპატიებ!“

იმ დროისთვის ვერ ვაცნობიერებდი, რამდენად მნიშვნელო-
ვანი იყო ჩემთვის ჯონის პატიება. მოგვიანებით გავაანალიზე,
რომ ჩემი გამწარება ქმრის მიმართ ებრძოდა მასში ცვლილების
უნარს, რადგან იესომ თქვა:

> „ვისაც მიუტევებთ ცოდვებს, მიეტევებათ, ვისაც დაუკა-
> ვებთ, დაეკავებათ!“
>
> – იოან. 20:23;

ეს მუხლი საუკუნეების განმავლობაში არასწორად იყო
გაგებული და შიშისა და შევიწროების გავრცელების იარაღად

იქცა. ეს არ ყოფილა იესოს თავდაპირველი განზრახვა. როცა მის მსახურებას მთლიანობაში შევისწავლით, მისი სიტყვების მიზანსა და მნიშვნელობას ვაცნობიერებთ. იესოს სხვებზე მეტად ესმის პატიების ძალა, რადგან მისით შეგვირიგა შეურიგებელნი.

გახსოვდეთ, რომ 2 კორ. 5:17-20-ის თანახმად, ჩვენ ვართ შერიგების მსახურნი, რომელთა მეშვეობით ღმერთი ქვეყნიერებას მიმართავს. ჩვენ უნდა დავადასტუროთ და გავავრცელოთ ქრისტეში შემოთავაზებული პატიება. როცა განაწყენებული ვრჩებით, ვწყვეტთ ღვთიური იმედის გამოცხადებას და ვეთანხმებით მას, ვინც ჩვენი ძმების ცილისმწამებლად იწოდება. ჩვენ მსჯავრს ვადებთ მათ, ვისაც ღმერთი ახალ დასაწყისს სთავაზობს. გ. ლ. ბოშერტი იესოს სიტყვებს ასე განმარტავს: „საჭიროა, ვაღიაროთ, რაოდენ მნიშვნელოვანია პატიების გამოცხადება წარსული ცოდვებისა და დანაშაულის გრძნობისგან ადამიანთა განთავისუფლების საქმეში, რადგან ამით ყურადღება ექცევა აღმდგარ ქრისტესთან ერთად ცხოვრების სიხარულს სულიწმიდის ხელმძღვანელობით.“[4]

პატიება ღვთაებრივი აქტია. არც ერთი სხვა სათნოება არ მოითხოვს საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებას ამ მასშტაბით. ეს არის გაცნობიერებული არჩევანი, რომ დაზარალებული დარჩე თავის გამართლების ნაცვლად. თავის გაწირვით ღვთისგან მიღებული ვართ. პატიების არჩევით უარს ვამბობთ საკუთარი გრძნობების თაყვანისცემაზე და ჩვენს თავს ღვთის ჭეშმარიტებას ვუმორჩილებთ. მეუღლის პატიებით მათ შესაძლებლობას ვუქმნით, რომ აღიარონ და მიიღონ ღვთიური მოწვევა, გარდაიქმნან მისი მადლით.

როცა ღმერთთან მონანიებით მოვდივართ, მისი პასუხი ასეთი როდია: „მე ღმერთი ვარ და ვიცი, რომ ამას კიდევ გააკეთებ ორი კვირის შემდეგ!“ იგი უბრალოდ ამბობს: „გპატიებ“ და შეცვლის ძალას გვაძლევს. ღმერთს მარცხი არ განუსაზღვრავს ჩვენი მომავლისთვის! იგი იმედს და აღთქმას გვიცხადებს ყოველ ტანჯვაზე. მოდით, ანალოგიურად მოვექცეთ ერთმანეთს!

სულის გაღება

წყენა ჩვენი სულების ჩაკეტვას იწვევს. ვცდილობთ, ტკივილი ხელახლა არ ვიგრძნოთ, ამიტომ გულების გარშემო კედლებს ვაგებთ. გვგონია, რომ კედლები დაგვიცავს, მაგრამ რეალურად, ისინი ანგრევენ ჩვენს უნარს, რომ მივიღოთ და გავცეთ ქრისტეს სიყვარული. მისი სიყვარულის გარეშე ჩვენს ცხოვრებას მიზანი და ძალა აკლია. ჩვენი მიზანი თვითგადარჩენა გახდება, ხოლო ჩვენი მოქმედებები ეგოიზმს გამოავლენს.

საბოლოო ჯამში, გულები გაგვიქვავდება და სხვების მიმართ გულგრილობა ჩვენი ცხოვრების ნიშან-თვისებად იქცევა. ეს გახლავთ სახარების ანტითეზა.

ალბათ, თქვენთვის ცნობილია გალილეის და მკვდარი ზღვების სახელები. ესენია ორი ყველაზე დიდი და კარგად ცნობილი წყლის აუზი ისრაელში. გალიელის ზღვა ჩრდილოეთიდან იღებს წყალს და სამხრეთში გზავნის. წყლის ეს გამუდმებული ცვლა მას სიცოცხლისთვის ვარგისს ხდის და მის სიღრმეებში სხვადასხვა წყლის ბინადარნი მკვიდრობენ. ამის საპირისპიროდ, მკვდარი ზღვა წყალს მხოლოდ იღებს. ყველაფერი, რასაც ის იღებს, მასშივე რჩება. იმის გამო, რომ მკვდარი ზღვიდან წყალი არ გადის, მის მარილიან ეკოსისტემაში მხოლოდ უმცირესი ბაქტერია ან სოკო თუ გადარჩება, რაზეც მისი სახელიც მეტყველებს.

როცა ნაწყენი ვრჩებით, მკვდარ ზღვას ვემსგავსებით. ჩვენი ჩაკეტილი სულები იმ გარემოდ იქცევა, სადაც კარგი ვერაფერი იხარებს ან გადარჩება. პატიების მეშვეობით გულებს ხელახლა ვაღებთ ღვთის ძალის შემოდინებისა და გაცემისთვის.

პატიების მიღება-გაცემის უარმყოფელი, საბოლოოდ, თავის თავს იწამლავს. ჩვენ არ ვართ თვითკმარი არსებები. ასეთი მხოლოდ ღმერთია. ჩვენი სიცოცხლისუნარიანობა ჰარმონიულ გაცვლა-გამოცვლას მოითხოვს იმათთან, ვისთან ერთადაც ვცოცხლობთ; ჩვენ უშურველად უნდა გავცეთ და მივიღოთ.

პატიების საზღვრები

ალბათ, ასე ფიქრობთ: *ჩემი აზრით, ჩემს მეუღლეს გამუდმებით სჭირდება პატიება. ჩემი მოთმინება ამოუწურავი როდია? მასაც აქვს საზღვრები!* მოწაფეებიც ანალოგიურად აზროვნებდნენ:

> „მივიდა მასთან პეტრე და უთხრა: „უფალო, რამდენჯერ უნდა მივუტევო ჩემს ძმას ჩემს წინააღმდეგ თუ შესცოდა? შვიდჯერ?“
>
> „უთხრა მას იესომ: „მე არ გეუბნები, შვიდჯერ-მეთქი, არამედ სამოცდაათგზის შვიდჯერ.“
>
> – მათ. 18:21-22;

როცა პეტრემ ეს კითხვა დასვა, შეეცადა, რაც შეიძლება დიდსულოვანი გამოჩენილიყო. პეტრე რჯულის ქვეშ აღიზარდა, რომელიც ამბობდა, „და არ შეიბრალოს ის შენმა თვალ-

მა: სული სულის წილ, თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ, ხელი ხელის წილ. ფეხი ფეხის წილ!“ (2 რჯ. 19:21). სწორედ ამიტომ, როცა პეტრემ შვიდგზის პატიება შესთავაზა, იესოსგან შექებას მოელოდა: „ ყოჩაღ, პეტრე, სწორად მიხვდი!“

ახალი აღთქმის სხვა ადგილიდან ვიცით, რომ პეტრეს შვიდგზის პატიება იყო ის ზღვარი, რაც მას, სავარაუდოდ, რომელიმე ადამიანის საპატიებლად დასჭირდებოდა (იხილეთ ლუკ. 17:3-4). ამრიგად, იესოს პასუხი „სამოცდაათგზის შვიდჯერ“ პატიების შესახებ არ იყო მისი მცნება პატიების უფრო დიდი ზღვრის შესახებ მთელი ცხოვრების განმავლობაში. იგი პეტრეს უცხადებს, რომ პატიება განუსაზღვრელი უნდა იყოს.

იესოს მიერ აღწერილ საფეხურზე შემცოდე ადამიანმა დღეში 490 წყენა უნდა მიაყენოს ვინმეს! ამ რიცხვის გათვალისწინებით, თქვენმა მეუღლემ ყოველ სამ წუთში ერთხელ მაინც უნდა გაწყენინოთ იმ პირობით, რომ არც ერთი თქვენგანი არ დაიძინებთ. ეს მეტისმეტად ბევრია! იმაზე გაცილებით ბევრი, ვიდრე ვინმეს ამის მოხერხება შეუძლია! თუნდაც რომ გაწყენინოთ თქვენმა მეუღლემ დღეში 490-ზე მეტჯერ, ეს არ ნიშნავს, რომ 491-ჯერ აღარ უნდა აპატიოთ.

წმიდა წერილში ციფრი შვიდი სისრულის სიმბოლოა, განსაკუთრებით ცასა და მიწას შორის. იესომ რიცხვი 490 ანუ შვიდზე ნამრავლი გამოიყენა პატიების სრულყოფილების გადმოსაცემად, რითაც ჩვენი ზეციერი მამის სტანდარტი წარმოგვიდგინა. ეს დიდსულოვანი პატიება მხილოდ იმიტომ ხდება შესაძლებელი, რომ ქრისტემ აღგვადგინა ღვთის წინაშე. მასშია ჰარმონია მამა ღმერთსა და მის შვილებს შორის. ამრიგად, ჩვენ ვართ ძალით მოსილნი საპატიებლად, რადგან ახლა ქმნილებებს წარმოვადგენთ ახალი გულებით. ჩვენმა გულებმა უსასყიდლოდ მიიღო მისი პატიება და სულიერი სიჯანსაღის შესანარჩუნებლად ასევე უსასყიდლოდ უნდა გავცეთ ის სხვების მიმართ.

ვიცით, რომ იესო ჩვენგან ამოუწურავ პატიებას მოითხოვს, რადგან პეტრესთან საუბრის შემდეგ მას სულგრძელი ბატონისა და უმოწყალო მონის იგავი მოჰყავს, რომელიც ასეთი განმარტებით სრულდება:

> „განრისხდა ბატონი და გადასცა იგი მტანჯველებს, ვიდრე მთელ თავის ვალს არ გადაუხდიდა.
>
> ასევე მოგექცევათ თქვენ ჩემი ზეციერი მამა, თუ ყოველი თქვენგანი გულით არ მიუტევებს თავის ძმას მის შეცოდებებს!“
>
> – მათ. 18:34-35;

პატიებას ვერ მივიღებთ, თუ სხვათა პატიებაზე უარს ვიტყვით. გამონაკლისი არ არსებობს. რატომ არის ღვთისთვის ასე მნიშვნელოვანი, რომ პატიება შეგვეძლოს? იმიტომ, რომ პატიებაში ღვთის ბუნებას აღმოვაჩენთ და ვბაძავთ. ამ დროს თანდაყოლილი ადამიანური უბადრუკობის საზღვრებს მიღმა ვმოქმედებთ და მამა ღმერთს ვემსგავსებით. ღვთიურ პატიებაში სრული ვხდებით და გვეპატიჟებიან, უფრო მეტიც, გვავავლებენ, რომ განვავრცოთ ღვთის სისრულე მათზე, ვისაც ვპატიებთ. თუ თქვენი მეუღლე ხშირად ითხოვს პატიებას, მაშინ ღმერთმა გაკურთხათ, რომ მისი განმკურნებელი ძალის შუამავალი ყოფილიყავით.

წყენის საკითხზე მეტის გასაგებად იხილეთ ჯონის წიგნი „სატანის სატყუარა“.

დღე 3

ბრძოლა: ჯონის ისტორია

იყო დრო ჩვენს ქორწინებაში, როცა ერთმანეთს შეურაცხყოფას ვაყენებდით, დაახლოებით, ზედიზედ თვრამეტი თვის განმავლობაში. ერთი და იგივე კამათი არაერთხელ წამოჭრილა. ერთმანეთის შეპარვით კბენას შვილების თვალწინაც არ ვერიდებოდით. უფროსებს ვერ გაეგოთ რა ხდებოდა და ასეთი სახის შენიშვნებს გვაძლევდნენ, „შეგიძლიათ ამაზე სადილის დროს არ ილაპარაკოთ?“ ჩვენი ტკივილი და უთანხმოება სახლში გამუდმებული დაძაბულობის მიზეზი ხდებოდა და ნელ-ნელა ანგრევდა ჩვენს ქორწინებასა და ოჯახს.

ერთ საღამოს, როცა ჩვეულებისამებრ გამოვლანძღეთ ერთმანეთი, მე (ჯონი) სახლიდან გამოვვარდი. ლიზაზე გაცოფებული ვიყავი და მაშინვე დავიწყე ღვთის წინაშე წუწუნი. შევჩიოდი ლიზას ცუდ თვისებებსა და შორსმჭვრეტელობის ნაკლებობაზე. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ღმერთმა შემომაჩეჩა ცოლი, რომელსაც საერთოდ არ სურდა ჩემი დახმარება და საჭიროზე მეტად კრიტიკული იყო. ვფიქრობდი, რანაირად უნდა გამეგრძელებინა ცხოვრება ასეთი ცოლის ხელში.

არასოდეს დამავიწყდება ღვთის პასუხი. სულიწმიდას ერთი სიტყვაც არ უთქვამს, რაოდენ დამწუხრებული იყო ჩემს გამო და არც ჩემს გულისტკივილს შეხებია. მან უბრალო – წამჩურჩულა: „შვილო, მინდა ერთ რამეზე იფიქრო, რაც ლიზაში მოგწონდა და მადლობა გადამიხადო ამის გამო!“

ცოტა დრო დამჭირდა აზრზე მოსასვლელად, მაგრამ ბოლოს ამოვილუღლუღე: „იგი კარგი დედაა.“ როგორც კი ეს სიტყვები მოსწყდა ჩემს ბაგეს, სიცოცხლის მოძრაობა ვიგრძენი

სულში. ღმერთმა წამიბიძგა, რომ გამეგრძელებინა. მე ვთქვი: „უფალო, მადლობა, რომ ლიზა მართლაც კარგი მზარეულია!“ შემდეგ, „მადლობა, რომ ის ლამაზია.“ უფრო და უფრო მეტი სიტყვები წამოვიდა და ასე გავაგრძელე მადლიერება ლიზას კარგი თვისებებისთვის, რომლებიც ტყვიამფრქვევის ჯერივით სწრაფად მახსენდებოდა.

ამ დროისთვის ლიზაზე აღარ ვბრაზობდი; ასე ვფიქრობდი, *სრული იდიოტი ხარ! შენი ცოლი საოცარია და მასთან შედარებით ბრიყვი ხარ. რა გჭირს?* უცებ მტკივნეულად გავაცნობიერე, რა საშინლად ვექცეოდი ლიზას. იგი ჩემი არჩეული ცოლი და ჩემი შვილების დედა გახლდათ, სრული კურთხევა ღვთისგან და მას ისე ვექცეოდი, თითქოს ჩემი მოწოდებისთვის შეუფერებელი იყო.

როცა სახლიდან წავედი, ლიზას ჩემი დანახვა აღარ უნდოდა და მეც ყელში მქონდა ამოსული მისი საქციელი. ახლა კი უკან დაბრუნება და ლიზასთვის იმის თქმა მომინდა, რაოდენ მადლიერი ვიყავი მის გამო. სახლისკენ მივეშურებოდი და ჩემთვის ვფიქრობდი, *შესაძლოა, კარგად არ მიმიღოს, მაგრამ მაინც უნდა ვუთხრა, რაოდენ მადლიერი ვარ.*

როცა სახლში დავბრუნდი, ლიზა ვიპოვე და წამოვიძახე, „ლიზა, ძალიან ვწუხვარ! რა ბრიყვი ვიყავი. გთხოვ, მაპატიე. საოცარი დედა, შესანიშნავი ცოლი და ჩემი გულის სასურველი ქალი ხარ!“ ვუზიარებდი, რაც ღმერთმა გამახსენა, შემდეგ მისი ქება დავიწყე ყველა დიდებული თვისებისა და უნარებისთვის. სიტყვები ჩემი გულიდან წყალივით მოედინებოდა.

როცა ამას ვამბობდი, ლიზა მოლბა და ტირილი დაიწყო. ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო, რომ მარტო დარჩენილ ლიზას ასე ულოცია: „ღმერთო, თუ ჯონს დააბრუნებ და ის პატიებას მთხოვს, ისევ გავხსნი ჩემს გულს მის მიმართ!“

ბრძოლა: ლიზას ამბავი

მდგომარეობა ისე გამწვავდა იმ თვრამეტი თვის მანძილზე, რომ ნიშნობის ბეჭედსაც აღარ ვატარებდი. ჯონისთვის შემეძლო მეთქვა, რომ დაქორწინებულები კი ვიყავით, მაგრამ ერთმანეთთან არაფერი გვაკავშირებდა. დავიწყე იმის დაჯერება, რომ ჯონი აღარ მიყვარდა. პატიებაზე უარს ვამბობდი, რის გამოც ჩემი გული გაცივდა და ჩვენი ურთიერთობა დიდ საფრთხეში იყო.

იმ დროს ჯონი ბევრს მოგზაურობდა და მივხვდი, რომ მისი არყოფნით უფრო ვხარობდი, ვიდრე მისი სახლში ყოფნით. *ცხოვრება უფრო ადვილია, როცა იგი წასულია,* ასე ვფიქრობდი მე. *მაგიჟებს, როცა სახლშია. დამღალა მუდმივმა ბრძოლამ და დაძაბულობამ.*

სასოწარკვეთილმა შევღაღადე უფალს, „ღმერთო, უკვე ჩიხში შევედით. ჯონი ჩემთვის ისეთი კარგი აღარ არის! მამა, ვიცი, რომ არ მოგწონს მისი საქციელი!“

ასე ვაგრძელებდი. თითქმის ყოვლდღე მიმქონდა ჩემი სათხოვარი ღმერთთან. როცა ბოლოს და ბოლოს, გავჩუმდი, მისი ხმა შემომესმა. „ლიზა, მითხარი, რომ მე საკმარისი ვარ შენთვის!“

თავდაპირველად, ცოტა არ იყოს, შევშინდი. თუ ღმერთი საკმარისია, ეს ნიშნავდა, რომ ჯონი არ შეიცვლებოდა? უფალს თავისი სიტყვები დავუბრუნე: „მამა, შენ საკმარისი ხარ ჩემთვის!“

შემდეგ აღმოვაჩინე, რომ კითხვას ვიმეორებდი. „ჯონის საქმე როგორ იქნება?“

ისევ გავიგონე, „მითხარი, რომ საკმარისი ვარ შენთვის!“

„შენ საკმარისი ხარ ჩემთვის!“[5]

ეს სიტყვები ჩემთვის მისამღერად იქცა. ყოველი კონფლიქტის ან იმედგაცრუების დროს ასე ვლოცულობდი: „იესო, შენ საკმარისი ხარ ჩემთვის.“ დროთა განმავლობაში გამოცხადებამ ფესვი გაიდგა ჩემს გულში და ჩემი ლოცვები შეიცვალა. საცოდავი აღიარება („იესო, შენ საკმარისი ხარ ჩემთვის“) ღვთით დაკმაყოფილების ნაკადში გადაიზარდა: „იესო, შენ საკმარისზე მეტი ხარ ჩემთვის!“

მალე ღმერთმა თავისი საქმე გააკეთა ორივეს გულში. ჯონი სახლში დაბრუნდა მოგზაურობიდან და სიხარულით წავედი აეროპორტში მის წამოსაყვანად (ეს ის საქმიანობა იყო, რომელსაც სხვებს ვანდობდი იმ თვეების განმავლობაში, როცა ჯონის სახლში დაბრუნება საერთოდ არ მინდოდა). ბედნიერი ვიყავი ჩემს ქმართან შეხვედრით და ვნახე, რომ მასაც მშვენიერი საჩუქარი უყიდია ჩემთვის.

თუ ქორწინებაში იესოსეული მიტევების ნიმუშს მივყვებით მაშინაც კი, როცა ცუდად გვექცევიან, დავინახავთ ჩვენი ერთობის გაჯანსაღებას და აყვავებასაც კი. ჩვენთვის გაუცნობიერებლად ვაჩვენეთ შვილებს უდიდესი მაგალითი, როცა ერთმანეთს ბოდიშს ვუხდიდით და პატიებას ვთხოვდით. ბავშვებმა გაიგეს, რომ ჩვენ არასრულყოფილი ქვეყნიერების არასრულყოფილი მკვიდრები ვართ, მაგრამ ღვთის სრულყოფილ პატიებას ჩვენს გულში მრავალი ცოდვის დაფარვა შეუძლია. ცოდვები, რომელთაც ჩვენს ერთობაში ქაოსი და ნგრევა უნდა მოეტანა, საბოლოოდ, ჩვენი შვილებისთვის სიყვარულის, მადლისა და ღვთიური პატიების ცხოვრებისეულ გაკვეთილებად იქცა. ვიხილეთ ჩვენს ოჯახში აღსრულებული სიბრძნის სიტყვები:

„დანაშაულის დამფარველი სიყვარულს ეძებს . . .“

– იგ. 17:9;

თუ წყენის გულში ჩატოვებას არჩევთ, ყველა ზარალდება, რადგან სიყვარული ქრება. თუმცა, პატიების გადაწყვეტილების მიღებით ოჯახის ყველა წევრი იგებს, რადგან სიყვრული იფურჩქნება.

ᲨᲘᲨᲘ

კიდევ ერთი რამ, რასაც ჩვენი ურთიერთობიდან უნდა შევეხოთ, შიში გახლავთ. ქორწინების პირველი ათი წლის განმავლობაში მე (ლიზა) მიტოვების შიშით ვიტანჯებოდი. მამაჩემმა და ჩემმა პირველმა მწყემსმა თავიანთი ცოლები მიატოვეს უფრო ახალგაზრდა ქალების გამო. ჩემი გამოცდილება შიშით გამსჭვალულ აზრებს მაწვდიდა, რომლებიც ჩემს გონებაში უკონტროლოდ იბუდებდნენ. ისინი ხმამაღლა არ გაჰყვიროდნენ, ისინი ჩურჩულებდნენ, *ბოლოს ყველა კაცი მიდის. ნუ მოუშვებ მათ მეტისმეტად ახლოს. ასეთ შემთხვევაში ნაკლები იმედგაცრუება გელის.* ამგვარი აზროვნება სიყვარულის მცირე გამოვლინების მიმართ წინააღმდეგობისკენ მიბიძგებდა. როცა ჯონი მეხვეოდა, მცირე ხნის შემდეგ ხელს ვკრავდი, რომ გავმძვრალიყავი.

ერთხელ, მორიგი „ხელის კვრა-გაძრომის“ შემდეგ ჯონმა კატეგორიული კითხვა დამისვა, „რამდენი წლის უნდა ვიყოთ, რომ მიხვდე, შენს მიტოვებას რომ არ ვაპირებ? იქნებ სამოცდაათ წლამდე ლოდინს აპირებ?” გავშეშდი.

„იქამდე მოვიცდი, რამდენიც საჭირო იქნება, განაგრძო მან, მაგრამ ამ დროის განმავლობაში ბევრ სიხარულს დავკარგავთ.“

გავაცნობიერე, რომ ჯონს ვაზღვევინებდი სხვა ადამიანების შეცდომების გამო იმედგაცრუებისთვის. ვიფიქრე, *რატომ უნდა ზღოს ჯონმა მათი შეცდომებისთვის? ეს უსამართლობაა. საკუთარი თავის დსაცავად ჩვენს ურთიერთობას ვაზიანებ.* მომავალში ჯონის დაკარგვის შიში ორივეს აწმყოს გვაკარგვინებდა. გადავწყვიტე, მთელი გულით შემეყვარებინა ჯონი, თუნდაც მისი დაკარგვის რისკის ფასად, ვიდრე ნახევრად მყვარებოდა და სინანულით მეფიქრა იმაზე, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო.

შიში და უნდობლობა ჩვენგან ფარავს ქორწინების ხიბლს, რადგან შიში მაგრად გვაბამს წარსულთან და თან უარს ვამბობთ იმის რწმენაზე, რომ მომავალში უკეთესია მოსალოდნელი. თუ გვსურს, რომ ღმერთმა რაღაც ახალი შექმნას ჩვენს ქორწინებაში, შიშის უარყოფა უნდა ვარჩიოთ და მივიღოთ ის, რასაც სიყვარული მომავლისთვის გვიწინასწარმეტყველებს. შიში მარცხს ელოდება, ხოლო სიყვარული საბოლოოდ ყოველთვის იმარჯვებს.

შიში სულიერი ძალაა, რომელიც უშუალოდ ღვთის სიყვარულისა და დაცვის წინააღმდეგ არის მიმართული ჩვენს ცხოვრებაში. იგი სიყვარულის საწინააღმდეგოა და ორივე მათგანი, შიშიც და სიყვარულიც უხილავის რწმენით მოქმედებს. სიყვარული მოგვიწოდებს, რომ ეჭვი შევიტანოთ იმაში, რასაც ვხედავთ და ვირწმუნოთ იმის, რაც არ შეგვიძლია. შიში გვაიძულებს, დავუჯეროთ ხილულს და დავეჭვდეთ უხილავში. მარცხის შიშის ან სიყვარულის იმედის წინაშე დგომისას ვირჩევთ ერთს ან მეორეს, მაგრამ შეუძლებელია ორივეს ერთად რწმენა. შიში ადგილს არ აძლევს სიყვარულს, ხოლო სიყვარული დევნის შიშს.[6]

„. . . სრულყოფილი სიყვარული დევნის შიშს. ვინაიდან შიშში ტანჯვაა, ხოლო მშიშარა არ არის სიყვარულში სრულყოფილი. ჩვენ გვიყვარს იმიტომ, რომ პირველად მან შეგვიყვარა.“

– 1 იოან. 4:18-19;

სიყვარულს გარდაქმნის უფრო დიდი უნარი გააჩნია, ვიდრე შიშს – მახეში გაბმის. სრულყოფილი სიყვარული, რომელიც შიშს დევნის, მხოლოდ ღვთის სიყვარულის განცდაში იპოვება. მისი სიყვარულის ძალა საკუთარ თავზე ზრუნვისგან გვათავისუფლებს, რადგან ვიცით, რომ ღმერთი ერთგულია ჩვენი საჭიროებების დაკმაყოფილებაში. თუ ღვთის თანდასწრებაში დროს არ გავატარებთ, მის მოსიყვარულე ბუნებას ახლოს ვერ გავეცნობით, რადგან მისი ერთგულება მის თანდასწრებაში მჟღავნდება.

ღვთის ჭეშმარიტი ბუნების ცოდნის გარეშე გამუდმებულ შიშში ვიცხოვრებთ, რომ ღმერთი ან ჩვენი მეუღლე მიგვატოვებს, რაც სასჯელის დამახინჯებული ფორმაა. როცა ჩვენდამი ღვთის სიყვარულში ვიზრდებით, შიშისგან ვთავისუფლდებით და ჩვენს მეუღლეებს უანგარო სიყვარულს ვთავაზობთ.

„. . . გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგან ღვთისგანაა სიყვარული, ხოლო ყოველი, ვისაც უყვარს, ღვთისგან არის შობილი და იცნობს ღმერთს. ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვნია ღმერთი, ვინაიდან ღმერთი სიყვარულია.“

– 1 იოან. 4:7-8;

შიშის სიმაგრე გვაიძულებს ასე ვიაზროვნოთ, „თუ ჩემი ქმარი ოდესმე მიღალატებს, არასოდეს ვაპატიებ!“ ასეთი აღთქმები, რომლებიც თითქოსდა მომავალში ჩვენს დაცვას

უნდა მოემსახუროს, ხელს გვიშლის ღვთის სიყვარულის ძალის მიღებაში დღეს. უნდა ვისწავლოთ ღმერთზე მინდობა ჩვენი გულების დაცვის საქმეში მაშინაც კი, როცა მეუღლე გულს გვტკენს, უარგვყოფს ან გვღალატობს. ღმერთმა გვითხრა, რომ ჩვენი შიშები მას უნდა დავუმორჩილოთ. ამაზე უარის თქმა ნიშნავს, რომ ღმერთს არ ვენდობით, თითქოსდა მას არ შეეძლოს ჩვენი ცხოვრების წარმართვა. ვერ შევძლებთ იესოს უფლობისადმი მორჩილებას, თუ ჩვენს შიშებს მის წინაშე ასე მოვიტანთ.

დღე 4

ოჯახური წყევლა

როცა ოჯახის შექმნა გადავწყვიტეთ, ვიცოდით, რომ ღმერთს რაღაც ახალი უნდა გაეკეთებინა ჩვენსა და ჩვენს შვილებში. თუმცა ჩვენს მშობლებსა და წინაპრებში აშკარა სიმაგრეები არსებობდა: ალკოჰოლიზმი, უზნეობა და ჯადოქრობა. მათ ჩვენი გენეალოგია შებილწეს. სანამ ახალ მემკვიდრეობას მივიღებდით, წინ უნდა აღვდგომოდით წყევლას, რომელმაც ჩვენი ოჯახები თაობების განმავლობაში დააზიანა. მათი ძლევა მხოლოდ ლოცვაში და ღვთის სიტყვის მეშვეობით დანგრევით შეიძლება.

მემკვიდრეობითი წყევლის ნიშნები განსხვავებულია თითოეული წყვილისთვის, მაგრამ აქ ერთ ნიმუშს წარმოგიდგენთ. წინა თავში აღვნიშნეთ, რომ ჩვენი ოჯახური წარსული საკმაოდ განსხვავებულია. მე (ლიზა) შეშფოთებული ვიყავი, როგორი რეაქცია ექნებოდა ჯონის ოჯახს ჩემი ოჯახის საშინელ უფუნქციობაზე. ჩვენს ნიშნობაზე მამაჩემი ნასვამი გამოცხადდა და უსირცხვილოდ ეფლირტავებოდა ჯონის დედას მისი ქმრის თვალწინ! მისი ქმედებები უფრო დედაჩემის გულისტკენას ისახავდა მიზნად, ვიდრე რეალურ ზრახვას ჯონის დედის მიმართ. მოგვიანებით, ჯონის დედამ დიდი გულისტკივილი გამოხატა ჩვენი ქორწინების თაობაზე, რომ ის იქნებოდა პირველი დანგრეული ოჯახი მათ უმწიკვლო გვარში. შემთხვევით გავიგონე, როგორ იმეორებდა, „ადრე ჩვენს გვარში გაყრა წარმოუდგენელი იყო“.

ვიფიქრე, *ნუთუ ასე მხედავს? ნუთუ მე ვარ პირველი, ვინც არეულობას შემოიტანს მათ გენეალოგიაში?*

სადილის დასრულებისას ძალიან განვიცდიდი დედაჩემის გულისტკენას და ჩემს საკუთარ სირცხვილს. ჩანდა, რომ ქორწინების წინ ოჯახური დამსახურების „კარგისა“ და „ცუდის” სასწორზე აწონის შემთხვევაში ისარი ჯონის სასარგებლოდ

გადაიხრებოდა. მე კი ყველაფერი ცუდი შემოვიტანე: მრუშობა, გაყრა და მავნე მიდრეკილებები, რომლებიც ჩემს ოჯახურ შტოში მოიძევებოდა.

სულიერი გარღვევა მაშინ მოვიდა, როცა გავაცნობიერე, რომ ღმერთს არ ადარდებდა ჯონის კარგი ან ჩემი ცუდი. მას წმიდა შთამომავლობა უნდოდა.

> „მისმინე, ასულო, გამოიხედე და მომაპყარ ყური და დაივიწყე ხალხი შენი და სახლი მამაშენისა. და დატკბება მეფე შენი მშვენებით, რადგან ის არის შენი უფალი და თაყვანი ეცი მას. . . . შენს წინაპართა ადგილას იქნებიან ძენი შენნი, მათ დააყენებ მთავრებად მთელს ქვეყანაზე. გავიხსენებ შენს სახელს თაობიდან თაობაში, ამიტომ ხალხები ხოტბას შეგასხაამენ უკუნითი უკუნისამდე.“
>
> – ფს. 45:10-12, 16-17;

ეს მონაკვეთი იესოს და მისი საპატარძლოს აღწერაა, მაგრამ ღმერთმა ის მისი აღთქმის სურათად დამიხატა ჩემი ცხოვრებისთვის, რომელიც ჩემი ოჯახის შეცდომებით არ იყო შეზღუდული. როცა წავიკითხე *მისმინე, ასულო*, რაღაც გაცოცხლდა ჩემში. ღმერთი ისე მელაპარაკებოდა, როგორც მისი უზენაესობის ასულს. იმ მომენტში ქრისტეში ჩემი იდენტობის ახალი გაგება გამიცხადდა. უარვყავი ჩემი წარსულის სიმაგრეები და ჩემი ოჯახის მომავლის ახალ იმედს ჩავეჭიდე.

გავაცნობიერე, რომ ჩემი ხორციელი მამის მსგავსების (მრუშობა, ალკოჰოლიზმი და მთლიანად განადგურებული ადამიანი) ნაცვლად ჩემი შვილები არა მარტო მიწიერი მამის (ღვთისნიერი ადამიანის) მსგავსებას დაიმკვიდრებდნენ, არამედ ჩვენი უფლის მსგავსებასაც. ჩავეჭიდე აღთქმას, რომ ჩემი ვაჟები უზენაესის მთავრები გახდებოდნენ.

როცა ჩვენი ოჯახის წყევლას შევეხეთ, დავინახეთ, რომ ღვთის სიტყვა ჭეშმარიტი აღმოჩნდა. ჩვენი ოჯახი აყვავდა იმ აღთქმების გამო, რომლებიც ღმერთმა ლოცვებისა და აღიარებების დროს დააფუძნა ჩვენს ცხოვრებაში.

ოჯახური წყევლის დასანგრევი ლოცვა

გალ. 3:13 ამბობს, „ქრისტემ გამოგვისყიდა რჯულის წყევლისგან და გახდა წყეული ჩვენს ნაცვლად“. რა მემკვიდრული წყევლაც არ უნდა მოჰყვებოდეს თქვენს ოჯახს, ქრისტეში თქვენ არ ექვემდებარებით.

თუ თქვენი შთამომავლობითი წყევლის შესახებ იცით, მოგიწოდებთ, რომ გაარღვიოთ ეს დაბრკოლება და განსაზ-

ღვროთ თქვენი მემკვიდრეობა! ეს ლოცვა სატანის სიმაგრეების წინააღმდეგ გამოსვლაში დაგეხმარებათ ღვთის სიტყვის მახვილის მეშვეობით. ოჯახური წყევლისგან განთავისუფლება თავისთავად არ ხდება; თქვენ უნდა ამოიცნოთ და შეუტიოთ სატანის ზრახვებს. მისი მიზანია, ხელი შეგიშალოთ ღვთისგან თქვენთვის გამოგზავნილი სიხარულით, მშვიდობით და აღსრულებით გახარებაში. თუმცა ძალაუფლებით, რომელიც ქრისტეში გაქვთ, შეძლებთ თქვენი მტრის დამარცხებას.

გთხოვთ, შეჩერდით და დრო გამოყავით, სანამ ამ ლოცვას შეუდგებოდეთ. თუ ახლავე გეგმავთ ლოცვის დაწყებას, დარწმუნდით, რომ მარტო ხართ ან თქვენთან ერთად მხოლოდ თქვენი მეუღლე, ახლო მეგობარი ან ლოცვის პარტიორია. ეს ძალზე პირადი ლოცვაა, სადაც თქვენ ღვთის წინაშე ვედრება და მონანიება უნდა მოიტანოთ და პასუხი გასცეთ.

ქვემომოყვანილი ლოცვა განსაკუთრებულ წყევლებს შეეხება, რომლებიც ჩვენს ქორწინებას და ოჯახს ემუქრება. ეს ლოცვა წმიდა წერილის მონაკვეთების გაერთიანებით შევადგინეთ, რადგან ღვთის სიტყვა სულიწმიდის ბასრი და ძლიერი ორლესული მახვილია. თუ თქვენი ოჯახის გვარში არის საკითხები, რომლებიც ამ ლოცვაში გათვალისწინებული არ არის, მოგიწოდებთ, წმიდა წერილის ადგილების მოძიებისკენ, რომ ისინიც ჩართოთ ღვთის ჭეშმარიტებისა და აღთქმის შესაბამისად. ღვთის სიტყვის თანახმად შექმენით გაბედული განაცხადი და იესოს სახელის ძალით დაანგრიეთ თქვენი ცხოვრების ყოველგვარი წყევლა. ლოცვის ბოლოს პარალელური ადგილები მოვიყვანეთ შემდგომი შესწავლისთვის!

ძვირფასო ზეციერო მამა!

შენს წინაშე მოვდივარ შენი შესანიშნავი ძის, იესოს სახელით; შენს კარიბჭეებში შემოვდივარ მადლიერებით და შენს ეზოებში – ქებით! ჩემზე უხვადაა შენი მადლი და სიყვარული და წინასწარ გმადლობ სრული გამოსყიდვის საქმისთვის, რომელიც ჩემს ცხოვრებაში აამოქმედე!

ახლა მინდა, აღთქმა დავდო უფალთან, ისრაელის ღმერთთან, შენ ხარ უფალი, ცისა და მიწის ღმერთი, დიდებული და საოცარი ღმერთი, რომელიც იცავს თავის აღთქმებს მის მოყვარულებთან და მისი მცენებების დამცველებთან! დაე, შენი ყური იყოს მომსმენი და შენი თავლები ხედავდეს შენი მსახური ლოცვას! ვაღიარებ ჩემს ცოდვებსა და ჩემი მამის სახლის ცოდვებს, ყოველ დანაშაულს, რომელიც შენს წინააღმდეგ ჩავიდინეთ. სირცხვილმა დაგვფარა, რადგან შენს წინააღმდეგ შევცოდეთ. შენ კი უფალო, ჩვენო ღმერთო, მოწყალე და სულგრძელი ხარ, თუმცა ჩვენ ავჯანყდით შენს წინააღმდეგ და

არ დავემორჩილეთ უფალს, ჩვენს ღმერთს და არ დავიცავით რჯული, რომელიც მისი მსახურების, წინასწარმეტყველების მეშვეობით მოგვეცა. გთხოვთ, წინადაცვითე ჩვენი გულები და მოგვაშორე ცოდვა, სირცხვილი და ჩვენი წარსულის შეცდომები!

ვაღიარებ და ვინანიებ ჩემს და ჩემი წინაპრების ცოდვებს, ნებისმიერ და ყველა ჩართვას ოკულტიზმში, ჯადოქრობასა და მისნობაში. (აქ შეჩერდით, იყავით მგრძნობიარე სულიწმიდისადმი, თუ რას მიაპყრობს თქვენს ყურადღებას მოსანანიებლად, სანამ ლოცვას გააგრძელებდეთ. ამაში შეიძლება შედიოდეს და არც ამით სრულდებოდეს, ასტროლოგია, მკვდართა გამოძახება, საშინელებათა ფილმები, თამაშები, წიგნები და ა.შ.) *ვინანიებ, ჩემს ჩართულობას ამ საქმიანობებში და ვამსხვრევ მათ წყევლას ჩემი და ჩემი შვილების, შვილიშვილებისა და მათი შვილების ცხოვრებაში.*

ვაღიარებ და ვინანიებ ჩემს ცოდვებს ან ჩემი წინაპრების ცოდვებს ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების საქმეში. მამაო, დაკეტე ნებისმიერი კარი, რომელიც შეიძლება გაიღოს სულიერი სამყაროში ცოდვის, ბორკილების და ჩაგვრის მოსატანად! ვინანიებ ჩემს მონაწილეობას (დაასახელეთ ნარკოტიკები სახელით, თუ საჭიროა) *და ვანგრევ მათი მიერ მოტანილი წყევლის ძალას ჩემი და ჩემი შვილების, შვილიშვილებისა და მათი შვილების ცხოვრებაში. იესოს სახელით, ამინ!*

ჩვენ გავაგრძელებთ ამ პრინციპზე შენებას სექსუალურ ცოდვებთან დაკავშირებული წყევლისა და სამშვინველის შემბოჭავების დანგრევით, რომელთაც მომდევნო თავში განვიხილავთ. იესომ სრულყოფილი გამარჯვება მოიპოვა ჯვარზე, ამიტომ თქვენ ამ წყევლისგან თავისუფალი ხართ. ნუ შეგეშინდებათ, რომ ეს ცოდვები თქვენი და თქვენი შვილების ცხოვრებაში თავს წამოყოფს. თქვენ დღეს ახალი მემკვიდრეობა დააფუძნეთ თქვენი ოჯახისთვის.

საკითხის ღრმად შესწავლისთვის იხილეთ: ფს. 100:4; 2 ნეშტთ. 29:10-11; ნეემ. 1:5-7; დან. 9:8-10; იეს. 5:9; მათ. 10:34; ებრ. 4:12; 2 ნეშტთ. 29:5-6.[7]

დღე 5

მეუღლის ოჯახის წევრები

მეუღლის ოჯახის წევრების საკითხი უფრო აქტუალურია ახალდაქორწინებულთათვის, თუმცა შესაძლებელია ქორ-

წინების პირველ სტადიაზეც შეინარჩუნოს მნივნელობა. როცა ჩვენს მეუღლეებსა და საკუთარი ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტს ვაწყდებით, ბუნებრივია, მშობლების (ან იმ ნათესავების) დაცვის სურვილი გვიჩნდება, რომელთაც მთელი ცხოვრება ვიცნობდით. ყველა ჩვენგანს უნდა ჰქონდეს მშობლების დიდი სიყვარული და პატივისცემა. ხშირად მისასალმებელია მშობლების რჩევის მიღება, მაგრამ დაქორწინების შემდეგ უპირველესად, მეუღლის წინაშე ხართ ვალდებული.

სანამ ჩვენი უფროსი ვაჟი დაქორწინდებოდა, მე (ჯონმა) ვუთხარი, „ედისონ, არაფერს გეტყვი, როგორ უნდა მოიქცე შენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, სანამ თავად არ მთხოვ რჩევას. ამიერიდან აღარ წარვმართავ შენს ცხოვრებას. შენ საკუთარ სახლეულს აფუძნებ და მე უნდა მოგცე სწავლისა და ზრდის საშუალება.“ ედისონმა მადლიერება გამოხატა ამ პოზიციის გამო და მაშინ მოდის ჩემი რჩევის მისაღებად, როცა სჭირდება.

ჩემი სურვილი არ არის ჩემი ვაჟის გაკონტროლება ან მისგან ჩემი პატარა ასლის შექმნა. მინდა, რომ ედისონი გახდეს ისეთი, როგორიც ღმერთმა განიზრახა და ჩემი ჩარევა ხელს შეუშლის სახლის წინამძღოლად მის ჩამოყალიბებას. (გულწრფელად რომ ვთქვათ, გაოცებული ვარ, რასაც სახლში აკეთებს. ეს გაცილებით უკეთესია, ვიდრე მე მივაღწიე მის ასაკში!)

წერილი ნათლად ამბობს:

> „. . . მიატოვებს კაცი თავის მამას და თავის დედას და მიეკვრება თავის დედაკაცს და იქნებიან ისინი ერთ ხორცად.“
>
> – დაბ. 2:24;

მამისა და დედის მიტოვება მშობლების სახლის ძალაუფლებიდან გამოსვლას ნიშნავს. ეს ასევე ნიშნავს მშობლების ნებისმიერი არაჯანსაღი ზეგავლენისგან გათავისუფლებას. მნიშვნელოვანია მშობლების პატივისცემა, მაგრამ შეგიძლიათ პატივი მათი მორჩილების გარეშეც მიაგოთ. თქვენ ახალი სახლეული დააფუძნეთ ახალი იერარქიით. მშობლებს თქვენზე ძალაუფლება აღარ აქვთ, ამიტომ მათ არ უნდა წარმართონ თქვენი ცხოვრება ან ქორწინება.

ასევე უნდა მოაგვაროთ ურთიერთობა მეუღლის ოჯახის წევრებთან, რომლებიც თქვენს ოჯახში მეტისმეტად ერევიან. ადრე ერთ-ერთი ასეთი წევრი ჩვენს მანიპულირებას ცდილობდა და ჩვენს ერთობაში უთანხმოება შემოიტანა. მისი ჩარევა დამანგრეველი ხდებოდა. პრობლემის გადაჭრის მოკრძალებული მცდელობები უშედეგო აღმოჩნდა. ბოლოს, ამ პიროვნებას

შევხვდით (მას ორივენი პატივს ვცემთ და გვიყვარს) და ჩვენი პოზიცია პირდაპირ გამოვხატეთ.

მე (ჯონმა) ვთქვი: „შენ აღარ უნდა ჩაერიო ჩვენი ოჯახის საქმეებში! ეს სრულიად ახალი ოჯახია. ჩვენ პატივს გცემთ, მაგრამ ამ სახლის გადაწყვეტილებების მართვის უფლებას ვერ მოგცემთ! ჩვენს მანიპულირებას ვერ შეძლებ ისე, როგორც შენ გსურს!“ იძულებული ვიყავი მკვეთრი სიტყვები გამომეყენებინა, რადგან ირიბმა მინიშნებებმა ვერ გვიშველა. საბედნიეროდ, ჩვენმა ნათესავმა გააცნობიერა, რაც ხდებოდა და ახლა მას შესაფერისი, ჯანსაღი ადგილი უკავია ჩვენს ურთიერთობაში.

ჩვენ, როგორც წყვილებმა, ჩვენი ერთობა ნებისმიერი შეტევისგან უნდა დავიცვათ, თუნდაც ეს ოჯახის წევრებისგან მოდიოდეს. ხშირად ეს თავდასხმები ბოროტია, თუმცა უმანკო სახე აქვს. ხშირად ისინი პიროვნების დამამცირებელი ჟესტებით გამოიხატება, მაგრამ ასეთი, თითქოს უწყინარი შენიშვნები ყოველთვის დამანგრეველია. როცა საქორწინო ცერემონიებს ვატარებ, ვუყურებ ყველა დამსწრე მეგობარსა და ოჯახის წევრებს და ვამბობ, „ვაი თქვენ, თუ ამ კავშირის წინააღმდეგ ილაპარაკებთ! ეს არის ღვთისგან ხელდასხმული ერთობა. არც გაბედოთ მათი მანიპულირება ან დაშორება. მხოლოდ სიცოცხლე უსურვეთ იმას, რაც ღმერთმა დღეს დააფუძნა!“

როცა ედისონი დაქორწინდა, გადავწყვიტეთ, არ დაგვეყენებინა მის ცოლს, ჯულისა და ჩვენს შორის არჩევანის გაკეთების წინაშე. ჭეშმარიტება იმაშია, რომ მან უკვე გააკეთა არჩევანი ჯულის ცოლად შერთვის დღეს და ჩვენ აღფრთოვანებული ვიყავით მისი გადაწყვეტილებით! ოჯახური პრინციპების ამ კონტექსტის გათვალისწინებით, სიყვარული არასოდეს გაძლევს ადამიანების არჩევის საშუალებას. სიყვარული მხარს უჭერს და ხიდებს აგებს ძველ და ახალ ურთიერთობებს შორის. ჩვენ გვიყვარს ჯული და ისეთი გრძნობა გვაქვს, რომ ჩვენი შვილი უფროა, ვიდრე რძალი. ასეთი სიახლოვე მხოლოდ იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ დავაფასეთ მათი ახალი სახლეული და მას და ედისონს თავიანთი ისტორიის დაწერის შესაძლებლობა მივეცით.

არარეალური მოლოდინები

შეერთებულ შტატებში გაყრის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია არარეალური მოლოდინები.[8] ბევრი ჩვენგანი ქორწინებაში მუდმივ ბედნიერებას, უწყვეტ სქესობრივ ცხოვრებას და ცხოვრების გაადვილებას ელოდებოდა. ქორწინებაში ჩვენი ეგოიზმისა და დაუცველობის ერთგულად და დაუღალავად გამოვლენას არ ველოდებით, მაგრამ არც იმას ვფიქრობთ, რომ

ჩვენი მეუღლეების სისუსტეებსა და შეცდომებს წავაწყდებით. შესაძლებელია, ჩვენი არასწორი მოლოდინები სიმწარისა და უკმაყოფილების წყაროდ იქცეს, რაც ღვთიური კავშირის შენებაში ნამდვილად ხელს შეგვიშლის.

არარეალური მოლოდინები ხშირად უგუნური შედარებებით მწვავდება. ჩვენ გართობის სურვილით გაჟღენთილ საზოგადოებაში ვცხოვრობთ. ამრიგად, გამუდმებით გვექმნება ჩვენი ქორწინების ეკრანებზე დახატულ ანალოგებთან შედარების შესაძლებლობა. ფილმები და ტელევიზია უშრომელ სიყვარულს, უმსხვერპლო სილამაზეს და ურისკო ნდობას გვთავაზობენ. ისინი სიყვარულის რომანტიულ ფასადს აშუქებენ და ცხოვრების ნაკლებად „ჰოლივუდურ“ მომენტებს ყურადღებას არ აქცევენ.

თუ დაოჯახებული ხართ გარკვეული დროის განმავლობაში, უკვე გეცოდინებათ, რომ ქორწინება უფრო მეტია, ვიდრე რომანტიული შეხვედრები, უნაკლო შეგუება და პასუხისმგებლობისგან თავისუფალი დღეები. ქორწინება რთული საქმეა და ზოგჯერ უწესრიგოც კი.

ქორწინების სირთულე არ ნიშნავს, რომ არ უნდა დაოჯახებულიყავით. ქორწინების გამოწვევები კარგია, რადგან მოქნილობას განიჭებთ. მათი მეშვეობით თქვენი ხასიათი იხვეწება და თქვენი უნარებიც იზრდება. ეს ურთიერთობა *სიდიადეს* ეხება, გახსოვთ? ყველას მოსწონს ზრდის იდეა და სულიერი სიმწიფის მიღწევა, სანამ არ წააწყდებიან რაღაც ისეთს, რაც მათგან მოწიფულობის გამოვლენას მოითხოვს.

არარეალური მოლოდინების საკითხი მხოლოდ მედიის წარმოჩენილ სურათებს არ უკავშირდება. ასევე ვუშვებთ შეცდომას და ჩვენს ქორწინებას მეგობრების ან მეზობლების ოჯახებს ვადარებთ. ეს საშინელი იდეაა. ჩვენ ვერ გავიგებთ, რა ხდება სცენის მიღმა მათ ურთიერთობაში. შესაძლოა, ყველაფერი დახვეწილი და აღმატებული გეჩვენებოდეს, მაგრამ ეს წყვილები, სინამდვილეში, ერთმანეთს ანგრევნდენ დაკეტილი კარების მიღმა.

ისიც საცდურს წარმოადგენს, როცა ჩვენი ურთიერთობის სხვადასხვა პერიოდებს ერთმანეთს ვადარებთ. შესაძლოა, ჩვენი ახლანდელი ეტაპი – ბავშვებით, საფენებით და თავისუფალი დროის უქონლობით – შევადაროთ ჩვენს ურთიერთობას, როცა ბავშვები არ გყავდათ. ლოგიკურად, ამაში არ დევს საღი აზრი. შეუძლებელია, თქვენი ცხოვრება ზუსტად ისეთივე დარჩეს ბავშვების ყოლის შემდეგ. მშობლის მოვალეობა გაცილებით ნაკლებ თავისუფალ დროს იძლევა და მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს. შვილების ყოლა თავისთავად ცვლის თქვენს ცხოვრებას და თქვენი ქორწინებაც სხვაგვარი იქნება. ვიცი, რომ აქ მეცნიერების მწვერვალებზე არ არის ლაპარა-

კი, მაგრამ ხშირად სულელურ შედარებებს არ ვაკეთებთ, რაც აწმყოში შესაძლებელ სიხარულსა და სისრულეს ამცირებს ან თავიდან გვაშორებს?

თეოდორ რუზველტმა თქვა: „შედარება სიხარულის ქურდია.“ თუ ქორწინებაში სიხარულის განცდა გსურთ, შეწყვიტეთ თქვენი ურთიერთობის რომელიმე ახლობლის ან ეკრანზე დანახულ უფრო უკეთეს ურთიერთობასთან შედარება. ამ საქმეში სიხარულს ვერასდროს ნახავთ. სიხარული მეორეხარისხოვანი გრძნობა არ არის და ნაკლებად მნიშვნელოვნის მეშვეობით ვერ მიიღწევა. იგი გარემოებებს აღემატება და ემოციებით არ არის შემოსაზღვრული. სიხარული თავის ძალას მასშტაბური სურათის გაცნობიერებაში პოულობს, ეს გახლავთ ღვთის გეგმის სისრულე თქვენი ცხოვრებისთვის.

სიხარული სულის ნაყოფია (იხილეთ გალ. 5:22-23), რაც მის ღვთიურ წარმომავლობასა და გარემოებებისგან დამოუკიდებლობაზე მეტყველებს. მისი წარმოქმნა შეუძლებელია ადამიანური ნებისყოფით. ბედნიერება გრძნობაა, რომელზეც დროებითი ბრძოლები ზემოქმედებს, მაგრამ სიხარული სიძნელეებს აღემატება. იგი იმედიდან მომდინარეობს და შთაგონებულია ქრისტეში ჩვენი პოზიციით. თუ ღვთიური სიხარული გვაკლია, ქორწინების კარგად წარმართვისთვის საჭირო ძალა არ გვაქვს, რადგან ღვთის სიხარული არის ჩვენი გაძლიერება (იხილეთ ნეემ. 8:10). პავლე ამ განცდას თავისი სიტყვებით ეხმიანება ფილიპელთა ეკლესიისადმი მიწერილ წერილში:

მარადის იხარეთ უფალში და კიდევ ვიტყვი, იხარეთ! თქვენი თავმდაბლობა ცნობილი იყოს ყველა ადამიანისთვის. ახლოა უფალი. არაფერზე იზრუნოთ, მხოლოდ ლოცვასა და ვედრებაში მადლიერებით აუწყეთ თქვენი სურვილი ღმერთს და ღვთის მშვიდობა, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება, დაიფარავს თქვენს გულებს და თქვენს ფიქრებს ქრისტე იესოში! (ფილ. 4:4-7)

როცა თქვენი ურთიერთობა გაშფოთებთ, სათხოვრები ღმერთთან მოიტანეთ სიხარულით სავსე მადლიერებით. იგი გპირდებათ, რომ თქვენს დარდს მისი მშვიდობით შეგიცვლით. ეს კარგი გაცვლაა!

არარეალური მოლოდინები სიხარულს გპარავთ და ამით ქორწინებისთვის საჭირო ძალას გართმევთ. ნუ იქნებით ამ მახის მსხვერპლი! ამოიცანით ნებისმიერი მოლოდინი, რომელმაც სიმაგრე წარმოშვა თქვენს ურთიერთობაში და მოინანიეთ, რომ მას ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებისა და თქვენი ცხოვრებისთვის მისი განსაკუთრებული გეგმის წინ დაყენების საშუალება მიეცით!

თქვენი შემობრუნება

გთხოვთ, გარკვეული დრო გამოყავით თქვენს მეუღლესთან სასაუბროდ ამ თავში განხილულ საკითხებზე! სულიწმიდას სთხოვეთ, რომ გიხელმძღვანელოთ ყველაფერ იმის ჩამოწერაში, რაც თქვენი ქორწინებიდან მოსაშორებულია. ზოგიერთი აუცილებელი გარდაქმნა შეიძლება მოიცავდეს დამოკიდებულების ან ქცევის შეცვლას, რასაც ღმერთი შეგაძლებინებთ მისი მადლის ძალით. სხვებს, როგორიცაა შთამომავლობითი წყევლა, წინ უნდა აღუდგეთ ლოცვით!

მხნეობა არ დაკარგოთ, თუ აღმოაჩენთ, რომ თქვენმა ჩამონათვალმა რამდენიმე ფურცელი შეადგინა! ეს დავალება არც თქვენი ახლანდელი „შეცდომების“ და არც თქვენი ქორწინების ყველაზე პრობლემური ნაწილის გამოყოფას არ ემსახურება! სია მოიცავს იმ დიდებულ სფეროებს, რომელთა წინ წამოწევა შესაძლებელია მომავალში. ამ საკითხების მოგვარებით თქვენს ოჯახს ბრწყინვალე ამბის დაწერის, ზეციური მემკვიდრეობის დედამიწაზე გამოვლინების მდგომარეობაში მოიყვანთ. გვინდა, რომ გაწმინდოთ თქვენი გემბანი და ყველა იმ დაბრკოლებისგან თავისუფალმა გააგრძელოთ წინსვლა, რომლებიც ხელს გიშლით ღვთისგან თქვენთვის განსაზღვრულის მიღებაში. ქვემომოყვანილი ლოცვა შევადგინეთ, რომ შეუდგეთ თქვენს გზას.

შესაძლოა, ეს ღვთიური დრო იყოს.

ზეციერო მამა, მადლობას გიხდით ახალი დასაწყისისა და ახალი მემკვიდრეობისთვის! ვლოცულობთ, რომ ზეცის ატმოსფერო გვაკრავდეს.

სულიწმიდა, გთხოვთ, წინ წაგვიძღვე და მითითებები მოგვცე!

ვლოცულობთ, რომ ღვთის ანგელოზებმა დაიბანაკონ ჩვენს ირგვლივ და შური იძიონ მტრებზე, რომლებიც ჩვენს ოჯახებს თაობიდან თაობამდე ანადგურებდნენ.

ვლოცულობთ დიდი მადლისთვის, რომ პატიება და გარდაქმნა შევძლოთ!

ვლოცულობთ ჩვენი გონების შენი სიტყვის თანახმად განახლებისთვის!

გთხოვთ, გაგვიცხადო შენი სიყვარული, რომელიც ყოველგვარ შიშს დევნის!

გთხოვთ, აღადგინო ნდობა და სრულყო ჩვენი ურთიერთობა!

ვლოცულობთ, რომ მოიტანო ერთობა იქ, სადაც დაყოფა იყო!

გთხოვთ, შთაგვაგონო, რომ ვიოცნებოთ შენი აღთქმების და არა რომელიმე უღვთო მოლოდინის თანახმად.

ვაცხადებთ ჩვენი სახლეულის თავისუფლებას! ვაცხადებთ ჩვენი ქორწინების და ოჯახის თითოეული წევრის პირად თავისუფლებას იესო ქრისტეს სახელით. ვაღიარებთ ღვთის სამეფოს მოსვლას ჩვენში. ღვთის ნება აღსრულდეს ჩვენს ქორწინებასა და სახლზე, ისევე როგორც ზეცაში სრულდება მისი ნება. იესოს ყოვლისშ-ემძლე სახელით, ამინ.

დღე 1 დღის ლოცვა

ოჯახის შემოწმება

„საკუთარი თავი გამოსცადეთ, თუ ხართ მტკიცე რწმენაში! ყველაფერი თავისთავად მოსული ნუ გეგონებათ. რეგულარულად გამოსცადეთ თავი! თქვენ პირველადი მტკიცებულება გჭირდებათ და არა ყურმოკრული ხმა, რომ იესო ქრისტე თქვენშია. შეამოწმეთ. თუ გამოცდას ვერ გაუძლებთ, რაღაც უნდა მოიმოქმედოთ.“

– 2 კორ. 13:5; The Message

წინსვლისთვის ზოგჯერ სარგებლობა მოაქვს უკან გახედვას და გაცნობიერებას, თუ როგორ აღმოჩნდით იმ ადგილას, სადაც ახლა ხართ. ოჯახური შემოწმება დაგეხმარებათ არსებული უწესრიგობის შეფასებასა და მოგვარებაში, რომლისგანაც თქვენი ქორწინების გემბანი უნდა გაიწმინდოს. რამდენიმე წუთით შეჩერდით, იფიქრეთ და პატიოსნად უპასუხეთ!

გაიხსენეთ ბავშვობა! როგორ აღწერდით თქვენს სახლში არსებულ ატმოსფეროს?

_____

_____

მაგალითები: მშვიდობიანი, ქაოსური, მოსიყვარულე, უსიყვარულობა, ღია, ჩაკეტილი, სულგრძელობა, ხელმოჭერილობა, საშიში, შესანიშნავი, თბილი და სტუმართმოყვრული ან ცივი და მტრული.

მოკლედ აღწერეთ თქვენი მშობლების ზოგადი ურთიერთობა (კომუნიკაცია, დამოკიდებულება, მეგობრობა და ა.შ.)

_____

_____

როგორ აგვარებდნენ თქვენი მშობლები უთანხმოებასა და კონფლიქტებს? როგორ ეფერებოდნენ ერთმანეთს?

_____

_____

როცა რაიმეს აურევდით ან ცუდად იქვეოდით, როგორ ცდილობდნენ მშობლები თქვენს გამოსწორებას? ამ შესწორების შემდეგ ჩადენილ საქციელს მცირე ხნით თქვენს წინააღმდეგ იყენებდნენ თუ სრული აღდგენა მოდიოდა და სიყვარულს გაჩვენებდნენ?

„ის, რაც ბავშვობაში **მახარებდა** და მინდა ჩემს საკუთარ ოჯახში გავიმეორო, გახლავთ . . .“

„ის, რაც ბავშვობაში არ მომწონდა და არ მინდა ჩემს საკუთარ ოჯახში გავიმეორო, გახლავთ . . .“

გადახედეთ თქვენს პასუხებს და შეადარეთ თქვენს ახლანდელ ქორწინებას და ოჯახურ ცხოვრებას. რა **მსგავსებას** ხედავთ სახლის ატმოსფეროში, მეუღლესთან ურთიერთობაში ან კონფლიქტების მოგვარებაში? როგორ წვრთნით შვილებს? ხედავთ რაიმე კავშირს?

რა გჭირდებათ თქვენ და თქვენს მეუღლეს ამ კვლევაზე დაყრდნობით, რომ თქვენი ქორწინების გემბანი გაიწმინდოს?

პასუხები მეუღლეს გაუზიარეთ! ილოცეთ და სულიწმიდას დაუქვემდებარეთ ყველაფერი, რაც გასაწმედია.

დათმოგაზე წასვლა

*„შეიწყნარეთ **ერთმანეთი** და მიუტევეთ ერთმანეთს, თუ ვინმესთან რაიმე სადაო აქვს ვინმეს, როგორც ქრისტემ მოგიტევათ, ასევე – თქვენც!“*

– კოლ. 3:13;

შეეწევით თუ არა მეუღლეს? არა, ფულადი სახით არა. ჩვენ ვლაპარაკობთ შეცდომების დაშვების უფლებაზე – სივრცეზე, რომელშიც იგი ღვთის მსგავსებას შეიძენს მისივე მადლით. ფაქტია, რომ ყველა ჩვენგანს სჭირდება შემწეობა, რადგან ყველანი ვცოდავთ. როცა ვპატიებთ, ჩვენს ზეციერ მამას ვბაძავთ, რადგან მისი მადლის გამტარები ვხდებით, რითაც ის ჩვენს მეუღლეებს ცვლის. **ქ. ს. ლუისის** სიტყვებით,

> „ქრისტიანობა უპატიებლის პატიებას ნიშნავს, რადგან ღმეთმაც უპატიებელი ცოდვები გაპატიათ. ეს რთულია. ალბათ, შედარებით ადვილია ერთი რომელიმე ზიანის პატიება, მაგრამ ძნელია ყოველდღიური ცხოვრების უწყვეტი გამოწვევების პატიება ბრძანების მოყვარული დედამთილის ან სიდედრის, მოძალადე ქმრის და მუდამ უკმაყოფილო ცოლის, ეგოისტი ქალიშვილის, მატყუარა ვაჟის გამოსვლების სახით. ეს როგორ უნდა შევძლოთ? მხოლოდ იმის გახსენებით, თუ სად ვდგავართ, სიტყვების ჩაწვდომით, რომელთაც ყოველ საღამოს წარმოვთქვამთ ლოცვებში, „გვაპატიე ჩვენი შეცოდებები, როგორც ჩვენ ვპატიებთ ჩვენს წინააღმდეგ შემცოდეთ.“ პატიების მიღების სხვა გზა ჩვენ არ გაგვაჩნია. ამაზე უარის თქმა ნიშნავს ჩვენთვის განკუთვნილი ღვთიურ წყალობაზე უარის თქმას. არ არსებობს სხვა რაიმე მინიშნება ან გამონაკლისი და ღმერთი იმას გულისხმობს, რასაც ამბობს.“[9]

რა სფეროში გჭირდებათ მეუღლის ამგვარი შემწეობა? სად გჭირდებათ სივრცე შეცდომების საპატიებლად და ღვთიურ ბუნებაში გასაზრდელად? დაასახელეთ სამი სფერო, რომელიც იცით და რომელზეც მუშაობთ.

დაასახელეთ სამი სფერო, რომლებშიც თქვენს მეუღლეს სურს თქვენი შემწეობა. უწევთ მას დახმარებას? თუ არა, რატომ?

რას ამბობს ღმერთი, რა შეიძლება მოხდეს, თუ მეუღლეზე წყენას გულში ჩაიტოვებთ? ყურადღებით წაიკითხეთ მათ. 6:14-15; 18:21-35; მარკ. 11:25 და დაწერეთ, რას გაგიცხადებთ სულიწმიდა?!

ღვთიური მიტევება *უსაზღვროა*! თუ გიჭირთ მეუღლის პატიება, დრო გამოყავით და გადახედეთ თქვენს წარსულს. როგორ შეურაცხყოფდით ღმერთს თქვენი აზრებით, სიტყვებით და საქციელით? თუ გაიხსენებთ თქვენი ცოდვების სიღრმეს და მტანჯველ ტკივილს, რომელიც იესომ ჯვარზე აიტანა თქვენს გამოსასყიდად, სულიწმიდა მოალბობს თქვენს გულს და პატიებისთვის საჭირო მადლს მოგანიჭებთ.

მონანიებისა და განთავისუფლების ლოცვა

„უფალო, მაპატიე, რომ ჩემი მეუღლისადმი წყენას გულში ვინახავდი! აღარ მინდა მისი შეცდომების აღრიცხვა! შენ მაპატიე ჩემი ცოდვები და აღარასოდეს მიხსენებ მათ. მომეცი იგივეს კეთების ძალა და სურვილი! ჩემს მეუღლეს შენ გადმოგცემ. შენი სიყვარული და მადლი გადმოღვარე ჩვენს გულებში! დამეხმარე, რომ სულგრძელობით მიყვარდეს და ვაპატიო, გავითვალისწინო მის მიერ შეცდომების დაშვების ალბათობა და ზრდის საშუალება მივცე! ვაკურთხებ ჯანმრთელობით, სიბრძნით, მშვიდობით, სიხარულით, სიყვარულით, კეთილგანწყობის მოპოვებით, გაბედულებით, შენი სიტყვის გამოცხადებით და საოცარი ახლო ურთიერთობით შენთან. მადლობა, ზეციერო მამა, ჩვენი ქორწინების განკურნებისთვის! იესოს სახელით, ამინ.“

სულიწმიდას საშუალება მიეცით, რომ მისი მოსიყვარულე, მიმტევებელი ბუნება გამოსახოს თქვენში მის თანდასწრებაში ყოფნის და წმ. წერილის ქვემომოყვანილი მონაკვეთების გულმოდგინე შესწავლის მეშვეობით: 1 კორ. 13; რომ. 5:5; ეფეს. 3:16-19; 1 პეტრ. 3:8-9.

ყველაფერი თვალთახედვაზეა

„... რაც ჭეშმარიტია, რაც პატიოსანია, რაც მართალია, რაც წმიდაა, რაც საყვარელია, რაც საქებარია, ყოველივე, რაც სათნო და ქებულია, ***იმაზე იფიქრეთ****.“*

– ფილ. 4:8;

როცა მეუღლეზე ფიქრობთ, რაზე ამახვილებთ ყურადღებას? თუ თავში აზრად მოგდით მეუღლის შეცდომები და მარცხი, თქვენი ქორწინების პრობლემები გაიზრდება. მეორე მხრივ, თუ აზრებს იმ თვისებებისკენ მიმართავთ, რისთვისაც მადლიერი ხართ, თქვენს ურთიერთობას სრულიად ახალ შუქზე დაინახავთ! თქვენი ქორწინება, ისევე როგორც ყველაფერი ამ ცხოვრებაში ხედვაზეა დამოკიდებული.

რა თვალთახედვითაც მეუღლეს უყურებთ, პირდაპირ აისახება თქვენს ურთიერთობაზე. ზოგადად, როგორ ეპყრობით მას? იფიქრეთ, რა სახის სიტყვებს, მოქმედებებს და დამოკიდებულებას აქვს ადგილი თქვენს შორის.

_____

_____

_____

_____

ილოცეთ და უფალს სთხოვეთ, გაგიცხადოთ სინამდვილე მეუღლისადმი თქვენს დამოკიდებულებაზე! რას გაჩვენებთ იგი? რის შეცვლას გთხოვთ მისივე დახმარებით?

გსურთ, ახალი თვალთახედვა თქვენი მეუღლის ფასეულობის დასანახად? დაკვირვებით წაიკითხეთ ფილ. 4:8. შემდეგ ჩამოწერეთ ათი რამ (თვისება, ხასიათი, ნიჭები) თქვენი მეუღლის შესახებ, რის გამოც ღვთის მადლიერი ხართ!

_____

_____

_____

განაგრძეთ ამაზე ფიქრი და მომდევნო ოცდაათი დღის განმავლობაში კიდევ შემატეთ სიას რაიმე. იყავით მიზანსწრაფული, რომ გულწრფელად გამოხატოთ მადლიერება თქვენი მეუღლის ამ თვისებების გამოც!

შიში ჩვენს ხედვას ამახინჯებს. იგი ყურადღებას ამახვილებს ჩვენი მეუღლეების, საკუთარი თავისა და ჩვენს ირგვლივ არსებული ვითარებების ცუდ მხარეებზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **შიში ცრუ მოწმობაა,** რომელიც რეალური გვეჩვენება. რა არის თქვენი ყველაზე დიდი შიში თქვენს მეუღლესთან ურთიერთობაში? სთხოვეთ უფალს, რომ გაგიცხადოთ ის! (ისინი).

ეს შიშები ფილ. 4:8-ის ფილტრში გატარეთ. ისინი ჭეშმარიტია, კარგია, მართებულია? არის ისინი წმიდა და საყვარელი? ღმერთი დიდდება მათი მეშვეობით? ნებისმიერი რამ, რაც ამ შემოწმებას ვერ გაუძლებს, უნდა მოიშოროთ და ჭეშმარიტებით ჩაანაცვლოთ!

ხშირად, ჩვენს ახლანდელ შიშებს წარსულის იმედგაცრუება და ტკივილები წარმოშობს. ტკივილის კვლავ განცდის შიში გაუცნობიერებლად გვაიძულებს, ჩვენს მეუღლეებს ვაზღვევინოთ ჩვენი მშობლების, ადრინდელი შეყვარებულების ან ზოგ შემთხვევაში, წინა მეუღლის წარუმატებლობები.

შეჩერდით და ილოცეთ: „წმიდაო სულო, როგორ წარმოიშვა ეს შიში? რას ეფუძნება იგი? როგორ შემიძლია მოგენდო უფრო მეტად და ვიხილო შიშების სრული აღმოფხვრა ჩემი ცხოვრებიდან?“ იყავით წყნარად და უსმინეთ. რას გიცხადებთ იგი?

დღე 4 დღის ლოცვა

მემკვიდრეობითი წყევლისგან გათავისუფლება

„ქრისტემ გამოგვისყიდა რჯულის წყევლისაგან და გახდა წყეული ჩვენს ნაცვლად . . .“

– გალ. 3:13;

ღმერთს რაღაც სრულიად ახლის გაკეთება სურს თქვენს ოჯახში! იგი ამბობს, „აჰა, მე შევქმნი ახალს, ახლა აღმოცენდება იგი. განა ვერ შეიტყობთ ამას? უდაბნოში გავიყვან გზას, ტრამალზე – მდიინარეებს! (ეს. 43:19). როგორც **ჯოის მაიერი** გვიზიარებს:

„იესო მოვიდა საპატიმროს კარების გასაღებად და ტყვეების გამოსაშვებად . . . შესაძლოა, საცოდავი წარსული გქონდა ან ახლანდელი ვითარებებიც უარყოფითი და დამთრგუნველია შენთვის. შესაძლოა, ისე ცუდ სიტუაციებში მოხვედრილხარ, რომ იმედის რეალურ მიზეზს ვერ პოულობთ. გაბედულად გეუბნებით, *რომ თქვენი მომავალი წარსულით ან აწმყოთი არ განისაზღვრება!* იქონიეთ ახლებური აზროვნება! ირწმუნე, რომ ღვთისთვის ყველაფერი შესაძლებელია!“

ლუკ. 18:27;[10]

ქრისტემ თქვენი, თქვენი მეუღლისა და შვილების ყოველგვარი შთამომავლობითი წყევლისგან გასათავისუფლებლად ფასი გადაიხადა. ჩვენ მხოლოდ ის გვჭირდება, რომ მისი გამარჯვება გამოვიყენოთ. უფლის წინაშე წყნარად დადექით და ილოცეთ, „წმიდაო სულო, რა წყევლა ან უღმერთო ქცევა მოქმედებს ჩემს გვარში? ჩემი მეუღლისაში? გთხოვ, გვაჩვენე ისინი, რომ შევძლოთ მათი დანგრევა და ნამდვილი თავისუფლების განცდა!“

როცა სულიწმიდა წყევლათა შესახებ გაგიცხადებთ, ისინი მას დაუმორჩილეთ. მიმართეთ ლოცვას, რომელიც ამ თავშია მოცემული და უფალს მიენდეთ გარღვევის მოტანაში.

ზოგჯერ გაუცნობიერებლად პრობლემებს ვამყარებთ, რომლებიც ჩვენს ოჯახებს გასაჭირს ატეხს საკუთარი თავის წინაშე ფიცის (ან დაპირების) დადებით. როცა ფიცი წარმოითქმება, ჩვენი გულების ირგვლივ კედლები აღიმართება. ეს დაპირებე-

ბი კიდევ უფრო მეტი ტკივილის განცდისგან უნდა გვიცავდეს, მაგრამ ამის ნაცვლად ისინი გვატყვევებენ და ტკივილს გვიძლიერებენ.

„მახეში გაები შენი პირის ნათქვამით, შეპყრობილი ხარ შენი პირის ნათქვამით.“

– იგ. 6:2;

შეჩერდით და ილოცეთ: „წმიდაო სულო, რაიმე დაპირება ხომ არ წარმოვთქვი საკუთარ თავის წინაშე? თუ ასე, რომლებია ესენი? იყავით წყნარად და მოუსმინეთ! მოინანიეთ ნებისმიერი ფიცი, რომელსაც იგი გაგიცხადებთ და სთხოვეთ მას, გაგათავისუფლოთ ყოველგვარი შიშისგან, იესოს სახელით!

---

*ხშირად ფიცს წარმოვთქვამთ შიშის გამო. ტკივილის ხელახლა განცდის შიშით ხშირად ვამბობთ რაიმე მსგავსს, „**არასოდეს მივცემ** კაცს/ქალს ნებას . . . **თუ ჩემი ქმარი/ცოლი ოდესმე** (მიღალატებს, დამარტყამს და ა.შ.), მე . . .“ თუ ასეთი რამ გულში ან ხმამაღლა გითქვამთ, მოინანიეთ! სთხოვეთ უფალს, რომ დაგეხმაროთ მასზე მინდობაში, რომ იგი დაგიცავთ!*

„ყოველი იარაღი, დამზადებული შენს წინააღმდეგ, გაცუდდება; და ყოველ ენას, რომელიც შენს წინააღმდეგ წარდგება სამსჯავროზე, შენ დაადანაშაულებ. ეს [მშვიდობა, სიმართლე, დაცვა და მოწინააღმდეგეებზე გამარჯვება] არის ხვედრი უფლის მსახურთა და მათი გამართლება ჩემგან არის! . . .“

– ეს. 54:17; ტექსტი ფიგურულ ფრჩხილებში დამატებულია

იესოსთან თქვენი ურთიერთობის მეშვეობით თავისუფლდებით ყოველგვარი წყევლისგან და ყოველი სულიერი კურთხევის მემკვიდრე ხდებით (იხილეთ ეფეს. 1:3). ყურადღებით წაიკითხეთ წმიდა წერილის ეს ადგილები და ამოიცანით თქვენი და თქვენი ოჯახისთვის საჭირო კურთხევები ქრისტეში! მათ. 11:28; 16:19; ლუკ. 10:19; 11:13; იოან. 4:14; 7:38-39; 14:27; 15:11; 1 კორ. 1:30; 2 კორ. 5:21; 2 პეტრ. 1:3-4. კიდევ რას გიცხადებთ სულიწმიდა ამ მუხლებში?

მოლოდინების მართვა

„...ვინაიდან [ღმერთმა] თქვა: „არავითარ შემთხვევაში არ გიღალატებ, არ მიგატოვებ და არ დაგაგდებ მხარდაჭერის გარეშე. არასოდეს, არასდროს არ დაგტოვებ უმწეოს, იმედგაცრუებულს!“

– ებრ. 13:5; AMP

მოლოდინი. ეს არის „მტკიცე რწმენა, რომ რაღაც მოხდება მომავალში.“[11] როცა ჩვენ ხალხის იმედი გვაქვს, მტკიცედ გვწამს, რომ ისინი წარმატებული იქნებიან, განსაკუთრებით ჩვენთან დამოკიდებულებაში. ზოგადად, ახლობელი ადამიანების, უფრო კი, მეუღლეების დიდი მოლოდინი გვაქვს. ავტორი და მქადაგებელი **პატრიკ მ. მორლი** განმარტავს:

> „ყველა ჩვენგანი იმედოვნებს და ქორწინებისგან რაღაცას ელოდება. ეს მოლოდინები განსხვავებული და ხშირად არარეალურია. ისინი ეფუძნება (1) ჩვენს წარმოდგენას ქორწინებაზე და (2) ჩვენს დაუკმაყოფილებელ საჭიროებებს. ყველა ჩვენგანს აქვს გონებაში იდეალური ქორწინების სურათი. შესაძლოა, იგი მშობლების ნათქვამით ან ნამოქმედარით, ჩვენი წინაპრების გადმოცემით, მეგობრების მშობლების მაგალითით, ტელევიზიით, წიგნების კითხვით, ფილმების პერსონაჟების მეშვეობით მივიღეთ.“[12]

შენს ქორწინებაში, (ნებისმიერ სფეროში) შეიძლება იყოს არარიალური მოლოდინი: ფინანსები, ურთიერთობა, საკითხების ერთობლივი გადაჭრა, შვილების აღზრდა, მეგობრებთან ურთიერთობა, სექსი და ა.შ. შეჩერდი და ილოცე! „უფალო ხომ არ მაქვს არარეალური მოლოდინები ჩემს ქორწინებაში? და თუ კი არის, რაში მდგომარეობს ისინი?

_____

_____

_____

რას გაჩვენებთ სულიწმიდა? ჩაიწერეთ იმ მოქმედებებთან ერთად, რომელთა გადადგმისკენ გიბიძგებთ!

როგორ შეიძლება არარეალური მოლოდინის რეალურით ჩანაცვლება? **პატრიკ მორლი** განაგრძობს:

> „უნდა ვისწავლოთ გაცემა ისე, რომ სამაგიეროს არ ველოდებოდეთ. უნდა ვისწავლოთ ჩვენი მოლოდინის მეუღლეებისთვის გადაცემა, შემდეგ მოვუსმინოთ მათ, გვეთანხმებიან თუ არა, რომ ჩვენი მოლოდინი რეალ-ურია.“[13]

ჰკითხეთ მეუღლეს, „ფიქრობ, რომ არარეალურია ჩემი რომელიმე მოლოდინი შენს მიმართ? თუ ასეა, რომელი მათგანია ასეთი? გამოიჩინეთ პატივისცემა და ისე მოუსმინეთ, რომ არ შეაწყვეტინოთ. ჩაიწერეთ მათი ნათქვამი.

_____

_____

_____

_____

თუ მეუღლის მიმართ არარეალური მოლოდინი გაქვთ, დრო გამოყავით და გულწრფელად მოუბოდიშეთ იმ ზეწოლისთვის, რასაც მასზე ახორციელებ-დით. ილოცეთ და უფალს სთხოვეთ, რომ განკურნოს თქვენი ქორწინება და ორივე თქვენგანში წარმოშვას რეალური მოლოდინები!

და ბოლოს, ჩვენი მოლოდინი ღმერთსა და მისი სიტყვის აღთქმაში უნდა იყოს. იგი ერთგულია და არ გიღალატებთ! ილოცეთ, „უფალო, ველოდები თუ არა რაიმე საჭიროების დაკ-მაყოფილებას ჩემი მეუღლისგან, რომლის მოგვარება მხოლოდ შენ შეგიძლია? თუ ასეა გთხოვ, მითხრა! მომეცი მადლი, რომ გენდო ჩემი საჭიროებების დაკმაყოფილებაში!“ გაჩუმდით და მოუსმინეთ! რას გაჩვენებთ სულიწმიდა?

_____

_____

_____

_____

სადისკუსიო კითხვები

თუ ამ წიგნს *„ქორწინების ამბავი“* უწყების სერიების (*Messenger Series*) ნაწილად იყენებთ, გადახედეთ ვიდეოგაკვეთილს № 3!

1. ქორწინებაში უთანხმოებები გარდაუვალია, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, როგორ ვაგვარებთ მათ. იფიქრეთ ამაზე. ცოლ-ქმარი ორი განსხვავებული ადამიანია, რომლებიც ერთ მთლიანად გახდომის პროცესში არიან ჩართული. თითოეული მათგანი უნიკალურია. საბოლოოდ, თითოეული მეუღლე განსხვავებულად ფიქრობს, ინფორმაციას ამუშავებს და განიცდის. ასევე განსხვავებული იქნება მათ მიერ სიტუაციის, პიროვნებისა და შესაძლებლობების აღქმა. ოდესმე ამაზე გიფიქრიათ? როგორ გეხმარებათ თქვენი მეუღლის უნიკალურობის გაგება მათ დაფასებასა და სრულიად ახალი, დადებითი კუთხით დანახვაში?

2. ცოდვების მიტევება ქრისტეს მეშვეობით შესაძლებელია ყველასთვის, ვინც ითხოვს. რა მოხდება, თუ ღმერთს პატიება სთხოვეთ რაღაცის გამო და მან ასე გიპასუხათ: „არ ვიცი, გაპატიებ თუ არა. ალბათ, ამ საქციელს ისევ გაიმეორებ. ჯერ მინდა, რაიმე ცვლილება დავინახო შენში!“ რა განწყობაზე დაგაყენებდათ ასეთი პასუხი? ოდესმე ასე გითქვამთ ან გიფიქრიათ, როცა მეუღლეს პატიება უთხოვია? რა განცდა ექნებოდა მას?

3. ღვთიური პატიება არ გახლავთ შეცვლილი ქცევის ჯილდო. ეს მისი მხარდაჭერა გახლავთ. შეჩერდით და იფიქრეთ! როგორ გაძლიერებთ და შესაცვლელად აღგძრავთ ღვთის უპირობო სიყვარული და პატიება? ამის ფონზე, რა დამოკიდებულება უნდა შეიმუშაოთ მეუღლის მიმართ პატიებასთან დაკავშირებით? რას გააკეთებს ეს მისთვის?

„პატიება ურთიერთობაში ბრალდების ციკლის და ტკივილის – რღვევის ერთადერთი გზაა . . . იგი არ აგვარებს ბრალდების, ასევე სიმართლისა და პატიოსნების ყველა საკითხს . . . მაგრამ ურთიერთობების ხელახლა წამოწყების საშუალებას კი იძლევა.“

– ფილიპ იანსი[14]

4. შიში სულიერი ძალაა, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ღვთის სიყვარულს და დაცვას ჩვენს ცხოვრებაში. თუ

მას არ აღმოვაჩენთ და მოვიშორებთ, ჩვენს პარალიზებას მოახდენს და ხელს შეგვიშლის ქორწინების სიდიადის განცდაში. ქმრებო, რა სახის შიშს აწყდებიან მამაკაცები თავიანთ ცოლებთან ურთიერთობაში? ცოლებო, რა სახის შიშს აწყდებიან ქალები ქმრებთან ურთიერთობაში? რა განსაკუთრებული გზები იპოვეთ ამ პრობლემების გადასაჭრელად?

შიშები, რომლებსაც მამაკაცები განიცდიან	შიშები რომლებსაც ქალები განიცდიან

5. არარეალური მოლოდინები ქორწინებაში ნოყიერი ნიადაგია წყენის, გაღიზიანებისა და იმედგაცრუებისთვის. მტერი ვერაგულად იყენებს გართობისა და მედიის საშუალებებს, რომ ჩვენს მეუღლეებში არაპრაქტიკული შეხედულებები წარმოშვას და გამოკვებოს, ხოლო შემდეგ იმედგაცრუების თესლი დათესოს. შეჩერდით და იფიქრეთ! რა ზეგავლენას ახდენს და როგორ ასნებოვნებს მეუღლეებსა და ქორწინებაზე ჩვენს თვალთახედვას ფილმები, მუსიკა, სატელევიზიო შოუები, ჟურნალები, წიგნები და ინტერნეტი? რა პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადავდგათ არარეალური მოლოდინებისგან ჩვენი გულებისა და გონების დასაცავად?

წინამძღოლი: განიხილეთ ფილ. 4:8, როგორც ლაკმუსის ქაღალდი ჩვენი საყვარელი მედია საშუალების შესამოწმებლად.

„როგორც ფიქრობს თავის სულში, ისეთია იგი . . .“

– იგ. 23:7;

6. გქონიათ სირთულეები მეუღლის მაკონტროლებელ ოჯახის წევრებთან? მათი ვინაობის დასახელების გარეშე აღწერეთ რომელიმე მათგანი. თუ ამ ვითარებაში გამარჯვება შეძელით, ახსენით, როგორ დაგეხმარათ ღმერთი ამაში. თუ ჯერ კიდევ ებრძვით ამ პრობლემას, სთხოვეთ თქვენს ჯგუფს, რომ ილოცონ ღვთის მადლისთვის, რომელიც პრობლემის მართებულად გადაჭრის ძალას მოგცემთ.

თავის შეჯამება

- თქვენი ქორწინების გემბანის გაწმენდა დაგაყენებთ მდგომარეობაში, საიდანაც ქორწინების სიდიადეში შეაბიჯებთ, რომელიც ღმერთმა თქვენთვის განიზრახა.
- პატიება გახლავთ განთავისუფლების აქტი, როგორც შეურაცხმყოფელის, ისე მისგან განაწყენებული ადამიანისთვის. ღვთის მადლით უსასყიდლოდ და უსაზღვროდ მივუტევებთ სხვებს და უფლის პატიებასაც ვიღებთ.
- ჩვენ არ შეგვიძლია მეუღლეების შეცვლა! ეს მხოლოდ ღმერთს შეუძლია. ჩვენ მასთან უნდა ვითანამშრომლოთ და ჩვენი შეცვლის ნება მივცეთ.
- მეუღლისადმი მადლიერება თქვენს გულს გახსნის სიყვარულის, პატიებისა და მასზე ღვთის მადლის გავრცობისათვის, რაც თქვენ და მას ზრდისა და შეცვლის საშუალებას მოგცემთ.
- როცა პატიებას ირჩევთ, ოჯახის ყველა წევრი გამარჯვებულია, რადგან სიყვარული გვავითარებს.
- ღვთიური სიყვარულის განცდა შიშს ავლენს და დევნის ჩვენი ცხოვრებიდან. როცა ღვთის სიყვარულს ჩვენში და ჩვენი მხრიდან მოქმედების საშუალებას ვაძლევთ, გვეხმარება, რომ შიში დაინგრეს ჩვენს მეუღლეში და თან ყოველგვარ შეცდომას და წარუმატებლობას ფარავს.
- სანამ ახალ მემკვიდრეობას დააფუძნებდეთ, წყევლას უნდა შეეწინააღმდეგოთ, რომელიც თქვენს ოჯახს ტანჯავს. ქრისტეს მიერ აღსრულებული ღვაწლით, ყოველგვარი წყევლა ინგრევა!
- როგორიც არ უნდა იყოს თქვენი ქორწინების მდგომარეობა, ღმერთს მისი შეცვლა შეუძლია, რადგან იგი მასში მოქმედებს. მისთვის კი შეუძლებელი არაფერია!

„გახსოვდეს, რომ ღმერთმა მოგცა
დღევანდელი დღე და **დღეს**
გაკეთებული არჩევანი შენს
ხვალინდელ დღეს შექმნის
და არა გუშინდელს.“

– ჯონ ბევირი, „ქორწინების ამბავი“

...ყურადღება ღმერთს მიაპყარი

ამ შემთხვევაში შიგნიდან შეიცვლები,

რომელიც გარეგნულადაც გამოჩნდება...

– ჯონ ბევირი, „სულიწმიდა: გაცნობა“


John Bevere
SEHTAN
SIAU
RAWL

НЕОТСТУПНИК

ღვთის სიტყვას აქვს ჩვენი

გზის განათების

და მასზე დაყრილი ნამსხვრევებისგან

გაწმედის ძალა, რომ

თავისუფლად ვიაროთ.

– ლიზა ბევირი, „ქალები მახვილებით“
როგორ უნდა ატარო შენი ჯვარი გმირულად







Qantas Credit Union Arena
Qantas Credit Union Arena
00:17
SO
LOVED.

„რაკი იესო ქრისტე **უფლად** მიიღეთ, მას უნდა მიყვეთ. ფესვი გაიდგით მასში და თქვენი ცხოვრება **მასზე ააგეთ.**“
(კოლ. 2:6-7)

– ჯონ ბევირი, „კარგი თუ ღმერთი?“
რატომ არ არის საკმარისი კარგი ღვთის გარეშე



„თუ ჩვენ [ქრისტიანები] არ მივუტანთ ქვეყნიერებას ღვთის **ჭეშმარიტებას** და **სინათლეს**,

ამას სხვა არავინ გააკეთებს.“

– ჯონ ბევირი, „სულიწმიდა: გაცნობა“



გსურს მეტი www.CloudLibrary.org

თავი 4

აღსდექი და აშენე!

„. . . თქვენ იცით, რომ ხალხთა მთავარნი მბრძანებლობენ მათზე და დიდებულნი განაგებენ მათ. ხოლო თქვენს შორის ნუ იქნება ასე, არამედ, ვინც თქვენში მოისურვებს უფროსობას, თქვენს მსახურად იქცეს. და ვინც თქვენს შორის მოისურვებს პირველობას, თქვენს მონად იქცეს. რადგან ძე კაცისა იმისთვის კი არ მოვიდა, რომ სხვები იმსახუროს, არამედ რათა სხვებს ემსახუროს და მრავალთა სახსნელად მისცეს თავისი სული.“

– მათ. 20:25-28;

დღე 1

ჯანსაღი ქორწინების დასაფუძნებლად მხოლოდ ერთი ეფექტური მეთოდი არსებობს. ბევრი ჩვენგანისთვის ის დაფარულია. უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ეს მეთოდი არ აღგაფრთოვანებთ და არც ადვილია. მიუხედავად ამისა, ეს ერთადერთი გზაა, რომ იქონიოთ სისრულე, მიზანი და სიყვარული, რასაც ყველა ჩვენგანი ისურვებდა ქორწინებაში. მზად ხართ დიდი საიდუმლოს მოსასმენად? აი, ისიც: *ემსახურეთ*! საოცნებო ქორწინების აშენების ერთადერთი გზა გახლავს თქვენი ცხოვრების მიძღვნა თქვენი მეუღლის მსახურებისთვის.

გთხოვთ, შეეწინააღმდეგეთ სურვილს, რომ ეს წიგნი დახუროთ ან მომდევნო თავზე გადახვიდეთ. ჩვენ ვიცით, რომ მსახურების კონცეფცია, როგორც წესი, დიდ სიხარულს არავისში იწვევს. იგი უფრო უხალისობას და ზოგჯერ, შიშსაც აღძრავს. შეძრწუნება გვიპყრობს, როცა სხვების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინების, მათთვის უპირატესობის მინიჭების ფიქრი მოგვიცავს. მიუხედავად ამისა, იესო, ღვთის ძე და მეფეთა მეფე, მსახურის სახით მოვიდა ჩვენთვის საუკეთესოს ძიების გამო. ჩვენი უმაღლესი ინტერესები მისი

უდიდესი ზრუნვის საგნად იქცა. ქრისტემ უარი თქვა ძალაუფლებისა და პრივილეგიის ადგილზე, რომ ღმერთსა და ადამიანს შორის არსებული უფსკრული ამოევსო. და ახლა, როცა მან ღმერთთან ჩვენი შერიგების გზა შექმნა, ახარებს ჩვენი ყველაზე იდუმალი ოცნებების, სურვილებისა და სიხარულის აღსრულება ჩვენი გაძლიერების მეშვეობით, რომ არაჩვეულებრივი ცხოვრება განვლოთ და მას დავემსგავსოთ. მართალია, იესომ თავისი სიცოცხლე გაწირა, მაგრამ ჩვენ შემოგვთავაზა სიუხვეში ცხოვრება. ამ უპრეცედენტო, უსაზღვრო მსაუხრეების წესი გახლავთ ის სტანდარტი, რომელმაც ყველა სახის ურთიერთობაში, განსაკუთრებით კი, ქორწინებაში უნდა გვიხელმძღვანელოს!

ახლა, როცა გემბანები გავწმინდეთ, ჩვენი ოცნების ქორწინების აშენების შესაძლებლობა გვეძლევა. თუმცა თქვენი ოჯახური ოცნების, ზეცით შთაგონებული ნეტარების გეგმის ხორცშესხმის ერთადერთი გზა გახლავს თქვენი ცხოვრების მასში გაცვლა. სიხარული, სიყვარული და სისრულე – რასაც ქორწინებაში ისურვებდით, მხოლოდ მაშინ მოვა, როცა საკუთარი ინტერესებს მსხვერპლად გაიღებთ მეუღლის გულისთვის.

შეგიმჩნევიათ თუ არა, რომ ყველაზე საცოდავი ის ქრისტიანია, რომელიც საკუთარი თავის გარდა ვერავის ხედავს? ყველაზე უფრო დავრდომილი ის არის, ვისაც არასოდეს არავისთვის არაფერი გაუკეთებია. სწორედ ამიტომ, ქრისტეში ყოფნა განაპირობებს იესოსმიერი მსახურების სულიერი დნმ-ის ჩართვას ჩვენს ბუნებაში. იესო უდიდესი მსახური გახლავთ. როცა უარს ვამბობთ მასთან გაიგივებაზე, რაც ბევრ სხვა რამესთან ერთად მსახურად ქცევასაც გულისხმობს, მის გარდამქმნელ ძალას ვწყდებით. ეს ძალა არსებითია ღვთისმოსაობით ცხოვრებისა და ქორწინების მშენებლობაში. მას მხოლოდ მაშინ შევეხებით, როცა იესოს მსგავსი ცხოვრების წესით ვცხოვრობთ. თუ არ ვემსახურებით, ვერ ავაგებთ სასურველ ქორწინებას.

უმცირესად გახდომა

უკანასკნელი სერობისას იესომ უახლოეს მეგობრებს უთხრა, რომ მისი სიკვდილი გარდაუვალი იყო და მალე გასცემდნენ. როგორ უპასუხეს მათ? თავდაპირველად, სასწრაფოდ უარყვეს მისი გაცემის რაიმე შესაძლებლობა. შემდეგ ასევე სწრაფად წამოიწყეს კამათი, თუ ვინ იყო მათ შორის უდიდესი.

რა უგუნურებაა! იესო მათ მოახლოებული სიკვდილის დეტალებს აცნობს, უახლოეს მეგობრებს კი ამ დროს საკუთარი სიდიადის საკითხის გარკვევა უფრო აღელვებთ. ნახეთ, როგორ უპასუხა უფალმა მათ წინდაუხედავობას:

„...თქვენს შორის უფროსი უმცროსივით იყოს, ხოლო ვინც უფროსობს – მსახურივით. ვინაიდან, ვინ არის უფრო დიდი: მეინახე თუ მსახური? განა მეინახე არა? მე კი თქვენს შორის ვარ, როგორც მსახური.“

– ლუკ. 22:26-27;

იესოს სიტყვები, ალბათ, ისეთივე გამომაფხიზლებელი იყო მათთვის, როგორც სახეში მოხვედრილი ბურთი. ნათელი მოეფინა მოწაფეების ნამდვილ ზრახვას, რომ ყოფილიყვნენ უდიდესნი. იესომ განუმარტა მათ, რომ უფროსობა მსახურებაში აღმატებას ნიშნავდა.

თუმცა უფალი ამ ძნელად მოსასმენი სიტყვით არ დაკმაყოფილდა. მან ისეთი რამ მოიმოქმედა, რომ მოწაფეები კიდევ უფრო უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩდნენ და დაიბნენ. წერილი ამბობს:

„იესომ იცოდა რა, რომ მამამ ყველაფერი მისცა მას ხელთ, რომ ღვთიდან გამოვიდა და ღმერთთან მიდის, წამოდგა სერობიდან, გადაიძრო ზედა სამოსელი, აიღო ტილო და წელზე შემოირტყა. მერე ჩაასხა წყალი საბანელში და დაიწყო მოწაფეების ფერხთბანა და იმ ტილოთი შემშრალება, წელზე რომ ერტყა.“

– იოან. 13:3-5;

საოცარია, რატომ დაბანა იესომ მოწაფეებს ფეხები. პასუხი ცხადი ხდება შემდეგ სიტყვებზე ყურადღების გამახვილებიდან: *იცოდა რა*. იესოს მიცემული ჰქონდა ძალაუფლება ყოველივეზე. მან ეს კარგად იცოდა, ამიტომ თავი დაიმდაბლა და ყველაზე დაბალი დონის მსახურის პასუხისმგებლობის შესრულებას შეუდგა. იესოს ცრუ თავმდაბლობა არ აწუხებდა. მას ცხადად ჰქონდა გაცნობიერებული საკუთარი ძალაუფლების პოზიცია. თუმცა საკუთარი მდგომარეობა სიამაყით აღვსების ან მეტისმეტად დიდი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ნაცვლად მსახურების წარმოუდგენელი ქმედების საფუძვლად აქცია.

პირველ საუკუნეში ქუჩები დაგებული არ იყო და იმ დროს ვერც დიდ სავაჭრო ცენტრებს ნახავდით, სადაც მოგზაურები წყვილ ნაიკის ფორმის სპორტულ ფეხსაცმელს შეიძენდნენ. ხალხი სანდლებით (ან საერთოდ ფეხშიშველა) დადიოდა, ამრიგად ფეხებზე ადვილად ეკვრებოდათ ჭუჭყი და ცხოველთა ექსკრემენტები. ალბათ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთ გარემოში ადამიანის ფეხები თანამედროვე მსოფლიოსთვის

წარმოუდგენელი სიბინძურის მდგომარეობამდე მიდიოდა.

ჭუჭყის სიუხვის გამო მსახურებს ან მონებს მათი ბატონების ან სტუმრების ფეხების სისუფთავეზე ზრუნვა ევალებოდათ. მდიდრულ სახლებში მრავალი შესასრულებელი ვალდებულება არსებობდა: თავლები მისახედი იყო, საკვები – მოსამზადებელი, ოთახები – დასალაგებელი. ფეხების დაბანის სამუშაო ყველაზე დაბალი საფეხურის მსახურს ევალებოდა. ზოგიერთ წრეში საქმე კიდევ უფრო შორს მიდიოდა და ეს საზიზღარი დავალება მონა ქალების ხვედრი ხდებოდა. მხოლოდ ისინი ითვლებოდნენ საკმარისად „უღირსად“, რომ ამგვარი დამამცირებელი და საძაგელი საქმე ეკეთებინათ.

იესომ სწორედ ამ უმდაბლესი მსახურების ჩატარება მოინდომა. რატომ? მას სურდა, მონაფეების შემეცნებამდე მიეტანა მსახურების მისეული გაკვეთილის დიდმნიშვნელოვნება. მან მოძღვრის სტატუსის მაუწყებელი მოსასხამიც კი გაიხადა და წელზე პირსახოცი შემოიხვია, როგორც ამას მონები აკეთებდნენ. მხედველობაში იქონიეთ, რომ იესო ეს ყველაფერი იმ ადამიანთათვის მოიმოქმედა, რომლებიც მალე უარყოფდნენ, გასცემდნენ და მიატოვებდნენ.

> „ფერხნი რომ დაბანა მათ და თავისი სამოსელი აიღო და კვლავ დაჯდა, უთხრა მათ: „იცით, რა გიყავით? თქვენ მე მიწოდებთ მოძღვარს და უფალს, და სწორად ამბობთ, რადგან ვარ. ამიტომ, თუკი მე, უფალმა და მოძღვარმა, დაგბანეთ ფერხნი, თქვენც ერთმანეთს უნდა დაბანოთ ფერხნი. რადგან მაგალითი მოგეცით, რათა, როგორც მე მოგექეცით, თქვენც ისე მოიქცეთ. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მონა არაა თავის ბატონზე დიდი და მოვლინებული არ არის მომავლინებელზე დიდი! რაკი ეს იცით, ნეტარნი ხართ, თუ ამას აღასრულებთ!“
>
> – იოან. 13:12-17;

მოწაფეების ფერხთბანის შემდეგ იესომ მოსასხამი შემოიცვა და კვლავ განაგრძო მოძღვრის მოვალეობის შესრულება. მან დამასრულებელი შტრიხები შემატა გაკვეთილს, რომელსაც მისი მოწაფეები ვერასოდეს დაივიწყებდნენ. ეს სამარადისო მზა საკვები ოთხ პუნქტში გამოიხატება:

1. მე ვარ თქვენი უდიდესი მაგალითი, როგორც უფალი და მოძღვარი!
2. ეს თავმდაბლური საქმე ჩემი ნებით აღვასრულე, ამიტომ ნუ წარმოიდგენთ, რომ ეს ან ნებისმიერი სხვა მომსახურება გვერდს აგივლით!

3. მე თქვენი ბატონი ვარ, თქვენზე დიდი, მაგრამ მაინც შევასრულე მონის მსახურება.
4. ვაკურთხებ მათ, ვინც თავმდაბალი მსახური წინამძღოლის ნიმუშს მიბაძავს, რომელიც მე ვაჩვენე!

მსახურებისთვის მოწოდებული

იესომ თქვა, რომ ნეტარნი ვიქნებით, თუ მის მაგალითს მივბაძავთ. ეს ნიშნავს, რომ ნეტარება ჩვენს ქორწინებაზეც მოდის, როცა მის მსგავსად ვემსახურებით ჩვენს მეუღლეებს.

სულაც არ მოგიწოდებთ, რომ იესოს მიბაძოთ და ყოველ საღამოს ჩაატაროთ ფეხბანის რიტუალი. აქ მთავარი იყო მისეული მსახურების ნიმუშის დანერგვა ჩვენს ცხოვრებაში. ოჯახში იესოს საუკეთესოდ ვბაძავთ, როცა ჩვენს ფუნქციებს მსახურების საფუძვლად ვიყენებთ. პავლე წერდა:

> „არაფერი გააკეთოთ ჯიბრით . . . არამედ თავმდაბლობით. საკუთარ თავზე მეტად შერაცხეთ ერთმანეთი. თქვენშიაც იმ საფიქრალზე იფიქრეთ, რაც ქრისტე იესოშია.“
>
> – ფილ. 2:3;

რა იყო ქრისტეს საფიქრალი? მან მსახურობა არჩია, რაც სხვის ინტერესებს საკუთარზე მაღლა აყენებდა. მან ეს საქმე მწვერვალზე აიყვანა, როცა მისთვის საყვარელი ადამიანებისთვის მოკვდა. უმეტეს ჩვენგანს არ მოუწევს ამგვარი მსხვერპლის გაღება მეუღლის გამო, მაგრამ მოწოდებული ვართ, რომ მათი გულისთვის უარი ვთქვათ ჩვენს ეგოისტურ დამოკიდებულებაზე.

თუ მსახურება ასე დიდი რამ არის, თუ ის ღვთიურ კურთხევას იზიდავს, რატომ არ ითვალისწინებს ამას ადამიანთა უფრო მეტი ნაწილი? პრობლემა ჩვენს დაცემულ ადამიანურ ბუნებაშია, რომელიც გამუდმებით იბრძვის ღვთის სულის გზების წინააღმდეგ და მოგვიწოდებს, რომ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება ვაქციოთ ჩვენს მთავარ მიზნად. ჩვენი ხორცი მოითხოვს, რომ ვცნოთ ჩვენი სურვილები, დავაკმაყოფილოთ მისი გულისთქმები. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად გამოვკვებავთ ხორცს, მას სულ უფრო და უფრო მეტი უნდა.

ცოდვილი ბუნება გამუდმებით ახალისებს მეთავისეობას და უკმაყოფილებას, როცა ღვთის სულიწმიდა გვაძლიერებს უანგარობაში და მარადიულ სისრულეს გვთავაზობს. ყოველთვის არჩევანის წინაშე ვდგავართ – მართული ვართ ღვთის სულით ან ჩვენი ხორციელი ბუნების გაუმაძღრობით:

„ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი – ხორცის საწინააღმდეგო. ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, რათა აკეთოთ არა ის, რაც გსურთ.“

– გალ. 5:17;

იესომ ცოდვილი ბუნებისგან გაგვათავისუფლა, რომ ჩვენი სიცოცხლის უსასყიდლოდ გაღება შეგვძლებოდა. გადარჩენამ არ გაგვათავისუფლა უფრო მეტის მისაღებად; მან გაგვათავისუფლა ბევრის გასაღებად! „თავისუფლებისთვის ხართ მოწოდებულნი, – წერდა პავლე, – ოღონდ ეს თავისუფლება არ გახდეს საბაბი ხორცის საამებლად, არამედ სიყვარულით ემსახურეთ ერთმანეთს!“ (გალ. 5:13).

თავისუფლება მოგვეცა იმისთვის, რომ ჩვენი ცხოვრება მსხვერპლად გაგვეღო. თუ მხოლოდ საკუთარი თავისთვის ვცხოვრობთ, ქრისტეში ჩვენს თავისუფლებას ამაოდ ვფლანგავთ და საკუთარ თავს მეტისმეტი ეგოიზმისა და ცოდვის დაქვემდებარებაში ვაქცევთ, რომელთაგან ქრისტემ ჯვარცმით გვიხსნა. სხვების, განსაკუთრებით კი, მეუღლეების მომსახურებაში ცხოვრებას თუ ვისწავლით, წილი გვექნება უხვ სიცოცხლეში, რომელიც ქრისტემ შესაძლებელი გახადა.

დღე 2

სულიწმიდით აღვსება

როცა ადამიანებს ე. წ. „ქორწინების მონაკვეთი“ მოჰყავთ ეფესელთა წერილის მე-5 თავიდან, ციტირებას, როგორც წესი, 22-ე მუხლიდან იწყებენ, სადაც ლაპარაკია ცოლების მორჩილებაზე. თუმცა პავლეს შეგონება, სინამდვილეში, ამ თავის წინა მონაკვეთიდან იწყება. სრულად რომ ჩავწვდეთ ქრისტესა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ქორწინებით გამოხატულ სახეს, ტექსტს მე-18 მუხლიდან გადავხედოთ:

„... აღივსენით სულით!“

– ეფეს. 5:18;

ბერძნულ დედანში გამოყენებული სიტყვა *აღვსება* აღწერს სულიწმიდით გაჯერების მუდმივად განგრძობად პროცესს. ერჯერადი აღვსება საკმარისი არ არის. როცა მუდმივად არ ვივსებით და არ ვართ სულით აღძრულნი, მეუღლეებისგან ველოდებით ჩვენი საჭიროების დაკმაყოფილებას, რომელიც

მხოლოდ ღმერთს შეუძლია. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად მოწიფულია თქვენი მეუღლე, იგი ღმერთს ვერ შეცვლის. თუ ელოდებით, რომ მეუღლე მიზანსა და მნიშვნელობას შესძენს თქვენს ცხოვრებას, რის შემოთავაზებაც მხოლოდ ღმერთს შეუძლია, იმედგაცრუებული, და გაღიზიანებული დარჩებით და ვერ შეძლებთ ღვთის სიყვარულის გამოვლენას.

ჩვენი ქორწინება მხოლოდ მაშინ წარმოაჩენს ქრისტეს, როცა მისი წმიდა სული მთელი გულით არის მიღებული ჩვენს ცხოვრებაში. ქრისტე ჩვენი გადარჩენის ქვაკუთხედია, მაგრამ სულიწმიდა მისეული გარდაქმნის შუამავალია. როცა მას საშუალებას ვაძლევთ, რომ განუწყვეტლივ აავსოს ჩვენი ცხოვრება, გონების განახლება და ჩვენი საქციელის გარდაქმნა იწყება. ღმერთი ამბობს:

> „მიტოვებული გაქვთ წინანდელი ცხოვრება ძველი კაცისა . . . და განახლებული ხართ თქვენი გონების სულით, და შეგიმოსავთ ახალი კაცი, რომელიც შექმნილია ღვთისამებრ, სიმართლითა და ჭეშმარიტების სიწმიდით!“
>
> – ეფეს. 4:22-24;

ქრისტეს სიყვარული და მსახურება მისი სულის გარეშე იგივეა, რაც შლანგით წყლის მიღების მოლოდინი, რომელიც ონკანთან შეერთებული არ არის. შლანგში წყალი თავისთავად არ მოედინება. იგი, უბრალოდ, გამტარი არხია. ანალოგიურად, როცა სულიწმიდის ძალით ვიმოსებით, შეგვიძლია ჩვენი მეუღლის სიყვარული და მომსახურება ისე, როგორც ღვთისთვის მოსაწონი იქნება.

ნებისყოფას და საქციელის შეცვლასაც თავისი ადგილი უჭირავს, მაგრამ საბოლოოდ, ისინი ვერ შეძლებენ ჩვენი გონების განახლებას ან ჩვენი ხორცის გულისთქმების ძლევას. მხოლოდ სულიწმიდის პიროვნებისა და ძალის მიღებით შევძლებთ მისი ცხოვრების გარდამქმნელი ზეგავლენის ხილვას ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენი ცხოვრების მეშვეობით, რომელიც თავს ავლენს ქრისტემიერი დამოკიდებულებისა და ქმედებების სახით ჩვენი მეუღლეების მიმართ. საქციელის შეცვლის ნებისმიერი მცდელობა ღვთის სულის ჩართვის გარეშე, იმედგაცრუებით და ცდუნებით მთავრდება.

არაერთი შეტყობინება მიგვიღია მამაკაცებისა და ქალებისგან, რომელთა ქორწინებები მანიპულაციისა და ბატონობის გამო დაინგრა. ბევრ შემთხვევაში ეს პიროვნებები კარგად იყვნენ განსწავლული წერილებში, მაგრამ აკლდათ სულიწმიდის სიყვარული და მადლი. შედეგად, სიტყვა, რომელსაც ისინი უნდა გაეთავისუფლებინა და ძალით შეემოსა, გამოყენებულ

იქნა შესაზღუდად, დასამარხად და შესარცხვენად. ასეთი ბოროტება იქ წამოყოფს თავს, სადაც კი ეგოიზმი იმალება. ეგოიზმი აყვავდება, როცა ღვთის სულიწმიდას ჩვენში მუშაობის საშუალებას არ ვაძლევთ და ამით უარვყოფთ მომსახურებას, როგორც ჩვენს უმთავრეს როლს ოჯახში.

თავის დარჩენილ ნაწილში გამოვიკვლევთ, რას ნიშნავს მსახურება ქორწინების ფარგლებში. ჩვენი მიზანია ბიბლიური სტრუქტურის შემოთავაზება, თუ როგორ შევძლებთ ქორწინების მართვას და შენებას მსახურების მეშვეობით. გთხოვთ, ნუ გამოიყენებთ ამ თავს თქვენი მეუღლის წარსული თუ ახლანდელი ქცევის მსჯავრდადებისთვის! ამის ნაცვლად, ეს სტრუქტურა წინსვლისთვის გამოიყენეთ!

ვაცნობიერებთ, რომ ამ კონცეფციას იმ პირობით ვაყალიბებთ, რომ ორივე მეუღლე პატივს მიაგებს ღვთის გეგმას ქორწინებაში მათი ფუნქციების გათვალისწინებით. ვიცით, რომ ყოველთვის ასე არ ხდება. როგორიც არ უნდა იყოს თქვენი ვითარება, გახსოვდეთ, რომ მეუღლეს ვერ შეცვლით. თუ ამას შეეცდებით, ღმერთს წინ გადაეღობებით. გახსენით გული ღვთის წმიდა სულის მუშაობისთვის და მიეცით მას სივრცე, რომ თქვენს მეუღლეში გააკეთოს ის, რაც მხოლოდ მას შეუძლია.

იგივეობა და ფუნქციები

ქორწინებაში ჩვენი მსახურების ფუნქციების გასააზრებლად საჭიროა ედემის ბაღს კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი:

> „. . . შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი.“
>
> – დაბ. 1:27;

როგორც მამაკაცი, ისე ქალი ღვთის ბუნების მატარებლები არიან. კაცი და ქალი ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ ისინი თანაბრად მნიშვნელოვანი არიან დედამიწაზე ღვთის ბუნების წარმოჩენის საქმეში.

ქმარი და ცოლი გახლავთ ფუნქციები. ესენია უნიკალური მოვალეობები და ბიბლია განსაკუთრებულ ინფორმაციას გვაწვდის, თუ რა იგულსხმება მათში. ესენი არ გახლავთ ჩვენი პიროვნული იგივეობა. ჩვენი იგივეობა ღვთის თავდაპირველ ჩანაფიქრს უკავშირდება. ჩვენ ღვთის მსგავსების მატარებლებად შეგვქმნეს დედამიწაზე. ცოდვით დაცემამ ეს მიზანი დაამახინჯა, მაგრამ ქრისტეს მსხვერპლშეწირვამ აღადგინა. ჩვენი გადარჩენა ქრისტეში გახლავთ, უპირველეს ყოვლისა, პიროვნულობის ცვლილება.

არავითარი ფუნქცია: ქმარი, ცოლი, პროფესიონალი, მსახური, მშობელი, მეგობარი – არ გახლავთ კოზირი თქვენი იგივეობისთვის. ფუნქციის ცვლილება (მაგ. მარტოხელობიდან დაოჯახებამდე) არ ნიშნავს იგივეობის ცვლილებას. როგორც მამაკაცი, ისე ქალი ქორწინების შემდეგაც ისევე ფასეული არიან ღვთის თვალში, როგორც ქორწინებამდე იყვნენ.

სამწუხაროა, რომ ბევრი ადამიანი (განსაკუთრებით ქალები) თვლის, რომ მათი ფასეულობა გათხოვების შემდეგ იცვლება. ქალებს ეშინიათ, რომ ქმრებისთვის პატივის მიგებით ისინი მეორეხარისხოვანი გახდებიან მნიშვნელობით ან ოჯახში წვლილით. ამ სცენარის მიხედვით, სიყვარულისა და მომსახურების საქმეების ნაცვლად, ქალი თანდათან მცირდება იძულებით შრომაში, სანამ მთლიანად არ გაუჩინარდება.

თავიდან ისე ჩანს, რომ ასეთი წყობით ქმარი მხოლოდ იგებს, მაგრამ ასე არ არის. სინამდვილეში, ორივე მეუღლე აგებს, როცა ეგოიზმი ცხოვრების წესად იქცევა. ქმარი, რომელიც თავის ცოლს თანასწორ პარტნიორად არ განიხილავს, არა მარტო კარგავს ძალიან ახლო მოკავშირეს, არამედ საკუთარ თავსაც ართმევს ზრდის უდიდეს შესაძლებლობებს. კაცები უფრო მეტად ემსგავსებიან ქრისტეს, როცა ისინი მეუღლეებს ემსახურებიან ისე, როგორც ქრისტე ემსახურებოდა ეკლესიას. გახსოვდეთ, იესომ თავობის ნიმუში მოგვცა იმ ადამიანების მომსახურებით, რომლებსაც იგი წინამძღოლობს და უყვარს.

სიყვარული და პატივისცემა ორივე მეუღლისთვის მნიშვნელოვანია. ორივე წარმოადგენს საძირკველს და ორივე მსახურია. ქორწინებისადმი ამგვარი მიდგომა მამაკაცსა და ქალს ბატონობის ძალას აღუდგენს, რაც ძლიერებისა და ავტორიტეტის ღვთიური ნიჭია. ეს ჩვენ შექმნისთანავე მოგვენდო.

ბატონობა ბატონობის წინაალმდეგ

> „აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა მათ: „ინაყოფიერეთ და გამრავლდით და აღავსეთ ქვეყანა და დაეუფლეთ მას და ბატონობდეთ ზღვის თევზებზე და ციურ ფრინველებზე და ყოველ ცხოველზე, რომელიც კი მიწაზე დაცოცავს!“ . . . და იხილა ღმერთმა ყოველივე, რაც შექმნა და აჰა, ყოველივე კარგი იყო. . .“
>
> – დაბ. 1:28, 31;

თავდაპირველად მამაკაცი და ქალი ერთმანეთს არ მტრობდნენ. ისინი ახლო მეგობრები და თანამშრომლები იყვნენ. ორ სხვადასხვა ადამიანს ერთი გული აერთიანებდა. მათ მიენდოთ დედამიწის აღვსებისა და დაუფლების საქმე. ღმერთმა

საკუთრივ მათ მისცა დავალება (ემრავლათ და ენაყოფიერათ), რომლის დეტალებიც თავად უნდა განესაზღვრათ. მან ადამიანებს ბატონობა მიანიჭა.

ბატონობა მმართველობასთან, ძალაუფლებასა და კონტროლთან ასოცირდება. იგი აღწერს გავლენის სფეროს და ძალაუფლების ფლობას გულისხმობს. როგორც უკანასკნელი სერობის ამბიდან გავიგეთ, ყოველგვარი ძალაუფლება, იქნება ეს მამაკაცისა და თუ ქალისადმი გადაცემული, სხვათა მომსახურებას გულისხმობს მათივე სიკეთისა და ზრდისთვის.

სქესთა შორის დაპირისპირება ცოდვით დაცემის შემდეგ დაიწყო. ღმერთსა და მის ქმნილებას შორის ყოვლისმომცველი უფსკრული წარმოიშვა. უფლობამ სახე იცვალა და მის ნაცვლად ძალადობრივი მმართველობა და მანიპულაცია მივიღეთ. ღვთივბოძებული ძლიერების ამგვარი დამახინჯება გამუდმებით ებრძვის მშვენიერი ერთობის ღვთიურ ჩანაფიქრს. ქორწინება გამრავლების ნაცვლად დაყოფის იარაღად იქცა.

ქორწინების დანიშნულება არასოდეს ყოფილა ძალაუფლებისთვის ბრძოლა. იგი ერთობლივი მმართველობისთვის შეიქმნა. ქორწინება ორი ძალზე განსხვავებული პოზიციისა და ძლიერების მქონე ადამიანის გაერთიანებას წარმოადგენს, რომელიც შემდეგ ამ განსხვავებებს გამრავლების შესაძლებლობის შესაქმნელად იყენებს. ეს ყველაფერი ღვთიური გეგმის ნაწილია იმის შესარიგებლად, რაც თითქოს შერიგებას არ ექვემდებარება. იესომ თქვა:

> „რადგან ძე კაცისა მოვიდა დაკარგულის მოსაძებნად და სახსნელად.“
>
> – ლუკ. 19:10;

ხშირად ამ მუხლს ადამიანებთან სახარების მიტანის მნიშვნელობით იყენებენ, თუმცა მასში ასახულია გაცილებით მეტი. იესო არ მოსულა მხოლოდ *დაკარგულის* გადასარჩენად. იგი მოვიდა *იმის სახსნელად, რაც დაკარგული იყო.* დაცემის შემდეგ დავკარგეთ ღმერთთან მოზიარეობა. ასევე დავკარგეთ ერთმანეთთან ერთობა. ამაში იგულისხმება ძმისა და ძმის, დისა და დის, მშობლისა და შვილის და ცოლ-ქმრის ურთიერთობა. ასევე დავკარგეთ დარჩენილ ქმნილებასთან ურთიერთობის სილამაზე.

იესოსეული გადარჩენის საქმე გაცილებით მეტია, ვიდრე გადარჩენა ზეცაში მიღწევამდე. ეს გახლავთ სიუხვე და ყველაფრის უკან დაბრუნება ახლა. ჯვარცმამ ურთიერთობათა აღდგენის პოტენციალი მოიტანა იქ, სადაც დავზარალდით. ეს ნიშნავს, რომ ქორწინების განკურნებას ახლა უნდა ველოდოთ. მამაკაცი და ქალი კიდევ შეძლებენ გაერთიანებას!

როცა გულით და მიზნით ვერთიანდებით, ვმრავლდებით; ღმერთი ამბობს, რომ სადაც ერთობაა, იქ ის კურთხევას ბრძანებს (იხილეთ ფს. 132). ჩვენი სულების მტერს არ სურს, რომ ღვთის კურთხევით გავიხაროთ და არც ჩვენი გამრავლების სურვილი კლავს. ამრიგად, იგი ყველაფერს გააკეთებს ჩვენი ერთობის დასანგრევად, რისი ძალაც შესწევს. ძალაუფლების მოპოვების საცდურის წინააღმდეგ ბრძოლით და ბატონობის ჭეშმარიტი ბუნების მიღებით ღმერთთან ვთანამშრომლობთ, რომ დედამიწაზე მისი ნების აღსრულება ვიხილოთ.

ახლა მამაკაცისა და ქალის განსხვავებული ფუნქციების მიზანმიმართულ მსჯელობაზე გადავალთ, თუ როგორ შეძლებენ ისინი ქორწინებაში მსახურებას. იგივეობაზე, ფასეულობასა და ბატონობაზე ღვთიური თვალთახედვის გაგების გარეშე ადამიანი ადვილად ცდება და ფიქრობს, რომ ღვთის მიერ განსაზღვრული ფუნქციები ერთ მეუღლეს მეორეზე უპირატესობის უფლებას აძლევს. ჩვენ შევისწავლეთ ღვთის მითითება პირველი ქორწინებისთვის და დავადგინეთ განსხვავება პიროვნულ იგივეობასა და ფუნქციებს შორის. დარწმუნებული ვართ, რომ კარგად გააცნობიერებთ, რა საინტერესო, წონადი და ფასეული ფუნქციები აქვს ორივე მეუღლეს.[1]

დღე 3

ᲥᲛᲐᲠᲘ: ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲛᲘᲐᲒᲔ ᲪᲝᲚᲡ!

„თქვენც, ქმრებო, გონივრულად მოეპყარით ცოლებს, როგორც უუძლურეს ჭურჭელს, პატივი ეცით, როგორც სიცოცხლის მადლის თანამემკვიდრეებს, რათა ლოცვა არ დაგიბრკოლდეთ!“

– 1 პეტრ. 3:7;

პატივისცემა ორმხრივი უნდა იყოს. ბიბლია ნათლად აცხადებს, რომ ორივე მეუღლე ვალდებულია პატივი სცეს ერთმანეთს. ცოლების როლზე მოგვიანებით ვილაპარაკებთ. ახლა კი ყურადღება მამაკაცის როლზე გავამახვილოთ.

ქმარო, თქვენი ცოლი თქვენზე დაბლა მდგომი არ არის! იგი თქვენი თანამემკვიდრეა ქრისტეში და მას პატივი უნდა მიაგოთ როგორც ასეთს! როცა პეტრემ თქვა, რომ იგი თქვენზე სუსტია, მის ფიზიკურ ძალას გულისხმობდა და არა შინაგანი აღქმის, გარჩევის ან სულიერი ძალის პოტენციალს. თქვენი ცოლის ფიზიკური „სისუსტე“ ნაკლებად ფასეულს არ ხდის მას. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მას თქვენსავით არ შეუ-

ძლია წოლითი აზიდვების კეთება. პეტრეს განმარტება ფაქტზე დაკვირვებას ნიშნავს და არა ქალის ღირსების განსაზღვრას. ეს მნიშვნელოვანი პუნქტია, რადგან მსახურებას ვითხოვთ იმათგან, ვისაც პატივის ღირსად არ მივიჩნევთ. სანამ ჩვენს სიცოცხლეს დავდებდეთ ცოლებისთვის, მათი ზებუნებრივი ფასეულობა უნდა ვცნოთ.

ამაზე პირდაპირ ვლაპარაკობთ, თუმცა სულაც არ ვფიქობთ, რომ ცოლს ამცირებთ ან უგულებელყოფთ. უბრალოდ, არ გვინდა ეს საკითხი გაურკვეველი დარჩეს. მამაკაციც და ქალიც ღვთის ხატად არიან შექმნილი. ამრიგად, ჩვენი ზეციური მამის გამოხატულება შეურაცხყოფილია დედამიწაზე, როცა მამაკაცები პატივს არ მიაგებენ, არ აფასებენ და არ იცავენ ქალებს.

თავდაპირველად, ღმერთმა თქვა, რომ არ იყო კარგი კაცის მარტო ყოფნა (იხილეთ დაბ. 2:18). ღვთის პასუხი ამ პირველ პრობლემაზე, რაც იყო მამაკაცის მარტოობა, გახლდათ ევას შექმნა. ქალები არიან ღვთის პასუხები და არა მეორადი ქმნილებები. თქვენ, როგორც ღვთის მამაკაცს, ღმერთმა ცოლის სიყვარულის, მხარდაჭერის, მასში ინვესტირების და მისი მომსახურების შესაძლებლობა მოგცათ, რაც გახლავთ ღვთის გულის გაბედული გაცხადება გზააბნეული ქვეყნიერებისთვის.

პეტრე ასევე წერდა, რომ მამაკაცები ცოლებს გაგებით უნდა მოქცეოდნენ. ჩვენ უნდა ვცდილობდეთ განსხვავებული ადამიანების გაგებას. ყველა მამაკაცი განსხვავებულია, ყველა ქალი განსხვავებულია და მამაკაცები ქალებისგან ძალიან განსხვავდებიან. მე (ჯონი) ვერ შევურაცხვყოფ ლიზას მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემგან განსხვავებულია. ამის ნაცვლად, ვზეიმობ, რომ მყავს იგი და ვცდილობ, გავაცნობიერო, რა ქმნის მას ასე განსხვავებულს.

ჩემი ცხოვრება უკიდურესად მონოტონური და მოსაბეზრებელი იქნებოდა, მე და ლიზა ზუსტად ერთნაირები რომ ვყოფილიყავით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს შორის არსებული განსხვავება ზოგჯერ პრობლემებს წარმოქმნის, იმის შესაძლებლობასაც გვაძლევს, რომ ორივე ჩვენგანის სუსტი მხარეები გამოვლინდეს, შევეჭიდოთ მათ და გავაძლიეროთ. მე მჭირდება, რომ ლიზა ჩემგან განსხვავებული იყოს. პატივს მივაგებ მას და სარგებელს ვიღებ ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის იმ დიდი ცოდნის ძიებით, თუ რით არის გამოწვეული მისი ქცევა.

და ბოლოს, ყურადღება მიაქციეთ, რომ 1 პეტრ. 3:7-ის თანახმად, ცოლების უპატივცემულობა ჩვენს ლოცვებს აბრკოლებს. ქალების კეთილდღეობა იმდენად მნიშვნელოვანია ღვთისთვის, რომ მან ჩვენი ლოცვითი ცხოვრების საფუძვლიან ფაქტორად ცოლების პიტივისცემა და გაგება გახადა!

ერთობის თავი

„ვინაიდან ქმარი არის ცოლის თავი, როგორც ქრისტე არის ეკლესიის თავი . . .“

– ეფეს. 5:23;

ეს მუხლი არ ლაპარაკობს ვინმეს უპირატესობაზე ან დამდაბლებაზე. იგი ქრისტესა და მისი საპატარძლოს სურათს აღწერს, რადგან ქორწინება სწორედ მისი სიმბოლოა. იმის გამო, რომ ქმრები ქრისტეს უტოლდებიან ამ ორგანულ ანალოგიაში, ისინი ოჯახური ერთობის წამყვანებად მოიზრებიან. მათ წინამძღოლობის საოცარი პასუხისმგებლობა აკისრიათ ქრისტესმიერი მსახურების მეშვეობით, რომ ურწმუნო ქვეყნიერებამ იესოს ბუნების მოწმობა მიიღოს. (როცა ვფიქრობთ, რა ძლიერ უყვარს იესოს ეკლესია, ერთი წამითაც ვერ ვუშვებთ, რომ მის საპატარძლოსთან შედარებით იესომ ცოლების დამცირება ან გარიყვა განიზრახა.)

ქმარს ოჯახის თავის ძალაუფლება იმისთვის არ მიეცა, რომ ცოლის ნებისმიერი ნათქვამის შემდეგ საკუთარი უპირატესობა ამტკიცოს. პირიქით, გამჭრიახ ქმარს არ სურს ცოლის წვლილის უგულებელყოფა. იგი აცნობიერებს, რომ ქალის როლი არსებითია გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ჩვენი ქორწინების პირველ ხანებში მე (ჯონი) დღეში საათნახევრის განმავლობაში ვლოცულობდი. მეჩვენებოდა, რომ ლიზა, რომელიც მთელი დღე მუშაობდა, მოკლე ლოცვას წარმოთქვამდა საშხაპეში ან მანქანის ტარებისას. როცა ერთი გადაწყვეტილების მიღებისას ვერ შევთანხმდით, შეცდომა დავუშვი და ვივარაუდე, რომ უფრო მეტ დროს ვატარებდი ლოცვაში, ამიტომ ჩემი, როგორც ოჯახის თავის ძალაუფლების გამოყენება შემეძლო საკუთარი მოსაზრების გასატანად. უმეტესწილად, უთანხმოებას ამ გზით ვწყვეტდი, მაგრამ მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ ლიზას მოსაზრებები სწორი იყო.

გულწრფელად რომ ვთქვა, უკმაყოფილო დავრჩი. *რატომ იყო ლიზას შინაგანი აღქმა სწორი,* – ვფიქრობდი მე, – *როცა უფრო მეტ დროს ვატარებ ლოცვაში?* ამრიგად, ერთ დღეს ლოცვა დავიწყე, „ღმერთო, ყოველ დილით საათნახევარი ვლოცულობ. ლიზა, ალბათ, ათ წუთს თუ ილოცებს საშხაპეში. მიუხედავად ამისა, ჩვენი უთანხმოებების ნახევარზე მეტ შემთხვევაში ის მართალი გამოდგება.“

უფალმა ასე მითხრა, „წრე შემოხაზე!“ ფურცელი ვიპოვე და წრე შემოვხაზე.

„✕-ები ჩაწერე მთელს წრეში," – მიმითითა ღმერთმა. როცა წრე ✕-ებით გაივსო, მან მითხრა, „ახლა ზუსტად შუაში გაავლე ხაზი!"



„შენიშნე, – თქვა ღმერთმა, – ✕-ების ნახევარი ხაზის ერთ მხარეს არის, ხოლო მეორე ნახევარი – მეორე მხარეს? ჯონ, დაქორწინებამდე სრული იყავი, როგორც ეს შევსებული წრე, მაგრამ ლიზა რომ მოიყვანე, ერთი ხორცი გახდი მასთან. ახლა ეს წრე ორივე თქვენგანს წარმოადგენს. შენ ხარ ნახევარი და ლიზა მეორე ნახევარი!"

„იცი, რა არის ✕-ები?" – განაგრძო ღმერთმა, – ეს არის ინფორმაცია, რომელიც ჩემგან გჭირდება გონივრული გადაწყვეტილების მისაღებად. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ შენი ყველა გადაწყვეტილება ინფორმაციის ნახევარს ეფუძნება. უნდა ისწავლო, როგორ მიიღო ცოლისგან ის, რაც მას ვაჩვენე, რომ შენ, როგორც ოჯახის თავმა გამოიტანო სწორი გადაწყვეტილება სრული ინფორმაციის საფუძველზე!"

ამ გამოცხადებამ რევოლუცია მოახდინა ჩემს თვალთახედვაში, თუ რას ნიშნავს ჩემთვის ოჯახის თავობა ქორწინებაში. უკვე აღარ ვცდილობ ჩემი ფუნქციით ბოროტად ვისარგებლო და გვერდი ავუარო ლიზას რჩევას. მე სიამოვნებას ვიღებ იმით, რასაც ღმერთი მისი მეშვეობით მეუბნება და ვხარობ გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღების პროცესით.

წინამძღოლი მსახური

ისევ ვიმეორებთ, რომ კაცის როლი ბატონობით არ განისაზღვრება. ბატონობა წინამძღოლობისგან განსხვავდება. წინამძღოლობა მოიცავს არჩევანის მინიჭების ღირსებას, ხოლო ბატონობა ამ უფლებას არ იძლევა. მამაკაცისთვის საკუთარი სახლის ღვთისმოსავ წინამძღოლად გახდომის გასაღებია ძალაუფლების პოზიციის მნიშვნელობის გაგება. გაიხსენეთ იესოს სიტყვები: „თქვენ კი ასე როდი ხართ. თქვენს შორის უფროსი უმცროსივით იყოს, ხოლო ვინც უფროსობს – მსახურივით!" (ლუკ. 22:26). ქმარი, როგორც ამ ერთობის თავი, წამყვანი მსახური უნდა იყოს!

მამაკაცი არ გახლავთ ბოსი, რომ ქალი მას ემსახურებოდეს. ქმარი არის *წინამძღოლი*, რომელიც ქალთან ერთად შრომობს.

ფაქტობრივად, თუ ის ბრძენია, ქალს არაერთხელ გაუმეორებს, რომ მის გარეშე ვერაფერს მოახერხებდა. მე (ლიზას) მომწონს, როცა ქმარი მეუბნება, რომ ვჭირდები. ეს თავს მის თანასწორად მაგრძნობინებს და ძალას მმატებს, რომ შევავსო მისი ნაკლოვანება. და თუ არ ვიცი, როგორ ვიყო ასეთი ქალი, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს გამოვარკვიო. მე ვიფურჩქნები, როცა მისთვის მნიშვნელოვანი ვარ.[2]

ქმარო, ცოლის მომსახურება არ ნიშნავს, რომ ყველაფერს აძლევ, რაც მას სურს. ეს არის მისთვის ცხოვრების მიძღვნა და გადაწყვეტილებების მიღება მისთვის საუკეთესოს გათვალისწინებით. ჩვენს მეუღლეებს ისე უნდა მივუძღოდეთ, როგორც იესო გვხელმძღვანელობს. ბევრი რამ არის, რასაც იესო ჩვენი ინტერესების გათვალისწინებით აკეთებს, თუმცა ზოგჯერ ეს არ გვახარებს. აუცილებლად გექნებათ შემთხვევები, როცა თქვენი ცოლის კეთილდღეობისთვის ზრუნვა მის სურვილებთან წინააღმდეგობაში მოვა. იესოს მაგალითისამებრ ვიცით, რომ საუკეთესო არჩევანი უნდა გავაკეთოთ და არა ის, რაც ყველაზე მოსახერხებელია. თუმცა ცოლისთვის საუკეთესოს განსაზღვრის წინაპირობა გახლავთ მისი სიყვარული და პატივისცემა ისე, როგორც ქრისტეს უყვარს და პატივს მიაგებს თავის ეკლესიას.

ფეხების დაბანის შემდეგ იესომ ნათლად დაანახა მოწაფებს, რომ კვლავ მათი უფალი იყო. მას არასოდეს უთქვამს უარი ძალაუფლების პოზიციაზე, მაგრამ საფუძვლიანად შეცვალა ძალაუფლების ქონის მიზანი. როგორც მან წარმოაჩინა, ძალაუფლება იმისთვის მოგვეცა, რომ ერთმანეთს ვემსახუროთ. კაცებო, ოჯახის თავის ძალაუფლება ისეთი გარემოს შესაქმნელად უნდა გამოვიყენოთ, რომელიც საუკეთესო სასმსახურს გაუწევს ჩვენს მეუღლეებს. ვინაიდან ჩვენი ერთობის თავები ვართ, ჩვენს პასუხისმგებლობას წარმოადგენს ყველაზე მდაბალ მსახურად ყოფნა. ამის კეთებით თავს ვუძღვნით ცოლებს.

„. . . დაემორჩილეთ ერთმანეთს ღვთის მოშიშებით!“

– ეფეს. 5:21;

გახსოვთ პავლეს მითითება ეფეს. 5:18-ში, „აღივსენით სულიწმიდით!“ მას მოსდევს აღწერა, თუ რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, რომ სულიწმიდით აივსოს. ესენია სულიერი საგალობლების მღერა და მადლიერება. შემდეგ, 21-ე მუხლში იგი გვეუბნება, „დაემორჩილეთ ერთმანეთს!“ ზოგადად მიღებულია, რომ პავლე აქ იწყებს ქორწინების საკითხის განხილვას. ტიმოთი და ქეითი კელერები *ქორწინების მნიშვნელობას* ასე განსაზღვრავენ:

ინგლისურში [მ. 21], როგორც წესი, ცალკე წინადადებად მიიჩნევა, მაგრამ მასში მკითხველისგან დაფარულია მნიშვნელოვანი მომენტი, რის აღნიშვნაც პავლეს სურს. ბერძნულ დედანში მუხლი 21 გრძელი წინადადების ქვეწყობილ წინადადებად გვევლინება, სადაც პავლე „სულიწმიდით ავსებული“ ადამიანის რამდენიმე ნიშანს წარმოგვიდგენს.[3]

ამრიგად, კელერები ამბობენ:

სულიწმიდით ავსების ბოლო ნიშანი ამ უკანასკნელ წინადადებაშია: ეს გახლავთ სიამაყის და სიჯიუტის დაკარგვა, რომელსაც პიროვნება სხვების მომსახურების თავმდაბლობისკენ მიჰყავს.[4]

ქორწინების კუთხით ეს ნიშნავს, რომ მეუღლე, რომელიც სულიწმიდით გაძლიერებული ცხოვრობს (რის მნიშვნელობაც ადრე გამოვკვეთეთ), ცნობილია მეუღლისადმი მორჩილებით.

ბევრი ადამიანი მორჩილების ფუნქციას გამორჩეულად ცოლებს აკისრებს, მაგრამ პავლე ნათლად მიუთითებს, რომ ორივე მეუღლე ერთმანეთს უნდა დაემორჩილოს. ამ მუხლში გამოყენებულია იგივე ბერძნული სიტყვა *მორჩილება*, რომელიც მოგვიანებით პავლეს მითითებაში გვხდება: ცოლები ქმრებს უნდა დაემორჩილონ! ეს სიტყვა დაქვემდებარებას ნიშნავს. როცა ლაპარაკია სახლში ძალაუფლების სტრუქტურაზე, დიახ, ცოლები თავიანთ ქმრებს უნდა დაემორჩილონ, როგოც თავს. თუმცა! მამაკაცებს სხვა სახის მორჩილება მოეთხოვებათ ცოლების მიმართ.

პავლე წერს, რომ ქრისტეს უნდა დავემორჩილოთ მოშიშების გამო. სიტყვა *მოშიშება* აქ ბერძნული სიტყვა *phobos* თარგმანია და ძრწოლის მომგვრელი მოკრძალების მნიშვნელობა აქვს. (ალბათ, შენიშნეთ, რომ *phobos* ძალიან ჰგავს *ფობიას*.) სიტყვა *მოშიშება* თავდაპირველ მანუსკრიპტში ნაგულისხმევ მნიშვნელობას არ შეესაბამება; უმჯობესი ასე იქნებოდა: „ერთმანეთს დაემორჩილეთ ქრისტეს მიმართ მოკრძალებიდან გამომდინარე.“

ერთ დღეს მე (ჯონი) ლიზას მიმართ თავაზიანი ვერ ვიყავი, ჰოდა, ღმერთი დამელაპარაკა და ასე მითხრა: „ლიზა, უპირველეს ყოვლისა, ჩემი ასულია და მხოლოდ ამის მერეა შენი ცოლი!“ ამან ჩემს გულში უფლის შიში მოიტანა.

ქმრებო, ღმერთი ყოველთვის აქ არის! მან იცის, რას ეუბნებით და როგორ ექცევით მის ასულს?! იგი თქვენი სიტყვების მიღმა ხედავს და თქვენი გულის ზრახვებიც უწყის. პატივს

მიაგებთ თუ არა მას იმით, როგორც ეპყრობით თქვენს პატარძალს? თუ თქვენს პატარძალს უპატიოჰყოფთ, ამით მის ზეციერ მამას შეურაცხყოფთ. იზრუნეთ მასზე მოკრძალებითა და თრთოლვით.

პავლე განმარტებას განაგრძობს, რომ ქმარი ცოლს ემორჩილება მისი სიცოცხლის მიძღვნით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქმარი ცოლს ემორჩილება მისი ინტერესებისადმი დაქვემდებარებით.

„მამაკაცებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია და თავი გაწირა მისთვის!. . .“

– ეფე. 5:25;

ქრისტეს არასოდეს გამოუყენებია ძალაუფლება პირადი სარგებლისთვის. იგი ამას ჩვენს გასაძლიერებლად იყენებდა. ანალოგიურად, ჩვენ, ქმრები, მოწოდებული ვართ, რომ ძალაუფლება ჩვენი ცოლების სარგებლობისა და გაძლიერებისთვის გამოვიყენოთ. ქრისტემ სიცოცხლე გაწირა თავისი საპატარძლოს განდიდებისა და განწმედისთვის. მისი უდიდესი სიხარულია, როგორც ჩვენ ვიტყოდით, ბედნიერი დასასრული ანუ საპატარძლოს განდიდება. თქვენი, როგორც ქმრის როლი მდგომარეობს თქვენი სიცოცხლის ცოლისთვის გახარჯვაში, რადგან, საბოლოო ჯამში, ეს მისთვის და თქვენს გარშემო მყოფი სხვა ადამიანებისთვის ქრისტეს გაცხადების მიზანს ემსახურება. როცა ცოლს ასე წინამძღოლობთ, მისთვის გაცილებით ადვილი იქნება სიხარულის განცდა თქვენი, ღვთისგან მოცემული ძალაუფლების დამორჩილებით.

დღე 4

ᲪᲝᲚᲘ: ᲛᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲥᲛᲐᲠᲡ!

„ცოლებო, გაუგეთ და მხარი დაუჭირეთ თქვენს ქმრებს იმგვარად, რომ ქრისტესადმი მხარდაჭერა წარმოაჩინოთ. ქმარი უზრუნველყოფს ცოლის წინამძღოლობას ისე, როგორც ქრისტე მიუძღვის ეკლესიას, არა ბატონობით, არამედ ზრუნვით. როგორც ეკლესია ემორჩილება ქრისტეს მისი წინამძოლობისას, ცოლებიც ასევე უნდა დაემორჩილონ თავიანთ ქმრებს.“

– ეფეს. 5:22-24; *The Message*

გაიხსენეთ, რომ პავლე ქმრებისა და ცოლებისადმი მითითებებს იწყებს ფრაზით, „დაემორჩილეთ ერთმანეთს ღვთის მოშიშებით!“ (ეფეს. 5:21). მომდევნო მუხლში იგი განაგრძობს: „ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს“ (მუხლი 22). ბევრი ამ მცნებას ქალებისთვის საზარალოდ მიიჩნევს, მაგრამ ეს ასე არ არის.

ქორწინება გაბატონებისთვის არ ხდება, ამიტომ ცოლი ქმართან ერთად იზიარებს ძალაუფლებას, როგორც მისი თანასწორი პარტნიორი. ეს სრულიად არ ეწინააღმდეგება ქმრის თავობას, რადგან ცოლ-ქმარს ძალაუფლებისა და გავლენის გამორჩეული სფეროები აქვთ ქორწინების ფარგლებში და მათ ირგვლივ მყოფ ადამიანებზე. ბატონობა ამბობს: „ჩემს ავტორიტეტსა და გავლენას შენს სასარგებლოდ გამოვიყენებ და შენც ჩემს სასარგებლოდ გამოიყენებ შენს ძალაუფლებასა და ზეგავლენას!“

ცოლის მხარდაჭერა ქმრის მიმართ მისი მსახურების აქტია. ცოლო, თქვენ მოგენდოთ ქმრის გული! მისი გულის დაცვა ჭეშმარიტების ლაპარაკით, სიყვარულით და პატივისცემით, შესაძლოა, თქვენი უდიდესი მსახურება აღმოჩნდეს. ისწავლეთ მისი მომსახურება იმით, რომ დაეხმარებით მისი შინაგანის გამომჟღავნებაში! დასკვნებზე გადასვლის ნაცვლად დაეხმარეთ მას, რომ გაიზარდოს ხედვასა და მიზანში მისი ცხოვრების კომუნიკაციით გამდიდრების მეშვეობით!

ქალები უფრო სუსტები არიან ფიზიკური ამტანობის მხრივ, ხოლო მამაკაცების გულები საფრთხეში ხშირად აღმოჩნდება ხოლმე. ქალები თავინთი ქმრების გულებზე მზრუნველები არიან, ისევე როგორც კაცები უნდა იყვნენ ცოლების ნებისმიერი ფიზიკური სისუსტის დამცველები და უზრუნველმყოფელები. არსებობს გულის დაცვაზე უფრო კეთილშობილური დავალება?[5]

როცა ქმარი იღებს მსახურების ინიციატივას და თავის სიცოცხლეს დებს ცოლისთვის, იგი მას, როგორც ერთობის თავს, პატივისცემით პასუხობს. ეს გახლავთ მისი წილი ქვეყნიერებისთვის ქრისტეს სიყვარულის გამომჟღავნებაში. ცოლის პატივისცემა და სიყვარული ქმრისადმი აჩვენებს, რას ნიშნავს იესოს მიყოლა. ღმერთს არ უთქვამს ქალებისთვის, რომ მათი მეორეხარისხოვანი როლის გამო ქმრებს უნდა დაემორჩილონ. იგი მათ მოუწოდებს, რომ აჩვენონ, როგორი უნდა იყოს ეკლესია! ქორწინებაში იმის წარმოჩენის შანსი გვაქვს, თუ რას ნიშნავს იყო კეთილი, ერთგული, მოსიყვარულე და სულგრძელი უფლისა და მხსნელის მიერ გაძღოლილი. რაოდენ სამწუხარო იქნება, თუ მტერს ამ ყველაფრის დამახინჯების საშუალებას მივცემთ და ქალის ფუნქციას დავამცირებთ ან სანანებელს გავხდით. ღმერთმა ქალისთვის ამ როლის მინიჭებით მის ასულებს იმის ჩვენება სთხოვა, რომ იგი ნდობის ღირსია.

ღმერთმა იცის, რომ ქალები ძლიერები და უნარიანები არიან. ისტორიიდან ცნობილია, რომ ღმერთი ქალებს ირჩევდა გაძღოლის, მსაჯულობის, წინასწარმეტყველების, შუამდგომლობის და მისი ძის მუცლადღებისა და გაზრდისთვისაც კი. ღმერთს სულაც არ უნდოდა იმის თქმა, რომ ქალები სუსტები ან უღირსები არიან, როცა მათ ქმრების თავობის პატივისცემისკენ მოუწოდა. ამის ნაცვლად იგი ამბობს, „ვიცი, რომ უნარიანი და ძლიერი ხარ, რადგან ჩემი ასული ხარ. თუმცა ქორწინების მარადიული სახის საჩვენებლად ვინმე მჭირდებოდა, რომელიც ჩემი მორჩილების სიკეთეს წარმოაჩენდა. შენი ნებით იკისრებ მხარდაჭერისა და მორჩილების ფუნქციას სხვებისთვის საჩვენებლად, რომ მე თაყვანისცემის ღირსი ვარ?“

წინამძღოლობის ტვირთი

ღვთისგან განსხვავებით, ქმრები სრულყოფილები არ არიან. ისინი ყოველთვის არ იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს და ყოველთვის არ ემსახურებიან ცოლებს ისე, როგორც უნდა აკეთებდნენ. ეს იმედგაცრუების დიდი მიზეზია იმ ქალებისთვისაც კი, რომლებსაც თავიანთი ქმრების პატივისცემა და მხარდაჭერა სურთ. დროთა განმავლობაში მათ უჩნდებათ სადავეების საკუთარ ხელში აღების სურვილი. და მაინც, ქმრების წინამძღოლობის პოზიციისადმი წინააღმდეგობა, რომელსაც თავისუფლების წყაროს სახე აქვს, რეალურად, ქალისთვის მრავალი გულისტკენა მოაქვს.

როცა ჩვენი პირმშო ჯერ კიდევ ჩვილი იყო, მე (ლიზა) მთელი დღე ძალიან მკაცრი გრაფიკით ვმუშაობდი, რომელიც ზოგჯერ უქმე დღღებსაც მოიცავდა. სამუშაოზე პროფესიული და პირადი გამოწვევებიც მხვდებოდა და თან ვცდილობდი, საუკეთესო დედა და ცოლი ვყოფილიყავი. იმ პერიოდისთვის ჯონი გარდამავალ სტადიაში იმყოფებოდა. მომქანცველი სამუშაო მთრგუნავდა და თან ჩემი პატარა მუდმივად მენატრებოდა. ამ დროს ჯონი არასრული დროით მუშაობდა, ლოცულობდა, მარხულობდა, მეგობრებს ესაუბრებოდა და გოლფს თამაშობდა. უზარმაზარ დაწოლას ვგრძნობდი და ყველაფერში ჯონს ვადანაშაულებდი. ვგრძნობდი, რომ საქმების გაძღოლა მიჭირდა და თანდათან ვსუსტდებოდი.

მინდოდა, ჯონი გვერდში დამდგომოდა, მაგრამ ასე არ იქცეოდა. როცა ჩემს ქმარს ეს შიშნარევი მღელვარება გავუზიარე, ასე მითხრა, „ლიზა, ამაზე არ იღელვო და ყველაფერი ღმერთს დაუმორჩილე!“

არასოდეს! – გავიფიქრე მე. *თუ მე ყველაფერზე მე არ ვიზრუნე, თავისთავად არაფერი გამოვა.* დაძაბულობა სამუშაოს ზედამხედველივით მადგა თავზე და გაუსაძლისი დაწოლა სულს მიხუთავდა.

ერთ საღამოს შხაპს ვიღებდი და ღმერთს შევჩივლე ჩემი მძიმე ტვირთის შესახებ. ჯონისთვის არაფრის მინდობა არ შემიძლია, ვამტკიცებდი მე. ნაგვის გატანაც კი მე უნდა შევახსენო. როგორ შეიძლება ვანდო რამე უფრო მნიშვნელოვანი? აზრებში ვიბრძოდი, ვამართლებდი ჩემს მოსაზრებას, თუ რატომ არ შემეძლო ყველაფრის მიშვება.

„ლიზა, შენი აზრით, ჯონი კარგი წინამძღოლია?“ – თავაზიანად მკითხა უფალმა.

„არა, არ არის! – განვაცხადე მე, – მას არ ვენდობი!“

„ლიზა, საჭირო არ არის, რომ ჯონს ენდო, – მიპასუხა მან, – შენ მხოლოდ მე უნდა მენდო! შენ ფიქრობ, რომ ჯონი კარგად ვერ ასრულებს ოჯახის თავის ფუნქციას. გგონია, რომ მასზე უკეთ ახერხებ ამას. დაძაბულობა და მოუსვენრობა, რაც ახლა გაწუხებს, სახლეულის მეთაურის ტვირთი და დაწოლა გახლავს. შენთვის, ეს უღელია, მაგრამ ჯონისთვის ძალაუფლების პოზიციაა. დადე იგი, ლიზა!“

მაშინვე გავაცნობიერე ჩემი ტვირთის წყარო. ჩვენი სახლის მეთაურობა, რომლის ტარება მსურდა, დამთრგუნველი იყო ჩემთვის, რადგან ჩემს მოვალეობას არ წარმოადგენდა. იგი სრულიად არ იქნებოდა მძიმე ჩემი ქმრისთვის, რადგან ღმერთმა ოჯახის თავად სცხო.

მივხვდი, რომ ძალ-ღონეს არ ვიშურებდი და ვიბრძოდი სახლის მეთაურობისთვის. ქმარი დავამხე იმის ნაცვლად, რომ ამეშენებინა და მისი მერწმუნა. მან თავის მხრივ, ძალაუფლების პოზიცია მე დამითმო, რისგანაც დიდი არეულობა შევქმენი.

განადგურებულმა გამოვრთე შხაპი და პირსახოცს წავავლე ხელი. მყისვე გავეშურე ჩვენი საწოლი ოთახისკენ ჯონის საპოვნელად. ვტიროდი და პატიებას ვთხოვდი. „ძალიან ვწუხვარ! ყველაფერში გეწინააღმდეგებოდი, – ვუთხარი მე, – შენი ნდობა არ მქონდა! თუ გინდა, ხვალვე წამოვალ სამსახურიდან. მინდა ისევ ერთნი ვიყოთ.“

„არ მინდა, რომ სამუშაო შეწყვიტო! – მიპასუხა ჯონმა. არა მგონია, ეს იყოს პრობლემა. უბრალოდ, უნდა შეწყვიტო იმის ფიქრი, რომ შენ ხარ წყარო!“

იგი მართალი იყო. მე არ ვიყავი ჩვენი ოჯახის წყარო, ღმერთი იყო. თვალთახედვის არედან ამ ჭეშმარიტების დაკარგვა გახლდათ სწორედ სტრესისა და მხარდაჭერის უქონლობის მიზეზი. კიდევ ვილაპარაკეთ და ჯონს შევპირდი, „შენს უკან ვიდგები და მხარს დაგიჭერ! შენი მჯერა.“

იმ დროისთვის ჯერ კიდევ არ ვიყავი გარკვეული, რას ვუჭერდი მხარს ან რისი მჯეროდა. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ჯონს ეს მხარდაჭერა უფრო სჭირდებოდა, ვიდრე – მე: „რა“ და „რატომ“ დეტალების ცოდნა. აღმოვაჩინე, რომ სახლში საშინელი უწესრიგობა სუფევდა. მინდოდა, ღმერთს დაემყ-

არებინა წესრიგი ჩემს მიერ წარმოქმნილ ქაოსში. ჯონი, თავის მხრივ, პატიებას ითხოვდა, რომ წინამძღოლობას თავი ანება და ჩემგანაც თავს შორს იჭერდა.

იმ ღამეს წლების მანძილზე პირველად დავიძინე მოსვენებით. ჩემი ტვირთის უღელი მომშორდა.

როცა იმის ტარებას ვცდილობთ, რაც ღმერთს ჩვენთვის არასოდეს დაუკისრებია, ძალიან მძიმე ბორკილებს ვიდებთ. მეორე მხრივ, რისთვისაც ღმერთმა გვცხო, მანტიასავით გვერგება მხრებზე ძალაუფლებისა და ძალის ნიშნად, რაც თავისთავად გულისხმობს დაცვასა და უზრუნველყოფას.

სახლის წინამძღოლობის აღებით უღელი დავიმძიმე, ხოლო ჯონი განვაიარაღე. ეს არეულობა იყო! როცა ღვთისგან დადგენილ წესრიგს დავემორჩილე, ჩემი უღელი გატყდა და ჯონმა ისევ მოისხა წინამძღოლობის მანტია. ამით მეც შევიმოსე, რადგან მოსასხამი საკმაოდ ფართოა იმისთვის, რომ დაგვფაროს და დაგვიცვას მეც და ყველა ის პიროვნება, რომელიც ჯონის მზრუნველობის ქვეშ იმყოფება.[6]

დღე 5

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲒᲔᲑᲐ

ბიბლია ბევრს ლაპარაკობს მამაკაცებისა და ქალების ფუნქციებზე ქორწინებაში, მაგრამ ბევრი რამ არის, რაზეც ის დუმს. ზუსტად ასევე უთხრა ღმერთმა ადამსა და ევას, რომ გამრავლებულიყვნენ და აევსოთ დედამიწა კონკრეტული დეტალების გაცნობის გარეშე. ღმერთი ჩვენს ქორწინებას საზღვრებს უწესებს, მაგრამ არ გვამწყვდევს. მან შემოგვთავაზა მონახაზი და მაგალითი მოგვცა, როგორ უნდა გვემსახურა. იგი მის ყოველ ნაწილს არ აკონტროლებს.

ეს შეიძლება ამსგავსოთ მიწის უზარმაზარ ნაკვეთს, რომლის ლანდშაფტს თქვენ უცვლით სახეს, აშენებთ და ხარობთ, როგორც გინდათ. ზოგიერთებს აუზის გაკეთება სურთ, სხვებს – კალათბურთის მოედნის მოწყობა, ხოლო დანარჩენებს – ორივე ან არც ერთი. ანალოგიურად, ქორწინება თქვენი „სახლი და მინდორია“, რომელსაც აშენებთ და რომლითაც ხარობთ. თუ ცოლი უკეთ ახერხებს ლანშაფტის მოწყობას, დაე, ამ საქმით დაკავდეს. თუ ქმარს მებაღეობა იტაცებს, გააშენოს ბაღი. ორივე გაიხარებს მეორის მსახურების ნაყოფით. არავის აქვს იმის თქმის უფლება, რომ ქმარმა აუცილებლად ლანშაფტზე უნდა იზრუნოს, ხოლო ცოლის მოვალეობა მხოლოდ მებაღეობაა. ის აკეთეთ, რაც უკეთ გამოგდით და ყოველთვის იქონიეთ მხედველობაში მსახურების მონახაზი. დეტალები თქვენზე, თქვენს მეუღლესა და ღვთის სულიწმიდის ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული.

დაპირისპირების მთავარი მიზეზები ქორწინებაში ერთმანეთის მომსახურების ირგვლივ მაშინ წარმოიშობა, როცა ჩვენი მეუღლეებისგან იგივეს ველოდებით, რასაც თავად ვაკეთებთ და ასე ყოველთვის არ ხდება. ჩვენს ოჯახში სიცილი გამოიწვია ჯონის განცხადებამ, რომ იგი მსახური იყო. ჯონი ცნობილია სამზარეულოდან გაქრობით, როგორც კი სადილი დასრულდება. იგი მარტო გვტოვებს მე (ლიზას) და ჩემს ვაჟებს, რომ ყველაფერი მივალაგოთ და ჭურჭელი გავრეცხოთ. მაშინ სულაც არ მიგვაჩნდა, რომ ჯონი გვემსახურებოდა.

ვერ გავაცნობიერეთ, რომ ჯონი სხვა უნარით გვემსახურებოდა. სანამ ჩვენ სუფრას ვალაგებდით, იგი ფინანსებს აღრიცხავდა, ფოსტას ათვალიერებდა და გადასახადებს იხდიდა. იგი ჩვენ გვიტოვებდა საქმეს, რომელსაც უიმისოდაც მოვუვლიდით და აკეთებდა იმას, რაც ოჯახის ყველა დანარჩენ წევრზე უკეთ გამოსდიოდა და რის საჭიროებაც ნამდვილად არსებობდა.

ამ მაგალითს მნიშვნელოვან მომენტამდე მივყავართ. ეს გახლავთ პასუხისმგებლობათა გადანაწილება. თქვენს ოჯახში მომსახურების კულტურის დანერგვას ძალიან გაგიადვილებთ თითოეული წევრის პასუხისმგებლობის განსაზღვრა. წინასწარ შეთანხმებული მოვალეობის ცოდნა ორგვარად დაგეხმარებათ. თქვენი წილი მოვალეობის შესრულება მეუღლეს თავისუფალ დროს და გულში სიმშვიდეს მოუტანს. მეორე, როცა იცით, რაზეა პასუხისმგებელი თქვენი მეუღლე, ისიც იცით, რა სფეროებში უნდა ეძებოთ შესაძლებლობები, რომ აღმატებული მსახურება გასწიოთ.

შესაძლოა, შენიშნეთ, რომ ეფესელთა მე-5 თავის არც ერთი მუხლი არ გამოკვეთს რაიმე სტერეოტიპს მამაკაცისა და ქალის ინტერესის საგნებსა და უნარებზე. ნუ იგრძნობთ ზეწოლას, რომ თქვენი მოვალეობები იქამდე დაიყვანოთ, რაც „ტრადიციული“ ან „ნორმალურია“. ზოგიერთ ქმარს ძალიან უყვარს სამზარეულოში ტრიალი. ზოგიერთ ცოლს მანქანის მოვლა ახარებს. შესაძლოა, ბავშვების დავალებების შემოწმება გსიამოვნებთ, როცა სხვები მათ ფეხბურთის თამაშში ავარჯიშებენ.

ვინც ფინანსებში ერკვევა, მან ოჯახის ბიუჯეტი უნდა მართოს. ასეთმა მეუღლემ უნდა იმსახუროს როგორც მეუღლისთვის სახარჯო ფულის უზრუნველყოფით, ისე თანხების სწორად განაწილებით, რომ ოჯახს რაიმე სახის დავალიანება არ ჰქონდეს!

ასევე შეიძლება იმსახუროთ თქვენი სხეულის მოვლით, გარეგნობისთვის ყურადღების მიქცევით და არ ითვალისწინებდეთ თქვენი მეგობრების ისეთ რჩევებს, რომლებიც თქვენი მეუღლის ინტერესებს უპირისპირდება! შეიძლება იმსახუროთ

სიტყვებით და ჟესტებით, ისევე როგორც მოქმედებებით. ქორწინების ფარგლებში დიდი სივრცე არსებობს და მსახურების მრავალ შესაძლებლობასაც იპოვით.

გაიხარე კურთხევით

„რაკი ეს იცით, ნეტარნი ხართ, თუ ამას აღასრულებთ!“

– იოან. 13:17;

მართალია, მომსახურება აკურთხებს მას, ვისაც ემსახურებიან, მაგრამ უდიდესი კურთხევა თავად მსახურზე მოდის.

თქვენი ქორწინება გემბანების გაწმენდის და ხედვის დასახვის შემდეგ მზად არის, რომ ქვეყნიერებას ღვთის სიყვარულის უმშვენიერეს სურათად წარმოგიდგეთ. მისი შენებისთვის საუკეთესო მიდგომა იქნება მომსახურების ყოველი შანსის გამოყენება. ააშენეთ ერთმანეთი და იხილეთ ღვთის კურთხევების დინება.

როცა ერთმანეთის აშენებას შევუდექით, ღმერთმა ჩვენ აგვაშენა. მან გააფართოვა ჩვენი სამყაროს საზღვრები და ჩვენს ირგვლივ მყოფი მრავალი ადამიანისთვის მისი სიყვარულისა და მადლის გაზიარების საშუალება მოგვცა. როცა ერთმანეთს აშენებთ მომსახურების მეშვეობით, ღმერთი შესაძლებლობების ღია კარს გიხსნით, რომ თქვენი გავლენის სფეროში მყოფებს მოემსახუროთ. მისი ბრწყინვალე გეგმა თქვენი ქორწინების ისეთ შედევრად გადაქცევას გულისხმობს, რომ ყველაზე დამცინავი ურწმუნოებიც კი გაოცდებიან.

მომსახურება გახლავთ როგორც მოქმედება, ისე დამოკიდებულება. ყოველთვის, როცა მეუღლის მომსახურების შესაძლებლობა მოგეცემათ, სამიდან ერთი რეაქცია გექნებათ: უარის თქმა და ეგოიზმის არჩევა, მოვალეობის გრძნობით და გაღიზიანებით მომსახურება ან თქვენი ცხოვრების სიხარულით გაღება, რადგან მისი მხარდაჭერა სიამოვნებას განიჭებთ.

„თქვენშიაც იმ საფიქრალზე იფიქრეთ, რაც ქრისტე იესოშია. რომელიც ღვთის ხატება იყო . . . წარმოიცარიელა თავი და მიიღო მონის ხატება . . .“

– ფილ. 2:5-7;

როცა ვინმეზე ქორწინდები, არსებითად, ხელს აწერ, რომ მთელი დარჩენილი ცხოვრება ამ ადამიანს მოემსახურები. თქვენს მიერ ნათქვამი „თანახმა“ ვარ იგივეა, რაც „ჩემს ცხოვრებას შენთვის საუკეთესოს გაღებისთვის ვდებ. ვარჩევ, გა-

ვიხარო შენთვის სიცოცხლის დადებით. შენი ოცნებები, სურვილები და მიზნები ახლა ჩემი დაინტერესების საგანია. მინდა, ვისწავლო ღვთიური სიყვარულის გამოვლენა შენს მიმართ!“

თუ ქორწინებას მსახურის თავმდაბლობით მიუდგებით, ღვთიურ ერთობას გამოცდით. ეს ყოველთვის ადვილი არ იქნება, მაგრამ ღვთისთვის საუკეთესოსთვის ბრძოლა და უანგაროდ ცხოვრების არჩევა თქვენს სახლს სიყვარულით, სიხარულით, მშვიდობით და სისრულით აავსებს – და თქვენ აჩვენებთ მსოფლიოს ღვთიური სიყვარულის სურათს.

დღე 1 დღის ლოცვა

წარმატების საიდუმლო

„...მე კი თქვენს შორის ვარ როგორც მსახური!“

– ლუკა 22:27;

„... ეს თავისუფლება არ გახდეს საბაბი ხორცის საამებლად, არამედ სიყვარულით ემსახურეთ ერთმანეთს.“

– გალ. 5:13;

„სიყვარული ქორწინების საფუძველია: სიყვარული ღვთისა და სიყვარული სხვა ადამიანის მიმართ,“ – განმარტავენ ავტორები და მქადაგებლები, **დ-რი ჰენრი კლაუდი** და **დ-რი ჯონ თაუნსენდი.** „იგი თავის თავს სხვა პიროვნებისთვის საუკეთესოს ძიებაში გამოხატავს, მნიშვნელობა არ აქვს, იმსახურებს ამას თუ არა. იგი სხვა პიროვნებას საკუთარ ეგოისტურ საჭიროებებსა და სურვილებზე მაღლა აყენებს. იგი მსხვერპლს იღებს, გასცემს და იტანჯება. იგი უძლებს ტკივილსა და ქარიშხლებს აღთქმის ხანგრძლივად შენახვისთვის.“[7]

თქვენი მეუღლისთვის საუკეთესოს ძიება, მისი საჭიროებებისა და სურვილების თქვენსაზე წინ დაყენება და მისთვის მსხვერპლზე წასვლა ერთ რამეს განასახიერებს: *მომსახურებას*. ეს გახლავთ წარმატებული ქორწინების საიდუმლო.

შეჩერდით დაიფიქრეთ: რა არის თქვენი მეუღლის ინტერესები? რას მოაქვს მისთვის სისრულე? რა ახარებს მას ძალების განახლებისა და გატაცებების თვალსაზრისით? რა იწვევს მასში შვებას, ღიმილს და ბედნიერების გრძნობას?

_____

_____

_____

რა პრაქტიკული გზებით წაახალისებთ მის ინტერესებსა და უპირატეს მნიშვნელობას მიანიჭებთ მათ?

_____

_____

_____

ჰკითხეთ საკუთარ თავსა და სულიწმიდას, რა მიშლის ხელს ჩემი ქმრის მომსახურებაში? არის რამე განსაკუთრებული ჩემში, რაც ეგოიზმს კვებავს ან ხელს უწყობს? არსებობს რაღაც ისეთი, რისიც მეშინია, თუ თავს დავიმდაბლებ და მოვემსახურები? ილოცეთ, რომ სულიწმიდამ თქვენი გული გაჩვენოთ.

იესო უდიდესი მსახური გახლავთ და თქვენ, როგორც ღვთის შვილი მის დნმ-ს იღებთ.

დიახ, ასეა! თქვენ მისი სულიერი გენები გაქვთ, ერთ-ერთი მათგანია მსახურება. დრო გამოყავით და ქვემომოყვანილ მუხლებზე იფიქრეთ!"

„ყოველი, ვინც ღვთისაგან არის შობილი, არ სჩადის ცოდვას [ნებსით, გაცნობიერებით და ჩვეულებით], ვინაიდან მისი თესლი იმყოფება მასში და არ ძალუძს შეცოდება, ვინაიდან ღვთისაგან არის შობილი."

– 1 იოან. 3:9;

„თქვენი ახალი ცხოვრება ძველსას არ ჰგავს. ხორციელად ხრწნადი თესლისგან იშვით, ხოლო ახალი შობა ღვთის ცოცხალი სიტყვით მოხდა. აბა, დაფიქრდით: თავად ღვთისგან ჩაისახა სიცოცხლე!"

– 1 პეტრ. 1:23; *The Message*

„მოდით ჩემთან . . . იტვირთეთ ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მე მშვიდი და თავმდაბალი ვარ, და ჰპოვებთ სულის სიმშვიდეს. ვინაიდან ჩემი უღელი ადვილია და ჩემი ტვირთი – მსუბუქი!"

– მათ. 11:28-30;

რას გიცხადებთ სულიწმიდა? როგორ გამხნევდით ამ მუხლებით და ლოცვის სურვილი აღგეძრათ?

დღე 2 დღის ლოცვა

ბატონობაში ვარჯიში

„რა არის კაცი, რომ იხსენიებ? . . . გააბატონე იგი შენი ხელის ნამოქმედარზე; ყოველივე მას დაუმორჩილე . . .“

– ფს. 8:5,7;

უანგარობა და მსახურის გული ჩვენი, როგორც მორწმუნეების მემკვიდრეობაა ქრისტეში. ზეციერი მამის საოცარი თვისებები ჩვენს ცხოვრებაშიც ვითარდება და რეალური ხდება, როცა დროს მასთან ურთიერთობაში ვატარებთ. ჩვენი ცხოვრება და ქორწინება იესოს მსახურობას იმ ხარისხით ასახავს, რამდენადაც სულიწმიდას ჩვენი განუწყვეტელი ავსების საშუალებას მივცემთ.

იფიქრეთ იმ დროზე, როცა უფალთან ურთიერთობას იწყებდით. რა განსაკუთრებული გზებით გარდაგქმნათ სულიწმიდამ უკეთესობისკენ? როგორ გარდაქმნა მან თქვენი ქორწინება?

სულიწმიდის თქვენში დამკვიდრებით ღმერთს სურს, რომ თქვენ და თქვენმა მეუღლემ იბატონოთ ყველაფერზე, რაც მოგანდოთ. ვებსტერის 1828 წლის პირველ ლექსიკონში სიტყვა *ბატონობა* ნიშნავს „მართვის ან კონტროლის განხორციელების ძალაუფლებას; უმაღლეს ავტორიტეტს.“[8]

დაკვირვებით წაიკითხეთ ბატონობის განმარტება. ახლა შეჩერდით და იფიქრეთ: ვინ ან რა აღმოჩნდა თქვენი როგორც წყვილის და ცალკეული პიროვნებების კონტროლის ან მზრუნველობის ქვეშ, რომ წარგემართათ და მასზე ძალაუფლება გამოგეყენებინათ? როგორ იმოქმედეთ ამ სფეროებში?

თქვენი ბატონობის რომელიმე სფერო გადაიქცა თუ არა რაღაც ისეთად, რომელიც ახლა აქეთ ბატონობს თქვენზე და გაკონტროლებთ? თუ ასეა, განმარტეთ!

ილოცეთ და ეს სფერო სულიწმიდას დაუმორჩილეთ! სთხოვეთ მას, რომ მოგიტევოთ და მოგცეთ მადლი (ძალა) და გეგმა ამ სფეროში ბატონობისთვის!

რა პრაქტიკული გზებით შეძლებთ თქვენს მეუღლესთან, როგორც მოკავშირესთან და არა მტერთან ერთად შრომას? როგორ განახორციელებთ თქვენი შვილების, რესურსების, სამუშაოსა და მსახურების და ა. შ. უკეთესად მართვას?

როცა თქვენ და თქვენი მეუღლე გულით და მიზნით ერთიანდებით, გამრავლება გარანტირებულია. სადაც ერთობაა, იქ ღმერთი კურთხევას ბრძანებს (იხილეთ ფს. 132). რა სფერო(ებ)ში იმოქმედა მტერმა დროთა განმავლობაში, რომ დაყოფა და ბრძოლა მოეტანა თქვენსა და თქვენს მეუღლეს შორის? თავი დაიმდაბლეთ და ეს საკითხები ღმერთს დაუმორჩილეთ. გულითადად მიიღეთ მისი წმიდა სული, სთხოვეთ მეუღლესთან ერთობა და უფლის კურთხევას დაელოდეთ.

ერთმანეთს პატივი მიაგეთ, როგორც თანასწორებს!

„... ცოლსაც ეშინოდეს ქმრისა!“

– ეფეს. 5:33;

„ხოლო თქვენც ქმრებო: იყავით კარგი ქმრები თქვენი ცოლებისთვის. პატივი მიაგეთ, ასიამოვნეთ მათ! . . . ღვთიური მადლის ახალ სამეფოში თქვენ თანასწორნი ხართ. თქვენს ცოლებს თანასწორივით მოეპყარით, რომ ლოცვებში გადაულახავ სიძნელეებს არ წააწყდეთ!“

– 1 პეტრ. 3:7; *The message*

მამაკაცები და ქალები თანასწორნი არიან ქორწინებაში. ცოლი არ ასრულებს მეორეხარისხოვან როლს ქმრის შემდეგ და არც ქმარია მეორეხარისხოვანი თავის ცოლისთვის. ორივე მეუღლე ღვთის მადლის თანამემკვიდრეები და თანაბრად გაზიარებელნი არიან. როგორ შეგვიძლია ერთმანეთს პატივი მივაგოთ, როგორც თანასწორებმა? ღვთისგან მოცემული ფუნქციების შესწავლით და შესრულებით.

პასტორი ჯიმი ევანსი გვიზიარებს:

„მამაკაცის ქორწინებაში უმნიშვნელოვანესია პატივის მიგების საჭიროება. განა საინტერესო არ არის, რომ ღმერთმა ქალს მამაკაცის, როგორც უფლის მორჩილება უბრძანა? როცა ქალი პატივს მიაგებს მამაკაცს და მას სიხარულით ემორჩილება, სწორედ ამ ღრმა ოჯახურ საჭიროებას აკმაყოფილებს.

ანალოგიურად, მამაკაცმა მსხვერპლად უნდა გაიღოს თავი ცოლის კვებისა და ზრუნვისთვის, რითაც ქალის ღრმა ოჯახურ საჭიროებას – დაცულობას აკმაყოფილებს. ქალს წინამძღოლი სჭირდება, რომელიც დაიცავს და უზრუნველყოფს მას. როცა კაცი ამას სიხარულით აკეთებს, ქალის შინაგანი სწრაფვა დაკმაყოფილებულია.“[9]

მამაკაცებო, თქვენი ცოლი, უპირველესად, ღვთის ასულია და მხოლოდ ამის შემდეგ არის თქვენი ცოლი. ქალებო, თქვენი ქმარი ღვთის ძეა და მხოლოდ ამის შემდეგ არის თქვენი ქმარი. ჩვენ პატივს მივაგებთ ზეციერ მამას, როცა ერთმანეთს პატივს მივაგებთ, როგორც ღვთის ხატების თანასწორ მატარებლებს.

გულმოდგინედ წაიკითხეთ ღვთიური მითითებები ქმრებისა და ცოლებისთვის ამ მონაკვეთში:

„ცოლებო, გაუგეთ და მხარი დაუჭირეთ თქვენს ქმრებს ისე, როგორც ქრისტეს მხარდაჭერას წარმოაჩენთ! ქმარმაც ისე უწინამძღვროს ცოლს, როგორც ქრისტე მიუძღვის ეკლესიას, არა მასზე გაბატონებით, არამედ ზრუნვით! ამრიგად, როგორც ეკლესია ემორჩილება ქრისტეს, როცა იგი ხელმძღვანელობს, ასევე დაემორჩილონ ცოლები თავიანთ ქმრებს!

ქმრებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, ისევე როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია სიყვარულით, რომელიც გასცემს და არ იღებს. ქრისტეს სიყვარულმა ეკლესია სისრულეში მოიყვანა. მისმა სიტყვებმა ეკლესიის მშვენება გააღვიძა. ყველაფერი, რასაც ის აკეთებს ან ამბობს, მისთვის საუკეთესოს ისახავს მიზნად, მოსავს მას თვალისმომჭრელად თეთრი აბრეშუმით, რომელიც სიწმიდით ბრწყინავს. სწორედ ასე უნდა უყვარდეთ ქმრებს ცოლები! ამას ისინი საკუთარ თავს უკეთებენ, რადგან უკვე „ერთნი“ არიან ქორწინებაში.

თავის სხეულს არავინ ექცევა ბოროტად, არა? პირიქით, კვებავს და უვლის მას. აი, ასე გვექცევა ქრისტე ჩვენ, ეკლესიას, რადგან მისი სხეულის ნაწილი ვართ. ამიტომ ტოვებს მამაკაცი მამას და დედას და ზრუნავს ცოლზე. ისინი უკვე ორნი კი არა, „ერთნი“ არიან.“

– ეფეს. 5:22-31; *The Message*

რას გაჩვენებთ სულიწმიდა ქმრის ფუნქციის შესახებ? ცოლის?

პატივს მიაგებთ თუ არა მეუღლეს ღვთის მიერ თქვენთვის ბოძებული ფუნქციის შესრულებით? რა სფეროებში გაქვთ ზრდის საშუალება?

შეჩერდით და ილოცეთ, „სულიწმიდა, რა მიშლის ხელს ჩემი მეუღლის პატივისცემაში? რას ვკარგავ მეუღლის უპატივცემულობის გამო? ჩემი მეუღლის რა უნარი დავტოვე უმოქმედო? გთხოვ, დამეხმარე, რომ მისი ზებუნებრივი ფასეულობა დავინახო!“ რას გიცხადებთ სულიწმიდა?

იესოს სურათი

„როგორც წერილი ამბობს, „ამიტომ მიატოვებს კაცი თავის მამას და თავის დედას და მიეკვრება თავის ცოლს და ორივენი ერთ ხორცად იქნებიან.“ ეს დიდი საიდუმლოა, მაგრამ წარმოადგენს თვალსაჩინოებას, რომ ქრისტე და ეკლესია ერთია.“

– ეფეს. 5:31-32;

ღმერთმა განსაზღვრა ქმრებისა და ცოლების როლები. ეს არ შეეხება დაქვემდებარებას ან ბატონობას. ისინი ქრისტესა და ეკლესიას შორის ურთიერთობის თვალსაჩინო მაგალითს წარმოაჩენენ.

ახლა, როცა უკვე წაიკითხეთ ორივე მეუღლეების ფუნქციები, შეადარეთ თქვენს მიერ ამ თავში ნასწავლი იმას, რაც ადრე მოგისმენიათ ან გიფიქრიათ. იყო რაიმე ამ თავში იმისგან განსხვავებული, რაც თქვენ მოგისმენიათ ან გჯეროდათ? რა არის თქვენთვის ძნელი? რა გამხნევებთ? რის სწავლა გინდათ მომავალში?

იფიქრეთ ქმრის როლზე: მსახურების მეშვეობით გაუძღვეს ცოლს ისე, როგორც იესო ემსახურებოდა ადამიანებს. ქორწინებაში მან იესოსმიერი წინამძღოლობის, მსახურების და სიყვარულის სურათი უნდა წარმოაჩინოს. მამაკაცებო, რა აღგაფრთოვანებთ ამ ფუნქციის შესრულებაში? არის რაიმე, რაც თქვენში გაურკვევლობას წარმოშობს?

თქვენ ამ ფუნქციას ვერ შეასრულებთ საკუთარი ძალებით. შეჩერდით და ილოცეთ! „წმიდა სულო, შენ ხარ იესო ქრისტეს სული და ჩემში ცხოვრობ! მასწავლე, როგორ მიყვარდეს და ვემსახურო იესოს მსგავსად! მომეცი მადლი, რომ კარგად ვმართო, მივიღო გონივრული გადაწყვეტილებები და პატივი მივაგო ჩემს ცოლს როგორც ჩვენი ერთობის თანასწორ პარტნიორს!“

ქალებო, რა მოგწონთ ქმრის ფუნქციაში? როგორ შეგიძლიათ ქმრის ფუნქციის პატივისცემა ქორწინებაში ერთობის მოსატანად?

გარდა ამისა, იფიქრეთ ცოლის ფუნქციაზე: მორჩილებისა და მხარდაჭერის ფუქნციის საკუთარი ნებით აღება, რომ წარმოადგინოს ეკლესიის მხარდაჭერა და მორჩილება ქრისტეს მიმართ. ქალებო, რა მოგწონთ ამ ფუნქციაში? რაიმეს მოაქვს შიშისა და მეორეხარისხოვნების გრძნობა? რატომ?

თქვენი ხმა, ნიჭები და წვლილი საფუძვლიანი და ფასეულია. დრო გამოყავით და ილოცეთ! „ღმერთო, მადლობას გიხდი, რომ შენი მორჩილების სიკეთის მაგალითად ყოფნა დამავალე! შენი სიტყვის გარდა არაფერს მივცემ ჩემს ფუნქციაზე წარმოდგენის ჩამოყალიბების უფლებას. მომეცი მადლი, რომ ვემსახურო და მხარი დავუჭირო ჩემს ქმარს, რადგან ასევე ვესწრაფი შენს მსახურებას!“

მამაკაცებო, რა მოგწონთ ცოლის ფუნქციაში? როგორ მიაგებთ პატივს თქვენი ცოლის ფუნქციას, რომ ერთობა მოიტანოს თქვენს ქორწინებაში?

ამ კითხვებზე პასუხები თქვენს მეუღლესთან ერთად განიხილეთ. იმსჯელეთ ქორწინებაში ერთობის ჩამოყალიბების თქვენეულ ხედვაზე, განიხილეთ ნებისმიერი საკითხი ან საჭირო რეგულირებები. თუ რომელიმე თქვენგანს შიშის ან გაურკვევლობის გრძნობა აქვს, მიმართეთ ღვთის სიტყვას. რას ამბობს იგი?

ერთად ილოცეთ: „ზეციერო მამა, მადლობას გიხდით, რომ თითოეულ ჩვენგანს მშვენიერი, ღირსეული და კეთილშობილური ფუნქციების შესრულების პატივი გვარგუნე ქორწინებაში. დაგვეხმარე, რომ ერთმანეთს ვემსახუროთ და კარგად წარმოვაჩინოთ ერთობა და სიყვარული შენს სადიდებლად. იესოს სახელით. ამინ!“

დღე 5 დღის ლოცვა

გუნდური მუშაობა

„ერთსულოვანნი იყავით ერთმანეთში, ქედმაღლური ფიქრები ნუ გექნებათ, არამედ მორჩილებს მისდიეთ! ბრძენი ნუ გეგონებათ საკუთარი თავი!“

– რომ. 12:16;

ალბათ, გსმენიათ ნათქვამი, „გუნდში მე არ არსებობს“. ეს ჭეშმარიტია არა მარტო სპორტში, არამედ ქორწინებაშიც. თქვენ და თქვენი „თანაგუნდელი“ მნიშვნელოვან, საჭირო როლს ასრულებთ და არც ერთი თქვენგანი არ არის მეორეზე უპირატესი. „განსხვავებულობა არ უნდა ქმნიდეს პრობლემას ქორწინებაში“, ამბობენ **დ-რი ჰენრი კლაუდი** და **დ-რი ჯონ თაუნსენდი.** „როცა მეუღლეს თქვენგან განსხვავებული შეხედულება აქვს მშობლის ფუნქციაზე ან სახლის მოწყობაზე, თქვენ მდიდრდებით. თქვენი სამყარო ფართოვდება.“[10]

ამრიგად, ვინ ასრულებს თითოეულ ფუნქციას საუკეთესოდ თქვენს ქორწინებაში? ყოველთვის იქნება პასუხისმგებლობების გაზიარება და ეს დავალებები, შესაძლოა, დროთა განმავლობაში დარეგულირდეს. ზოგადად კი, ვინ უფრო მომზადებულია ახლა თითოეული დავალების შესასრულებლად?

აწარმოეთ გუნდური მუშაობის აღრიცხვა. სახლში იქონიეთ რეესტრი. ჩამოწერეთ სხვადასხვა მოვალეობები, რომლებიც უნდა შესრულდეს და თითოეული მათგანისთვის საუკეთესო მოთამაშე შეარჩიეთ.ზოგიერთი დავალება მთლიანად ერთ ან მეორე მხარეს დაეკისრება. სხვების შესრულება ერთობლივად აჯობებს პასუხისმგებლობების ცვალებადობით დღიდან დღემდე ან კვირიდან კვირამდე.

აი, რამდენიმე ნიმუში:

მანქანის რეცხვა და შენახვა
შვებულების დაგეგმვა
ბიუჯეტის შედგენა
გადასახადების გადახდა
სარეცხი
საშინაო დავალებების შემოწმება
ბავშვების სკოლაში წაყვანა, თამაშები და ა. შ.
საკვების დაგეგმვა და მომზადება
ჭურჭლის რეცხვა სადილის შემდეგ
სახლის დალაგება მტვერსასრუტით
მტვრების გადაწმენდა
გაზონების გაკრეჭა
მებაღეობა/დარგვა/
/პროდუქტების/
მარაგების შეძენა

ქორწინებისას გქონდათ წინასწარ შექმნილი აზრები, თუ რა „უნდა“ ყოფილიყო თქვენი მოვალეობები, რაზეც პასუხისმგებელი იქნებოდით ? თუ ასეა, რომლებია ისინი? თქვენი პასუხები აღრიცხვის რეესტრის მიხედვით შეაფასეთ. აღმოაჩინეთ რომელიმე სფერო, სადაც შესწორებებია საჭირო?

თავი არიდეთ სტერეოტიპებს! ნუ მისცემთ სხვებს თქვენი ქორწინების დეტალების განსაზღვრის საშუალებას.

ისევ დაგახედეთ თქვენს რეესტრს და მეუღლისას შეადარეთ! ერთად განიხილეთ პასუხები. ჩამოწერეთ პასუხისმგებლობათა შეთანხმებული სია!

„ყურადღებით მოვეკიდოთ ერთმანეთს. წავახალისოთ სიყვარულისა და კეთილი საქმეებისთვის! . . .“

– ებრ. 10:24

როგორ გამოიყენებთ თქვენს დამოკიდებულებას, სიტყვებსა და მოქმედებებს თქვენი მეუღლის მოვალეობების მხარდასაჭერად?

სადისკუსიო კითხვები

თუ ამ წიგნს „*ქორწინების ამბავი*“ უწყების სერიების (*Messenger Series*) ნაწილად იყენებთ, გადახედეთ ვიდეოგაკვეთილს № 4!

1. იესომ უდიდესი მაგალითი გვაჩვენა, როცა მსახურის უმდაბლესი მდგომარეობა დაიკავა და მოწაფეებს ფეხები დაბანა (იხილეთ იოან. 13:1-17!). შესაძლოა, ცივილიზებულ სამყაროში ფეხების დაბანის აუცილებლობა აღარ არსებობს, მაგრამ ერთმანეთის მომსახურების საჭიროება რჩება. რა პრაქტიკული გზებით შევძლებთ იესოს მიბაძვას და სიმბოლურად, „ჩვენი მეუღლეების ფეხების დაბანას“?
2. მამაკაცებო, რატომ არის თქვენთვის, როგორც ქმრისთვის, მნიშვნელოვანი მეუღლის თანასწორ პარტნიორად მიჩნევა?! (იხილეთ 1 პეტრ. 3:7) რა მოხდება, თუ ასე არ მოიქცევით? ქალებო, რატომ არის მნიშვნელოვანი თქვენთვის, როგორც ცოლისთვის, რომ არ დაუკავოთ თქვენს ქმარს პატივისცემა?! რა მოხდება, თუ ასე მოიქცევით?

   როგორც ავსებს ეს პასუხები უფლის შიშით თქვენს გულს, რომ იცხოვროთ ღვთისგან დადგენილი ფუნქციების შესრულებით მისი მადლის მეშვეობით?

3. ერთ მამაკაცსა და ერთ ქალს შორის ქორწინება მიზნად ისახავს იესოსა და ჩვენს, მის საპატარძლოს შორის ურთიერთობის წარმოჩენას. აღწერეთ, ვის სიმბოლოს წარმოადგენენ ქმარი და ცოლი საქორწინო ურთიერთობაში. როგორ ავლენს ქმრისა და ცოლის ფუნქციები იესოს სიყვარულს მისი ეკლესიისა და ურწმუნოების მიმართ? როგორ ვიღებთ ძალას ჩვენი მოვალეობების შესასრულებლად?

   წინამძღოლებო: ამ კითხვის მეორე ნაწილისთვის ყურადღება გაამახვილეთ ეფეს. 5:18-ზე, ასევე საქმ. 1:8, ზაქ. 4:6; იაკ. 4:6; ფილ. 4:13 მუხლებზე!

4. ღმერთს სურს, რომ გაერთიანებული ვიყოთ და არა დაყოფილი ჩვენი განსხვავებულობის გამო. მცირე ხნით დაფიქრდით! როგორი იქნებოდა ცხოვრება, თქვენ და თქვენი მეუღლე ზუსტად ერთნაირები რომ ყოფილიყავით, იდენტური სუსტი და ძლიერი მხარეებით? აღწერეთ ეს სცენარი და რამდენიმე ახალი მოსაზრება ერთმანეთს გაუზიარეთ, რის გამოც თქვენს განსხვავებულობას აფასებთ და ზეიმობთ.

5. წინასწარ შეთანხმებული მოვალეობების ცოდნა სახლში ძალზე სასარგებლო და მნიშვნელოვანია. არის რაღაც ისეთი, რაც თქვენს ოჯახში უკვე დააფუძნეთ? როგორ გეხმარებათ ეს ცოდნა მსახურების ატმოსფეროს შექმნასა და ამავდროულად თქვენი მეუღლის გაძლიერებაში?

თავის შეჯამება:

- ჯანსაღი ქორწინების შენების ყველაზე ეფექტური მეთოდია მეუღლისადმი მომსახურება, თქვენი საუკეთესო სურვილების მსხვერპლად გაღება სხვის საკეთილდღეოდ.
- ჩვენი ქორწინება მხოლოდ იმ დონემდე ასახავს ქრისტეს, რამდენადაც მისი სულიწმიდა ახლოს იქნება ჩვენს ცხოვრებაში. როცა სულიწმიდას საშუალებას ვაძლევთ, რომ გამუდმებით აგვავსოს, ჩვენი გონების განახლებას და ქცევის გარდაქმნასაც ვიხილავთ.
- მამაკაცები და ქალები ღვთის ბუნების ამსახველები არიან დედამიწაზე. ორივე ერთნაირად ფასეულია ღვთის თვალში და ორივეს მიენდო ერთმანეთის მომსახურების ძალაუფლება.
- ქმრებო, ღმერთმა მოგანდოთ ცოლების უზრუნველყოფა, დაცვა და გაძლიერება! უნდა გიყვარდეთ და პატივი მიაგოთ მას თქვენი სიცოცხლის მსხვერპლად გაღებით, უპირველესად მისი ინტერესების გათვალისწინებით!
- ცოლებო, ღმერთმა მოგანდოთ თქვენი ქმრის გულზე მზრუნველისა და მცველის მსახურება! პატივი უნდა მიაგოთ და მის წინამძღოლობას დაემორჩილოთ, როგორც ქრისტეს დაემორჩილებოდით!
- წინასწარ შეთანხმებული პასუხისმგებლობის ცოდნა სახლში კონფლიქტებს შეამცირებს, მშვიდობას წარმოშობს და გუნდური მუშაობის აზროვნების შექმნას მოემსახურება.

თავი 5

სიახლოვე

სქესობრივი ცხოვრება ორ ადამიანს შორის სრულად მიძღვნილი ურთიერთობისთვის არის განსაზღვრული და იმ სიხარულის პირველსახეა, რომელიც ქრისტეს მეშვეობით ღმერთთან სრული ერთობით მოდის. ყველაზე აღმაფრთოვანებელი სიყვარული მამაკაცსა და ქალს შორის დედამიწაზე მხოლოდ და მხოლოდ მინიშნებაა, თუ როგორია ეს ერთობა.

– ტიმოთი და ქეითი კელერები, *ქორწინების მნიშვნელობა*[1]

„...ჭამეთ მოყვასნო, სვით და *დათვერით, საყვარელნო!“*

– ქებ. 5:1;

დღე 1

წმიდა წერილი უხერხულობას არ განიცდის სიყვარულზე ღვთის გეგმების აღწერისას. ფაქტობრივად, იგი მეტად აშკარად წამოწევს ამ საკითხს და ზოგჯერ ეროტიზმსაც უახლოვდება. თუ არ გჯერათ, თქვენს მეუღლესთან ერთად რამდენიმე წუთი გამოყავით სოლომონის ქებათა ქების წასაკითხად და ნახეთ, რა მოხდება?!

ღმერთს არ რცხვენია სქესობრივ ცხოვრებაზე საუბრისა, ბევრი ჩვენგანისგან განსხვავებით. იგი ხარობს მისი მშვენიერებით და მის მიზანს დღესასწაულობს. ღმერთს სურს, რომ ჩართული იყოს ჩვენს ინტიმურ ურთიერთობაში. სქესობრივი ცხოვრება ქორწინების ფარგლებში არა მარტო კარგი და დასაშვებია, არამედ ამაღლებული და წახალისებულია!

„სვით და დათვერით, საყვარელნო!“ – ამბობს ქებათა ქება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სქესობრივი ცხოვრება იდუმალი და ღრმაა. არავითარი აზრი არ აქვს ზედაპირულ ურთიერთობებს. დააგემოვნეთ და ისიამოვნეთ ინტიმური სიახლოვის შეუდარებელი კმაყოფილებით!

სქესობრივი ცხოვრება სიახლოვის განმაახლებელი ღილაკის დაჭერას ჰგავს, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ წერილი ხშირად წყალს იყენებს სქესობრივი სიახლოვისა და სისრულის სიმბოლოდ. წყალს არსებითი მნიშვნელობა აქვს სიცოცხლის გაგრძელებაში. მას მოაქვს განახლება და ცხოველმყოფელობა. ჯანსაღი სქესობრივი ცხოვრება არ გახლავთ ქორწინების სრული არსი და მისი ფასეულობის გაზვიადებაც არ უნდა მოხდეს. ღმერთს სურს, რომ სიყვარული საზეიმო იყოს და საფუძვლიანი აღთქმის მშვენიერ შეხსენებად რჩებოდეს, რომელიც ორი ადამიანის ცხოვრებას ერთმანეთში აწნავს.

იცით თუ არა, რომ სქესობრივი ცხოვრება თქვენი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა? ურთიერთობის განმტკიცების გარდა იგი იმუნურ სისტემასაც აძლიერებს, გეხმარებათ ჯანსაღი წონის შენარჩუნებაში, ამცირებს სისხლის წნევას, ამცირებს ტკივილს და ამცირებს გულის შეტევების რისკს – და ეს მხოლოდ მცირედია მისი სარგებლიდან.[2]

ეკლესიის ზოგიერთმა ფრაქციამ სქესობრივ სიახლოვეს გახრწნილობისა და ხორციელი ნდომის დაღი დაასვა. ამის გამო სქესობრივ ცხოვრებას ქორწინების ფარგლებშიც კი არასწორი გამოძახილი აქვს. ზოგიერთი ჩვენგანი ფიქრობს, რომ ეს ის ვალდებულებაა, რომელსაც ცოლი ქმრის სასიკეთოდ უნდა ასრულებდეს. ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ სქესობრივი ცხოვრება ორივე მეუღლის სასიამოვნოდაა! ზოგიერთებმა იგი აუცილებელ ბოროტებად ჩათვალეს, რაც გამრავლებისთვის აუცილებელია. მრავალ ადამიანში ხსენებულმა არასწორმა მოსაზრებამ, რომელსაც ამ წმიდა აქტის სატანისეული მრავალმხრივი გადაგვარებაც უმაგრებს მხარს, დიდი შიშის გრძნობა გამოიწვია.

გამრავლება სქესობრივი ცხოვრების ერთ-ერთი მიზანია, მაგრამ ღმერთმა იგი თავიდანვე ბედნიერების წყაროდ ჩაიფიქრა. „კურთხეულ იყოს შენი წყარო და იხარებდე შენი სიყმაწვილის ცოლთან, – მიუთითებს წერილი, – მოყვარულ შველთან და ტურფა ქურციკთან. დაგატკბოს მისმა გულ-მკერდმა ყოველ დროს. გაბრუვდი მუდამ მისი სიყვარულით!“ (იგ. 5:18-19). ბიბლიის ინგლისურენოვან თარგმანებში მუხლი ასე იკითხება: *აღფრთოვანდი* (NKJV), *დატყვევდი* (NLT) და *სიამოვნება მიიღე* (KJV).

აშკარაა, რომ ღმერთი არ თვალთმაქცობს. მან შექმნა სქესობრივი ორგანოები და მათი ფუნქციონირების არ რცხვენია. მან დააწესა სქესობრივი ცხოვრება და მისცა შეგრძნებები. ჩვენი სიამოვნება მას ახარებს. ღმერთს არ სურს ჩვენი სქესობრივი სურვილების შემცირება, არამედ მათი გაწმედა.

გაწმედილი სქესობრივი ცხოვრება

გაწმედა სიწმიდეში მოგზაურობაა, რომელსაც ასევე შეიძლება ვუწოდოთ მოგზაურობა ღვთისგან საუკეთესო სამყაროში ჩვენი ცხოვრებისთვის. განიხილეთ იგი, როგორც ადამიანური ბუნების ამოღება და ღვთიურით გაჯერება. საოცარი! სქესობრივი ცხოვრების განვითარება (რაც ღვთისგან საუკეთესოს ნაწილია) იწყება საწოლ ოთახში სიწმიდის დამკვიდრების ღვთიური მოწოდების გათავისებით. ამის გაკეთებით აღმოვაჩენთ სქესობრივი კმაყოფილების ისეთ განცდას, რომელიც ადამიანური წარმოსახვის საზღვრებს სცდება.

ღმერთს მხოლოდ იმის განწმედა შეუძლია, რასაც მას შევთავაზებთ. სამწუხაროა. რომ ბევრი ჩვენგანი უარს ამბობს ჩვენი სქესობრივი ცხოვრების მისთვის წარდგენაზე, რადგან წარსულის შეცდომები გვახსენებს თავს ან უწინდელი ძალადობა გვატყვევებს. ასეთი განცდები გვაიძულებს, რომ ჩვენი სქესობრივი ბუნება უწმიდურად ჩავთვალოთ და ამ ჩაბნელებულ სამყაროს წმიდა ღვთისაგან ვმალავთ. გასაკვირია, რა სწრაფად ივიწყებს მრავალი ადამიანი, რომ სქესობრივი ცხოვრების შემოქმედს შესწევს მისი გამოსყიდვისა და გაწმენდის ძალა.

სირცხვილი ყურადღებას საკუთარ თავზე გვამახვილებინებს და ღმერთს გვაშორებს. იგი მახეში გვაქცევს, როცა ღვთის მოწყალებისა და მადლის უარყოფას ვცდილობთ. საბოლოოდ, ის, რაც თავიდან სასირცხვილო გვეჩვენებოდა, სიამაყის გარკვეულ ფორმას იძენს. ღვთის მადლს შევურაცხვყოფთ, თითქოს მისი ნამოქმედარი საკმარისი არ იყო ჩვენი ცხოვრების ამ ინტიმური სფეროს განსაკურნებლად. ისევ ვაგრძელებთ ტკივილის დაჭერას იმის ნაცვლად, რომ სიყვარულის სინათლეზე გამოვუშვათ. ვინც ფიქრობს, რომ ღმერთმა მათი დაცვა უგულებელყო წარსულ ინტიმურ ცხოვრებაში, ახლა შიშობს მის მოწვევას აწმყოში. ფაქტია, რომ ღმერთს თქვენთვის არ უღალატია. რაც მოხდა, დაცემული ხორციელობის შედეგია. ნუ მისცემთ უფლებას ცოდვის სირცხვილს ან ძალადობას, რომ ქორწინების ინტიმურობისა და სქესობრივი ცხოვრების კმაყოფილების სიხარული დაგაკარგვინოთ. ღმერთს ძალიან უნდა ყველა დაზიანებული ადგილის განკურნება და გაჯანსაღება.

როცა დავქორწინდით, ბევრი სხვა ქრისტიანი წყვილის მსგავსად ვვარაუდობდით, რომ ჩვენი საქორწინო აღთქმა ჩვენი წარსულის ყოველგვარ ნამსხვრევებს მოგვაშორებდა და სამოთხის გზაზე დაგვაყენებდა. დარწმუნებული ვიყავით, რომ სიყვარულისა და ერთმანეთისადმი მიძღვნის გამო წარსულის აჩრდილები ჩვენი მომავლის ზღურბლს ვერ გადმოაბიჯებდნენ.

წარმოვიდგინეთ, რომ რეგულარული სქესობრივი ცხოვრება ყოველგვარ ეგოისტურ ნიმუშს ან გაფუჭებულ სირცხვილის გრძნობას განდევნიდა. მწარედ შევცდით და აქ ჩვენს განსაკუთრებულ ისტორიას მოვიყვანთ იმ არჩევანისა დ გამოცხადებების გასაზიარებლად, რომლებმაც თავისუფლება მოგვიტანა.

არც ძველ მემკვიდრეობას და არც მარცხს არ შეუძლია ღვთის შვილების ჩამოცილება ახალი სქესობრივი მემკვიდრეობის დაფუძნებისგან. თუმცა მხოლოდ ღმერთს შეუძლია განწმინდოს ჩვენი სექსუალურობა და წარსული, ახლნდელი და მომავალი შეცდომებისგან გამოისყიდოს. მხოლოდ მისი მადლით ხდება საქორწინო სარეცელი სისრულისა და სიყვარულის თავშესაფარი.

როგორიც არ უნდა იყოს თქვენი წარსული, ღმერთს სურს, რომ რადიკალურად და სრულად აღადგინოს თქვენი სქესობრივი ცხოვრება. მის მადლი აღემატება თქვენს მიერ ჩადენილს და რომელიმე წარსულ მცდელობას. თუმცა მადლთან მისადგომი არ გექნებათ, თუ ჯერ ღმერთს არ გახდით თქვენი ინტიმური ცხოვრების უფლად. აღიარეთ თქვენი უძლურება და ღმერთს გადაეცით. იგი სქესობრივ კოშმარს მშვენიერ სიზმრად გარდაქმნის.

საქორწინო სარეცლის პატივისცემა

„ყველას ცოლ-ქმრობა იყოს პატიოსანი და სარეცელი – შეუბილწავი! მეძავებსა და მრუშებს კი ღმერთი განიკითხავს.“

– ებრ. 13:4;

თუ თქვენს ცხოვრებაში პრობლემა არსებობს, პირველ რიგში, საწოლ ოთახში გამომჟღავნდება. ვნების ნაკლებობა ქორწინებაში, როგორც წესი, სხვა დარღვევების ნიშანია და არა სქესობრივი აქტის წარუმატებლობისა. დაფარული პრობლემები სისუსტის ადგილებში იჩენს თავს და დარტყმისთვის იმაზე მოუმზადებელი არსად ვართ, თუ არა სქესობრივი სიახლოვის დროს.

სქესობრივ ცხოვრებაში ყველაზე მთავარი პრინციპი პატივისცემაა. ბევრი შეცდომით ფიქრობს, რომ საქორწინო სარეცლის უპატივცემულობა ან გაუწმიდურება შეუძლებელია და ყველაფერი მისაღებია. არაფერია ჭეშმარიტებისგან ამაზე შორს.

ჩვენს ქორწინებას პატივს მივაგებთ, როცა მარტოხელობის ან ნიშნობის პერიოდში სიწმიდეში ვრჩებით და თავს ვინახავთ

მომავალი მეუღლისთვის. საქორწინო სარეცელს პატივს მივაგებთ, როცა დაოჯახების შემდეგ არც სხვებს (მრუშობის ჩადენა) და არც რაიმეს (როგორიცაა პორნოგრაფია, გახრწნილება ან უწმიდურება) არ ვაძლევთ სქესობრივი სიახლოვის მშვენიერებიდან ჩვენი ყურადღების სხვაგან გადატანის საშუალებას.[3] საქორწინო სარეცელს არ წმედს უღვთო სქესობრიივი დათმობები; პირიქით, უღვთო ქცევა ბილწავს ქორწინებას და ჭეშმარიტი სიახლოვით სიამოვნებას გვართმევს. ასევე პატივს მივაგებთ ქორწინებას, როცა ჩვენი საწოლი ის ადგილია, სადაც ჩვენი მეუღლის საუკეთესო ინტერესებია გათვალისწინებული, როგორც წინა თავში ვილაპარაკეთ. ჩვენი მეუღლეების სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება მათ პატივისცემას ნიშნავს ღვთიური სიწმიდით გათვალისწინებულ ფარგლებში.

ზოგჯერ მეუღლეს მაშინაც ვემსახურებით, როცა სქესობრივი ლტოლვა არ გვაქვს. რაც უფრო გემატებათ ასაკი, მით უფრო ნაკლებია ასეთი ლტოლვა. სქესობრივ ცხოვრებას აღარ მივიჩნევთ მეუღლისადმი ფიზიკური მიზიდულობის დასტურად. ის თანდათან შინაგან მიზიდულობაში გადაიზრდება. ღმერთმა შექმნა სქესობრივი სიახლოვე, რომ ქმრები და ცოლები ერთმანეთს დაკავშირებოდნენ; დაუცველობის გრძნობას ნუ მისცემთ ამგვარი კავშირით სიხარულზე უარის თქმის უფლებას. (იგივე მსახურების სულის გამო რაიმეს გაკეთება არ უნდა დააძალოთ მეუღლეს, თუნდაც თქვენი სიამოვნებისთვის, თუ ის თავს უხერხულად იგრძნობს.)

იმის გამო, რომ საქორწინო სარეცელი პატივის ადგილად მივიჩნიეთ, უფრო უკეთესი სქესობრივი ცხოვრება გვაქვს ორმოცდაათი წლის ასაკში, ვიდრე ოცი წლის ასაკში გვქონდა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ გაცილებით კარგად გამოვიყურებოდით. დიდი სიყვარული თქვენს გარეგნობაზე ან ფიზიკურ შესაძლებლობებზე არ არის დამოკიდებული, არამედ ვისთან გაქვს ერთობა.

როცა სიყვარულით ვართ დაკავებული, ოცდაათ წელზე მეტი ხნის ცოლ-ქმრობას ვზეიმობთ. ჩვენს მიერ განცდილი სიხარული, ტანჯვა და გამარჯვებები მეტ მნიშვნელობას და ფასეულობას მატებს ჩვენს სიახლოვეს. ჩვენი სულიერი, ემოციური და ფსიქოლოგიური სიახლოვე თავს იყრის ღვთიურ სიამოვნებასა და დაკმაყოფილებაში. ჩვენს ქორწინებაში დამყარებული სქესობრივი კულტურა ღვთიური გამოსყიდვის ძალის მოწმობას წარმოადგენს, რადგან შორს ვართ იქედან, საიდანაც დავიწყეთ.

დღე 2

ლიზას ამბავი

მე და ჯონმა სხვადასხვა ფორმის სქესობრივი ცოდვები შემოვიტანეთ ჩვენს ქორწინებაში. ჯონს თავისი ბრძოლები ჰქონდა, მე კი ჩემი ინტიმური ომი უნდა მეწარმოებინა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ერთი შეხედვით უწყინარი სექსუალური კავშირები, რომელიც ცხრამეტი წლის კოლეჯის სტუდენტს მქონდა, ასე შეზღუდავდა ჩემს თავისუფლებას ოცდაორი წლის ასაკში, როცა ჯონს გავყევი ცოლად.

როცა ჩემი მშობლები სქესობრივი ცხოვრების საკითხზე პირველად დამელაპარაკნენ, ამიხსნეს, რომ ქორწინებისთვის უნდა დამეცვა თავი, მაგრამ არ მითხრეს რატომ. როგორც მახსოვს, მთავარი ყურადღება მიექცა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შიშს და დაუქორწინებლად დაორსულების სირცხვილს.

ჩემი მშობლების ქორწინება მეტად არამყარი იყო და ბევრ შეუსაბამობას ვხედავდი მათ ნათქვამსა და ცხოვრების წესს შორის. სხვათა შორის, ჩემს ბებიასა და ბაბუასაც არაერთი საყვარელი ჰყავდათ. საუბარში არასოდეს უხსენებიათ სიწმიდის ან რაიმე სათნოების მსგავსი კონცეფცია. დაკვირვების შედეგად დავასკვენი, რომ შეგეძლო ისე მოქცეულიყავი როგორც გინდოდა, თუ პასუხისმგებლობით მოიქცეოდი და არავინ არაფერში გამოგიჭერდა.

ეს ლოგიკა გავითავისე კოლეჯში სწავლის დროს და ზნეობრიობის გრძნობაც დავურთე, რომელიც ჩემი თანატოლების წრეში ჩამომიყალიბდა: მხოლოდ იმ ადამიანებთან დავწვებოდი, რომლებიც შემიყვარდებოდა და სქესობრივ პასუხისმგებლობასაც ავიღებდი. ამგვარი „პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მხარე გახდა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ ჩემი ნაკლებად ფრთხილი კოლეჯელი დაქალები ჩემს ექიმთან მიმყავდა და მათაც ჩასახვის საწინააღმდეგო აბების მიღებას ვაწყებინებდი.

შემდეგ ჯონი გავიცანი და პირველ პაემანზე მან უფალთან მიმიყვანა. მაშინ ოცდაერთი წლის ვიყავი. ზეციდან ვიშვი, სულიწმიდით მოვინათლე და იმავე ღამეს განვიკურნე. საუბრისას რაღაც სასაცილო წამოვთქვი. ასეთი რამ შევნიშნე, „როგორ მიხარია, რომ ზნეობრივად ვცხოვრობ.“

მიკვირს, როგორ წამომცდა ასეთი სისულელე. სხვა აზრი თავში არ მომივიდა გარდა იმისა, რომ არ ვიცოდი განსხვავება *ზნეობრივსა* და *წმიდას* შორის. გახსოვთ, ადრე ვფიქრობდი, რომ ზნეობრივად ითვლებოდა იმ ადამიანებთან სექსი, ვინც შეგიყვარდებოდა. ზეციდან შობის მიუხედავად, იმ პირველი

რამდენიმე საათის განმავლობაში ჩემი გონება განახლებისგან შორს იყო.

მოგვიანებით, როცა ჩვენმა შეხვედრებმა სერიოზული სახე მიიღო, ვიმედოვნებდი, რომ ჯონს დავიწყებული ექნებოდა ჩემი ნათქვამი. წარმოიდგინეთ ჩემი ელდა, როცა ასე მითხრა: „ძალიან მიხარია, რომ ორივემ დავიცავით თავი ერთმანეთისთვის."

მინდოდა მეყვირა, „ეს უმეცრებით ვთქვი, როგორც ახალშობილმა ქრისტიანმა!" მაშინ მივხვდი, რაოდენ მტკივნეული იქნებოდა სხვებისთვის ჩემი პირადი გადაწყვეტილებების შედეგები.

დადგა დღე, როცა გავიგე, რომ ჯონი ჩემთვის ხელის თხოვას და ცხოვრების გაზიარების შემოთავაზებას აპირებდა. ვიცოდი, რომ სიმართლე უნდა გამემხილა.

ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ჯონის ღირსი არ ვიყავი. ასე მეგონა, ხელიდან გავუშვი შესანიშნავი შესაძლებლობა, რომ ჩემი ცხოვრება იმ ადამიანთან ერთად წამომეწყო, ვისაც ღმერთი უყვარდა და ჩემზე ზრუნავდა. გარეთ გამოვედი და ღმერთს შევღაღადე. ვიცოდი, რომ მან ყველაფერი მაპატია, მაგრამ სქესობრივ ცხოვრებაში გაკეთებული არჩევანის შედეგების გამო სინანული მახრჩობდა.

ჯონის ბინაში სალაპარაკოდ ავედი. სანამ ჩემს სამარცხვინო საიდუმლოს ვაღიარებდი, მან მითხრა, „წინააღმდეგი ხომ არ იქნები, რომ წერილის ერთი ადგილი წაგიკითხო? ვგრძნობ, რომ ეს შენც უნდა გაგიზიარო."

თავი დავუქნიე და ჯონმა კითხვა დაიწყო: „მაშასადამე, ვინც ქრისტეშია, ის ახალი ქმნილებაა. ძველი გადავიდა და ახლა ყოველივე ახალია." (2 კორ. 5:17)

„ვიცი, რომ ეს უცნაურად ჟღერს, – განაგრძო მან, – მაგრამ ვიგრძენი, რომ ღმერთს შენთვის უნდოდა ამის თქმა. ძველი გადავიდა. შენ სრულიად ახალი ხარ, როგორც მაგალითად, . . . ქალწული."

ვიგრძენი, რომ გული მერეოდა. „მე ქალწული არ ვარ, – ვუთხარი მე, – სწორედ ამის თქმას ვაპირებდი."

ჯონმა მხრებში ხელი ჩამავლო, თვალებში ჩამხედა და მითხრა, „თუ ღმერთი გეუბნება, რომ ახალი ხარ, ვინ ვართ ჩვენ, რომ ვეკამათოთ?" იმ წუთიდან ყველა ჩემი სირცხვილი განიბანა.[4]

დანგრეული სექსუალობის აღდგენა

და მაინც, ჩემი სექსუალობა გულისთქმათა სამყაროში გავაღვიძე და არა სიყვარულში. როცა გავთხოვდი და სიყვარული მომინდა, არ ვიცოდი, რა მექნა. ჩემი გაგებით, სქესობრივი

ცხოვრება ცუდი იყო. ის იყო არასწორი და აკრძალული. ახლა, როცა დავქორწინდით, სქესობრივი ცხოვრება უცებ კარგი, საზეიმო და ღვთიური გახდა. არ ვიცოდი, როგორ გადამელახა ეს ზღვარი.

მე და ჯონი მარტო უნდა დავრჩენილიყავით ერთმანეთის პირისპირ. ალბათ, მოულოდნელად, საშინელი ეროტიკული ფილმების შემაძრწუნებელი სახეები ამომიტივტივდებოდა, რომლებიც ხუთი წლის წინ კოლეჯში ვნახე. იქნებ საერთოდ ჩავკეტილიყავი ძველ შეყვარებულთან სქესობრივი კავშირის მოგონებებისგან შერცხვენილი. ეს საშინელება იყო.

როცა ჩემი თავი ქმრისთვის უნდა გადამეცა, წარსულთან მიჯაჭვული აღმოვჩნდი. ჯონი იმსახურებდა, რომ მთლიანად მისი ვყოფილიყავი. უკვე აღარ მქონდა სექსუალური თავისუფლების განცდის უნარი ჩემი ადრინდელი შეცდომების გამო. ვებრძოდი უწმიდურ აზრებს, სახებებს, შედარებებს და სირცხვილს. ვიტანჯებოდი მათ გამო, მაგრამ ვერ ვძლევდი. ჩემი ცხოვრების ამ ეტაპზე ვისწავლე სამშვინველის ბორკილებისა და შთამომავლობითი წყევლისგან გათავისუფლების ძალა.

ამ წიგნის წინა თავებში შევეხეთ ოჯახური წყევლის საკითხს. როგორც აღვნიშნე, ჩემს გენეალოგიაში უხვად იყო უზნეობისა და ღალატის ისტორიები, რომლებიც უნდა მომენანიებინა. ასევე უნდა დამენგრია წარსული შეხვედრებიდან წარმოქმნილი ბორკილები, რომ ჩემი დანაწევრებული სექსუალობა ისევ აღმდგარიყო. მოდით, წმიდა წერილს გადავხედოთ ამ საკითხთან დაკავშირებით:

> „ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ქრისტეს ასოებია? განა ავიღებ ქრისტეს ასოებს და მეძავის ასოებად ვაქცევ? არამც და არამც! ანდა ნუთუ არ იცით, რომ ვინც მეძავს უერთდება, ერთი სხეული ხდება მასთან ერთად? რადგან ნათქვამია: „ორი ერთ ხორცად იქნება.“
>
> – 1 კორ. 6:15-16;

ჩემს ძველ შეყვარებულებს მეძავებს ვერ ვუწოდებ, მაგრამ პრინციპი იგივე რჩება. მათთან ერთი გავხდი და ახლა აღთქმა სხვის წინაშე დავდე. ყოველი კავშირისა და განშორების შემდეგ ჩემი სამშვინველი ნაწილებად იხლიჩებოდა და სექსუალობის მთლიანობაც დაირღვა. როცა თქვენი სექსუალობა დანაწევრებულია, უკიდურესად ძნელი ხდება მეუღლისთვის თავის მთლიანად გადაცემა, რადგან ასეთი უკვე აღარ ხართ.

სიწმიდეში სიარულისა და სიახლოვის ნიჭით სიამოვნების მისაღებად მთლიანი უნდა ვიყოთ. მხოლოდ ღმერთს შეუძლია სისრულის აღდგენა იქ, სადაც ადრე რღვევა იყო. მხოლოდ

ღმერთს შეუძლია ჩვენი სექსუალობის პატივის აღდგენა, როცა ადგილი ჰქონდა ძალადობასა და შეურაცხყოფას. მხოლოდ ღმერთს შეუძლია უწმინდურებისა და გარყვნილების აღება და სიწმიდის და სისუფთავის მოტანა. მხოლოდ ღმერთს შეუძლია სილამაზე მოგვანიჭოს ჩვენი ნაცრის წილ.

თუ თქვენი სექსუალობა წარსული უზნეობის (უწესრიგო სქესობრივი კავშირები, მასტურბაციასთან შეწყვილებული პორნოგრაფია ან ნებისმიერი სხვა) გამო დაინგრა, კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, რომ დრო გამოყოთ აღდგენის ლოცვისთვის. გთხოვთ, ლოცვამდე სულიერად შეამზადოთ თქვენი თავი და მხოლოდ მეუღლის, ახლო მეგობრის, ლოცვის პარტნიორის ან ღვთის სულიწმიდის თანდასწრებით ილოცოთ. ხმამაღლა წარმოთქვით:

ზეციერო მამა,

მადლობას გიხდი შენი ძის წარმოგზავნისთვის, რომ მან იტვირთა ჩემი ცოდვის სასჯელი. იმის გამო, რომ ქრისტეში ვარ, ყოველივე ძველი წავიდა ჩემი ცხოვრებიდან. ახლა ყველაფერი ახალია. 2 კორ. 5:21-ის თანახმად, იესომ აიღო ჩემი ცოდვა, რომ მე შენი სამართლიანობა გავმხდარიყავი. აი, ეს ვარ მე დღეს.

ახლა ვაღიარებ და ვინანიებ ჩემს ცოდვას და ჩემი წინაპრების თითოეულ და ყველა სქესობრივ ცოდვას, ყოველგვარი სახის უწმიდურებაში, გახრწნილებასა და უწესრიგო სქესობრივ კავშირებში ჩართულობას! (აქ მგრძნობიარე იყავით და კონკრეტული ცოდვები დაასახელეთ, რომელთაც ინანიებთ. ხმამაღლა წარმოთქვით ისინი ღვთის წინაშე ყოველგვარი სირცხვილის გარეშე. დაფარული არაფერია – მან უკვე იცის ყველა თქვენი ცოდვის შესახებ და დანაშაულის გრძნობისა და სირცხვილისგან თქვენს გათავისუფლებას ესწრაფვის. შემდეგ, როცა მზად იქნებით, განაგრძეთ.)

ზეციერო მამა, აიღე შენი სულის მახვილი და გადაჭერი ყველა უღვთო სქესობრივი კავრელი ჩემსა და . . . (მოუსმინე სულიწმიდას და დაასახელე ყველა მათგანის სახელი, რომელთაც მისგან გაიგონებ. სრულიად შესაძლებელია, რომ გაიგონო სახელი, რომელთანაც სქესობრივი კავშირი საერთოდ არ გქონია, მაგრამ სქესობრივად და ემოციურად იყო ჩართული ისეთი სახით, რაც მარტო მეუღლის ან მხსნელის მიმართ უნდა გქონოდა.)

ყველა ამ სახელის წარმოთქმის შემდეგ ასე ილოცე:

ზეციერო მამა, გამოუშვი შენი ანგელოზები, რომ

ჩემი სამშვინველის ნაწილები მოაშორონ ამ ადამიანებს! აღმიდგინე ისინი მე სულიწმიდის ძალით, რომ ვიყო მთლიანი, წმიდა და შენს საამებლად გამოყოფილი!

მამა, უარს ვამბობ ყოველი გახრწნილი და სქესობრივი სახების შენახვაზე ჩემში! მაპატიე, რომ ამ საზიზღარ და გარყვნილ სურათებს ჩემს თვალთა წინაშე დგომის უფლებას ვაძლევდი! ფს. 100:3-ის თანახმად ვდებ აღთქმას, რომ დავიცავ ჩემს გულს ჩემი თვალების კარიბჭის მხრიდან! არავითარ ბილწ საგანს არ მივიტან თვალთა წინაშე! უარს ვამბობ ყველა არაწმინდა სულზე და ვუბრძანებ მას და მის ზეგავლენას, რომ დატოვოს ჩემი ცხოვრება!

ზეციერო მამა, განმბანე იესოს სისხლის განწმედით, რადგან მხოლოდ მას აქვს განწმედის და გამოსყიდვის ძალა. ჩემს თავს გიძღვნი, როგორც შენს ტაძარს; შენი სულიწმიდის ძალით მოაშორე სულის, სამშვინველისა და სხეულის ყოველგვარი უწმიდურება ამ ტაძარს! უხვად ამავსე შენი სულიწმიდის მკვიდრობით! გახსენი ჩემი თვალები, რომ ხედავდეს, ჩემი ყურები, რომ ისმენდეს და ჩემი გული, რომ მიიღოს ყველაფერი, რაც ჩემთვის გაქვს! მე შენი ვარ, აავსე ჩემი ცხოვრება!

სიყვარულით, შენი შვილი[5]

დღე 3

ჯონის ამბავი

ტექნიკური თვალსაზრისით ცოლისთვის წმინდად ვინახავდი თავს, მაგრამ შებორკილი ვიყავი პორნოგრაფიით მასტურბაციასთან ერთად. ეს მიდრეკილებები ქორწინებამდე მოვიტანე, რადგან ვფიქრობდი, რომ ჩემს უმშვენიერეს ცოლთან სქესობრივი ურთიერთობა ჩემი უწმიდურობებისგან განმკურნავდა. ასე არ მოხდა. საქორწინო ცერემონიის შემდეგ გულისთქმასთან ბრძოლას წლები შევალიე. ჩემი მიდრეკილებები დიდად გვიშლიდა ხელს სქესობრივ ცხოვრებაში. დარცხვენილი და დაბნეული ვიყავი. არ მინდოდა ასე დავმონებოდი გულისთქმას, მაგრამ ჩემი დიდი მცდელობების მიუხედავად ვერ ვთავისუფლდებოდი. რაღაც უნდა შეცვლილიყო.

1984 წელს ჩვენს ეკლესიში სტუმრად ჩამოსული მქადაგებლების ტრანსპორტით გადაადგილებაზე ზრუნვა დამავალეს. ერთ დღეს ჩემი სატანჯველი ერთ-ერთ სტუმარს გავუზიარე, ღვთისმოსავ კაცს, რომელსაც დიდად ვაფასებდი. იგი ცნობი-

ლი იყო განთავისუფლების მსახურებით. თუ ვინმეს შეეძლო ჩემი დახმარება, სწორედ ეს ადამიანი იყო. მას ვუამბე ჩემი ბრძოლების შესახებ.

მისი პასუხი სულაც არ აღმოჩნდა ისეთი, როგორსაც ველოდი. „შეწყვიტე ამის კეთება!“ – მითხრა მან. „მხოლოდ ეს გჭირდება!“

„კარგი, – ვუთხარი მე, – ლოცვით ხომ ამინც ილოცებთ ჩემთვის?“

მან ილოცა, მაგრამ არაფერი მოხდა. ვიფიქრე, რომ *სხვა ვინმე უნდა მომეძებნა, ვისაც ხალხის განთავისუფლების უფრო ძლიერი ნიჭი ჰქონდა.* აზრად არ მომდიოდა არავინ, ვისაც ამ კაცზე უფრო ძლიერი ცხებულება ექნებოდა. დავრჩი ჩემს ცოდვაში დატყვევებული.

ცხრა თვის შემდეგ ერთმა მეგობარმა თავის ბინაში ოთხი დღით დარჩენის უფლება მომცა. სრულიად მარტო გავატარე ის დღეები ერთადერთი მიზნით, რომ ჩემს ზემოხსენებულ ცოდვას გავმკლავებოდი. „ღმერთო, აი, ეს ცოდვა, – ბოლოს ვთქვი, – ეს უნდა დასრულდეს!“ იმ დღეს, 1985 წლის 6 მაისს, სასწაულებრივად გავთავისუფლდი.

თავისუფლებაში რამდენიმე თვის სიარულის შემდეგ უფალს ვკითხე, „ღმერთო, ვერაფერი გავიგე. რატომ არ გავთავისუფლდი, როცა ვილოცე? თავი დავიმდაბლე ღვთის იმ დიდი კაცის წინაშე გულის გადაშლით. რატომ დასჭირდა ამდენი ხანი ჩემს გათავისუფლებას?“

ღმერთმა ჩემი ყურადღება მიაპყრო ლოცვით ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებას. დიდი ხნის განმავლობაში ჩემი სათხოვარი ასეთი იყო. „ღმერთო, გამომიყენე. გთხოვ, გამომიყენე!“ თავად მე ვიყავი ჩემი ლოცვითი ცხოვრების ცენტრი. ყველა ლოცვა ჩემი კეთილდღეობისა და მოწოდების ირგვლივ ტრიალებდა. განთავისუფლების სურვილი არ ენთო ღვთის სიყვარულის და არც ლიზას სიყვარულის გამო. შიში მიპყრობდა, რომ ვნებასთან დაკავშირებული პრობლემები ერთ დღეს ჩემი მოწოდების განხორციელებაში ხელს შემიშლიდა. ჩემმა ეგოიზმმა ღმერთთან ახლო ურთიერთობა დამინგრია, ხოლო მასთან სიახლოვის გარეშე განმათავისუფლებელი ძალა ვერ განვიცადე.

შემდეგ ჩემი გულის მდგომარეობა შეიცვალა და ლოცვის არსი ასეთი გახდა, „ღმერთო, შენი შეცნობა მინდა. ნურაფერს მისცემ ჩვენს შორის ჩადგომის უფლებას.“ საკუთარ თავზე კონცენტრირებას თავი დავანებე და ღმერთს მივუბრუნდი. როცა საკუთარ მეს მზერა მოვწყვიტე და უფალს შევხედე, ჩემი ცხოვრება მისი მადლისთვის გაიხსნა. მან გამათავისუფლა და სიმრთელე მოუტანა ჩემს სექსუალობას. შევიძინე ის, რასაც წმიდა წერილი *ღვთისთვის დანაღვლიანებას* უწოდებს.

ღვთისთვის დანაღვლიანება

„ღვთის გულისათვის დამწუხრება წარმოშობს სინანულს სახსნელად და არ გახდება სანანებელი, ხოლო სოფლის წუხილი სიკვდილს წარმოშობს.“

– 2 კორ. 7:10;

წლების განმავლობაში ვწუხდი ჩემი მიდრეკილების გამო. როგორც ადრე აღვნიშნე, არ მინდოდა გულისთქმის საკვრელებით ვყოფილიყავი შებოჭილი და ჩემი საქციელი მეზიზღებოდა. ბევრი ადამიანი ნაღვლობს ჩადენილი ცოდვის გამო, მაგრამ მონანიებისა და გარდაქმნის მოტანა მხოლოდ ღვთიურ ნაღველს შეუძლია. ქვეყნიურ მწუხარებას კი ადამიანი სასჯელისკენ მიჰყავს შეუცვლელად.

ქვეყნიური ნაღველი ეგოცენტრულია და სიამაყით იკვებება. მას სასოწარკვეთა და თავის სიძულვილი ახასიათებს, რადგან მისი თვალით დანახული შესაძლო გამოსავალი ადამიანური შეზღუდულობის ფარგლებს ვერ ცდება. იგი ბრმაა იმედის დასანახად, რომელიც ღვთიური ძალის შეცნობაში იპოვება და ამის გამო უცილობლად ექვემდებარება სულიერ სიკვდილს.

ღვთიური ნაღველი, მეორე მხრივ, არ არის თავის სიძულვილზე დაყრდნობილი და არც ეგოცენტრულია. იგი ღმერთისკენ მიემართება. მართალია მას ტკივილიც ახლავს, მაგრამ მომავლის იმედი მოაქვს; მისი ძალა ღვთიური განწმედის, გაძლიერების და გამოსყიდვის უნარშია. ღვთიური ნაღველი რაღაც დროით ტკივილს გაყენებთ, მაგრამ მას ფეხდაფეხ მოსდევს სიხარული და სიცოცხლე.

ქვეყნიერების ნაღველმა და მსჯავრდადებამ კიდევ უფრო გააძლიერა გულისთქმის მოჭიდება ჩემს ცხოვრებაში. თავი ღვთისმოსავი მეგონა, როცა ღმერთს ჩემს გამოყენებას ვთხოვდი, სინამდვილეში კი მეტისმეტად ამაყი ვიყავი. განთავისუფლების სურვილი ჩემს ინტერესებში შედიოდა. მას ნაკლებად აღელვებდა, როგორ ვტკენდი ღმერთს გულს.

მრავალს უჩნდება განთავისუფლების სურვილი მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ჩადენილმა ცოდვებმა სინანულის საცავი არ წარმოშვას, სამომავლო წარმატება არ შეაფერხოს ან სასჯელი არ დაიმსახუროს. ეს შიშით სავსე, თავდაცვისკენ მიმართული განწყობა ვერასოდეს წარმოშობს ცვლილების ძალას.

ვერასოდეს გავხდებით ღვთის მსგავსი, თუ არ გვეცოდინება და არ გავიზიარებთ მის გულს. მასთან სიახლოვე ყოველთვის წინ უძღვის გარდაქმნას. ცოდვისგან განთავისუფლებას მაშინ მოვიპოვებთ და ვინარჩუნებთ, როცა მასთან ურთიერთობაში ვმკვიდრობთ. როცა ღმერთს თავმდაბლობით ვუახლოვდებით, იგი გვეცხადება და სიწმიდის ძალას გვაძლევს:

„ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს.“ ამიტომ, დაემორჩილეთ ღმერთს, წინ აღუდექით ეშმაკს და იგი გაიქცევა თქვენგან. მიუახლოვდით ღმერთს და ისიც მოგიახლოვდებათ თქვენ . . . თქვენი სიცილი გლოვად იქცეს, სიხარული – [ღვთიურ] მწუხარებად. დამდაბლდით უფლის წინაშე და იგი აგამაღლებთ თქვენ.“

– იაკ. 4:6-10;

ღმერთი გვამაღლებს ჩვენი ცოდვილი ბუნების მიდრეკილებებისა და დაბრკოლებებისგან განთავისუფლების მეშვეობით. მან თავისუფლებისთვის გაგვათავისუფლა. თუმცა ამას ვერ ვპოვებთ, სანამ თავად განმათავისუფლებელს არ გავიცნობთ. თუ განთავისუფლება გინდათ, ღვთის გულს მიჰყევით. ეს სიახლოვე ღრმა, ღვთიურ ნაღველს გაამწვავებს თქვენში ყოველთვის, როცა მისი გზებით არ დადიხართ. ეს კი თავის მხრივ მასთან უფრო ახლო ურთიერთობისთვის აღგძრავთ და თავისუფლებაში სიარულის ძალასაც მოგცემთ.

გახსოვდეთ, თქვენ ღვთის შვილი ხართ და მსჯავრდადებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს თქვენს ცხოვრებაში. თუ თავისუფლების მოპოვების გზაზე წაიფორხილებთ, ნუ მისცემთ თავს უფლებას, რომ თქვენს უუნარობაში დარჩეთ. შეცდომის შედეგების ნუ შეგეშინდებათ. ამის ნაცვლად, დამკვიდრდით ღვთის სიდიადეში და მისი მადლის გამომსყიდველ ძალაში.

„ამიტომ ახლა არავითარი მსჯავრი არ არის მათზე, რომლებიც ქრისტე იესოში ცხოვრობენ არა ხორციელად, არამედ სულიერად. რადგან სიცოცხლის სულის რჯულმა ქრისტე იესოში გამათავისუფლა მე ცოდვისა და სიკვდილის რჯულისაგან.“

– რომ. 8:1-2;

პორნოგრაფია და ინტიმური ცხოვრება

სანამ მე (ჯონი) გულუბრყვილოდ ვფიქრობდი, რომ პორნოგრაფიით გატაცება ქორწინების შემდეგ გაქრებოდა, ზუსტად საწინააღმდეგო მოხდა. ბევრ წყვილს გამოუცდია ის, რაც მე აღმოვაჩინე: მტერი პორნოს გამოყენებით უტევს დაქორწინებულებს და არა მხოლოდ მარტოხელებს. მისი შედეგები ქორწინებაზე ყოველთვის საზიანოა, რადგან ეწინააღმდეგება წყვილის უნარს, ისიამოვნონ ნამდვილი სიახლოვით.

შოკისმომგვრელია, მაგრამ ქრისტიანი კონსულტანტების ანგარიშებიდან მოგვისმენია, რომ დაქორწინებული წყვილები ერთად უყურებენ პორნოგრაფიას სქესობრივი სტიმულაციის მიზნით. ეს საბედისწერო შეცდომაა. ამას ნუ გააკეთებთ. დროთა განმავლობაში აღმოაჩენთ, რომ მძინარე დრაკონი გააღვიძეთ, რომელიც თქვენს ცოლ-ქმრულ სიახლოვეს გულისთქმის ცეცხლით შეჭამს.

„. . . და ვერც ადამიანის თვალი გაძღება" (იგ. 27:20). პორნოგრაფია ქორწინებისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საქორწინო ცერემონიის წინაც და მას შემდეგაც. მეუღლე გვყავს თუ არა, არასოდეს არ უნდა ვუყუროთ სხვების სირცხვილს.

მიუხედავად იმისა, რომ პორნო დროებით სტიმულაციას და კმაყოფილებას იძლევა, იგი ჩვენში ხორცის სურვილებს აღძრავს და ჩვენს მეუღლეებთან და ღმერთთან ახლო ურთიერთობის უნარს თანდათან ჭამს. საბოლოოდ, ეს უკმაყოფილოს დატოვებს თქვენს მეუღლეს და თავად თქვენც. მართალია, პორნო სქესობრივ განცდას ხელს უწყობს, მაგრამ საერთოდ არ ზემოქმედებს მის უკან არსებულ ურთიერთობაზე. ის, რაც იოლ გამოსავლად გვეჩვენება, მძიმე ტვირთად აწვება უკვე შერყეულ საფუძველს. შეიძლება, ჩანდეს, რომ პორნოგრაფია სიცოცხლის ნაპერწკალს ანთებს, რეალურად კი, სასიკვდილო ვნება მოაქვს, რომელიც არეულობის, უნდობლობისა და დაუცველობის აფეთქებას გამოიწვევს.

ღმერთმა განიზრახა, რომ სქესობრივი ცხოვრებით სიამოვნება ყოფილიყო ისეთი რამ, რასაც ადამიანი გამორჩეულად მიიღებდა მისი ცხოვრების მეორე ადამიანისთვის მიძღვნით. ის სიახლოვეს უზრუნველყოფს საქორწინო სარეცლის მიღმაც და მთელს ურთიერთობას ამდიდრებს. ამის საპირისპიროდ, პორნოგრაფიის დაშვება გახლავთ სიამოვნების მიღების ძიება მეობიდან გამომდინარე. იგი პიროვნებებს შორის სიახლოვეს არ მოითხოვს და სქესობრივი მიზიდულობის ძლიერ სურვილს და საგანს წარმოადგენს. პორნოგრაფიის სიამოვნება ღვთის მიერ ჩაფიქრებული ინტიმურობის სიხარულის წუთიერი ჩრდილია მხოლოდ.

როცა წყვილს პორნოგრაფია შემოაქვს თავიანთ ურთიერთობაში, საქორწინო სარეცელს ბილწავს სხვა ადამიანების ჩართვით მათ სიახლოვეში. ეს არასოდეს ყოფილა ღვთის გეგმა. სქესობრივი ცხოვრება ორი ადამიანის აღთქმის გახსენებას უნდა ემსახურებოდეს და საქორწინო აღთქმაში მესამე მხარეს არაფერი ესაქმება. ის რაც წმიდაა ორი ადამიანისთვის, იბილწება მრავალს შორის. ღმერთს სურს, რომ პატივი მივაგოთ საქორწინო სარეცელს და აღთქმას, რომელსაც იგი წარმოადგენს. მან იგი სიამოვნებისა და ხანგრძლივი დაკმაყოფილების ადგილად ჩაიფიქრა.

დღე 4

ჩვენი გულების დაცვა

ბოლო ხანებში პორნოგრაფიული ვებგვერდები ყველაზე ხელმისაწვდომი და პოპულარული იყო ინტერნეტ-სივრცეში. (ისინი სოციალური მედიის გვერდებს აღემატებოდა.) ათი ვებ-გვერდიდან ერთზე მეტი თავისი არსით პორნოგრაფიული გახლდათ. 40 მილიონზე მეტი ამერიკელი რეგულარულად სტუმრობს ამ გვერდებს და ყოველი მეორე 28 258 ინტერნეტის მომხმარებლიდან პორნო გვერდს ათვალიერებს.[6] სექსუალური ნდომა ასე დამახინჯებულად არასოდეს ყოფილა განვითარებული და წახალისებული.

ყალბი სქესობრივი სტიმულაციის მოძალების გამო სიყვარული ვნებამ ჩაანაცვლა. კიბერ-სექსი ინტიმურ ურთიერთობას და ქორწინებებს ანგრევს. ახლა ახალგაზრდებიც კი იტანჯებიან ერექციის დისფუნქციით, რადგან მათი სქესობრივი ცხოვრება ინტერნეტ-პორნოგრაფიამ გადააგვარა. ნამდვილი ქალები მათ ვეღარ აკმაყოფილებენ. მათი ხშირი ვირტუალური განცდები მეტისმეტად განსხვავდება რეალური, ხორციელი შეხვედრებისგან.

ეს პრობლემა მხოლოდ მამაკაცებს არ ეხება და პორნოგრაფიული შინაარსი ინტერნეტ-ქსელსაც გასცდა. ყოველი მეხუთე ქალი ყოველ კვირას ონლაინში უყურებს პორნოგრაფიულ გვერდებს.[7] მამაკაცები და ქალები თავინთ მიდრეკილებას ჟურნალებისა და ეროტიული წიგნების მეშვეობითაც იკმაყოფიელებენ. ეს უკანასკნელნი განსკუთრებით პოპულარულია ქალებს შორის.

პორნოგრაფია და სქესობრივი ცოდვების სხვა ფორმები გაზავებულ სიამოვნებას სთავაზობენ ადამიანებს ღვთის თავდაპირველი ჩანაფიქრისგან დამოუკიდებლად. აკრძალულ სქესობრივ ქცევას, რომელიც თუნდაც გონებაში ან ეკრანზეა, გაცილებით ღრმა შედეგების მოტანა შეუძლია, ვიდრე ეს არის გადაგვარებული კმაყოფილების განცდა. იესომ თქვა, „ყველა, ვინც ქალს გულისთქმით უყურებს, მან უკვე იმრუშა მასთან თავის გულში“ (მათ. 5:28).

პორნოგრაფიის ყურებისთვის დამახასიათებელი ღალატის ამგვარი ფორმა ქორწინების საფრთხეს წარმოადგენს, რადგან ღვთის მიერ ჩაფიქრებული სექსუალობის დამახინჯება ჩვენი გულების მდგომარეობას უტევს. „ყველაზე მეტად დაიცავი შენი გული,“ – ამბობს იგავთა წიგნი, – რადგან მისგან არის სიცოცხლის წყაროები“ (4:23). სქესობრივი ცოდვა ჩვენს გულებს აბინძურებს და შედეგად ჩვენს ცხოვრებას და ქორწინებას ანგრევს. ამ ჭეშმარიტების სამწუხარო მოწმობაა ის,

რომ გაყრათა ორმოცდათექვსმეტი პროცენტი ერთ-ერთი მხარის „პორნოგრაფიული გვერდებისადმი მანიაკალურმა ინტერესმა გამოიწვია.“[8]

ყოველგვარი ცოდვა, საბოლოოდ, ჩვენს სიცოცხლისუნარიანობაზე შეტევას ნიშნავს. ჩვენ ქრისტიანები ვართ, ამიტომ მტერმა წააგო ჩვენი სულებისთვის ბრძოლა. ახლა ის ომს აწარმოებს ჩვენი სამშვინველებისთვის. იგი ცოდვის შედეგების სიბინძურეში ჩვენს ამოსვრას ცდილობს, რადგან არ სურს, რომ სიცოცხლე მთელი სისრულით განვიცადოთ (იხილეთ იოან. 10:10).

ქრისტემ ცოდვისგან გაგვათავისუფლა, მაგრამ ამ თავისუფლების განცდას ვერ ვახერხებთ, რადგან ცოდვას ჩვენი ცხოვრების მართვის საშუალებას ვაძლევთ. ამ მიზეზის გამო პავლე წერდა:

> „ნუ იმეფებს ცოდვა თქვენს მოკვდავ სხეულში მის გულისთქმათა მორჩილებად. ნურც მისცემთ ცოდვას თქვენს სხეულებს უსამართლობის იარაღად, არამედ წარუდგინეთ ღმერთს თავნი თქვენნი, როგორც მკვდრეთით გაცოცხლებულნი, და თქვენი ასოები სიმართლის იარაღად ღმერთს.“
>
> – რომ. 6:12-13;

თქვენი ასოები ჩვენს სექსუალობასაც მოიცავს. ღმერთს განვადიდებთ, როცა თავს სრულიად მას ვუძღვნით და მის სულს სქესობრივ საკითხში ხელმძღვანელობის საშუალებას ვაძლევთ. იგი გვათავისუფლებს იმისგან, რაც გვბორკავს და გვძარცვავს მის მიერ ბოძებული უხვი სიცოცხლისგან. იგი მიგვიძღვის ისეთი სქესობრივი გამოხატულებისკენ, რომელსაც თავისუფლება, ინტიმურობა და სიამოვნება მოაქვს.

არ ვამბობთ, რომ ადვილია ჩვევაში გადაზრდილი სქესობრივი ცოდვის ტირანიის ძლევა. პავლე წერდა: „შიშით და ძრწოლით იღვაწეთ თქვენს სახსნელად!“ (ფილ. 2:12). ხორცის ჯვარცმა მტკივნეული პროცესია, მიუხედავად იმისა, რომ განწმედა ღვთის მადლის საქმეა. ზოგჯერ სიწმიდისა და მთლიანობისკენ სვლა ცდუნებისა და სიამაყის მტკიცე წინააღმდეგობას მოითხოვს. თუ სულიწმიდას მისი გამწმედი შრომის ნებას დავრთავთ, სულიერ სიხარულში შევაბიჯებთ, რაც დიდად აღემატება ტანჯვის ტკივილს.

სიწმიდის ხედვა

„თავგამოდებული ვარ თქვენს მიმართ ღვთიური თავგა-

> მოდებით, რადგან დაგწინდეთ თქვენ ერთ კაცზე, რათა წმიდა ქალწულად წარგადგინოთ ქრისტეს წინაშე, მაგრამ ვშიშობ, როგორც გველმა თავისი მზაკვრობით აცდუნა ევა, ასევე არ გაირყვნეს თქვენი აზროვნება და არ გარდახდეთ სიწრფელესა და სიწმიდეს ქრისტეში.“
>
> – 2 კორ. 11:2-3;

ქორწინების სიწმიდე მარტო ორ ადამიანს არ ეხება. ეს ქრისტესმიერი ხედვაა წმიდა საპატარძლოსი.

ახლა გულისთქმა მძვინვარებს ეკლესიაში. უკანასკნელმა კვლევებმა აჩვენა, რომ ქრისტიანი მამაკაცების ორმოცდაათი პროცენტი და ქრისტიანი ქალების ოცი პროცენტი პორნოგრაფიაზე დამოკიდებულია.[9] ამ საკითხის მოსაგვარებლად ბევრმა მიმართა ანგარიშვალდებულებისა და ქცევის შეცვლის მეთოდებს ამ დამოკიდებულების შესამცირებლად. ეს ცვლილების სურვილის ფასეული ნიშანია და რასაკვირველია, თავისი ადგილი უჭირავს, მაგრამ მხოლოდ პასუხისმგებლობა და დისციპლინა საკმარისად ძლიერი საშუალებები არ გახლავთ ცოდვის ბუნების დასაძლევად. თუ ვინმე სქესობრივ უზნეობაში ჩართვას მოისურვებს, არანაირ ბუნებრივ საშუალებას არ შეუძლია მათი უკან გამოყვანა. შესაძლოა, მათი გარეგნული ქცევა დროებით მართვას ექვემდებარება, მაგრამ შინაგანი ცხოვრება გულისთქმისა და მსჯავდადების ტყვეობაშია.

ჩვენი ქცევის ნიმუში ნამდვილად მაშინ შეიცვლება, როცა გონება განახლდება. „ნუ მიესადაგებით ამ წუთისოფელს, – გვევედრება პავლე, – არამედ შეიცვალენით თქვენი გონების განახლებით!“ (რომ. 12:2). ჩვენ, როგორც ღვთის შვილები, გათავისუფლებული ვართ ცოდვის ძალაუფლებისგან (იხილეთ რომ. 6:19-23). თუმცა ამ თავისუფლებით დასატკბობად ჯერ ღმერთს უნდა მივცეთ ჩვენი ქცევის გაწმედის საშუალება ჩვენი გონების განახლებით.

ჩვენი გონება განახლდება, როცა დროს ვატარებთ ღვთის სიტყვასა და მის თანდასწრებაში. სხვა გზა არ არსებობს! ღვთის სიტყვა ჩვენს გულებშია ჩანერგილი და ღვთის სულიწმიდის მიერ დაფუძნებული უზრუნველყოფს ცოდვისგან ჩვენს გათავისუფლებას (იხილეთ ფს. 118:11 და იაკ. 1:21). ბევრი ქრისტიანი გლოვობს თავის სექსუალურ სირცხვილს, მაგრამ ვერ მოაქვს ეს სირცხვილი მის წინაშე, ვისაც ისინი თავისუფლებამდე მიჰყავს.

ბევრი რელიგიური ინსტიტუტი დაშინების ტაქტიკისა და კონტროლის მექანიზმებით ცდილობს უზნეობის გამოსწორებას. ამ მცდელობებმა არ იმოქმედა და თვალთმაქცობისა და ცოდვის სიუხვე მოიტანა. სირცხვილს ცოდვა ჩრდილში შეჰყავს, სადაც იგი ყვავის.

რელიგიურ კანონებს და ადამიანის შემოღებულ წესებს არ შეუძლია ჩვენი დახსნა ცოდვისგან. ფაქტობრივად, კანონები და წესები ურჯულოების გამრავლების საფუძველს ქმნის (იხილეთ რომ. 7 და 2 კორ. 3:6). ღმერთს არ სურს, წესების მოწადინებით შესრულება. ღმერთს სურს, დაშურებით ვესწრაფოთ მისკენ. ჩვენ სრულყოფილი ვართ მამის სიყვარულის განცდით და მთლიანი ვხდებით მასთან ურთიერთობით. წმიდა წერილი ამბობს:

„თქვენ იცით, რომ იგი გამოჩნდა, რათა ეტვირთა ჩვენი ცოდვები, და რომ მასში არ არის ცოდვა. ყოველი, ვინც რჩება მასში, არ სცოდავს. ვერც ერთი შემცოდე ვერ იხილავს და ვერ შეიცნობს მას.“

– 1 იოან. 3:5-6;

ბერძნული სიტყვა *გინოსკო* თარგმნილია, როგორც *შეცნობა* და ნიშნავს „პიროვნების გაცნობას უშუალო, პირადი და განუწყვეტელი ურთიერთობის საშუალებით.“[10] ცოდვილი ბუნებისგან თავისუფლება ღმერთთან პირადი ურთიერთობით მოდის და არა მის შესახებ მეორადი ცოდნით.

იოანე მოციქული სულიწმიდის შთაგონებით აცხადებდა, რომ ქრისტიანი, რომელიც ცოდვაში ცხოვრობს, ვერ გამოცდის ახლო, პირად ურთიერთობას ქრისტესთან. ამრიგად, ქორწინებაში სიახლოვის ხელისშემშლელი ბრძოლებისა და ცოდვის მონობიდან გამოსავალი უფალთან დაახლოებაშია.

თუ ცოდვა თქვენს ცხოვრებას აკონტროლებს, გაიქეცით ღმერთთან. ცოდვისგან მხოლოდ მაშინ გათავისუფლდებით, როცა ქრისტეს სიყვარულისა და მადლის შესახებ საკუთარი გამოცდილებით გაიგებთ. როცა ღვთისკენ თავმდაბლობით მოტრიალდებით, იგი თქვენს გონებას განაახლებს და მოგხსნით ყოველგვარ საბურველს, რომელიც ქრისტეში თქვენი თავისუფლების შემეცნებას აბრკოლებს.

„როცა უფლისკენ მოიქცევიან, რიდე აეხდებათ. ხოლო უფალი სულია და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა. ჩვენ კი ყველანი ახდილი სახით ვხედავთ უფლის დიდებას, როგორც სარკეში, და გარდავისახებით იმავე სახედ დიდებიდან დიდებაში, როგორც უფლის სულისაგან.“

– 2 კორ. 3:16-18;

ღმერთს არ სურს, რომ იტანჯებოდეთ რაიმე სახის სექსუ-

ალური ცოდვის გამო. მას სურს, იაროთ სიმრთელესა და სიწმიდეში. როცა ღვთისადმი თქვენი სიყვარული იზრდება, რომელიც მისი თქვენდამი სიყვარულის პასუხია, თქვენი ცხოვრება განახლებული თვალთახედვით და მისთვის პატივის მიგების სურვილით აივსება. მისი ნებისა და გზებისადმი დაქვემდებარებით აღმოაჩენთ იესოს მსგავსად ცხოვრების ძალას. ჩვენც ისევე ვლოცულობთ თქვენთვის, როგორც პავლე ლოცულობდა ფილიპელი მორწმუნეებისთვის:

> "...ამაზე ვლოცულობთ, რომ უფრო და უფრო გაიზარდოს თქვენი სიყვარული ცოდნასა და ყოველ გრძნობაში, რათა გამოცადოთ უმჯობესი და იყოთ წრფელნი და დაუბრკოლებელნი ქრისტეს დღეს. სიმართლის ნაყოფით აღვსილნი იესო ქრისტეს მიერ ღვთის სადიდებლად და საქებრად."
>
> – ფილ. 1:9-11;

როცა სქესობრივ ცხოვრებას ქრისტესთვის მაამებლობის სურვილით ვუდგებით, მეუღლესთან ინტიმური ურთიერთობით ცხოვრების ყველა ეტაპზე გავიხარებთ.

დღე 5

სქესობრივი ცხოვრების სეზონები

> „ყოველივეს თავისი დრო და ყველა საგანს თავისი ჟამი აქვს ცის ქვეშ . . ."
>
> – ეკლ. 3:1;

დრო არა მარტო მნიშვნელოვანია ცხოვრების მრავალ სფეროში, არამედ იგი ყველაფერს წარმოადგენს. თუ ყველაფერი დროებითია და დრო ყოველ მიზანთან მჭიდრო კავშირშია, ჩვენი სქესობრივი გამოხატულებაც არ იქნება გამონაკლისი. ყოველი წელი ოთხი სეზონისგან შედგება და დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი ქორწინებაც ასეა. ამრიგად, სქესობრივი ცხოვრება ამ კონცეფციის ჭრილში განვიხილოთ.

<u>გაზაფხული: პირველი ათწლეული</u>

თვალსაჩინოებისთვის, ქორწინების ყოველ ათწლეულს

სქესობრივი ცხოვრების ყოველ სეზონს შევადარებთ. მაგალითისთვის ავიღოთ წყვილი, რომელიც ამჟამად, დაახლოებით, ოცდარვა წლის განმავლობაში დაქორწინებულია. შემდეგ ავიღოთ ქორწინების პირველი ათი წელი (28-38 წლის ასაკი) და მას უბიწობის სეზონი და გაზაფხულის მსგავსად, ახალი საწყისი ვუწოდოთ. ალექსანდრე პოპის ციტირების თანახმად, ეს გახლავთ „იმედის მარადიული გაზაფხული“. ამ დროს თქვენი ცხოვრება დაფეხმძიმებულია შესაძლებლობებით.

პირველი დეკადა მოლოდინისა და აღმოჩენების სეზონია, როცა ცხოვრებაში ახალი სექსუალური თვალთახედვით შეაბიჯებთ. ის, რაც მგზნებარე მოლოდინში თვლემდა, ახლა იღვიძებს თქვენი ქორწინების გაზაფხულზე. თქვენ ჯერ კიდევ ერთმანეთის პიროვნებების აღმოჩენის ეტაპზე ხართ და ერთობლივად ცხოვრებას ეცნობით. თქვენი სქესობრივი ცხოვრების ყველა ასპექტი ახალი და ცოცხალია.

თუ ოჯახის გაზრდას გეგმავთ, ეს იქნება დრო, როცა ორსულობის სიხარულსა და გამოწვევებს გამოცდით. თქვენი სქესობრივი ცხოვრება სხვაგვარია მაშინ, როცა ბავშვები გყავთ. თქვენ მხოლოდ საყვარელი ადამიანები არ ხართ. ამასთან ერთად, მამისა და დედის ფუნქციების შესრულებაც გიწევთ. შესაძლოა, შვილებმა არა მარტო დასვენებაში, არამედ ძილშიაც ხელი შეგიშალონ.

ეს იქნება საინტერესო გამოწვევების დრო. მე (ლიზას) მომწონდა ახალგაზრდა დედა რომ ვიყავი. მიყვარდა შვილების მოვლა და ძუძუთი გამოვკვებე ჩემი ყოველი ბიჭი, სანამ ერთი ან ორი წლის არ გახდნენ. ეს ყველაფერი ხაზს უსვამს მნიშვნელოვან მომენტს: ბავშვების სათანადოდ აღზრდის გულმოდგინე მცდელობებში აღმოვაჩინე, რომ ჯონის უგულებელყოფა ადვილი საქმე იყო. ახალგაზრდა დედები არასოდეს არ უნდა დააყენონ შვილებსა და ქმარს შორის არჩევანის გაკეთების წინაშე, მაგრამ ფრთხილად იყავით, რომ მკლავებში სათუთად დაჭერილმა ჩვილმა თქვენი ქმარი არ ჩაანაცვლოს.

იმდენად მავსებდა ჩემი საყვარელი ბავშვების მოვლა და ალერსი, რომ ჩემი ქმრისთვის საკმარისი დრო არ მრჩებოდა. დამავიწყდა, რომ მასაც უყვარდა ჩვენი ბიჭები, მაგრამ მათ მიმართ ახლო ემოციური კავშირი არ ჰქონდა, როგორიც მე. ჯონს ვსჭირდებოდი, მაგრამ ჩვენი სიყვარულისგან შობილი ბავშვების საჭიროება ჩემთვის უფრო თვალშისაცემი იყო, ვიდრე ქმრისა. ამის საპირისპიროდ, ზოგიერთი ქმრები თავის პატარა გოგონებს დიდ ყურადღებას აქცევენ და კომპლიმენტებით ავსებენ, თუმცა ცოლებს ამით არ ანებივრებენ.

გაზარდეთ შვილები და ამავდროულად, გაზარდეთ ერთმანეთისადმი სიახლოვე. დააბანდეთ სიყვარული ერთმანეთში. ბავშვები დასაძინებლად ადრე დააწვინეთ, რომ ერთმანეთისთვის დრო დაგრჩეთ. მოვალეობები ისე გადაინაწილეთ ერთმანეთში, რომ საწოლ ოთახში მხოლოდ დასაძინებლად წასვლა

არ გიწევდეთ. ღიად ელაპარაკეთ მეუღლეს თქვენს საჭიროებებსა და საზრუნავზე. ზოგჯერ იმის თქმა, „შენთან ერთად ყოფნა მომენატრა, ეს როგორ მოვახერხოთ?“ ნებისმიერ იმედგაცრუებას გაფანტავს.

მიზნად დაისახეთ, რომ ქორწინების პირველ ათეულში ერთმანეთის ინტიმური საჭირობები აღმოაჩინოთ. ნუ მისცემთ განვითარების უფლებას სქესობრივი ცხოვრების რაიმე ნიმუშს, რომლის გამოც მოგვიანებით ინანებთ. ელაპარაკეთ ერთმანეთს. ქორწინების პირველ დეკადაში მნიშვნელოვანია, რომ თქვენი უნტიმური ურთიერთობა ბაღს მიამსგავსოთ, რომელსაც გაზაფხულზე მოვლა და დარგვა სჭირდება ზაფხულსა და შემოდგომაზე კარგი ნაყოფის მისაღებად.

ზაფხული: მეორე დეკადა

ზაფხული საუკეთესო დროა, რაც კი შეიძლება არსებობდეს.

– ჩარლზ ბოუდენი

თუ გაზაფხული იმედს სახავს, ზაფხული სიცოცხლით ჩქეფს. ცხოვრება სავსეა ამ სეზონზე. კარიერის ბილიკები საკმაოდ განსაზღვრულია ამ დროისთვის და ალბათ, უკვე იცით, აპირებთ თუ არა მშობლობას. შვილები, რომლებიც ამ დროისთვის გყავდათ, წამოიზარდნენ და გახდნენ ისინი, ვინც უნდა გამხდარიყვნენ. მათ ზრდასთან ერთად მშობლებიც აცნობიერებენ, რას წარმოადგენენ ისინი.

ხელიდან არ უნდა გაუშვათ ზაფხულის არც ერთი ძვირფასი წუთი! დრო უნდა გამოყოთ ინტიმური სიახლოვისთვის სკოლის მცხუნვარე და გადატვირთულ დღეებში, არასავალდებულო საქმიანობების და სამუშაოს პირობებში. თუ გაზაფხულის ათწლეულში კარგად დათესეთ, ამ სეზონზე კიდევ უფრო მეტად ისიამოვნებთ. თუ ბაღი კარგად ვერ დაამუშავეთ პირველ ათწლეულში, რგვის დაწყება გვიანი ჯერ კიდევ არ არის.

ზაფხული ის დროა, როცა ყველაფერი სწრაფად იზრდება სარეველების ჩათვლით. გაისარჯეთ და რიგები გასხალით ერთმანეთის შეჩვევით წამოზრდილი ტოტებისგან. განაგრძეთ ყოველივე ჯანსაღის მორწყვა თქვენს ინტიმურ ურთიერთობაში და ის უფრო სწრაფად გაიზრდება, რადგან თქვენი ნიადაგი ნდობის ათწლეულით არის განოყიერებული.

ზაფხული გრძელ დღეებს, სიცილს, პიკნიკებს და შუადღის ჭექა-ქუხილს ნიშნავს. ზაფხულის ამ დეკადაში აღმოვაჩინეთ, რომ სქესობრივი ცხოვრება შუადღეზე საუკეთესოდ გამოგვდიოდა. ღამით ყოველთვის დაღლილები ვიყავით, ხოლო დღის ის პერიოდი, როცა ბიჭები სახლის გარეთ ან სკოლაში იყვნენ, მეტისმეტად კარგი იყო საიმისოდ, რომ ეს საქმე საღამოსთვის არ გადაგვედო.

შემოდგომა: მესამე დეკადა

მომდევნო ათწლეული შემოდგომა გახლავთ. ის დღემდე ჩვენი უსაყვარლესი დროა. გვიყვარს მაცოცხლებელი მზიანი დღეებისა და ცივი ღამეების ერთობლიობა. დაუძაბავად ვგრძნობთ თავს ჩვენი მოშვებული სხეულებით.

შემოდგომა მეორე გაზაფხულია, როცა თითოეული ფოთოლი ყვავილს წააგავს.

– ალბერტ კამიუ

გვიყვარს ეს დრო! ახალგაზრდობის დევნის ნაცვლად იზეიმეთ თქვენი შემოდგომა. აღმოვაჩინეთ, რომ ამ სეზონზე ინტიმურ ურთიერთობას უფრო მეტი გასაქანი მიეცა ჩვენს ცხოვრებაში. ორმოცდაათს რომ გადავაბიჯეთ, ჩვენმა დღეებმა სხვაგვარი რითმი შეიძინა. აღარ გვიწევს ბავშვებთან ერთად საშინაო დავალებების კეთება, სკოლაში ან სპორტულ ღონისძიებებზე დასწრება. ერთმანეთისთვის მეტი დრო გვაქვს.

ახლაც კი ვწერთ ყველაფერს, რის გაკეთებაც შემოდგომის დეკადაზე გვინდა, რადგან ზამთარმა მოულოდნელად არ მოგვისწროს. ერთ-ერთი, რასაც გვინდა მივხედოთ, სქესობრივი ჯანმრთელობა გახლავთ. ჩვენს სხეულებზე ჯანსაღი დიეტით, რეგულარულად სუფთა ჰაერზე სიარულით და ვარჯიშით ვიზრუნებთ. მიზანმიმართულად ვსეირნობთ ერთად. ამის კეთება მაშინაც გვიყვარდა, როცა პირველად დავიწყეთ შეხვედრები.

ბევრი წყვილი ერთმანეთს შორდება ცხოვრების შემოდგომაზე. როცა შვილები სახლს დატოვებენ, მეუღლეები ერთმანეთისთვის უცხოებივით რჩებიან. ამ დეკადაში ყველას გვაქვს არჩევანი. ვიგლოვებთ იმაზე, რაც იყო ან გავიხარებთ იმით, რაც იქნება. მოგიწოდებთ, რომ ამ სეზონზე თქვენი ქორწინება გადააკეთოთ. შეგიძლიათ, ისევ ახალდაქორწინებულებივით იყოთ კიდევ ერთხელ იმ განსხვავებით, რომ ახლა ორივენი ასაკით უფრო დიდები და ბრძენები ხართ.

ზამთარი: დარჩენილი წლები

შუა ზამთარში აღმოვაჩინე, რომ ჩემში დაუძლეველი ზაფხული მკვიდრობს.

– ალბერ კამიუ

არ მოგატყუებთ, მაგრამ დაბერება არც ისე სასიამოვნო სანახავია და უკიდურესი უსამართლობაა. ჯონის მშობლებმა

ამას კარგად გაართვეს თავი. ჯანმრთელობის პრობლემების მიუხედავად, ისინი თავგამოდებით სეირნობენ, ვარჯიშობენ და რეგულარულად სადილობენ მეგობრებთან ერთად, რის გამოც ისინი ძალიან ცოცხალი და აქტიური ხალხია. ამ ორ საყვარელ ადამიანს კვლავ ერთად სძინავს ორადგილიან საწოლში, თავიანთი არჩევანით. დაბერება ერთად არის კარგი და სქესობრივი ცხოვრებაც საოცრად მშვენიერია, როცა გარკვეული რეგულარულობით მიმდინარეობს.

ჩვენი სეზონების ავტორი ეკლესიასტეს წიგნში წერს, „ყოველივე მშვენივრად შექმნა თავის ჟამს“ (ეკლ. 3:11). მშვენიერია სწორი რამ სწორ დროს. ჩვენ გვსურს, კარგად შევაბერდეთ ერთმანეთს და ჩვენი სეზონის რიტმში ვიცეკვოთ.

უკანასკნელი მაგალითი საფიქრელად. მამაკაცის მთლიანი საცურაო კოსტიუმი მშვენიერია ოლიმპიადისთვის, მაგრამ მე (ლიზა) თვალს ვარიდებ, როცა მოხუც კაცს ვხედავ მასში გამოწყობილს. ის, რაც ერთ დროს წყალზე სწრაფად მოძრაობაში გეხმარებოდათ, გამოუსადეგარია დუნე ცურვისა და ტივტივის სეზონზე. მთავარი ისაა, რომ ცურვა არასოდეს შეწყვიტოთ. ტალღებში ნებივრობაზე უარს არ იტყვით მხოლოდ იმის გამო, რომ ბიკინი აღარ გიხდებათ. ცურვა და სქესობრივი ცხოვრება ყოველ სეზონზე მისაღებია. უბრალოდ, ისინი ცოტა სხვაგვარად გამოიყურებიან ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე.

ჩვენი ქორწინების გაზაფხულზე ბიკინი მეცვა სპორტით გართობისას. როცა ჩემს ცხოვრებაში ზაფხულის სეზონი დადგა, მთლიანი კოსტიუმი ვამჯობინე. ახლა, შემოდგომაზე შორტებსა და მაისურში ვარ გამოწყობილი. ვინ იცის, ცივი ზამთრის სეზონის მოახლოებისას, შესაძლოა, კაბამოვლებული საცურაო კოსტიუმი ვამჯობინო, მაგრამ ცურვას მაინც არ შევწყვეტ.

ალბათ, ისე ხშირად აღარ ვიცურავებთ, როგორც გაზაფხულის სეზონზე და არც ისე ფრთხილად ვიქნებით, როგორც ბავშვების თანდასწრებით ვცურავდით ზაფხულის სეზონზე. ჩვენ ისევ გავაგრძელებთ შემოდგომისა და ზამთრის სეზონებზე ცურვას. სქესობრივი ცხოვრება, მრავალი სხვადასხვა კუთხით, ჩვენი მარადიული ზაფხულია.

პრაქტიკული რჩევები

ილაპარაკეთ იმის მიუხედავად, ცხოვრების რომელი სეზონი დგას თქვენს ცხოვრებაში. თუ მარტოხელა ხართ, თქვენი სურვილები და მისწრაფებები ღმერთს გაანდეთ. ესაუბრეთ მეგობარს, რომელიც სათნოებისკენ თქვენს სწრაფვას იზიარებს და ერთმანეთი გაამხნევეთ. თუ დაქორწინებული ხართ, ერთმანეთს ესაუბრეთ და საფიქრალი გაუზიარეთ.

ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ ყველას შეუძლია გახდეს უფრო კარგი საყვარელი მისი მეუღლისთვის იმ შემთხვევაში, თუ ასწავლიან. მამაკაცები მეთოდურად უნდა მოიქც-

ნენ. ისინი ასე ფიქრობენ, *თუ ამგვარი მიდგომა ბოლო ათ შემთხვევაში გამოსადეგი იყო, რატომ უნდა შევცვალოთ ეს კარგი რამ?* ქალებო, უთხარით ქმრებს, თუ რაიმეს შეცვლა გსურთ. უთხარით რაიმე ამდაგვარი, „მომწონს, კისერზე რომ მკოცნი.“ ნუ დაუცდი, სანამ შენი ქმარი თვითონ მიხვდება ამას. ღიად გამოხატეთ თქვენი სურვილები.

ხელი ჩასჭიდეთ ხოლმე ერთმანეთს დღის განმავლობაში, როცა არ შეგიძლიათ სექსით დატკბეთ და ნუ იუხერხულებთ ერთმანეთის მოხვევას, როცა ამის შესაძლებლობა გექნებათ. მოეფერეთ ერთმანეთს. გაისეირნეთ, როცა ამ საკითხზე საუბარი გსურთ, რომ არავინ იფიქროს, თითქოს შეცდომას სჩადის ამ დროს. ნუ დაუჯერებთ ჟურნალებს; თქვენ უფლება გაქვთ, რომ თქვენი შეხედულებისამებრ მოაწყოთ თქვენი სქესობრივი ცხოვრება, როგორც ნებისმიერი სხვა სფერო.

თუ დახმარება გჭირდებათ, მიიღეთ იგი. თქვენი ქორწინების ამ იდუმალ ნაწილს შემთხვევის ანაბარა ნუ დატოვებთ. წიგნის ბოლოს მოცემულია საჭირო რესურსების ჩამონათვალი. თქვენს ეკლესიასაც შეუძლია მეტი დახმარების გაწევა.

იმის გამო, რომ ამ საქმის ექსპერტები არ ვართ და მხოლოდ შეზღუდული გამოცდილება გვაქვს, ჩვენი მიგნებები, უპირატესად, იმ წყვილებს შეეხება, რომელთაც ერთმანეთთან სიახლოვე სურთ და არა უბრალოდ, დაკმაყოფილება. ვაცნობიერებთ, რომ ზოგჯერ ერთ-ერთი მეუღლე საერთოდ არ იჩენს ინტერესს მეორის მიმართ. ვიცით, რომ ამგვარი უარყოფა უკიდურესად მტკივნეულია. ნუ მიმართავ სხვა პიროვნებას; მიუბრუნდი ღმერთს. მასთან გადმოღვარეთ თქვენი გული და დარწმუნებული იყავით, რომ იგი განკურნავს თქვენს გულს. ერთმანეთისგან სქესობრივი თანაცხოვრების ნაძალადევი მოთხოვნა არასოდეს მუშაობს.

ასევე ვიცით, რომ არსებობს რთული პერიოდები, როცა მეუღლე ავად არის, იმედგაცრუებულია ან ფიზიკური მდგომარეობის გამო არ შეუძლია ინტიმური ურთიერთობა. ელაპარაკეთ თქვენს ექიმს, თუ რის გაკეთება შეიძლება ამ შემთხვევაში.

ვლოცულობთ, რომ აღმოაჩინოთ ხანგრძლივი ურთიერთლტოლვა და საკუთარი სქესობრივი მემკვიდრეობა შექმნათ, რომელიც ღვთიური სიწმიდის ჩანაფიქრს ეფუძნება. მას ვერ დააბრკოლებს წარსულის ჭრილობები და წარუმატებლობები. დაე, „ყოველთვის იყავით მოწამლული“ ერთმანეთის სიყვარულით!

დღე 1 დღის ლოცვა

ინტიმური სიახლოვის დღესასწაული

„...ისიამოვნე შენი ცოლით, რომელიც სიყმაწვილისას შეირთე! იგი ანგელოზივით საყვარელია და ვარდივით მშვენიერი! არასოდეს შეწყვიტო მისი სხეულით სიამოვნების მიღება. მის სიყვარული ნაჩუქარი ნუ გეგონება!“

– იგ. 5:19-20; *The Message*

ღმერთმა სქესობრივი ცხოვრება ადამიანის დაცემამდე შექმნა. ის ძალიან კარგია ქორწინების ფარგლებში. ფაქტობრივად, ის არაჩვეულებრივია! მამაკაცსა და ქალს შორის სიყვარულსა და ინტიმურობაზე ძლიერი კავშირი არ არსებობს.

სქესობრივი ცხოვრებისადმი რა დამოკიდებულება შემოიტანეთ თქვენს ქორწინებაში? ხედავთ თუ არა მას წმიდა, დადებით სახებად, რომელიც ღმერთმა ჩაიფიქრა? რატომ ან რატომ არა?

_____

_____

_____

იმისდა მიუხედავად, თუ რას ფიქრობდი წარსულში სექსზე, შენს ზეციერ მამას სურს, რომ იცოდე, რომ იგი სრულებით ეთანხმება და აკურთხებს შენს სექსუალურ და ინტიმურ ურთიერთობას შენს მეუღლესთან. ამ მითითებებისათვის გამოყავი ლოცვის დრო სექსთან დაკავშირებით ღმერთის სიტყვის თანახმად.

„კურთხეულ იყოს შენი წყარო და იხარებდე შენი სიყმაწვილის ცოლთან, – მიუთითებს წერილი, – მოყვარულ შველთან და ტურფა ქურციკთან. დაგატკბოს მისმა გულ-მკერდმა ყოველ დროს. გაბრუვდი მუდამ მისი სიყვარულით.“

– იგ. 5:18-19;

„ქმარმა ჯეროვანი პატივი უნდა სცეს ცოლს, ასევე ცოლმაც-ქმარს!“

– 1 კორ. 7:3;

„ყველას ცოლ-ქმრობა იყოს პატიოსანი და სარეცელი – შეუბილწავი!. . .“

– ებრ. 13:4;

იყავით გულწრფელი! თქვენი აზრით, რა ადგილი უჭირავს სექსობივ ცხოვრებას თქვენს ქორწინებაში? მას იტანთ თუ ზეიმობთ? როგორ გეხმარებათ ეს მუხლები მის დადებითი კუთხით დანახვაში?

ღმერთი ჯანსაღი სქესობრივი ცხოვრების დეტალურ სურათს გვაწვდის ქებათა წიგნში. აღმოაჩინეთ ამ ურთიერთობის საინტერესო მხარე, განსაკუთრებით ის, რაც აღწერილია მე-4 და მე-7 თავებში და უფალს სთხოვეთ სქესობრივ ცხოვრებაზე თქვენი ხედვისა და მოლოდინების დარეგულირება და მის შეხედულებასთან შეთანხმება!

სქესობრივი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი გახლავთ მისთვის პატივის მიგება. უპატიოჰყოფს თუ არა თქვენს საქორწინო სარეცელს თქვენი რომელიმე ახლანდელი ქცევა?

ინგლისურენოვანი ბიბლიის გაფართოებული თარგმანის მიხედვით, ებრ. 13:4-ში ნახსენები პატივის მიგება საქორწინო სარეცლის არა მარტო შეუბილწავად შენახვას ნიშნავს, არამედ მას ღირსეულს, მშვენიერს, ფასეულს და განსაკუთრებით ძვირფასს უწოდებს. რა პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადადგათ. რომ არათუ დაიცვათ, არამედ იზეიმოთ კიდეც თქვენი ქორწინების ინტიმურობა?

დღე 2 დღის ლოცვა

გულგატეხილთა განკურნება

„[ღმერთი] განკურნავს გულგატეხილებს და ჭრილობებს შეუხვევს მათ [განკურნავს მათ ტკივილებს და დარდს]!“

– ფს. 146:3;

მრავალი ჩვენგანის ტკივილები და ჭრილობები წარსულში გაკეთებული არასწორი არჩევანის შედეგია, რომლებშიც ცოდვილი სქესობრივი არჩევანიც შედის. ჩვენმა ზეციერმა მამამ შეუდარებელი სიბრძნით და ჩვენთან ახლო ურთიერთობის დიდი სურვილით შექმნა ჩვენი ცხოვრების განკურნებისა და აღდგენის გზა მისი ძის, იესოს მეშვეობით. პავლე ღვთიური სიყვარულის ამბავს ტიტეს მიმართ წერილში ატევს:

„ოდესღაც ჩვენც ვიყავით უმეცარნი, ურჩნი, გზააბნეულნი, სხვხადასხვა გულისთქმათა და განცხრომათა მონები, ვცხოვრობდით ღვარძლით და შურით, ვიყავით საძულველნი და ერთიმეორეს მოძულენი. ხოლო როცა გაცხადდა ჩვენი მაცხოვარი ღვთის სახიერება და კაცთმოყვარეობა, მან გვიხსნა არა მართალი საქმეების გამო, რომლებიც ჩვენ ჩავიდინეთ, არამედ თავისი წყალობით, ხელახლა შობის განბანითა და სულიწმიდის მიერ განახლებით, რომელიც უხვად მოგვეფინა ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს მიერ.“

– ტიტ. 3:3-7

ყოფილა თქვენს ან მეუღლის წარსულში ისეთი შემთხვევები, რომელთა გამოც თვლით, რომ ერთმანეთის ღირსი არ ხართ ან სქესობრივი ცხოვრებით გახარებას არ იმსახურებთ? რამდენიმე წუთი სიჩუმეში დაჰყავით, ილოცეთ და ამაზე იფიქრეთ. თუ სულიწმიდა რაიმეს გაგახსენებთ, დაწერეთ და მას დაუმორჩილეთ ლოცვაში.

საქმეს შეუდექით მეუღლესთან ერთად და გული გადაუშალეთ ერთმანეთს ამ საკითხთან დაკავშირებით! ილოცეთ და სულიწმიდა მოიწვიეთ თქვენი გულების განსაკურნებლად და დაკარგულის აღსადგენად.

ღმერთს მხოლოდ იმის განწმედა შეუძლია, რასაც მას მივუ ძღვნით. იყავით წრფელნი. ხომ არ უმალავთ მას თქვენი სექსუ-ალობის რომელიმე მხარეს? არსებობს თქვენს სქესობრივ ცხ-ოვრებაში რაიმე მხარე, რომელიც ხელშეუხებელია? თუ ასეა, რა არის ეს? ილოცეთ და სულიწმიდას თხოვეთ, გაჩვენოთ, რატომ ფარავთ მას? დაწერეთ, რასაც ის გაგიცხადებთ.

„...ვინც ქრისტეშია, ის ახალი ქმნილებაა, ძველმა განვ-ლო და ახლა ყოველივე ახალია.“

– 2 კორ. 5:17

ჩვენი გულები განიკურნა და კვლავ გამთლიანდა, როცა უფალს მთლიანად მივუძღვენით ისინი. აი, ეს გააკეთეთ, როცა ილოცებთ და თქვენი წარსულს ღმერთს გადასცემთ. ახლა, ჩაუკვირდით შემდეგ მუხლებს: 2 რჯ. 6:5; ფს. 118:2; იგ. 3:5-8; იერ. 29:11-14; მარკ. 12:29-30. რას გელაპარაკებათ სულიწმიდა თქვენს ქორწინებასა და სექსუალობაზე ამ მუხლების მეშვეო-ბით?

დღე 3 დღის ლოცვა

თავისუფლება ინტიმურ ურთიერთობაში

„ყოველი, ვინც რჩება მასში [ქრისტეში], არ სცოდავს !. . .“

– 1 იოან. 3:6

ქრისტესთან სიახლოვე, რომელიც მის წმიდა სულთან მოზიარეობის მეშვეობით მოდის, ყოველგვარი ცოდვისგან განთავისუფლების საფუძველია. სიახლოვე ძალზე ახლო ურთიერთობაა. მისკენ ისწრაფვოდნენ მეფე დავითი, პავლე მოციქული და მარიამი.[11] მოზიარეობა იგივეა, რაც ქრისტეში დარჩენა – ეს ფრაზა თითქმის 100-ჯერ არის გამოყენებული ახალ აღთქმაში. იესომ სიახლოვეს მასში დამკვიდრება უწოდა. როგორ უნდა მოვიპოვოთ და შევინარჩუნოთ ქრისტესთან მოზიარეობა? მისთვის დროისა და ყურადღების რეგულარული გამოყოფით.

> „საიდუმლო ადგილი ჩვენი კალენდრებისა და განრიგების უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს, რადგან ეს გახლავთ ადგილი, სადაც მოზიარეობის ჩანასახი იზრდება . . . სასუფევლის ძალის უდიდეს განზომილებას მხოლოდ ის შეეხება, ვინც ნამდვილად აღინთება და დაიმუხტება უფალ იესო ქრისტესთან პირადი სასიყვარულო ურთიერთობით.“
>
> – ბობ სორჯი[12]

ეჭვგარეშეა, რომ ცოდვისგან თავისუფლება იესო ქრისტესთან ახლო ურთიერთობით მოდის. როგორ აღწერთ მასთან თქვენს ურთიერთობას? რამდენად ხშირად უთმობთ მას დროს და ყურადღებას? რა აღგძრავთ მისი თანდასწრების საძიებლად? რა არის თქვენი ლოცვების მოტივი – რაღაც საგნების მიღების თუ ღვთის შეცნობის სურვილი?

_____

_____

_____

_____

თუ იესოსთან სიახლოვე თქვენი უმთავრესი პრიორიტეტი არ არის, მსჯავრდებას ნუ იგრძნობთ. უბრალოდ, გულწრფელი იყავით მის წინაშე და მისგან მადლი გამოითხოვეთ! ილოცეთ! „უფალო, მიყვარხარ და შენი შეცნობა მინდა, მაგრამ ახლა

ჩემი ურთიერთობა შენთან ისეთი არ არის, როგორიც შენ გინდა, რომ იყოს. შენი დახმარება მჭირდება! ამიხილე თვალები, რომ დავინახო შენი შეცნობის შეუდარებელი ფასეულობა. მაჩვენე ჩემი გული! რა მიშლის ხელს, რომ შენ დაგაყენო პირველ ადგილზე? რა შემიძლია გავაკეთო, რომ გავაღვივო შენდამი სიყვარულის ცეცხლი? შინაგან გაცხადებას და მადლს გთხოვ იესოს სახელით.“

გაჩუმდით და მოუსმინეთ, რას გაჩვენებთ სულიწმიდა?! ჩაიწერეთ იგი და მადლი ითხოვეთ მისი ნათქვამის შესასრულებლად!

რა მიშლის ხელს, რომ ღმერთი პირველ ადგილზე დავაყენო?

რა უნდა გავაკეთო ჩემი მხრიდან უფალთან ახლო ურთიერთობის განვითარებისთვის?

ღმერთთან დროის დაყოფა

იესოსთან ახლო ურთიერთობის ერთ-ერთი საუკეთესო ხერხია მისი გულის ხილვა და თავისუფლების ახალი საფეხურის განცდა მასთან ლოცვაში დროის დაყოფისა და მოზიარეობის მეშვეობით. შესაძლოა, ეკლესიასთან ერთად გამოყოთ დრო საამისოდ ან მეუღლესთან ერთად დაგეგმოთ გასვლა. მასთან ერთად გატარებული რამდენიმე დღე ყველა იმ საქმიანობისგან ჩამოცილებით, რომელიც ყოველდღიურად თქვენს ყურადღებას მოითხოვს – სამუდამოდ გარდაქმნის თქვენს ცხოვრებას და ქორწინებას.

დრო გამოყავით, როცა ღმერთთან მარტო იქნებით. აღნიშნეთ კალენდარში და პრიორიტეტად დასახეთ. ნურაფერს დაგეგმავთ და ყურადღება არ მიაქციოთ ხელისშემშლელ ფაქტორებს, თან იქონიეთ მხოლოდ ბიბლია, რვეული და კალამი. მზად იყავით, რომ უხვად მიიღოთ მისი გულის ყოველგვარი სიკეთე!

აღმოაჩინეთ დაფარული ადგილის სასწაულები! უფრო მეტი წაიკითხეთ შემდეგ მუხლებში: 1 ნეშტთ. 16:27; ფს. 15:11; 26:4-6; 3ო:19-20; 90:1-16; ეს. 40:31; იოან. 15:4-8; ებრ. 4:16

დღე 4 დღის ლოცვა

სწორი სურვილების განვითარება

„აჰა, მე ვამბობ, მოიქეცით სულიერად [ჩვევაში გადაზარდეთ] და არ აღასრულებთ ხორცის გულისთქმებს!“

– გალ. 5:16;

თქვენი ქორწინების სიწმიდე, საბოლოოდ, ის სიწმიდეა, რაც ქრისტეს სურს მისი საპატარძლოსთვის. სქესობრივი სურვილები ცუდი როდია. ეს ღმერთმა შექმნა და მათით ზეიმობს! როცა არასწორი მოქმედებები და ზეგავლენები თქვენს ერთობას ბილწავს, ისინი თქვენი ინტიმურობის წინააღმდეგ იბრძვიან და რყვნიან იმას, რასაც ღმერთმა კარგი უწოდა. ღვთისთვის სათნო სურვილების განვითარების გასაღებია ადამიანური ბუნების შიმშილობა და სულის კვება.

„ეჭვგარეშეა, რომ ბიბლია კეთილგანწყობილია სქესობრივი ცხოვრების მიმართ და მასზე დადებითი შეხედულება აქვს. ამას ქებათა ქება მოწმობს. და მაინც, ბიბლიური ავტორები კარგად აცნობიერებდნენ სქესობრივი ცოდვების ხაფანგებს და ღვთის ნიჭის წახდენის ადამიანურ მიდრეკილებას. . . სწორედ ამიტომ არის ასე მნიშვნელოვანი ქორწინების ინსტიტუტის არსებობა, როცა სქესობრივი სურვილების ზღვაში გზის გაკვლევას ვცდილობთ. ეს ერთადერთი გარემოა, სადაც სექსუალობა სულიერ აზრს იძენს და დახმარება მოქვს.“

– გარი თომასი[13]

რაც თვალებთან და ყურებთან მიგაქვთ, საბოლოოდ, თქვენს გონებასა და გულში მოხვდება. თქვენი თვალები და ყურები სამშვინველისა და სულის კარიბჭეებია. ყველაფერი, რასაც ხედავთ და ისმენთ კვებავს ადამიანურ ბუნებას ან სულს.

შეჩერდით და იფიქრეთ. რა საშუალებებით კვებავთ თქვენს ადამიანურ ბუნებას? უყურებთ ან უსმენთ ფილმებს, სატელევიზიო შოუებს და მუსიკას, რომლებიც თქვენში უწმიდურ სურვილებს აღანთებს? „იკვებებით“ წიგნებით, ჟურნალებით ან ვებგვერდებით, რომლებიც თქვენს გონებას და გულს აბინძურებენ? რას იტყვით მეგობრებსა და სხვა ზეგავლენებზე – რომელიმე მათგანი ხომ არ აღძრავს არასწორ დამოკიდებულებებსა და მოქმედებებს?

სთხოვეთ სულიწმიდას, რომ გაგიცხადოთ თქვენს ცხოვრებაში არსებული არაჯანსაღი ზეგავლენის შესახებ. რას ან ვის გაჩვენებთ სულიწმიდა და მათგან თავის შორს დაჭერას გირჩევთ?

ქცევის გარდაქმნა მაშინ მოდის, როცა ღვთის სიტყვით გონებას განვიახლებთ. იფიქრეთ ქვემომოყვანილ მუხლებზე.

„. . . ვინაიდან ღვთის სიტყვა არის ცოცხალი და მოქმედი და ყოველგვარ ორლესულ მახვილზე უფრო ბასრი და აღწევს სამშვინველისა და სულის, სახსართა და ტვინთა გაყოფის ადგილამდე და განიკითხავს აზრებსა და ყოველგვარ ზრახვებს . . .“

– ებრ. 4:12;

„ამიტომ მოიშორეთ ყოველგვარი სიბინძურე და ბოროტების ნატამალი და მშვიდად მიიღეთ თქვენში ჩანერგილი სიტყვა, რომელსაც თქვენი სულების ხსნა შეუძლია.“

– იაკ. 1:21;

„ჩემი სიტყვა ხომ ცეცხლივითაა, – სიტყვა უფლისა, – და ჩაქუჩივით ამტვრევს კლდეს!“

– იერ. 23:29;

ასევე იფიქრეთ: იეს. 1:8; ფს. 1:1-3; 118:103; იერ. 15:16; რომ. 12:1-2; კოლ. 3:1-5; 1 პეტრ. 2:2

რა განსაკუთრებული საშუალებებით აწვდით თქვენს სულს ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებას სქესობრივი ცხოვრების, ინტიმურობისა და სიწმიდის შესახებ? როგორ გაზრდით ჭეშმარიტების მიღებას? ილოცეთ და სულიწმიდას სთხოვეთ, რომ გაჩვენოთ პრაქტიკული, შემოქმედებითი გზები, თუ როგორ გამოკვებავთ თქვენს სულს და სწორ სურვილებს განივითარებთ.

თუ მას ჰკითხავთ, სულიწმიდა გაჩვენებთ, როგორ უნდა განავითაროთ სიწმიდისკენ სწრაფვა და გააღრმავოთ საიხლოვე თქვენს ერთობაში?!.

დღე 5 დღის ლოცვა

კომუნიკაცია და სიახლოვე

„...ჭეშმარიტების მეტყველნი სიყვარულით, ყველაფერში ვიზრდებოდეთ მის მიმართ, ვინც არის თავი – ქრისტე!“

– ეფეს. 4:15;

ქორწინების ყოველ სეზონზე საოცარი სქესობრივი ცხოვრების გასაღები ***კომუნიკაცია*** გახლავთ. ბევრ ქორწინებაში ინტიმური ურთიერთობა „უმეცრების გამო“ ინგრევა (ოს. 4:6). თუ ორივე მეუღლის მოლოდინები და პრიორიტეტები რეგულარულად არ იქნა გაზიარებული, პრომლემები წარმოიშობა. როცა თქვენ და თქვენი მეუღლე სიყვარულით ეუბნებით ერთმანეთს სიმართლეს თქვენი სქესობრივი სურვილების შესახებ, ქორწინების იმ სიდიადეში იზრდებით, რომელიც ღმერთს თქვენთვის აქვს განზრახული. ავტორები და მქადაგებლები **ბობ და ოდრი მაისნერები** განმარტავენ:

> „საუკეთესო მეგობრებად ყოფნა და ერთმანეთის მიმართ გახსნილობა სარგებლობის მომტანია სქესობრივ ურთიერთობაში . . . თქვენი მოლოდინის, ასევე ბრძოლებისა და გამოწვევების შესახებ ღიად ლაპარაკს სითბო და ერთმანეთის მიღება მოაქვს. პრიოტიტეტად აქციეთ თქვენი მეუღლის გაგება, რომელიც თქვენგან სქესობრივი სწრაფვით, ენერგიულობის დონით და გრძნობების გამოხატულებით განსხვავდება. იყავით მომთმენი: ყველა ინტიმური დეტალის გაგებას მთელი ცხოვრება დასჭირდება.“[14]

დაასრულეთ წინადადებები:

„ვაცნობიერებ, რომ ამ სეზონზე სასიყვარულო ურთიერთობისთვის საუკეთესო დროა
_____.“

„ჩემი მეუღლე თავს დაცულად გრძნობს და ყველაზე მეტად აქვს მონაწილეობა, როცა
_____.“

„ვფიქრობ, ქორწინების ამ სეზონზე რეგულარული ინტიმური ურთიერთობის ყველაზე დიდი დაბრკოლება არის
_____.“

„ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რის გაზიარებაც მეუღლისთვის

მინდა ჩვენი ამჟამინდელი სქესობრივი ურთიერთობის შესახებ, არის _____."

ყველაზე მეტად რა მსიამოვნებს ჩემს მეუღლესთან სქესობრივ ურთიერთობაში:

_____

_____

_____

რა არ მომწონს ჩემს მეუღლეში სქესობრივი კუთხით:

_____

_____

_____

ოდესმე გულწრფელად გაგიზიარებიათ მეუღლისთვის, რა მოგწონთ და რა არა? ის თქვენს აზრებს ვერ ამოიკითხავს. ამიტომ მოგიწოდებთ, განსაკუთრებული დრო და ადგილი დაგეგმოთ, სადაც თქვენ ორი პასუხებს გაუზიარებთ ერთმანეთს დაცულ გარემოში! გახსოვდეთ, რომ ილაპარაკოთ სიმართლე სიყვარულში და ითხოვოთ ღვთის მადლი თქვენი მეუღლის საჭიროებებისა და სურვილების გასაგებად და დასაფასებლად!

ქმარო, უფრო მეტ დროს და ყურადღებას თქვენს სამუშაოს და ბავშვებს უთმობ, ვიდრე ცოლს?! რა შეიძლება გააკეთოთ, რომ მისი სქესობრივი მოთხოვნილებები უკეთესად დააკმაყოფილოთ? დაიმდაბლეთ თავი ცოლის წინაშე და გაიგეთ მისი აზრი. შემდეგ ერთად ილოცეთ ამ საკითხზე!

_____

_____

_____

ცოლო, ოჯახის მოვლა და სამუშაო პრიორიტეტს წარმოადგენს თქვენთვის და ამის გამო ნაკლებ ყურადღებას აქცევთ თქვენი ქმართან ინტიმური ურთიერთობის განვითარებას?! როგორ შეძლებთ მისი მოთხოვნილებების უკეთ მომსახურებას? დაიმდაბლეთ თავი და გაიგეთ მისი აზრი ამ საკითხზე! შემდეგ ერთად ილოცეთ.

_____

_____

_____

სადისკუსიო კითხვები

თუ ამ წიგნს *„ქორწინების ამბავი“* უწყების სერიების (*Messenger Series*) ნაწილად იყენებთ, გადახედეთ ვიდეოგაკვეთილს № 5!

1. დაბადების წიგნის თანახმად ღმერთმა ადამიანი მიწის მტვრისგან შექმნა, შემდეგ ქალი გამოსახა და კაცს მიუყვანა. დაკვირვებით წაიკითხეთ დაბ. 2:21-25! რა წარმოგიდგებათ თვალწინ კაცის თავდაპირველი რეაქციიდან, როცა თავისი ცოლი დაინახა და მასთან დრო დაჰყო? რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც მათ ღვთისადმი დაუმორჩილებლობა გამოიჩინეს (იხილეთ დაბ. 3:6-8)?
2. გწამთ, რომ ღვთის წყალობა, პატიება და მადლი კვლავ შესაძლებელია და ნებისმიერი ცოდვისგან ათავისუფლებს ადამიანს? თუ ასეა, რატომ ფიქრობთ, რომ ადამიანებისთვის ასე ძნელია სქესობრივი ცოდვებისგან განთავისუფლება? თუ გილაპარაკიათ ადამიანთან, რომელსაც ეს დილემა აწუხებს, როგორ გაამხნევებდით მას, რომ მიეტოვებინა წარსულის ცოდვები და მიეღო ღვთიური პატიება და მადლი?
3. თქვენი სიტყვებით აღწერეთ, რას ნიშნავს საქორწინო სარეცლის პატივისცემა? როგორ გამოიხატება იგი პრაქტიკული სახით? როგორ შეიძლება საქორწინო სარეცლის შეურაცხყოფა?
4. წმიდა წერილი დანაღვლიანების ორ სახეზე ლაპარაკობს, რომელთა განცდაც შეგვიძლია: ქვეყნიურ ნაღველსა და ღვთიურ ნაღველზე. იმსჯელეთ მათ შორის განსხვავებაზე – რა ახასიათებს თითოეულს და რა შედეგები მოჰყვება?

ქვეყნიური ნაღველი	ღვთიური ნაღველი

5. ღმერთთან ახლო ურთიერთობა ყოველგვარი ცოდვისგან განთავისუფლების წინაპირობაა, მათ შორის სქესობრივი ცოდვისგანაც. შეჩერდი და იფიქრე. რა მოხდებოდა, ცოდვებისგან განთავისუფლება და ამ შედეგის ხანგრძლივად შენარჩუნება საკუთარი ძალებით რომ შეგვძლებოდა? რო-

გორ შეცვლიდა ეს ჩვენს დამოკიდებულებას ღმერთთან და სხვა ადამიანებთან?

იფიქრეთ: არის რაიმე ფასეული ჩვენს ხორციელ შესაძლებლობებში?! შეამოწმეთ რომ. 7:18, იოან. 15:5; ფილ. 3:3 და 1 კორ. 10:12!

6. ღმერთთან ახლო ურთიერთობის გარდა, რა დამატებითი პრაქტიკული ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას ჩვენი თვალების და ყურების, ასევე გონებისა და გულის დასაცავად გახრწნილებისა და უწმიდური სახებების, სტანდარტების და ქცევისგან, რომელთაც საზოგადოება იწონებს? რის გაკეთება შეგვიძლია ამ კუთხით პირადად და საჯაროდ?

   იფიქრეთ ამ მუხლებზე:
   „არ მივიტან თვალთან უკეთურ საგანს . . .“ (ფს. 100:3)!
   „აღთქმა დავუდე ჩემს თვალებს, რომ ქალწულისთვის არ შემეხედა.“ (იობ. 31:1)!

7. სქესობრივი სიწმიდის შენარჩუნების ერთ-ერთი გასაღებია სქესობრივი დაკმაყოფილების მიღება ქორწინების ფარგლებში. დაკვირვებით წაიკითხეთ მიუკერძოებელი მითითება, რომელსაც ღმერთი პავლე მოციქულის მეშვეობით გვაძლევს 1 კორ. 7:2-5-ში! რას გიცხადებთ სულიწმიდა თითოეულ ამ მუხლში? როგორ ცვლის ეს ადგილი თქვენს შეხედულებას ზოგადად სქესობრივ ცხოვრებაზე და კონკრეტულად მეუღლის მომსახურების საკითხზე?

   წინამძღოლებო: ჯგუფის წევრებს იგივე ადგილები წააკითხეთ The Message ვერსიაში!

თავის შეჯამება:

- ღმერთს სურს, რომ თქვენ და თქვენმა მეუღლემ შესანიშნავი სქესობრივი ცხოვრება განავითაროთ, რომელიც იწყება მისი მოწოდების მიღებით, რომ პატივი მიაგონ და წმიდად შეინახონ საქორწინო სარეცელი!
- ცოდვის სირცხვილს ან ძალადობას ნუ მისცემთ ინტიმური ურთიერთობისა და სქესობრივი კმაყოფილების სრული სისავსით განცდაზე უარის თქმის საშუალებას. ღმერთს ყველა დაზიანებული ადგილის განკურნება და გამთლიანება სურს.
- დიდი სასიყვარულო ურთიერთობა იქ ვითარდება, სადაც ორივე მეუღლე ერთმანეთის სიამოვნებას ესწაფვის. სქესობრივი სიახლოვე თქვენ და თქვენს მეუღლეს ფიზიკურად, ემოციურად, გონებრივად და სულიერად გაკავშირებთ და ღვთიური სიამოვნებით და დაკმაყოფილებით სრულდება.
- საკუთარ თავზე ყურადღების გამახვილება ღმერთთან ახლო ურთიერთობას ანგრევს და მისი გარდამქმნელი ძალის გამოცდაში გვაბრკოლებს. ღმერთზე ყურადღების გამახვილება და მასთან ახლო ურთიერთობა ჩვენს ცხოვბაში მის ძალას ააქტიურებს.
- ჩვენი გონება ახლდება და გულები იწმიდება, როცა დროს ღვთის სიტყვასთან და მის თანდასწრებაში ვატარებთ. ჩვენს გულებში ჩანერგილი ღვთის სიტყვა, რომელიც მისი სულიწმიდითაა გამყარებული, სქესობრივი ცოდვისგან ჩვენს განთავისუფლებას უზრუნველყოფს.
- ქორწინების ყველა სეზონი განსხვავებულია, რაც ნიშნავს, რომ თქვენს სქესობრივ ცხოვრებაში სხვადასხვა პერიოდებს გამოცდით. ყოველ მათგანს თავისი სიხარული და სირთულეები აქვს. ამაზე გახსნილად და რეგულარულად ილაპარაკეთ ყოველ სეზონზე და ერთმანეთის მეშვეობით დააბანდეთ თქვენს ინტიმურ ცხოვრებაში.

თავი 6

ხელახლა დაწყება

*ბედნიერად და დიდხანს ცხოვრება შესაძლებელია ყოველ-
დღიურ საფუძველზე.*

– მარგარეტ ბონანო

დღე 1

როცა ჩვენი შვილები პატარები იყვნენ, მე (ლიზა) ხალხურ ზღაპარს ვუკითხავდი ღარიბ კაცზე, რომელსაც ესიზმრა, თითქოს ვაშლის ხის ძირში განძი იყო დამარხული. ხის ზუსტი ადგილმდებარეობა არ იცოდა, მაგრამ სიზმარმა კაცის გული იმედით აავსო.

ამ კაცს ვრცელი და ძველი ბაღი ჰქონდა, რომელიც მოსავალს თითქმის აღარ იძლეოდა და კაციც ამიტომ გაღარიბდა. სიზმრის ნახვამდე კაცი ბაღის გაყიდვას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა და დიდი ენთუზიაზმით და მონდომებით შეუდგა მუშაობას. იგი ხვდებოდა, რომ საჭირო ხის პოვნა მრავალი საათის მძიმე შრომას მოითხოვდა. კაცი გაბედულად და სისტემატურად შეუდგა ყოველი ხის ირგვლივ ბარვას. თითოეული ხე, რომლის ძირშიც განძი არ აღმოჩნდებოდა, კიდევ უფრო გამოკვეთდა დარჩენილი ხეების ძირში საგანძურის პოვნის შესაძლებლობას. როცა კაცმა უკანასკნელი ხის ირგვლივ გადათხარა მიწა და ნანატრი განძი არც იქ აღმოჩნდა, იმედგაცრუებამ და დაქანცულობამ დარია ხელი.

კაცმა საგანძური მხოლოდ მაშინ აღმოაჩინა, როცა მომდევნო გაზაფხული დადგა. მან ბაღს თვალი მოავლო და ღრმად შეისუნთქა ვაშლის ყვავილების სურნელით გაჟღენთილი ჰაერი. ეს ძველი ხეები ყვავილებით იყო დახუნძლული. თითოეული კოკორი საშემოდგომო ვაშლების დაპირებას იძლეოდა.

ღარიბმა განძი იპოვა მის საკეთებელ საქმეში. როცა ღრმად ამოთხრა თითოეული ხის ირგვლივ, თავისდაუნებურად წარმოშვა ჰაერის ცირკულაცია ფესვებში და ნიადაგიც დაამუშავა. ამ პროცესმა ხეებში ყვავილობის ახალი სეზონი მოიტანა. ერთ დროს უნაყოფო ყლორტებში სიცოცხლე წარმოიშვა. იმ და კიდევ მრავალ წელს ხარობდნენ მოსავლით ღარიბი და მისი ოჯახი, რომელმაც მათ ყველაზე თამამ ოცნებებს გადააჭარბა!

როცა ამ წიგნის წერას შევუდექით, ქორწინება ხეს ვამსგავსეთ. როცა ხის ირგვლივ ნიადაგი მკვრივდება, ხოლო მიწაში მომწყვდეული ფესვები ვერ იზრდება წყლის და საკვები ნივთიერებების გარეშე, რაც მას გაფურჩქნისთვის სჭირდება. წყენის, შიშის და ეგოიზმის დამასუსტებელი და შემავიწროებელი ფაქტორების მოშორებით ფესვებს ჰაერს აწვდით. როცა თქვენთვის ძვირფასია ხედვა და ფასეულობების, ფუნქციებისა და მიზნების დაფუძნებას არჩევთ, თქვენს რტოებზე იმედის აღთქმას იხილავთ და მომავალში – საგანძურს.

ყოველი ქორწინება ინახავს ჯერ კიდევ განუხორციელებელ დაპირებას. ჩვენს წილ საქმეს გულების და სახლების დაცვით ვაკეთებთ, ხოლო ღმერთი თავის საქმეს აკეთებს ამ ერთობაზე კურთხევის მოტანით. დარბილებული რტოები, მრავლისმნახველი, მოწიფული ხის ტოტები და ჯერ კიდევ გასაღვივებელი პაწაწინა თესლი – პოტენციური ძალის მატარებელია. ჩვენი ღმერთი უნაყოფოს იღებს და სიუხვეს ანიჭებს. იგი ძველს ახლად აქცევს და მკვდარს სასიცოცხლოდ აღადგენს.

ყოველივე ახლის შექმნა

სიყვარული წარსულს არ შლის, მაგრამ მომავალს კი ცვლის.

– გარი ჩეპმენი[1]

კიდევ ერთხელ მივაპყროთ ყურადღება ბაღს, სადაც ყველაფერი დაიწყო.

> „და შექმნა ღმერთმა ადამიანი თავის ხატად – ღვთის ხატად შექმნა იგი და შექმნა ისინი მამაკაცად და დედაკაცად. აკურთხა ისინი ღმერთმა და უთხრა მათ ღმერთმა: „ინაყოფიერეთ და გამრავლდით და აღავსეთ ქვეყანა და დაეუფლეთ მას. და ბატონობდეთ ზღვის თევზებზე და ციურ ფრინველებზე და ყოველ ცხოველზე, რომელიც კი მიწაზე დაცოცავს.“
>
> – დაბ. 1:27-28;

ეს ყოველთვის იყო ღვთის მიზანი ჩვენთვის. წარსული, შიშები და ჩვენი გარემოს ზეწოლა და გადაგვარება შემოქმედის თავდაპირველ ჩანაფიქრს წამლავენ და აუფასურებენ. ალბათ, ფიქრობთ, რომ მეტისმეტად შორს იმყოფებით ედემის დავალებიდან! ეჭვი გეპარებათ, რომ ის ნამდვილად თქვენია. გამხნევდით. ყველა ცხოვრება და ქორწინება იშვება ხელახლა და ახალ დაბადებას ეყრება საფუძველი.

„თქვა ტახტზე მჯდომარემ: „აჰა, ვქმნი ყოველივეს ახალს! . . . “

– გამოცხ. 21:5;

ღმერთი უბრალოდ კი არ აახლებს წარსულს. იგი ყოველივეს ახალს ქმნის. მან ედემის ხეები, ჩვენი დაცემის ნიშანსვეტები – აიღო და ხელახლა შექმნა ისინი. მან თავის ძე სიკვდილის ხეზე გააკრა, რომ მარადიულ ქალაქში სიხარულით მივეღეთ. იგია სიცოცხლის ხის სამშობლო, რომლის ფოთლები ერების განსაკურნებლადაა. არაფერი ყოფილა დაკარგული, რომლის გამოსყიდვის ძალაც უფალს არ ჰქონდეს. ეს მოიცავს ჩვენს ქორწინებებსაც. იგი ყოველივეს ახალს ქმნის, რომ ხელახლა დაწყება შევძლოთ.

წარსული წავიდა. იგი დროის ანალებში ჩაიკირა და ადამიანური ძალისხმევის მიღმა დარჩა. თუმცა არის ის, ვინც დროს არ ექვემდებარება და მისი ძალა არაფრით იზღუდება. იგია „განდიდებული და ამაღლებული“, რომელიც მარადისობაში მკვიდრობს (ეს. 57:15)! ღმერთი გამოისყიდის თქვენი წარსულის შეცდომებს და ახალი მომავლის ამბავს დაწერს. ღვთის სამეფოში გუშინდელი ტკივილი ხვალინდელ პოტენციალს ვერ შეაფერხებს. მისი წყალობა ყოველდღე ახლდება და მისი აღთქმები გელოდებათ. მას უყვარს, ისწრაფვის, რომ შეუძლებელი თქვენთვის შესაძლებელი გახადოს!

„მას, ვისაც ჩვენში მოქმედი ძალით შეუძლია განუზომლად მეტის გაკეთება, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ ან ვფიქრობთ! . . . “

– ეფეს. 3:20;

ნაყოფიერება, ეფექტურობა და სისრულე, რომლის მოტანაც ღმერთს შეუძლია ინდივიდუალურად და თქვენს ქორწინებაში, თქვენს წარმოდგენას სრულიად აღემატება. იფიქრეთ ოცნებებზე, მიზნებსა და სურვილებზე, რომლებიც თქვენი ქორწინებისთვის ჩაიწერეთ წინა დღეებში თუ კვირებში! ღმერთს

არ სურს, უბრალოდ, ამ ხედვის დაკმაყოფილება! მას სურს, სიუხვით მოიტანოს იგი! იგი აღრმავებს თქვენს სიახლოვეს და გავლენას აფართოებს, რომ თქვენი კავშირის მეშვეობით დააფუძნოს მისი ზეციური სამეფო დედამიწაზე. მას თქვენში და თქვენი მხრიდან შრომა სურს რადიკალური და უპრეცედენტო გზებით! შესაძლოა, ვერც ბედავთ ასეთ ოცნებას, რაც წინა თავებში წაიკითხეთ. გაბედეთ ახლა!

ღმერთთან ერთად ცხოვრების პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ მას არ სჭირდება ჩვენი დახმარება რაიმეს მისაღწევად, მაგრამ ჩვენი თანამშრომლობის მოხარულია. იგი ჩვენს შემწეობას არ მოითხოვს, მაგრამ სურს ჩვენი ჩართულობა! ჩვენ მონაწილეობას ვიღებთ შეუძლებლის მიღწევაში. სწორედ ამის გაკეთებას გთხოვთ, როცა ხელახლა იწყებთ თქვენს ქორწინებაზე შრომას, მიზნად დაისახოთ ის, რაც ამჟამად შეუძლებელი გეჩვენებათ!

ერთი ამბავი ნაწილობრივ გვაჩვენებს, როგორ მიიღწევა შეუძლებელი. იგი კაცობრიობის ისტორიის ნაკლებად სარწმუნო პერიოდში მოხდა, როცა ადამიანები დედამიწის ავსების ღვთიურ ბრძანებას ეურჩნენ. გამრავლების ნაცვლად ჩვენმა წინაპრებმა ერთად მოიყარეს თავი და შენება გადაწყვიტეს, რათა ადგილი ჰქონოდათ ზეციურ სხეულზე, როგორც ადამსა და ევას ედემში. შესაძლოა, უკვე იცი, რომ ბაბილონის გოდოლის შენების საქმეში ღმერთი ჩაერია.

> „და ჩამოვიდა უფალი, რათა ენახა ქალაქი და გოდოლი, რომელსაც აშენებდნენ ადამიანების ძეები. და თქვა უფალმა: ერთი ხალხია ეს და ერთი ენა აქვთ. და დაიწყეს ამის კეთება და ახლა მათთვის აღარაფერი არ იქნება მიუღწეველი. ჩავიდეთ და ავურიოთ მათ ენა, რომ ადამიანებმა ვერ გაუგონ ერთმანეთს! და გაფანტა უფალმა ისინი იქიდან მიწის ზურგზე და მათ შეწყვიტეს ქალაქის შენება.“
>
> – დაბ. 11:5-8;

ეს წამოწყება ღვთისგან არ იყო, მაგრამ მათ საქმიანობაში რომ არ ჩარეულიყო, ორი ფაქტორი მათ წარმატებას განაპირობებდა: *საერთო ენა* და *გაერთიანებული ხალხი.*[2] თუ ამ ორმა ელემენტმა, ერთი შეხედვით, შეუძლებელი შეაძლებინა ურჩებს, რაოდენ დიდი იქნება ქრისტეში ერთ სხეულად მყოფი ადამიანების ძალისხმევა?

ერთი ენა და მიზანი არსებითი იქნება თქვენთვის, როცა ხელახლა დაიწყებთ და „უხვად მიიღებთ ყოველივეს“, რაც ღმერთს თქვენი კავშირისთვის აქვს განზრახული! მოდით, ორივე მამოძრავებელი ძალა გამოვცადოთ და ენით დავიწყოთ!

დღე 2

ზეციური ენა

„...გულის სავსებისაგან მეტყველებს მისი პირი.“

– ლუკ. 6:45;

ამ წიგნში არაერთხელ გავუსვით ხაზი, რომ თავდაპირველად ღმერთს უნდა მისცეთ თქვენს გულში შრომის საშუალება. ცვლილება მაშინ მოდის, როცა მის სულს არ ვეწინააღმდეგებით და მის სიტყვას ვემორჩილებდით. როგორც ადრე განვაცხადეთ, ქცევის გარდაქმნა შინაგან ტრანსფორმაციას ვერ ჩაანაცვლებს. თუმცა შინაგანის ცვლილებას მალე მოჰყვება გარეგანის გარდაქმნა. თქვენს გულში ღვთის მოქმედების პირველი ნიშანი თქვენი ბაგეების სიტყვებში გამოჩნდება.

ყველა მდგომარეობაში, რომელსაც წავაწყდებით, არჩევანის საშუალება გვეძლევა: ზეციური ენით ვილაპარაკებთ თუ – ამქვეყნიურით? დედამიწა ხილულ რეალობაზე ლაპარაკობს. ზეცა ჭეშმარიტების უზენაესი წყაროს თანახმად მეტყველებს.

„რადგან ჩემი ზრახვები თქვენი ზრახვები არ არის და თქვენი გზები ჩემი გზები არ არის!“ – ამბობს უფალი – „რადგან, როგორც ცაა მაღალი დედამიწაზე, ისე ჩემი გზები მაღალია თქვენს გზებზე. და ჩემი ზრახვები – თქვენს ზრახვებზე.

რადგან, როგორც წვიმა და თოვლი ჩამოდის ზეციდან და იქ აღარ ბრუნდება, თუ არ დაარწყულა დედამიწა, თუ არ განაყოფიერა და არ ააყვავა იგი, არ მისცა თესლი მთესველს და პური მჭამელს, ასეთი იქნება ჩემი სიტყვა, რომელიც გამოდის ჩემი პირიდან. არ დამიბრუნდება ცარიელი, რადგან მოიმოქმედებს იმას, რაც მე მწადდა და წარმატება ექნება იმაში, რისთვისაც მე მივავლინე!“

– ეს. 55:8-11;

ღვთიური ენით რომ ვილაპარაკოთ, მისი სიტყვა უნდა ვიცოდეთ. იგი ჩვენს ხედვას გარდაქმნის, უხილავს დაგვანახებს და გაბედულად ილაპარაკებს იმას, რაც იქნება. იგი ჩვენს ენას რწმენის დიალექტზე გადაიყვანს, რაც გაცილებით აღემატება დადებითობას ან ემოციურ ოპტიმიზმს. ეს გახლავთ მტკიცე დარწმუნება იმაში, რაც უკვე აღთქმული გაქვთ.

აი, რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ განსხვავდება ზეცისა და დედამიწის ენა:
ჩვენი დედამიწა ამბობს: „გაყრა.“ ზეცა ამბობს: „ერთობა.“
ჩვენი დედამიწა ამბობს: „იმედი არ არის!“ ზეცა ამბობს: „ყველაფერი შესაძლებელია.“
ჩვენი დედამიწა ამბობს: „უარყოფა.“ ზეცა ამბობს: „მიღება.“
ჩვენი დედამიწა ამბობს: „ჩემი ვალი გაქვს!“ ზეცა ამბობს: „უსასყიდლოდ გაძლევ.“
ჩვენი დედამიწა ამბობს: „შურისძიება!“ ზეცა ამბობს, „პატიება.“
ჩვენი დედამიწა ამბობს: „არ დაგემონები!“ ზეცა ამბობს, „გემსახურები.“
ჩვენი დედამიწა ამბობს: „ვერ ვიტან შენს სისუსტეებს!“ ზეცა ამბობს: „შენში პოტენციალს ვხედავ და ჩემი სიყვარული შენს სუსტ მხარეებს დაფარავს.“
ჩვენი დედამიწა ამბობს, „ვერ აკმაყოფილებს ჩემს საჭიროებებს!“ ზეცა ამბობს: „შენი საჭიროებების დაკმაყოფილება მინდა!“

ეს სიტყვები თავისთავად გამამხნევებელია, მაგრამ გაცილებით მყარი და ძალით ამვსები იქნება, თუ ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებაში ღრმად გაიდგამს ფესვებს. მოგიწოდებთ, რომ გაითავისოთ ზეციური ენა წმიდა წერილის ყოველგვარი დამოკიდებულების და განაცხადის! მეშვეობით, რომელთა შემოტანასაც ქორწინებაში აპირებთ. ჩვენ, როგორც ღვთის შვილებმა, ვიცით, რომ „ჩვენი მსუბუქი და ხანმოკლე ტანჯვა დიდ და მომეტებულ საუკუნო დიდებას ქმნის ჩვენთვის, როცა ვუყურებთ არა ხილულს, არამედ უხილავს, ვინაიდან ხილული დროებითია, ხოლო უხილავი – საუკუნო.“ (2 კორ. 4:17-18)

სიკვდილი და სიცოცხლე ენის ხელშია და რწმენით ჯერ არარსებულს არსებულად ვსახავთ (იგ. 18:21 და რომ. 4:17). დაე, ღვთის სიტყვამ ჩამოაყალიბოს თქვენი სამყარო!

ჭეშმარიტების ლაპარაკი

ზეციური ენით ლაპარაკი ყოველთვის ჭეშმარიტების ლაპარაკს ნიშნავს. თუმცა სიმართლის თქმის ყველა ფორმა მართებული როდია. ღვთიური ენით ლაპარაკი ჭეშმარიტების სიყვარულით თქმას გულისხმობს.

ბევრი წყვილი ცდება ერთი-ორი უკიდურესი მიდგომის გამოყენებაში. ზოგიერთები ღვთის სიტყვას მეუღლეებზე შეტევის ან დამცირებისთვის იყენებენ. ისინი სიმართლეს ლაპარაკო-

ბენ, მაგრამ ამას იმედგაცრუების, რისხვის, შურისძიების ან წყენის გამო აკეთებენ. სხვებს არ სურთ მეუღლისთვის ტკივილის მიყენება ან კონფლიქტის წარმოქმნა, ამიტომ ჩქმალავენ ჭეშმარიტებას, რომელიც უნდა ითქვას და ზედაპირული, ყალბი სიყვარულით მოქმედებენ. დროთა განმავლობაში აუცილებლად წარმოიშობა იმედგაცრუებისა და წყენის ღრმა გრძნობები, რომლებიც ბოლოს რაღაც სახის აფეთქებით სრულდება. არც ერთი ამგვარი დამოკიდებულება ღვთიური ჩანაფიქრის განხორციელებაში ხელს ვერ შეგიწყობთ – რაც არის ქრისტეს დღითი დღე დამსგავსება.

თქვენ, როგორც ქმარმა ან ცოლმა, ყველაზე უკეთ იცით მეუღლის სისუსტეები. ადვილად შეძლებთ ამ განსაკუთრებული ცოდნის გამოყენებას მის გულსატკენად, შესარცხვენად და მსჯავრდასადებად. თუმცა ჩვენ უმაღლესი მოწოდება მივიღეთ, არა? თავი მივუძღვენით მეუღლეების უდიდეს მსახურად ყოფნას და მათთვის საუკეთესოს ძიებას. ჭეშმარიტების სიტყვები მათ ზრდასა და იესო ქრისტეს დამსგავსებაში დაეხმარებათ, მაგრამ მარადიული ფასეულობის მქონე სიტყვებს ვერასოდეს ვილაპარაკებთ, თუ ენას სხვების დასაჭრელ იარაღად ვიყენებთ.

თუ გვსურს, რომ ჩვენი ქორწინება ჯანსაღი იყოს, აუცილებლად უნდა მივხედოთ დამანგრეველ და მცდარ ქცევებს, თუმცა ამის გაკეთების სწორი დრო და ადგილი არსებობს. შეგიმჩნევიათ, რომ გაცხარებულ კამათში მეუღლის შეცდომებზე მითითებას არასოდეს მოჰყოლია დადებითი შედეგი? პირიქით, ჩვეულებრივ, ქცევა უარესდება და დამაზიანებელი ურთიერთობა იწყება. როცა თვლით, რომ რაღაც საკითხი განხილვას საჭიროებს, დაიცადეთ, სანამ მეუღლე დამშვიდდება. თუ საქმე სერიოზულადაა, კარგი იდეა იქნება მისთვის შეხვედრის დანიშვნა, რომ საკუთარი სათქმელი უფრო ინტიმურ გარემოში გამოხატოთ. ეს შექმნის ვითარებას, როცა თქვენი მეუღლე უფრო მოგისმენთ.

მე (ლიზას) გამორჩეულად მახსოვს, როგორ მითხრა ერთხელ ღმერთმა, „ლიზა, თუ გინდა რომ გაგიგონონ, ისე თქვი, როგორადაც თავად ისურვებდი მოსმენას!“ ამას იოლად დავამატებთ მეორე აზრს, „მაშინ თქვი, როცა შენ მოგინდებოდა მოსმენა!“ შუა კამათი ის დრო არ არის, როცა თქვენი მეუღლე მოშვებული და მიმღებია. როცა გადაღლილი ხართ, დასვენების დროა. აპატიეთ, ერთმანეთს მოეხვიეთ და ლაპარაკი დილისთვის გადადეთ!

ეს ბრძანებაა, რომ ადამიანის გულისთვის მგრძნობიარე ჭეშმარიტებები სიყვარულში იყოს გახვეული! არავის მოსწონს, როცა წარუმატებლობებსა და შეცდომებზე მიუთითებენ, მაგრამ სწავლის მსურველნი სარგებლობენ იმ სფეროების აღმოჩენით, სადაც ზრდის შესაძლებლობა ეძლევათ.

სანამ რჩევას შესთავაზებდეთ, თქვენი მოტივები შეამოწმეთ. ჰკითხეთ თავს, *ამას სიყვარულით ვაკეთებ თუ საკუთარ სარეგებელს ან უსაფრთხოებას ვეძებ? მართლაც მაღელვებს მეუღლის კეთილდღეობა თუ საკუთარი ტკივილის გამო შურისძიებას ვცდილობ?* თუ დავის დროს ქცევის გამოსწორების რეკომენდაციებს იძლევით, არსებობს შანსი, რომ ეს მითითებები ეგოიზმიდან ამოიზარდა. თქვენ პასუხობთ ისე, როგორც გაგრძნობინათ თავი მეუღლემ.

ძნელია ჭეშმარიტების სიყვარულში ლაპარაკი, როცა ემოციებთან დათმობაზე მიდიხართ. და თუ მაინც მოახერხებთ ენის მოთოკვას, ორიდან ერთი რამ მოხდება: ან გაანალიზებთ, რომ ცდებოდით და მადლობელი იქნებით საკუთარი ენის ალაგმვის გამო ან შესაძლებლობა მოგეცემათ მშვიდად და თავაზიანად უთხრათ მეუღლეს სათქმელი, რომელიც მას სჭირდება.

ჩვენ ვისწავლეთ, რომ ყოველთვის უმჯობესია, ყურადღება არ მიაქციოთ მცირე განაწყენებებს და ღმერთს მიანდოთ ისინი. თუმცა ზოგიერთი გულისტკენა ძნელი დასავიწყებელია. ჩვევაში გადაზრდილი, დამანგრეველი საქციელის დანახვისას გაჩუმება არ იქნებოდა საკითხისადმი ჯანსაღი მიდგომა. თუმცა მისი დაპირისპირების აუცილებლობა ადამიანის დაჭრის უფლებას არ გაძლევთ. შეგეძლოთ, ჭეშმარიტება სიყვარულით გეთქვათ:

- ღვთის სიტყვის სინათლეზე თქვენი მოტივების გადასინჯვის მეშვეობით
- კონფლიქტის გადაჭრით პრობლემაზე და არა მეუღლეზე შეტევის მეშვეობით
- ენის ალაგმვით, რომ არ ილაპარაკოთ სხვათა დამანგრეველი სიტყვები
- მოწყალებით
- გულწრფელობით
- მადლიანი პასუხით
- იმედის გამუდმებული შეთავაზებით
- იმ სახით ლაპარაკით, როგორც თქვენ გინდათ, რომ გელაპარაკონ
- სიტყვების, დროისა და ადგილის ამორჩევით, რომ დაპირისპირება გონივრული იყოს[3]

სოლომონმა თქვა, „რკინა რკინით ილესება, კაცი კაცის სახეს ლესავს“ (იგ. 27:17). ჩვენს ურთიერთობებში ნამდვილად არის ღვთიური დაპირისპირების ადგილი. თუ სწორად მივუდგებით, უთანხმოებები ღვთისმოსაობას გამოჭედავს ჩვენს ცხოვრებაში.

მნიშვნელოვანია საკითხების მოგვარება ისე, რომ თქვენი ქორწინების ერთობა არ დაირღვეს. პატარა ტკივილები ღრმა ჭრილობებად გადაიქცევა, თუ სათანადოდ არ უმკურნალებთ. ხშირად ჩვენმა მეუღლეებმა არც კი იციან, რა ტკივილი აღძრავს ჩვენს ამა თუ იმ საქციელს. მათ შესახებ და ერთმანეთთან ღვთის სიყვარულით მსჯელობა დაგვეხმარება ერთობის შენარჩუნებასა და ზრდაში, რომ უკეთესი მეუღლეები გავხდეთ.

დღე 3

სიყვარულის ენა

აქამდე ენაზე, ასე თუ ისე, ტრადიციული გაგებით ვილაპარაკეთ და ყურადღება გავამახვილეთ სიტყვებზე, რასაც წარმოვთქვამთ და როგორც გამოვხატავთ. ახლა გვსურს, ცოტათი შევასწოროთ ფოკუსი და *გაზიარებული ენის* სხვა ასპექტზე ვიმსჯელოთ. მეოთხე თავში ვთქვით, რომ ჩვენი ქორწინებები გაცილებით მყარი იქნებოდა, თუ გავაცნობიერებდით ერთ ჭეშმარიტებას: ჩვენი მეუღლეები, შესაძლოა, ისე არ მოგვემსახურონ, როგორც ჩვენ ვემსახურებით მათ. ანალოგიურად, ადამიანები სიყვარულს სხვადასხვაგვარი გზებით იღებენ და გასცემენ. სიყვარულის სხვადასხვა დიალექტების გაგებაში ერთი შესანიშნავი წიგნი დაგეხმარებათ, რომელმაც ჩვენს ურთიერთობაში დიდი სარგებელი მოიტანა. ეს გახლავთ გარი ჩეპმენის *სიყვარულის ხუთი ენა: როგორ გამოვხატოთ გულისნადები მეუღლისადმი*.

იმის გასაგებად, რატომ არის ეს მნიშვნელოვანი, ჩვენს ქორწინებას მაგალითად წარმოგიდგენთ. ჩემთვის (ლიზასთვის) სიყვარულის გამოხატვის უმთავრესი გზა გახლავთ თავისუფალი დროის ვინმეს სასიკეთოდ გამოყენება და მომსახურება. ქორწინების ადრეულ ეტაპზე ამაში იგულისხმებოდა სხვადასხვა საქმეების კეთება (სარეცხი, ფილების დაგება, საჭმლის მომზადება, დალაგება, ბავშვების მოვლა, ღებვა და ბაღში საქმიანობა). ამით ვაჩვენებდი ჯონს ჩემს დიდ სიყვარულს მის მიმართ. ასევე ვცდილობდი ღრმაშინაარსიანი, აზრიანი საუბრების წარმართვას ჯონთან თავისუფალი დროის გატარების მიზნით, სანამ სიყვარულის გამომხატველი საქმეებით ვიყავი დაკავებული.

მე (ჯონი) ლიზასავით არ ვიქცეოდი და სიყვარულს სხვაგვარად გამოვხატავდი ფიზიკური შეხებით და გამამხნევებელი სიტყვებით. ლიზა დიდებულ სადილებს ამზადებდა, ხალიჩებს დაათრევდა, აგებდა ფილებს, მაგრამ მე არ მესმოდა,

„მიყვარხარ“. მაშინ, როცა გულწრფელად ვაქებდი ლიზას და ფიზიკური ალერსით სიყვარულს გამოვხატავდი, არც მას ესმოდა „მიყვარხარ“. თითქოს ორივენი განსხვავებულ ენებზე ვლაპარაკობდით.

ჯანსაღი ქორწინების პირობებში ცოლ-ქმარი თავს ბედნიერად უნდა გრძნობდეს და სიყვარულს განიცდიდეს. ყველა იმსახურებს სიყვარულს ისე, როგორც მათ ესმით. ამის გათვალისწინებით, ცუდი არ იქნება, თუ ერთმანეთს გაუმხელთ, როგორ აღიქვამთ სიყვარულს. მოგიწოდებთ, რომ თქვენ და თქვენმა მეუღლემ შეისწავლოთ სიყვარულის გამოხატვის ხერხები დ-რ ჩეპმენის წიგნის წაკითხვით ან უფასო ტესტის შევსებით ვებვერდზე www.51ovelanguages.com. ისაუბრეთ მიღებულ შედეგებზე. რას შეიძლება ნიშნავდეს თქვენი განსაკუთრებული ურთიერთობისთვის ერთმანეთის ენაზე ლაპარაკი? ამ საუბრის წარმართვა თბილ, მეგობრულ გარემოში სჯობს. თქვით ასეთი სიტყვები: „შენს სიყვარულს მაშინ ვგრძნობ, როცა . . .“ და შემდეგ თავად განაგრძეთ.[4]

მხოლოდ თქვენი ქორწინებისთვის მორგებული სიტყვების და მოქმედებების მიზანმიმართულად გამოყენება, რომლებიც მეუღლის მიერ სიყვარულის გამოხატვის ცოდნას ემყარება, სიყვარულის ლექსიკონს კიდევ უფრო განავრცობს თქვენს ერთობაში. ეს კიდევ უფრო გაამყარებს საფუძველს, რომელიც ზეციური ენის გამოყენებით და ჭეშმარიტების სიყვარულით ლაპარაკის მეშვეობით დადეთ. ყველა ეს ფაქტორი ერთად აღებული, საზიარო ენას წარმოქმნის თქვენს კავშირში.

ამის შემდეგ განვიხილავთ, თუ როგორ უნდა აშენოთ მეორე ასპექტი, რომელიც შეუძლებელს – ერთობას – შეგაძლებინებთ.

მისიაში

იესო ხშირად გამოკვეთდა, რომ მისი მსახურებაში მნიშვნელოვანი იყო ერთობის შენარჩუნება. მაგალითისთვის ავიღოთ იოანეს სახარებაში აღწერილი ამბავი. გაცემის ღამეს იესო ლოცულობდა, რომ ჩვენ ერთნი ვყოფილიყავით:

„მე მხოლოდ ამათზე [მოწაფეებზე] არ გთხოვ,
არამედ იმათზეც, ვინც ჩემი მორწმუნენი იქნებიან მათი სიტყვით!
რათა ყველა ერთი გულით და გონებით იყოს,
როგორც შენ ჩემში, მამაო, მე კი – შენში!
რათა ისინიც იყვნენ ერთი გულით და აზრით ჩვენში,
რათა ირწმუნოს სოფელმა, რომ შენ მომავლინე!
და დიდება, რომელიც შენ მომეცი, მათ მივეცი, რათა ერთნი იყვნენ,

> როგორც ჩვენ ვართ ერთნი! მე – მათში და შენ ჩემში, რათა სრულყოფილნი იყვნენ ამ ერთობაში და რათა იცოდეს უღმერთო წუთისოფელმა,
> რომ შენ მომავლინე და ისე შეიყვარე ისინი,
> როგორც მე შემიყვარე!“
>
> – იოან. 17:20-23; *The Message*

ერთობა ღვთის დიდებას წარმოაჩენს. იგი მისი ძის შერიგების ღვაწლს ამოწმებს. მრავალი ფიქრობს, რომ სახარების დამტკიცება ლოგიკური მსჯელობით ან ძლიერი არგუმენტების მოშველიებით შეიძლება, მაგრამ ღვთის სიყვარული ქვეყნიერებისადმი უპირველესად და საუკეთესო სახით მაშინ მტკიცდება, როცა მას მორწმუნე ხალხში ხედავენ.

ერთობა არა მარტო ღვთის სამეფოს მიღმა მყოფ ადამიანებს ელაპარაკება, არამედ ჩვენთვისაც სასარგებლოა. ღმერთი სწორედ ერთობას აკურთხებს (იხილეთ ფს. 132). ამრიგად, ერთობა სიბნელის სამეფოსთვის ორმაგი საფრთხეა. მას სიკეთე მოაქვს ღვთის ერში და თან, დაღუპულებს ელაპარაკება, რომ ყური მიაპყრონ ღვთის სიყვარულს მათ მიმართ.ამრიგად, გასაკვირი არ არის, რომ მტერი ყველაფერს გააკეთებს ჩვენი ქორწინების ერთობის დასარღვევად. ეგოიზმის ან შიშის ნებისმიერი გამოვლინება, რომელსაც თქვენში ადგილი აქვს, მხოლოდ მის წისქვილზე ასხამს წყალს. ერთობის შენარჩუნება ჩვენგან ორმაგ ბრძოლას მოითხოვს მტრის და საკუთარი ადამიანური ბუნების წინააღმდეგ. ეს ადვილი არ არის. საჭიროა ღვთის სულიწმიდის მადლი და ცხადი მიზნის გაცნობიერება, რომელიც კონკრეტული ვითარების სირთულეებს აღემატება. ამის გათვალისწინებით კიდევ ერთხელ გადავხედავთ ეფეს. 5:21-ს:

დაემორჩილეთ ერთმანეთს ღვთის მოშიშებით!

ერთ-ერთ თავში ორივე მეუღლის ფუნქციებზე ვილაპარაკეთ, რაც ერთმანეთის მიმართ უანგარო მომსახურებაში გამოიხატება. ახლა გვინდა გავაფართოოთ მორჩილების თქვენეული გაგება და დაგანახოთ, როგორ გეხმარებათ ერთობის მიღწევაში.

იფიქრეთ ამაზე: მორჩილება ანუ დაქვემდებარება (ინგ, *sub+mission*) ნიშნავს „დავალების, მისიის შესრულებას!“[5] თქვენ მნიშვნელოვანი დრო დაუთმეთ ქორწინების მიზნების წერილობით გამოსახვას და მათი მიღწევისთვის საჭირო ნაბიჯების მოფიქრებას. დაე, დაქვემდებარების ამ მოწოდებამ გაგახსენოთ, რომ თქვენი ქორწინების ყოველი მიზანი ღვთის სიყვარულისა და დიდების გამოხატვის საბოლოო მიზნის ქვეშ ექცევა. ორივე მეუღლე ექვემდებარება ღვთიური მისიის ძალაუფლებას და სწორედ ეს აღგვძრავს ერთობისთვის.

ეს თვალსაზრისია ის, რაც ორივე მეუღლეს სიმტკიცის ძალას აძლევს. მორჩილება არ ნიშნავს, რომ ერთი მეუღლე ძლიერი უნდა იყოს, ხოლო მეორე – სუსტი. ქორწინება იმდენად დიდ მისიას მოიცავს და იმდენად აღემატება ნებისმიერ ჩვენგანს, რომ მის განხორციელებას ორი ძლიერი ადამიანის ერთობა სჭირდება. გთხოვთ, გააცნობიერეთ, რომ სიტყვაში *ძლიერი*, არ ვგულისხმობთ პიროვნულ ან ფიზიკურ სიძლიერეს. ჩვენ შეტანილ წვლილზე ვლაპარაკობთ. როგორც ზემოთ ვთქვით, ქორწინება ვინმეზე გაბატონებას არ ნიშნავს; ეს არის ბატონობა, ტერიტორიის ფლობა ისე, რომ არ იყო მესაკუთრე.

ჩვენი ქორწინების გარკვეულ ასპექტებში, ოჯახსა და უფრო დიდი გავლენის სფეროებში მე (ჯონი) ლიზაზე უნარიანი ვარ. იგი სიხარულით მითმობს ამ კუთხით მოღვაწეობას. ასევე არის სფეროები, სადაც ლიზა ჩემზე უკეთ შრომობს და აქ სიხარულით ვუთმობ ასპარეზს მის შინაგან ხედვას და გამოცდილებას. ჩვენ ერთი და იგივე მისია გვაერთიანებს და იგი ორივე ჩვენგანისგან საუკეთესოს გაღებას მოითხოვს.

ჯონი ყოველთვის გამოირჩეოდა ფინანსურ საკითხებში გზის გაკვლევის უნარით. მას არასოდეს ჰქონია პრობელმა იმის რწმენაში, რომ ღმერთი ჩვენს საჭიროებებს დააკმაყოფილებდა და ჩვენს ცხოვრებას აკურთხებდა. ყველა სახლი, რომელიც კი გვქონია, მისი დაფუძნებულია. როცა ჯონმა გადასახადების გადახდა თავის თავზე აიღო, მხრებიდან დიდი ტვირთი ჩამომეხსნა. იქამდე მე (ლიზა) ვცდილობდი ამ საქმისთვის თავის მობმას მისი გადატვირთული სამოგზაურო და საოფისე გრაფიკის გამო. ჩემი ვაი-ვაგლახის შემყურე ჯონმა ეს დავალება იტვირთა. ის, რაც ჩემთვის ასე რთული იყო, მისთვის საოცრად ადვილი აღმოჩნდა. იგი საუკეთესო იყო სახლის, მანქანის და სხვა მსხვილი ქონების შეძენაში. იგი ჩვენს ბიჭებსაც ასევე კარგად უწყობდა ხელს შეჯიბრებებში, თამაშებსა და სხვა ანალოგიურ საქმიანობაში.

მე მეორე მხრივ სახლში ვსაქმიანობდი. ყოველთვის მინდოდა, რომ მთელი ოჯახი მაგიდას ერთად შემოსხდომოდა. მიყვარს ჩემი ოჯახის დაპურება და მინდოდა, რომ ბიჭებს თავიანთი მეგობრებიც დაეპატიჟებინათ. ასევე მნიშვნელოვანი იყო ისეთი გარემოს შექმნა, რომ მოგზაურობიდან დაბრუნებულ ჯონს მოესვენა.

აღმოაჩინეთ, რა სფეროების გაძღოლა უფრო გეხერხებათ თქვენ და თქვენს მეუღლეს. ისწავლეთ, ვის რა უნარი გაქვთ და რა საქმე უნდა მოგენდოთ. ერთმანეთის წინამძღოლობისადმი დამორჩილება თქვენს ძლიერ მხარეებში საერთო მისიის მიღწევას შეგაძლებინებთ.

დღე 4

პრიორიტეტები

„ორნი სჯობიან ერთს, რადგან კარგი გასამრჯელო
აქვთ თავიანთ შრომაში.“

– ეკლ. 4:9;

მისია და პრიორიტეტები ერთი და იგივე არ გახლავთ, მაგრამ ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან. პრიორიტეტებზე შეთანხმება და მათი დაცვა არსებითია ერთობის შენარჩუნების საქმეში.

ჩვენი პრიორიტეტები უდიდესი მიზნით არის ნაკარნახევი: ღვთის სიყვარულის შეცნობა და გაცხადება. ამ მისიას ყველა მორწმუნე იზიარებს, ამიტომ ყველას ერთი და იგივე პრიორიტეტი გვაქვს, თუმცა განხორციელების სტრატეგია სხვადასხვა წყვილისა და სეზონისთვის განსხვავებულია. გთავაზობთ, რომ თქვენი პრიორიტეტები ამგვარად დაინახოთ:

1. *ღმერთი.* ღმერთი „პირველი“ არ არის, იგი უზენაესია და მასთან ურთიერთობა არსებითია ცხოვრების ყველა სფეროს წარმატებასა და ერთგულებაში. მას შეუძლია განახორციელოს და დაამკვიდროს ჩვენი ყველა პრიორიტეტი. თუმცა მეტი სიცხადისთვის მას სიის თავში ვათავსებთ. ამრიგად, ღმერთი უმთავრესია!

   ღმერთთან ჩვენი ურთიერთობა და საქმე, რომელსაც მის სამსახურებლად ვაკეთებთ, ერთი და იგივე არ არის. ქრისტიანებისთვის, განსაკუთრებით კი მსახურებისა და ეკლესიიაში დასაქმებული სხვა პირებისთვის ხშირად საცდურს წარმოადგენს მსახურების საქმის ოჯახზე წინ დაყენება. გთხოვთ, ნუ მისცემთ უფლებას თქვენს ოჯახს, რომ ამ სიმახინჯემდე დაეშვას!
2. *მეუღლე.* და კვლავ, აქ შემპარავი გადაგვარების საფრთხე იმალება, რომელიც ძვირად დაგიჯდებათ. ბავშვები მნიშვნელოვანი არიან, მაგრამ მათზე ზრუნვა მეუღლის უგულებელყოფის ხარჯზე არ უნდა მოხდეს! ერთ დღესაც შვილები გაიზრდებიან და თქვენი მზრუნველობა აღარ დასჭირდებათ, მაგრამ მეუღლესთან აღთქმაში ხართ მთელი ცხოვრების განმავლობაში. მეუღლესთან ერთად ისეთი ქორწინება დააფუძნეთ, რომ თქვენ ორი საუკეთესო მეგობრებად დარჩეთ მაშინაც კი, როცა შვილები სახლს დატოვებენ.
3. *შვილები.* ბავშვების აღზრდაში თითოეული მეუღლის ჩარ-

თულობისა და ფუნქციების ზუსტი დეტალები სეზონიდან სეზონამდე იცვლება, განსაკუთრებით მომდევნო პრიორიტეტის, თქვენი მოწოდების – გათვალისწინებით. თუ ერთ-ერთი თქვენგანი ან ორივე სახლის გარეთ მუშაობთ, პასუხისმგებლები ხართ ბიზნესის ან მსახურების დამატებით სფეროებში. თუ თქვენი მოწოდების შესრულება ახლა სახლში ბავშვებთან ერთად დარჩენას ნიშნავს, ჩვენს მიერ მოყვანილი განსხვავება ამ პრიორიტეტსა და მომდევნოს შორის მისაღები არ არის. როგორც ქ.ს. ლუისმა თქვა, „ოჯახის ქალობა უმაღლესი კარიერაა."

4. *მოწოდება.* სინამდვილეში, თქვენი მოწოდება მოიცავს ყველაფერს ამ სიიდან და ყველაფერს თქვენს ცხოვრებაში. თუმცა მეტი სიცხადისთვის ამ ტერმინს ვიწრო გაგებით განვიხილავთ. „მოწოდებას" ვუწოდებთ იმას, რის კეთებაც ღმერთმა თქვენ და თქვენს მეუღლეს დაგავალათ, როგორც ცალკეულ პიროვნებებს, მმართველობის, ბიზნესის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, მსახურების, ხელოვნების, მედიის ან სხვა რომელიმე სფეროში.

   ისე მოხდა, რომ ჩვენს ქორწინებაში ამ მოწოდებას ორივე ვიზიარებთ, მაგრამ ბევრი ადამიანი არ მუშაობს ან მსახურობს საზოგადოების იმ სეგმენტში, სადაც მისი მეუღლე. თუ თქვენს ცხოვრებაშიც ასეა, მაინც დაინტერესდით ერთმანეთის სამსახურით და ერთმანეთს არსებითი დახმარება გაუწიეთ. სოლომონის ნათქვამის, თანახმად, როცა ორი ადამიანი ერთად შრომობს, ერთმანეთის დახმარება შეუძლიათ წარმატების მისაღწევად.

5. *დასვენება.* შაბათი ღმერთმა დააწესა და არა კაცმა. როცა ვისვენებთ, ყველა სხვა პრიორიტეტი ყვავის. ღმერთს სურს, რომ ჩვენი ცხოვრება რეგულარულ დასვენებას და ძალთა განახლებას მოიცავდეს, რაც სრულიად არ ნიშნავს უმოქმედობას. ჩვენ ვისვენებთ, როცა ისეთ რამეს ვაკეთებთ, რაც სულიერად, ფიზიკურად და ემოციურად აღგვადგენს. ქორწინებაში მნიშვნელოვანია, რომ დასვენების გაზიარების გზები ვიპოვოთ და მარტო არ დავისვენოთ. ჩვენთვის ეს გახლავთ საერთო აზრისა და ინტერესების გათვალისწინება და სიამოვნების მიღება, მაგალითად, ბუნებაში დროის გატარებით, როცა ერთმანეთს ჩვენი ოჯახისა და მსახურების შესახებ ოცნებებს ვუზიარებთ. დასვენებისა და განახლების ერთობლივად სწავლა ორი ცხოვრების შერწყმის ნაწილია.

6. *თემი.* ბევრ ქორწინებაში ქმრები და ცოლები სრულიად განცალკევებულ სოციალურ ცხოვრებას ინარჩუნებენ. მეუღლეებისთვის მართლაც მნიშვნელოვანია მამაკაცებისა და ქალების თავყრილობაზე ყოფნა და მეგობრობის გან-

ვითარება, მაგრამ ჯანსაღ ქორწინებაში მათი სოციალური ცხოვრება ურთიერთგადამკვეთია. მეგობრები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩვენს გამხნევებაში, მხარდაჭერასა და გაძლიერებაში. იმის გამო, რომ ერთი ხორცი ვართ, უამრავი მეგობარი უნდა გვყავდეს, რომლებიც ორივეს გვიცნობენ და უყვარვართ.

საკმარისად ვერ გამოვკვეთთ, რაოდენ მნიშვნელოვანია მეგობრების ყოლა, რომლებსაც თქვენი ერთობის კურთხევა სურთ. ორივეს გვყავს მეგობრები, რომლებიც განსხვავებულ როლს ასრულებენ ჩვენს ცხოვრებაში. მე (ჯონი) გოლფის საძმო მყავს, რომელთან ერთადაც ვისვენებ. ასევე მყავს გოლფის მეგობრები, რომლებთანაც შემიძლია ჩემი გული გადმოვღვარო. ესენია ადამიანები, რომლებსაც ჩემს სირთულეებსა და სისუსტეებს ვუზიარებ სიყვარულით, როგორც – ლიზასას, ისე – ჩემსას.

ჩემი (ლიზას) ცხოვრება დატვირთულია და მე გოლფის სათამაშოდ არ მცალია, თუმცა მყავს გულითადი მეგობრები, რომლებიც მამხნევებენ სიყვარულის ყველა ასპექტში გასაზრდელად. ისინია ქალები, რომლებიც აცნობიერებენ განსაკუთრებულ გამოწვევებს, რის გამოც ისინი ჩემს ცხოვრებასა და ქორწინებაში შემოვიდნენ. ზოგიერთები საუკეთესო მეგობრები გახდნენ იმ სირთულეების გამო, რომლებიც მსახურებაში წარმოიშვა, სხვები საუკეთესო მრჩეველები არიან ურთიერთობაში არსებული კონფლიქტების გადასაჭრელად. ჩვენთვის ოქროზე ძვირფასია ყველა მათგანი.

არიან ადამიანები, რომლებიც წარსულში ჩვენი მეგობრები იყვნენ, მაგრამ საბოლოოდ, თავი მათგან შორს დავიჭირეთ. მათ ერთ-ერთი ჩვენგანი მეორეს ამჯობინეს და ჩვენი ქორწინების ერთობას ხელი არ შეუწყვეს. თუ მეგობარი ორივე თქვენგანს არ ემეგობრება, მასთან ურთიერთობას ნუ გააგრძელებთ. ისინი აუცილებლად შეუქმნიან საფრთხეს თქვენს კავშირს.

სიყვარულის არჩევანი

„ამიტომ, როგორც ღვთის რჩეულებმა, წმიდებმა და საყვარლებმა, შეიმოსეთ მოწყალება, სახიერება, თავმდაბლობა, სიმშვიდე და სულგრძელობა! შეიწყნარეთ ერთმანეთი და მიუტევეთ ერთმანეთს! თუ ვინმესთან რაიმე სადაო აქვს ვინმეს, როგორც ქრისტემ მოგიტევათ, ასევე – თქვენც! და ყოველივე ამას დაურთეთ სიყვარული, რომელიც სრულქმნილების კავშირია!“

– კოლ. 3:12-14;

სიყვარული ერთმანეთთან თანხმობით გვაკავშირებს. ის გახლავთ ერთობის საფუძველი, შეუძლებლის ხილვის გასაღები.

ეფეს. 5:28-ში პავლე ამბობს, რომ „ქმრებს უნდა უყვარდეთ თავიანთი ცოლები." სიტყვა *უნდა* ხაზს უსვამს მტკიცე ვალდებულებას. აქ გადმოცემულია უდიდესი პრინციპი, რომელიც ეხება როგორც ქმრებს, ისე – ცოლებს, ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს იმის მიუხედავად, თუ რას ვგრძნობთ.

ჩვენი კულტურა სიყვარულს გრძნობად წარმოგვიჩენს, რომლის მართვა შეუძლებელია და მხოლოდ უნდა უპასუხო. თუ სიყვარულს ვგრძნობთ, შეყვარებულებივით ვიქცევით. დიდი დრო არ დასჭირდება იმის აღმოჩენას, რომ სიყვარულის გრძნობა ყოველთვის არ იქნება, მაგრამ სიყვარულის არჩევანის გაკეთება კი შესაძლებელია. ღმერთმა ჩვენი სიყვარული არჩია. თუ სიყვარულს ავირჩევთ, გრძნობები აუცილებლად მოჰყვება ჩვენს მოქმედებებს. რწმენის საქმე ანუ სიყვარულის ჩვენება იქ, სადაც გრძნობის ნასახიც არ ჩანს, მთებს გადააადგილებს. ღმერთს დიდად სურს ჩვენი მოქმედებების კურთხევა! დიტრიხ ბონჰოფერმა თქვა:

> სიყვარული კი არ ინარჩუნებს თქვენს ქორწინებას, არამედ ქორწინება – თქვენს სიყვარულს.

ერთადერთი გზა, რომ თქვენმა ქორწინებამ სიყვარული არ ჩააქროს, გახლავთ ღვთის სულიწმიდასთან ურთიერთობიდან მოსული ემოციური და სულიერი სისავსე. როცა არასწორ წყაროს ანუ საკუთარ ძალებს ვეყრდნობით, ჩვენი სიყვარული გამოცდისას მარცხს განიცდის, რადგან გრძნობები მოჰყვება. როცა ღვთის სიყვარულში ვართ დაფუძნებული, ჩვენი სიყვარულიდან მომდინარე მოქმედებები ერთობას გვინარჩუნებს მაშინაც კი, როცა გრძნობები გვღალატობს.

ნუ შესცდებით. ქორწინება გრძნობებისგან დაცლილი როდია. ქ. ს. ლუისი ამას ასე გადმოგვცემს:

> წესი ყველა ჩვენგანისთვის საოცრად მარტივია. დროს ნუ დახარჯავთ იმის გამოკვლევაში, „გიყვართ" თუ არა თქვენი მოყვასი; იმოქმედეთ ისე, თითქოს გიყვართ. ასე მოქცევით ერთ უდიდეს საიდუმლოს ვიგებთ. როცა ისე ვიქცევით, თითქოს ვინმე გვიყვარს, თანდათან რეალურად მოდის სიყვარული.[6]

შეგიძლიათ, თქვენი მეუღლის მიმართ სიყვარულის გამომჟღავნება მაშინაც კი, როცა სიყვარულს არ გრძნობთ? აირჩიეთ მომსახურება, ზეიმი და მხარდაჭერა! როცა ცხოვრებას სიყვარულზე ასწორებთ, ემოციები, საბოლოო ჯამში, თქვენს მოქმედებას დაამოწმებს.

დღე 5

საუკეთესოს წარმოჩენა

„ქრისტეს სიყვარული ეკლესიას ამთლიანებს. უფლის სიტყვები მასში სილამაზეს აღვიძებს. ყველაფერი, რასაც ის აკეთებს და ამბობს, ეკლესიისთვის საუკეთესოა ...“

– ეფეს. 5:26-27;

„ბრძენი ქალი“, წერს სოლომონი, „აშენებს თავის სახლს“ (იგ. 14:1). რახან ბრძენი ქალები თავიანთ სახლებს აშენებენ, ბრძენი კაცები თავიანთ ცოლებს ააშენებენ! ერთმანეთის აღშენებით ქრისტეს მსგავსებას წარმოვაჩენთ ჩვენი მეუღლეების მიმართ. ქორწინებაში ღვთისგან საუკეთესოს აღმოჩენა ერთმანეთში საუკეთესოს წარმოქმნას ნიშნავს.

ჩვენი მეუღლეების მიმართ სიყვარული ზეცასთან თანამშრომლობის აქტი, ღვთიური სიყვარულის მიმართ თანხმობის გამოცხადებაა. ღმერთი თქვენს მეუღლეს მისი სისუსტის მიხედვით არ განსაზღვრავს, არამედ ღვთიური მადლისა დ სიყვარულის ძალით. ღმერთი თქვენი მეუღლის პოტენციალს აღიარებს და თქვენც იგივეს საკეთებლად მოგიწოდებთ.

ადრე აღვნიშნეთ, რომ ლიზამ ბავშვობაში ცალი თვალი დაკარგა სიმსივნის გამო. ამის გამო მას ხალხის წინაშე ყოველი გამოჩენის შიში ჰქონდა. მე (ჯონმა) ვიცოდი ეს, მაგრამ ისიც კარგად ვიცოდი, რომ ღმერთმა მას არაჩვეულებრივი სიბრძნე მისცა.

როცა ახალგაზრდების პასტორი ვიყავი, ზოგჯერ ლიზას ვთხოვდი, რომ იმ ჯგუფის გოგონებს დალაპარაკებოდა. „არავითარ შემთხვევაში!“ – აპროტესტებდა იგი. „მე შემოთავაზებების პაკეტი არ ვარ! ეკლესიამ შენ დაგაყენა ახალგაზრდების მწყემსად და არა – მე.“

ვუსმენდი მის არგუმენტებს და ვიცოდი, რომ ამის ფესვი შიში გახლდა და არა მის ცხოვრებაში ღვთის ნიჭის წინააღმდეგ ამბოხების სურვილი. მას ეშინოდა ლაპარაკის, მაგრამ მისი ყოველი გამოსვლისას ადამიანები მსახურების შემდეგ იმის სათქმელად მოდიოდნენ, რომ ლიზას სიტყვამ მათზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. მორიგი გაპროტესტების დროს ასე ვპასუხობდი, „მზად იყავი. შესაძლოა, ამ საღამოს დაგიძახო.“

მე (ლიზა) მეჩვენებოდა, რომ ჯონი ცდილობდა ისეთ ვინმედ ვექციე, როგორიც არ ვიყავი. მან იცოდა, რომ ახალგაზრდა გოგონებს ქალის რჩევა სჭირდებოდათ, მაგრამ ამ საქმეში სრულ უუნარობას ვგრძნობდი. ვერ ვხვდებოდი, რომ მათთვის სანიმუშო პიროვნების ჩვენების გარდა, ჯონს ჩემი ნიჭების

განვითარების გარემოს შექმნა სურდა. იგი ისეთ რამეს ხედავდა ჩემში, რასაც თავად ვერ ვამჩნევდი. ისეც ხდებოდა, რომ ზოგჯერ ჯონს მთელი ღამე ვევედრებოდი, რომ სიტყვის სათქმელად არ მოვეწვიე, მაგრამ მას მცდელობა არასოდეს შეუწყვეტია და ღმერთმაც მოიტანა ჩემში საუკეთესო. მძულდა ეს ყველაფერი, მაგრამ უკან მიხედვისას ჩემთვის ცხადი ხდება, რომ ჯონი სიყვარულით მიბიძგებდა შიშებისა და შეზღუდულობის დასაძლევად.

როგორც ჯონი მეხმარებოდა, ისე ვიყენებდი ჩემს ძალას სხვადასხვაგვარი გზებით მასში დასაბანდებლად. ადრე აქტიურად ვიღებდი მონაწილეობას მისი წიგნების რედაქტირებაში, რომ დავრწმუნებულიყავი, რამდენად ზუსტად გადმოსცემდა გულისნადებს. ჩვენი ერთობლივი მსახურების შესაძლებლობათა დიდი ნაწილი იმიტომ მოვიდა ჩვენს ცხოვრებაში, რომ ერთმანეთი გვიყვარდა გასაზრდელად.

შესაძლოა, თქვენ და თქვენმა მეუღლემ არ იცით, როგორ წარმოქმნათ საუკეთესო ერთმანეთში. შესაძლოა, საწინააღმდეგოდაც იქცევით, სიახლოვისა და ზეგავლენის პოზიციას ერთმანეთის დასანგრევად იყენებთ. დღეს ახალი საწყისის დღეა. შეგიძლიათ, ახალი სტანდარტები დააფუძნოთ!

ახლიდან დაწყება გვიანი არასოდეს არის. მეუღლეში საუკეთესოს წარმოქმნის სწავლა თუ გსურთ, იპოვეთ წყნარი დრო და ადგილი ერთობლივი ლოცვისთვის. ღმერთს ასე დაელაპარაკეთ:

> *ზეციერო მამა, ვინანიებთ არასწორ დამოკიდებულებას ჩვენი ერთობისადმი, რომელიც შენ დააფუძნე ჩვენს შორის! ჩვენი ქორწინება შენი შედევრია და ღირსეული პატივით არ განვაგეთ იგი. მადლობას გიხდით განახლებული წყალობისთვის ჩვენს ცხოვრებაში, რამაც ხელახლა დაწყება შეგვაძლებინა! წმიდაო სულო, გთხოვთ, მოგვცე საჭირო მადლი, რომ ერთმანეთი სიყვარულით დავინახოთ! მოგვეცი უფრო მეტი გაცხადება, როგორ ვიდღესასწაულოთ და მოვემსახუროთ ერთმანეთს. აგვიხილე თვალები, რომ დავინახოთ ის ნიჭები და ძლიერი მხარეები, რომელთა განვითარებაც გსურს თითოეულ ჩვენგანში და გვასწავლე, როგორ წავწიოთ წინ შენი საქმე! გვჯერა, რომ ერთად უკეთესები ვართ, ვიდრე ცალ-ცალკე ვიყავით. გაგვზარდე სისრულეში, რომ ჩვენი ცხოვრება და ერთობა იყოს ისეთი, როგორიც შენ განიზრახე შენს სადიდებლად. იესოს სახელით, ამინ!*

გარდა ამისა, ქვემოთ მოყვანილია განაცხადები, რომელთაც უშუალოდ მეუღლეს ეტყვით. ჩახედეთ მას თვალებში და ეს სიტყვები უთხარით:

ქმარი:

მაპატიე, რომ ჩემს სიძლიერეს შენს შესავიწროებლად და დასათრგუნად ვიყენებდი! მაპატიე, რომ არ აღვნიშნავდი შენს სათნოებას, სილამაზეს, სიბრძნეს და სიკეთეს! მაპატიე ჩემი ეგოიზმი ჩვენს საუბრებში, ერთად გატარებულ დროში და საწოლში! დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთს შეუძლია ჩვენი კავშირის განკურნება, აღდგენა და განდიდება. მწამს შენი და ყოველივე ძალმიძს ჩემი გამაძლიერებელი უფლის მიერ. ჩვენ ერთობლივად ვიბატონებთ, გავმრავლდებით და ვინაყოფიერებთ იესოს სახელით.

ცოლი:

მაპატიე, რომ ჩემს ძლიერ მხარეებს შენი სისუსტეების ხაზგასასმელად ვიყენებდი. მაპატიე, რომ პატივს არ გცემდი და ეგოისტი ვიყავი ურთიერთობაში! დღეიდან ვაპირებ ჩემი სიტყვების გამოყენებას შენს ასაშენებლად. მაპატიე, რომ ზოგჯერ არ ვიყავი შენი გულის კარგი დამცველი! მჯერა შენი და მჯერა ორივე ჩვენგანის. დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთს ყველაფრის განახლება შეუძლია. ვაკეთებ შენი სიყვარულისა და პატიების არჩევანს. ეს წყალობითა და ჭეშმარიტებით სავსე ახალი დღეა. მოდი, გვიყვარდეს ერთმანეთი და ისევ ვიოცნებოთ!

ძვირფასო მეგობრებო, დარწმუნებული ვართ, რომ წინ ყველაფერი კარგი გელოდებათ. ღვთის მადლით, თქვენი მემკვიდრეობა, სიახლოვე და გავლენა თქვენს იმედსა და მოლოდინს გადააჭარბებს. ერთმანეთთან ერთობით და ღვთის სულიწმიდის ძალით და შთაგონებით ისეთ ისტორიას შექმნით, რომელიც ქრისტეს სიყვარულს დედამიწაზე მოიტანს და ყოველივეზე მაღლა მჯდომს აამებს.

ყველაფრის ხელახლა დაწყების დავალება ნდობის მანდატია. ეს არ არის ერთადერთი შანსი ცხოვრების განმავლობაში. ეს შესაძლებლობა გამუდმებით არსებობს, სანამ სიცოცხლე დასრულდება. ხელახლა დაწყება ნიშნავს, რომ ვცხოვრობთ აწმყოში, გუშინდელს წასვლის საშუალებას ვაძლევთ, ხოლო გულებს მომავლისთვის განვაწყობთ.

აქ წარმოდგენილი ყველა შემოთავაზება კარგ იდეებად დარჩება, თუ თქვენს ერთობას არ გადასცემთ მას, ვინც ყოველივეს შემძლეა. იუდ. 1:24-25 გამოცხადების წინაშე გვაყენებს, თუ რა შეიძლება იყოს მომავალში:

ხოლო, ვისაც ძალუძს დაგიცვათ დაცემისაგან და უბიწონი დაგაყენოთ სიხარულში თავისი დიდების წინაშე. ერთადერთ ბრძენს – ღმერთს, ჩვენს მაცხოვარს ჩვენი უფლით იესო ქრისტეთი დიდება, სიდიადე, ძალა და ხელმწიფება ყოველთა საუკუნეთა უწინარეს აწ და ყოველთა საუკუნეთა მიმართ! ამინ!

ღმერთი ჩვენი დამცველია. მხოლოდ მას შეუძლია ჩვენი ქორწინებების გამოყვანა ჩრდილის სამეფოდან. იგი გვანდობს ქორწინების სიხარულსა და დიდებას, რომ მისი განდიდება შევძლოთ. ჩვენი ცხოვრება ცოცხალი, მსუნთქავი მესიჯია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც თვალ-ყურს გვადევნებენ, რომ გვიყვარდეს და კარგად გავიზარდოთ.

ყოველი გაზაფხული ახალი საწყისია.

„რადგან აჰა, მიიწურა ზამთარი,
ჟამი ღვარებისა გარდახდა, თავისთვის წავიდა.
ყვავილები დაჩდნენ მიწის პირზე,
ჟამი გალობისა მოიწია
და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში...“

– ქებ. 2:11-12;

დღე 1 დღის ლოცვა

ელოდეთ დიად მოვლენებს!

„[რა მომივიდოდა] რომ არ მერწმუნა ხილვა უფლის სიკეთისა ცოცხალთა ქვეყანაში. მიენდე უფალს, გამხნევდი და გაამაგრე შენი გული და გქონდეს უფლის იმედი!“

– ფს. 26:13-14;

ზეციერ მამას ძლიერ უყვარხართ თქვენ და თქვენი მეუღლე. მას სურს, რომ თქვენი ქორწილი წარმატებული იყოს. ფაქტობრივად, „უფალი დროს უცდის [ელოდება, ესწრაფვის], რომ შეგიწყალოთ“ (ეს. 30:18)

საინტერესოა, რა მოლოდინები გაქვთ ახლა თქვენი ქორწინებისთვის? რა ღვთივშთაგონებული შესაძლებლობებისთვის ლოცულობთ და გჯერათ?

_____

_____

_____

დრო გამოყავით და იფიქრეთ, რას ამბობს ღვთის სიტყვა მოლოდინის შესახებ?!

„... როდესაც შენ იქმოდი საშინელებებს, რომლებსაც არ ველოდეით. ჩამოდიოდი, მთები დნებოდნენ შენს წინაშე. არასოდეს სმენიათ, არ გაუგონიათ, თვალს არ უნახავს სხვა ღმერთი შენს გარდა, რომ მოიმოქმედოს ასეთი რამ თავის მომლოდინესათვის!“

– ეს. 64:3-4;

„საწყისი შენი სიტყვებისა ანათებს, აგონიერებს მიამიტებს. პირი გავხსენი და ამოვისუნთქე, რადგან მომენატრა მცნებანი შენი. მომხედე და შემიწყალე, როგორც შეეფერებათ შენი სახელის მოყვარულთ.“

– ფს. 118:130-132;

„ისე როგორც მისმა ღვთიურმა ძალამ მოგვანიჭა ყოველივე, რაც სიცოცხლისა და ღვთისმოსაობისათვის გვჭირდება, მისი ცოდნით, ვინც მოგვიწოდა თავის დიდებასა და სათნოებაში, რომელთა მიერაც მოგვენი-

ჭა უაღრესად დიდი და ძვირფასი აღთქმანი, რათა მათ მიერ გახდეთ ღვთიური ბუნების ზიარნი და ამ სოფელში განერიდოთ გულისთქმით გამოწვეულ გახრწნილებას!“

– 1 პეტრ. 1:3-4;

„. . . რადგან სიმართლის ღმერთია უფალი. ნეტარია ყველა მისი მოიმედე, რომელიც ელოდება, შეჰყურებს და ესწრაფვის მას [მისი გამარჯვებისთვის, მისი კეთილ-განწყობის, მისი სიყვარულის, მისი მშვიდობის, მისი სიხარულის და მისი უბადლო, ურღვევი თანამშრომლობისთვის]!“

– ეს. 30:18; AMP

წინა თავებში ვისაუბრეთ არარეალური მოლოდინებიდან მომდინარე საფრთხეზე. რა სარგებლობა მოაქვს სწორი მოლოდინების ქონას ამ მუხლების შესწავლის შემდეგ?

უდიდესია ის მოლოდინები, რომლებიც ღვთის აღთქმების, ბუნებისა და გეგმის ცოდნით ყალიბდება.

ღვთისთვის მეტისმეტად რთული ან შეუძლებელი არაფერია. წაიკითხეთ: 18:13-14, მათ. 19:26; მარკ. 9:23-24; ლუკ. 1:36-37; ეფეს. 3:20! რას გაჩვენებთ უფალი მის განუზომელ ძალასა და უნარზე?

„აჰა, მე შევქმნი ახალს! ახლა აღმოცენდება იგი; განა ვერ შეიტყობთ ამას? . . .“

– ეს. 43:19;

ჩვენ ვემსახურებით ღმერთს, რომელიც ქმნის ყოველივე ახალს. გინდათ, რომ რაღაც განახლდეს თქვენს ქორწინებაში? გსურთ ახალი სიყვარული, ახალი ოცნებები, ახალი ერთობა ან სიახლოვე? შეგიძლიათ მამა ღმერთისგან სიახლეს ელოდოთ, თუ ამის შესახებ სთხოვთ. ჩამოწერეთ, რის განახლება გინდათ, შემდეგ ილოცეთ და იგი ღმერთს მიუძღვენით!

ილაპარაკე სიცოცხლე

„კაცის სიტყვები მის გონებას აძღებს, როგორც ნაყოფი მის მუცელს; სიტყვები კლავს და სიტყვები აცოცხლებს. ისინი იქცევა შხამად ან ნაყოფად, არჩევანი თქვენზეა!“

– იგ. 18:20-21; The Message

ქვეყნიური ენა თუ ზეცის ენა – რომელ მათგანზე ლაპარაკობთ უფრო მეტად? პირველი სიკვდილს წარმოშობს, ხოლო მეორეს სიცოცხლე მოაქვს. ნებისმიერ ვითარებაში, რომელსაც წააწყდებით, არჩევანის საშუალება გეძლევათ, რომ ილაპარაკოთ ერთი ან მეორე. როგორც პასტორი **ჯიმი ევანსი** გვიზიარებს:

> „კომუნიკაცია ხიდის ფუნქციას ასრულებს, რაც ორი ადამიანის ცხოვრებას აკავშირებს, მეორე ადამიანის გულსა და გონებასთან თავისუფალი მისადგომის შექმნით. კომუნიკაცია არა მარტო მნიშვნელოვანია, არამედ სასიცოცხლოდ აუცილებელია ქორწინებისთვის . . . სიტყვები წამოუდგენელ ძალას ფლობენ – დაჭრისა და განკურნების, ნგრევისა და აშენების. საკუთარ თავზე უნდა ვიმუშაოთ, რომ აშენების, გაძლიერების, გამხნევებისა და განკურნების სიტყვების გამოსაყენებლად.“[7]

როგორც ვისწავლეთ, ყველაფერს თავისი დრო აქვს – არის ლაპარაკისა და სიჩუმის დრო. შეჩერდით და იფიქრეთ: რომელია ყველაზე ცუდი დრო მეუღლესთან რაიმე პრობლემის განსახილველად? რომელია საუკეთესო დრო? რატომ?

_____

_____

_____

მოკლედ აღწერეთ ყველაზე რთული ვითარება, რომლის წინაშეც ახლა დგახართ თქვენ და თქვენი მეუღლე! რა ნეგატიური „გამოსავლის მომტანი“ სიტყვები და ფრაზები ამოდის თქვენი ბაგიდან, როცა მას ამ საკითხზე ელაპარაკებით?

_____

_____

_____

შეჩერდით და ილოცეთ: „წმიდა სულო, აღარ მინდა ნეგატიური სიტყვების ლაპარაკი! გთხოვ ,დამეხმარო, რომ შიში და რისხვა მოვიშორო ჩემი ლექსიკონიდან! მომეცი დადებითი, სიცოცხლის სიტყვები, ზეცის ენა რწმენის სიტყვების გასაცხადებლად ჩვენი ქორწინებისთვის! იესოს სახელით.“

ზეციური ენის ლექსიკური მარაგი ღვთის სიტყვის შემცნებაში ზრდით ფართოვდება. დაკვირვებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი მონაკვეთები. შემდეგ ამ სიტყვებით შთაგონებული ერთი ან რამდენიმე დადებითი განაცხადი დაწერეთ, რომ გამუდმებით წარმოთქვათ თქვენი ქორწინების შესახებ. პირველი ნიმუში საჩვენებლად მოვიყვანეთ.

მუხლები	რას ამბობს ზეციური ენა
იგ. 5:18-19;	„მე და ჩემი მეუღლე ერთმანეთს სქესობრივი სიახლოვით გავახარებთ და დავაკმაყოფილებთ ჩვენი ცხოვრების მანძილზე.“
ეფეს. 4:15,29;	_____
	_____
ეფეს. 4:26-27;	_____
ეფეს. 5:21-33;	_____
	_____
	_____
	_____
ფილ. 2:3-5;	_____
ფს. 133;	_____
1 კორ. 13:4-8;	_____
	_____
	_____
	_____
	_____
	_____

დღე 3 დღის ლოცვა

მეუღლის ენით ლაპარაკი

„ესწრაფეთ სიყვარულს თითქოს თქვენი სიცოცხლე ამაზე იყოს დამოკიდებული !. . .“

– 1 კორ. 14:1; *The Message*

სიყვარულს მრავალი ენა აქვს. თქვენი მეუღლე ერთ-ერთ მათგანზე თავისუფლად ლაპარაკობს და სავარაუდოდ, თქვენ სხვა ენაზე მეტყველებთ. **დ-რი გარი ჩეპმენი**, *სიყვარულის ხუთი ენის ავტორი*, ასე განმარტავს:

> „თქვენი ემოციური სიყვარულის ენა, შესაძლოა, ისე განხვავდებოდეს თქვენი მეუღლის ენისგან, როგორც ჩინური ინგლისურისგან. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად ეცდებით ინგლისურად სიყვარულის გამოხატვას, თუ თქვენს მეუღლეს მხოლოდ ჩინური ესმის. ვერასოდეს ისწავლით, როგორ გიყვარდეთ ერთმანეთი ... უნდა გვინდოდეს მეუღლის უმთავრესი სასიყვარულო ენის შესწავლა, თუ გვსურს, რომ შედეგიანად გადავცეთ მას ჩვენი სიყვარული. ჩემი დასკვნა ... ასეთია, რომ ძირითადად არსებობს სიყვარულის ხუთი ემოციური ენა – ხუთი საშუალება, რომლებითაც ადამიანები ლაპარაკობენ და აღიქვამენ ემოციურ სიყვარულს.“[8]

დ-რ ჩეპმენის თანახმად, სიყვარულის ხუთი ენა გახლავთ შექება, თავისუფალი დროის მიძღვნა, საჩუქრები, მომსახურება და ფიზიკური შეხება. ბევრმა ადამიანმა და მათ შორის ჩვენც აღმოვაჩინეთ, რომ არსებობს პირველადი და მეორადი სასიყვარულო ენა. როგორც აღვნიშნეთ, უფრო მეტის სწავლა ამ საკითხზე დ-რ ჩეპმენის წიგნისა და ვებგვერდის მეშვეობით შეგიძლიათ.

თქვენი სიყვარულის ენების როლის დანახვა ქორწინების დინამიკაში შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემით შეგიძლიათ: რას აკეთებს ჩემი მეუღლე ისეთს, რომ ამ დროს ყველაზე მეტად ვგრძნობ მის სიყვარულს? რას არ აკეთებს იგი, რაც ღრმად მტკენს გულს? ყველაზე მეტად რას ვთხოვ ჩემს მეუღლეს: გამხნევების ან შექების სიტყვებს, ერთად გატარებულ დროს, განსაკუთრებულ საჩუქრებს, ფიზიკურ შეხებას თუ სახლის საქმეში დახმარებას? ჩვეულებრივ, როგორ გამოვხატავ სი-

ყვარულს ჩემი მეუღლისადმი? ჩაიწერეთ თქვენი აზრები და შთაბეჭდილებები.

ამის შემდეგ, იგივე კითხვებს უპასუხეთ თქვენი მეუღლის შესახებ. ყველაზე მეტად სად ჩანს განსხვავება?

დაადგინეთ, რა განსხვავებას ხედავთ თქვენი და თქვენი მეუღლის მიერ სიყვარულის გამოხატვის გზებში? თუ ასეა, რით დაგეხმარათ ამის გაგება თქვენს ქორწინებაში? თუ არა, ახლა ხედავთ, რომ ამან პრობლემები და გაუგებრობა წარმოშვა?

ესაუბრეთ მეუღლეს იმ გზებზე, რომლითაც გამოხატავთ და იღებთ სიყვარულს. ჰკითხეთ თქვენს მეუღლეს, „რომელია სამი პრაქტიკული მოქმედება, რომელთა გამოხატვითაც შევძლებ შენს სიყვარულს შენივე ენაზე?“ აქ აღნიშნეთ მათი პასუხები.

დღეს დრო გამოყავით სულიწმიდასთან სალაპარაკოდ, რა შეგიძლიათ გააკეთოთ, რომ საუკეთესო სახით აჩვენოთ მეუღლეს თქვენი სიყვარული! მასზე უკეთ თქვენს მეუღლეს ვერავინ იცნობს!

გამოყავით პრიორიტეტები

„შეგაგონებთ ძმანო, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით, რომ ყველანი ამბობდეთ ერთსა და იმავეს და არ იყოს თქვენში განხეთქილება, არამედ გაერთიანებული იყოთ გონებით და აზრით.“

– 1 კორ. 1:10;

რაოდენ დიდი ძალაა ერთობაში! ჩვენი კავშირი გახლავთ ღვთის სიყვარულის გამომჟღავნების გზა მათ მიმართ, ვინც უფალს არ იცნობს. სხვაგან არსად გვაქვს ერთობის იგივე დონის მიღწევის შესაძლებლობა, რაც ქორწინებაში. როცა ამ წიგნის მეორე თავი წაიკითხეთ, ერთიანი ხედვა და მიზნები დააფუძნეთ თქვენი ქორწინებისთვის. ახლა, წიგნში *„ქორწინების ამბავი“* მოგზაურობას ვასრულებთ. მოგიწოდებთ, რომ იფიქროთ ყოველდღიურ პრიორიტეტებზე, რომლებიც თქვენს მისიას განამტკიცებს!

„პირველი“ და ყველაზე დიდი პრიორიტეტი თქვენს ცხოვრებაში გახლავთ ღმერთთან თქვენი ურთიერთობა. რატომ არის არსებითი მისი პირველ ადგილზე დაყენება და როგორ წარმოგიდგენიათ უფლისთვის ყველაფერში პატივის მიგება? რამდენად დადებითად აისახება თქვენს ქორწინებაზე, ოჯახსა და თქვენი ცხოვრების ყველა დანარჩენ ასპექტზე ღმერთთან ჯანსაღი ურთიერთობა?

ღვთისგან დადგენილი მისიისა და მიზნების შესრულება თქვენი მეუღლის, შვილების, მოწოდების, დასვენებისა და თემის პრიორიტეტებად დასახვას ნიშნავს მოცემული თანმიმდევრობით. შეჩერდით და ილოცეთ! „უფალო, ჩემი პრიორიტეტები მოწესრიგებული არ არის? ვის ან რას ვაქცევ საჭიროზე მეტ ყურადღებას? ვის ან რას უგულებელვყოფ? რა პრაქტიკული ნაბიჯები გადავდგა, რომ მართებულ წესრიგს მივაღწიო და შევინარჩუნო?“ ჩაიწერეთ შინაგანი გაცხადებები და სამოქმედო ნაბიჯები, რომელთაც უფალი დაგანახებთ!

თქვენ პირობა დადეთ, რომ მხარი დაუჭიროთ მეუღლეს და მის გამო იზეიმოთ დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში. შვილები სახლიდან მიდიან, კარიერა იცვლება, მეგობრობა მოდის და მიდის, მაგრამ თქვენი ქორწინება იმ აღთქმად დარჩება, რომელიც ცხოვრების ყველა სეზონისთვის არის ჩაფიქრებული.

თქვენი ურთიერთობის ახლანდელ მდგომარეობაზე დაყრდნობით, გადაწყვეტილი გაქვთ საუკეთესო მეგობრებად დარჩენა სიცოცხლის ბოლომდე? დააბანდეთ ყველაფერი ერთმანეთის მოწოდებისა და კარიერის მხარდაჭერაში?

_____

_____

_____

თქვენი ქორწინების რა პრაქტიკული მხარეები გადმოსცემს ფასეულობას და ერთობისკენ მოუწოდებს? ხომ არ ანგრევს თქვენს ერთობას რომელიმე დამოკიდებულება ან მოქმედება?

_____

_____

_____

წაიკითხეთ ეკლ. 4:9 და კოლ. 3:12-14! შემდეგ ასეთი სიტყვებით ილოცეთ:

ღმერთო, შენ აგვარჩიე მე და ჩემი მეუღლე, რომ წმიდები და საყვარლები ვყოფილიყავით! შენი სულიწმიდით მომეცი მადლი, რომ მეუღლეს ვაჩვენო: წყალობა, სიკეთე, თავმდაბლობა, სათნოება და მოთმინება! დამეხმარე, რომ გავაუმჯობესო ჩემი მეუღლის ცხოვრება ჩემი სიტყვებით და საქმეებით! მჯერა, როომ ერთად უკეთესნი ვართ, ვიდრე ცალ-ცალკე ვიყავით, რადგან შეგვიძლია ხელი შევუწყოთ ერთმანეთის წარმატებას. მოგვეცი სიბრძნე, რომ გონივრულად დავსახოთ პრიორიტეტები, რათა გავიგოთ რა არის ჩვენთვის უმჯობესი და ერთმანეთს კარგად მოვემსახუროთ! იესოს სახელით, ამინ!

დღე 5 დღის ლოცვა

საუკეთესოს წარმოქმნა

„. . . მაქსიმალური სარგებელი მიიღეთ ყველა შესაძლებლობიდან. თქვენი სიტყვა მადლიანი იყოს. ამის მიზანია სხვებისთვის საუკეთესოს მოტანა საუბარში, არა მათ დასათრგუნად და შესავიწროებლად!“

– კოლ. 4:5-6; *The Message*

თქვენ და თქვენი მეუღლე ერთი ხართ, როგორც ცოლქმარი. ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი საზიარო გაქვთ. როცა თქვენი მეუღლე წარმატებას აღწევს, თქვენც წარმატებული ხართ. როცა თქვენი მეუღლე სავსე და ნაყოფიერია, გაცილებით სრული და ნაყოფიერი ხართ თქვენ. მეუღლისთვის საუკეთესოს ძიებით, თქვენთვის მოგაქვთ ყოველივე საუკეთესო. სწორედ ასე გვექცევა ჩვენ იესო მის საპატარძლოს. წმიდა წერილი ამბობს, „ქრისტეს სიყვარული ეკლესიას ამთლიანებს. უფლის სიტყვები მასში სილამაზეს აღძრავს. ყველაფერი, რასაც ის აკეთებს ან ამბობს, **მისთვის საუკეთესოს ისახავს** მიზნად. . .“ (ეფეს. 5:25-27).

ამრიგად, რა არის თქვენი მეუღლეების ნიჭები, ტალანტები და ძლიერი მხარეები? იფიქრეთ, რას აკეთებენ მართლა საუკეთესოდ და რით ხარობენ ან საიდან იღებენ სისრულეს?! სხვები რაში აქებენ და რის გამო არიან მათი მადლობლები?

ნიჭები, ტალანტები და ძლიერი მხარეები, რომელთაც ჩემს მეუღლეში ვხედავ . . .

_____

_____

_____

თუ ამ ძლიერმა მხარეებმა უკვე მოუტანა სხვებს სარგებლობა სამუშაოსა თუ მსახურების თვალსაზრისით, როგორ დაუჭერთ მხარს მეუღლის მისწრაფებებსა და მოწოდებას, რომ მათ ზრდა განაგრძონ? თუ ხედავთ, რომ თქვენი მეუღლე ისეთ უნარს ფლობს, რომელსაც ჯერ არ იყენებს, შეგიძლიათ იფიქროთ (ან შექმნათ) ისეთ გარემოზე, სადაც ეს ნიჭი გაიფურჩქნება?

„ყურადღებით მოვეკიდოთ ერთმანეთს, გავაგრძელოთ ერთმანეთზე ზრუნვა. ვისწავლოთ, როგორ წავახალისოთ ერთმანეთი სიყვარულისა და კეთილი საქმეებისთვის . . .“

– ებრ. 10:24; AMP

„ამრიგად, როცა შემთხვევა და შესაძლებლობა მოგვეცემა, სიკეთე [ზნეობრივი] ვაკეთოთ ყველას მიმართ [არა მარტო მათთვის გამოსადეგი საქმეები, არამედ ის, რაც მათ სულიერ სიკეთეს და წინსვლას მოემსახურება]. გახსოვდეთ, რომ კურთხევა იყოთ ყველასთვის, განსაკუთრებით რწმენის სახლეულის ადამიანებისთვის [ვინც თქვენთან ერთად ღვთის ოჯახს მიეკუთვნება]!“

– გალ. 6:10; AMP

დაკვირვებით იფიქრეთ ებრ. 10:24-ზე, გალ. 6:10-სა და კოლ. 4:5-6-ზე (რომლებიც დღევანდელი დღის დასაწყისშია მოცემული)! რა პრაქტიკული გზებით შეიძლება თქვენი მეუღლისთვის საუკეთესოს აღძვრა და წარმოქმნა? რა შეიძლება თქვათ ან გააკეთოთ მათ გასამხნევებლად, რომ გამოიყენონ თავიანთი ნიჭები და ძლიერი მხარეები? როგორ აკურთხებთ მათ და ზრდაში შეეწევით?

დრო გამოყავი, რომ დღევანდელი პასუხები მეუღლეს გაუზიაროთ! როგორია მათი გამოხმაურება? ნება მიეცით, რომ გული გადაგიშალოთ! რა პუნქტებში თანხმდებით? რა ისწავლეთ ახალი თქვენი მეუღლისა და საკუთარი თავის შესახებ? შეყოვნდით და ილოცეთ თქვენი მეუღლისთვის!

„შეისწავლეთ თქვენი პარტნიორი! შეისწავლეთ საკუთარი თავი . . . შესაძლოა გაკვირვებული დარჩეთ იმით, რასაც აღმოაჩენთ! . . . ქორწინების თავგადასავალი გახლავთ იმის გაცნობიერება, რას წარმოადგენს სინამდვილეში თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. აღფრთოვანება მოდის, როცა ხედავთ, რა პიროვნება დადგა თქვენი მეუღლისგან.“

– ჰ. ნორმან რაითი[9]

სადისკუსიო კითხვები

თუ ამ წიგნს ქ„ორწინების ამბავი“ უწყების სერიების (Messenger Series) ნაწილად იყენებთ, გადახედეთ ვიდეოგაკვეთილს № 6!

1. ღვთიური მითითება ადამისა და ევას მიმართ გამრავლებასა და განაყოფიერებაში მდგომარეობდა. რამდენიმე თაობის შემდეგ ისეთი საზოგადოება ჩამოყალიბდა, რომელიც ღვთის მცნებებს არ ემორჩილებოდა. დაკვირვებით წაიკითხეთ დაბ. 11:1-6! რა საშუალებებით ხდებიან ადამიანები ერთნი? თუ დაუმორჩილებელი ხალხის ერთობამ წარმატება მოიტანა, რას გვეუბნება ეს ჩვენს შესახებ, ვინც დაქორწინებულიც ვართ, ქრისტეშიც ვმკვიდრობთ და ღვთის მორჩილებას ვეძებთ?

2. ერთობას დიდი ძალა და საზღაური მოაქვს. გამოიკვლიეთ ეს მონაკვეთები და მოარგეთ თქვენს საქორწინო ურთიერთობას: ფს. 132; მათ. 18:19-20; იოან. 17:21, 23; 2 კორ. 13:11. რა კურთხევები წარმოიშობა, როცა მეუღლესთან ერთობაში ცხოვრობთ?

3. მნიშვნელოვანია პიროვნების უკანასკნელი სიტყვები და იესოს შემთხვევაში, ისიი წინასწარმეტყველური გახლდათ. წაიკითხეთ იოან. 17:9-11, 20-23. ამ სიტყვებით ლოცულობდა იგი ჩვენთვის ჯვარცმის წინ. ყურადღება მიაქციეთ, ერთობას, რომელსაც ის და მამა ღმერთი იზიარებდნენ. რას გიცხადებთ სულიწმიდა ამ მონაკვეთის მეშვეობით? რით გამხნევებთ ეს, რომ თქვენს მეუღლესთან ერთობის ძიებას შეუდგეთ?

4. ღმერთი ახალი საწყისების ღმერთია! იგი აცხადებს, რომ ყველაფერს ახალს ქმნის (იხილეთ გამოცხ. 21:5). მას სურს, რომ მეუღლესთან ერთად ოჯახური ცხოვრების მანძილზე გამოვცადოთ და გავიზიაროთ განახლებული ურთიერთობა, იმედი, რწმენა, სქესობრივი სიახლოვე და ოცნებები. რა პრაქტიკული ნაბიჯებით შევძლებთ სიახლის შემოტანას ჩვენს ურთიერთობაში, როგორც ქმრები და ცოლები?

5. იგ. 14:1 ამბობს, რომ ბრძენი ქალი სახლს აშენებს. ეს ნიშნავს, რომ ბრძენი კაცი თავის ცოლს უნდა აშენებდეს! ქალებო, რა პრაქტიკული ნაბიჯებით შეძლებთ სახლის აშენებას?! მამაკაცებო, რა პრაქტიკული გზებით შეძლებთ თქვენი ცოლების აშენებას?!
6. ზოგიერთი დაქორწინებული წყვილი ერთად შრომობს ბიზნესში ან მსახურებაში, ბევრი – არა. ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ერთმანეთთან კავშირსა და ერთმანეთის გამხნევებას ინდივიდუალურ მოწოდებასა და ინტერესებში. რა პრაქტიკული გზებით შეძლებენ ქმრები და ცოლები ერთმანეთის მხარდაჭერას და ერთობის შენარჩუნებას?

თავის შეჯამება

- ქრისტეში ყოველი ქორწინების განახლება შეიძლება! მისი სული განუწყვეტლივ გვთავაზობს შესაძლებლობებს ახალი საწყისისთვის ყოველ სფეროში.
- ყველა ვითარებაში გვაქვს ქვეყნიური ან ზეციური ენით ლაპარაკის არჩევანი. რწმენით შევძლებთ, დავეთანხმოთ ზეცას, თუ ღვთის სიტყვის აღთქმების თანახმად ვილაპარაკებთ.
- ქორწინების მიზანია ერთობა. მას უნდა ვესწრაფოთ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში.
- როცა ჩვენს მეუღლეებთან ერთობას ვეძიებთ იგივე ენის გამოყენებით და იგივე მისიის შესრულებით, ღვთის კურთხევა მოდის ჩვენზე და შეუძლებელი შესაძლებელი ხდება.
- ქმრებსა და ცოლებს შორის ჭეშმარიტი სიყვარული ღვთის დიდებასა და სიყვარულს აჩვენებს ქვეყნიერებას. ჩვენს ერთობას ადამიანები იესოსთან მოჰყავს.
- ბრძენი ქალი სახლს აშენებს, ხოლო ბრძენი კაცი – თავის ცოლს. როცა თითოეული მათგანი სიცოცხლეს ლაპარაკობს მეორის გასაძლიერებლად, თავინთ ცხოვრებას აფართოებენ და დედამიწაზე ღვთის ნება მოაქვთ.

დანართი

როგორ მივიღოთ გადარჩენა

„თუ შენი ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია და შენი გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრეთით, გადარჩები! ვინაიდან გულით სწამთ სიმართლე, ხოლო ბაგით აღიარებენ გადასარჩენად.“

– რომ. 10:9-10;

ღვთის სიყვარულის მეუღლისთვის გაზიარების მიზნით, პირველ რიგში, ღვთის სიყვარული და გადარჩენა უნდა მიიღოთ მისი ძის, იესო ქრისტეს მეშვეობით. იესოს სიკვდილით და აღდგომით ღმერთმა მის სამეფოში შესასვლელი გზა გაგიმზადათ, საყვარელო ძეო და ასულო. იესოს მსხვერპლი ჯვარზე მარადიულია და თქვენთვის უსასყიდლოდ არის გამზადებული უხვი სიცოცხლე. გადარჩენა ღვთის ნიჭია; თქვენ ვერაფერს გააკეთებთ, რომ გამოიმუშაოთ ან დაიმსახუროთ იგი.

ამ ძვირფასი ნიჭის მისაღებად შემოქმედისგან დამოუკიდებლად ცხოვრების ცოდვა უნდა აღიაროთ (რადგან ეს არის, თქვენს მიერ ჩადენილი ყველა ცოდვის ფესვი). ასეთი მონანიება გადარჩენის მიღების მნიშვნელოვანი ნაწილია. პეტრემ ეს ნათლად გამოაცხადა საქმეების წიგნში, როცა 5000 ადამიანმა მიიღო გადარჩენა: „მოინანიეთ და მოიქეცით, რათა აღიხოცოს თქვენი ცოდვები“ (საქმ. 3:19). წმიდა წერილი გვეუბნება, რომ ყოველი ჩვენგანი ცოდვის მონად დავიბადეთ. მონობა ადამის ცოდვაშია ფესვგადგმული, რომელმაც ნებსით დაუმორჩილებლობის ნიმუში გვაჩვენა. მონანიება არჩევანია, რომ საკუთარი თავისა და სატანის, სიცრუის მამის მორჩილებაზე უარს ამბობთ და თავმდაბლობით ტრიალდებით ახალი ბატონის, იესო ქრისტესკენ, რომელმაც თქვენთვის სიცოცხლე გასწირა.

იესოს უნდა გადასცეთ უფლობა თქვენს ცხოვრებაზე! იესოს „უფლად“ გახდომა ნიშნავს, რომ მას უძღვნით თქვენს სიცოცხლეს (სულს, სამშვინველსა და სხეულს) – ყველაფერს, რასაც წარმოადგენთ ან გაქვთ. მისი ძალაუფლება თქვენს ცხ-

ოვრებაზე აბსოლუტური უნდა იყოს. როგორც კი ამ ნაბიჯს გადადგამთ, ღმერთი სიბნელის ხელმწიფებიდან გამოგიხსნით და სინათლისა და დიდების სამეფოში გადაგიყვანთ. უბრალოდ, სიკვდილიდან სიცოცხლეში გადაინაცვლებთ და მისი შვილი გახდებით!

თუ იესოს მეშვეობით გადარჩენის მიღება გწადიათ, ამ სიტყვებით ილოცეთ:

ზეციერო მამა! ვაღიარებ, რომ ცოდვილი ვარ და შენი სიმართლის სტანდარტებს არ ვაკმაყოფილებ! სამარადისო სასჯელს ვიმსახურებ ჩემი ცოდვებისთვის. მადლობა, რომ ამ მდგომარეობაში არ მიმატოვე, რადგან მჯერა, რომ შენ გამომიგზავნე იესო ქრისტე, შენი მხოლოდშობილი ძე, რომელიც ქალწული მარიამისგან იშვა, რომ ჩემს გამო მომკვდარიყო და ჩემი სასჯელი ჯვარზე აეღო. მჯერა, რომ იგი მესამე დღეს აღდგა და ახლა მამის მარჯვნივ ზის ჩემს უფლად და მხსნელად. ამრიგად, დღეს ვინანიებ ჩემს დამოუკიდებელ ცხოვრებას და ჩემს სიცოცხლეს მთლიანად იესოს უფლობას ვანდობ.

იესო, შენ გაღიარებ ჩემს უფლად და მხსნელად! შემოდი ჩემს ცხოვრებაში შენი სულის მეშვეობით და ღვთის შვილად მაქციე! ვინანიებ სიბნელის საქმეებს, რომელთაც ოდესღაც ვაკეთებდი და დღეიდან საკუთარი თავისთვის აღარ ვიცხოვრებ! შენი მადლით შენთვის ვიცოცხლებ, რადგან თავი გაწირე ჩემთვის, რომ საუკუნოდ მეცოცხლა!

მადლობა, უფალო! ჩემი ცხოვრება ახლა მთლიანად შენს ხელშია და შენი სიტყვის თანახმად, არასოდეს შევრცხვები.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ღვთის ოჯახში! მოგიწოდებთ, რომ ეს შესანიშნავი სიახლე სხვა მორწმუნეს გაუზიაროთ! ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბიბლიის მორწმუნე ადგილობრივ ეკლესიას შეუერთდეთ და სხვებსაც დაუკავშირდეთ, რომლებსაც ახალ რწმენაში თქვენი გამხნევება შეუძლიათ. შეგიძლიათ ჩვენს მსახურებას დაუკავშირდეთ, რომ ადგილობრივი ეკლესიის მოძებნაში დაგეხმაროთ (ეწვიეთ ვებგვერდს: www.MessengerInternational.org). ვილოცებთ, რომ ღვთის შემეცნებასა და სიყვარულში ყოველდღიურად გაიზარდოთ!

შენიშვნები:

თავი 1

1. “Women of Working Age,” United States Department of Labor, accessed March 14,
2014, http://www.dol.gov/wb/stats/recentfacts.htm#age.

2. ამ ნაწილის ზოგიერთი მონაკვეთი მოყვანილია წიგნიდან: Lisa Bevere, *Fight Like a Girl: The Power of Being a Woman* (New York: Warner Faith, 2006), 5-6.

3. “Ambassador,” Dictionary.com, accessed April 19, 2014, http://dictionary.reference.
com/browse/ambassador?s=t.

4. C. Soanes and A. Stevenson, *Concise Oxford English Dictionary* (Oxford: Oxford
University Press, 2004).

5. „მე-6ა მუხლი ცხადყოფს, რომ ქმნილების ასეთი წესრიგი ცოდვით დაცემის, რჯულის მოსვლისა და იესოს მეფობის შემდეგაც ნარჩუნდება. მე-6ბ მუხლი გამოკვეთს ტექსტს, რომელიც ნაცნობია უამრავი საქორწინო ცერემონიისთვის – დაე, კაცი ნუ დააშორებს მათ, ვინც ღმერთმა შეაუღლა! 4-6ა მუხლების გარეშე შეიძლება ვიფიქროთ, რომ 6ბ ზოგიერთ ქორწინებას შეეხება, რომელიც ღვთისგან ნაკურთხი არ არის. ასეთი მოსაზრება მიუღებელია კონტექსტის გათვალისწინებით. მეორე მხრივ, ღმერთს სურს, რომ ყველა ქორწინება მუდმივი იყოს, ამიტომ არ უნდა ვბედავდეთ მათთვის საფრთხის შექმნას.
Craig Blomberg, *The New American Commentary*
Vol. 22: *Matthew* (Nashville: Broadman & Holman Publishers, 1992), 290.

6. Soanes and Stevenson, *Concise Oxford English Dictionary*.

7. Linda J. Waite, Don Browning, William J. Doherty, Maggie Gallagher, Ye Luo,
and Scott M. Stanley, *Does Divorce Make People Happy?* (New York: Institute for
American Values, 2002), 5.

8. Timothy and Kathy Keller, *The Meaning of Marriage: Facing the Complexities of*
Commitment with the Wisdom of God (New York: Riverhead Books, 2011), 64.

9. Gary Thomas, *Sacred Marriage* (Grand Rapids, MI: Zondervan, 2000), 21.

10. Charles R. Swindoll, *Growing Strong in the Seasons of Life* (Portland, OR: Multnomah
Press, 1983), 13.
11. "Marriage Quotes by Max Lucado," Fierce Marriage, accessed March 7, 2014,
http://fiercemarriage.com/quote-author/max-lucado.
12. Rick Renner, *Sparkling Gems from the Greek* (Tulsa, OK: Teach All Nations, 2003), 55.

თავი 2

1. W. Arndt, F.W. Danker, and W. Bauer, *A Greek-English Lexicon of the New Testament*
and Other Early Christian Literature (Chicago: University of Chicago Press, 2000).
2. Ibid.
3. C.S. Lewis, *Mere Christianity* (San Francisco: HarperSanFrancisco, 2001), 204.
4. Ibid., 124.
5. Ibid., 109.
6. ევერესტის დამპყრობთა 1.6 % გზაში იღუპება, ხოლო პირველი ქორწინებების 40-50 % გაყრით სრულდება. წყაროები: (1) "Death on Mount Everest," About.com, accessed April 19, 2014, http://climbing.about.com/od/mountainclimbing/a/Death-On-Mount-Everest.htm. (2) *The State of Our Unions: Marriage in America* (Charlottesville, VA:The National Marriage Project and the Institute for American Values, 2012), 1.
7. Bob and Audrey Meisner, *Best Friends, Best Lovers* (Huntsville, AL: Milestones
International Publishers, 2006), 52.
8. F. B. Meyer, *Abraham, Or The Obedience of Faith* (Chattanooga, TN: AMG Publishers,
2001), 70-71.
9. Andrew Murray, *Humility* (Fort Washington, PA: CLC Publications, 2006), 13, 42.
10. Bill and Pam Farrel, *Men Are Like Waffles—Women Are Like Spaghetti* (Eugene, OR:
Harvest House Publishers, 2001), 140, 142-143.
11. H. Norman Wright, *The Secrets of a Lasting Marriage* (Ventura, CA: Regal Books,
1995), 70.

თავი 3

1. “Clear,” Oxford Dictionaries, accessed April 19, 2014,
http://www.oxforddictionaries.com/us/definition/american_english/clear.
2. Mike MacKenzie, *Seatalk, The Dictionary of English Nautical Language*
(Nova Scotia: 2005), keyword “clear the deck.” www.seatalk.info
3. Lisa Bevere, *Be Angry But Don’t Blow It!* (Nashville: Thomas Nelson, 2000), 56.
4. G.L. Borchert, *The New American Commentary* Vol. 25B: *John 12–21* (Nashville:
Broadman & Holman Publishers, 2002), 311.
5. Bevere, *Fight Like a Girl*, 60.
6. Lisa Bevere, *Out of Control and Loving It!* (Lake Mary, FL: Charisma House, 1996),
106-107.
7. This section was adapted from: Lisa Bevere, *Kissed the Girls and Made Them Cry:*
Why Women Lose When They Give In (Nashville: Thomas Nelson, 2002), 123-124.
8. “How common is divorce and what are the reasons?”, Utah Divorce Orientation,
accessed January 21, 2014, http://www.divorce.usu.edu/files/uploads/Lesson3.pdf.
9. “Quotes on Forgiveness and Unforgiveness,” Daily Christian Quote, accessed
March 22, 2014, http://dailychristianquote.com/dcqforgive2.html.
10. Joyce Meyer, *Battlefield of the Mind* (New York: Faith Words, 2003), 192.
11. “Expectation,” Oxford Dictionaries, accessed March 25, 2014, http://www.oxforddictionaries.
com/us/definition/american_english/expectation.
12. Patrick M. Morley, *Two-Part Harmony* (Nashville: Thomas Nelson, 1994), 138.
13. Ibid., 139.
14. “Quotes on Forgiveness and Unforgiveness,” accessed March 24, 2014.

თავი 4

1. ლიზამ ამ საკითხზე დაწერა თავის წიგნში: *Fight Like a Girl*. ზოგიერთი მოსაზრება აქ არის მოყვანილი.
2. Bevere, *Fight Like a Girl*, 124.

3. Keller, *Meaning*, 47.
4. Ibid.
5. Bevere, *Fight Like a Girl*, 109.
6. ლიზამ ეს ამბავი აღწერა წიგნში in *Out of Control and Loving It!* (pages 87-93). ზოგიერთი ნაწილი აქ არის მოყვანილი.
7. Dr. Henry Cloud and Dr. John Townsend, *Boundaries in Marriage* (Grand Rapids,
MI: Zondervan, 1999), 122.
8. Adapted from Noah Webster's 1828 *American Dictionary of the English*
Language (San Francisco: Foundation for American Christian Education).
9. Jimmy Evans, *Marriage on the Rock* (Dallas: Marriage Today, 2012), 87.
10. Cloud and Townsend, *Boundaries*, 163.

თავი 5

1. Keller, *Meaning*, 260.
2. "10 Surprising Health Benefits of Sex," WebMD, accessed April 12, 2014,
http://www.webmd.com/sex-relationships/guide/sex-and-health.
3. Bevere, *Kissed the Girls*, 121.
4. Ibid., 178-179.
5. Ibid., 121-125.
6. "The Stats on Internet Pornography," Daily Infographic, accessed January 24, 2014,
http://dailyinfographic.com/the-stats-on-internet-pornography-infographic.
7. "How Many Women are Addicted to Porn? 10 Stats that May Shock You,"
Covenant Eyes, accessed March 27, 2014, http://www.covenant-eyes.com/2013/08/30/
women-addicted-to-porn-stats.
8. Covenant Eyes, *Pornography Statistics: 2013 Edition*, 11. http://www.covenanteyes.
com/pornstats/
9. Ibid., 18.
10. J.P. Louw and E.A. Nida, *Greek-English Lexicon of the New Testament: Based on*
Semantic Domains (New York: United Bible Societies, 1996).
11. See Psalm 27:4; Philippians 3:10-14; Luke 10:39-42.
12. Bob Sorge, *Secrets of the Secret Place* (Lee's Summit, MO: Oasis House, 2005),
180, 182.
13. Thomas, *Sacred Marriage*, 205.
14. Meisner, *Best Friends*, 127-128.

თავი 6

1. Gary Chapman, *The Heart of the Five Love Languages* (Chicago: Northfield
Publishing, 2007), 72.
2. Lisa Bevere, *Girls with Swords: How to Carry Your Cross Like a Hero* (Colorado
Springs, CO: WaterBrook Press, 2013), 127.
3. Bevere, *Be Angry*, 120.
4. ამ ნაწილის ზოგიერთი მონაკვეთი ამოღებული წიგნიდან: Lisa Bevere, *Nurture: Give and Get What You Need to Flourish* (New York: FaithWords, 2008), 166-168.
5. Lisa Bevere, *Lioness Arising: Wake Up and Change Your World* (Colorado Springs,
CO: WaterBrook Press, 2010), 94.
6. Lewis, *Mere*, 131.
7. Evans, *Marriage on the Rock*, 213.
8. Gary Chapman, *The Five Love Languages* (Chicago: Northfield Publishing, 1995),
15.
9. Wright, *Secrets*, 129.

დამხმარე რესურსები

შეარჩიეთ რესურსები სქესობრივი ნგრევის აღდგენაში დასახმარებლად, ინტიმურობის დასაცავად და გატეხილი გულების განსაკურნებლად.

წიგნები:

Kissed the Girls and Made Them Cry: Why Women Lose When They Give In by
Lisa Bever.... omas Nelson, 2002)
Jailbreak: Breaking Free from the Prison of Porn by Vincent and Allison
New.. ld (New Fields Creative Services, 2014)
The Purity Principle: God's Safeguards for Life's Dangerous Trails by Randy
Alcorn (Multnomah Books, 2003)
Every Man's Battle: Winning the War on Sexual Temptation One Victory
at a Time by Stephen Arterburn and Fred Stoeker with Mike Yorkey
(WaterBrook Press, 2000)
Every Woman's Battle: Discovering God's Plan for Sexual and Emotional
Fulfillment by Shannon Ethridge (WaterBrook Press, 2003)
Sexual Addiction: One Couple's Journey to Discover Strategies for Healing by
Gary and Sharon Worrell (Selah Publications, 2012)
Torn Asunder: Recovering from an Extramarital Affair by Pastor Dave Carder
(Moody Publishers, 2008)
Boundaries in Marriage by Dr. Henry Cloud and Dr. John Townsend
(Zondervan, 1999)

სულიწმიდა

მოწაფეები სამი წლის მანძილზე იესოსთან ერთად იყვნენ, მას დაყვებოდნენ და ყველა მის ნათქვამს ისმენდნენ. მიუხედავად ამისა, იესომ უახლოეს მეგობრებს უთხრა, რომ დატოვებდა მათ, რომ სულიწმიდა მოვიდოდა და მათთვის ეს უკეთესი იქნებოდა (იოან. 16:7, 13-14). თუ ეს უმჯობესი იყო მოწაფეებისთვის, რომლებმაც ამდენი ხანი დაყვეს იესოსთან ერთად, რამდენად მეტად გვჭირდება სულიწმიდის აქტიური ჩართვა ჩვენს ცხოვრებაში დღეს? სულიწმიდა ხშირად წარმოუდგენიათ როგორც „უცნაური“ რამ, მაგრამ იგი არ არის რაღაც. ის არის პიროვნება, რომელიც შეგვპირდა, რომ არასოდეს მიგვატოვებდა. ჯონ ბევირი ამ ინტერაქტიული წიგნის მეშვეობით გიწვევთ, პირადად აღმოაჩინოთ ეკლესიაში ყველაზე მეტად უგულებელყოფილი და ნაკლებად გაცნობილი პიროვნება: სულიწმიდა.

ინტერაქტიული წიგნი მოიცავს:

- ყოველდღიურ ლოცვებს
- კითხვებს ჯგუფური განხილვისთვის
- დამატებითი თავი პასუხებით სულიწმიდის შესახებ ყველაზე მწვავე კითხვებში გასარკვევად.

შეუპოვარი



თქვენ განსაზღვრული გაქვთ მეფობა ძალაში. წიგნი „შეუპოვარი“ ავლენს ჩემპიონის მიდგომას განსაცდელების მიმართ და გვასწავლის, როგორ გადავლახოთ ცხოვრების გზაზე წამოჭრილი სირთულეები.

- ჩაეჭიდეთ აღთქმებს და ძალას, რომელთაც ფლობთ ქრისტეში;
- დაადგინეთ თქვენი განსაცდელის წყარო;
- გამარჯვებით შეაბიჯეთ სულიერ მეფობაში.

ქორწინების ამბავი

სახელმძღვანელო წიგნი, რომელიც ახლა ხელში გიჭირავთ, *ქორწინების ამბის* სასწავლო პროგრამის ნაწილია, რომელიც ჯონ ბევირს ეკუთვნის. ამ წიგნის წაკითხვით და დამხმარე მასალების გამოყენებით, რომელთაც თანდართული DVD დისკისა და CloudLibrary.org ვებგვერდიდან ჩამოსატვირთი ფაილების სახით გთავაზობთ, წინამდებარე დინამიური და ცხოვრების შემცვლელი სწავლების სერიის ყოველი ნაწილის შესწავლას შეძლებთ. გულმოდგინე გამოკვლევა კეთილსასურველ გავლენას მოახდენს და თქვენი, როგორც ქრისტიანის ღვთის წინაშე სიარულს უფრო გაამდიდრებს. თქვენ გაცილებით მეტის გაკეთებას შეძლებთ უფლისთვის.

ქორწინების ამბის სრული ვერსია პროგრამა შემდეგ კომპენენტებს მოიცავს:

- *ქორწინების ამბის* წიგნი
  ხსენებული პროგრამის ერთადერთი ბეჭდური ნაწილი.
  წიგნი ასევე დევს დისკზე PDF ფაილის სახით.
- *ქორწინების ამბის DVD დისკის რესურსი*
  თანმხლები დისკი მოიცავს ყველა სახის საპროგრამო
  მასალას ციფრულ ფორმატში. ამ დისკის წაკითხვა
  შეუძლებელია სახლის DVD ფლეიერზე.
  თუმცა ყველა ფაილის ჩამოტვირთვა და წაკთხვა
  შესაძლებელია ტაბლეტით, კომპიუტერით ან სმარტფონით.
- *ქორწინების ამბის აუდიოსწავლება*
  6-ვე თავი წიგნისა „ქოეწინების ამბავი“ შეგიძლიათ
  მოისმინოთ MP3 ფორმატში საკუთარ მშობლიურ ენაზე.
- *ქორწინების ამბის ვიდეოსწავლება*
  6-ვე გაკვეთილი MP4 ფორმატშია.
- *ქორწინების ამბის აუდიოსწავლება*
  6-ვე აუდიოსწავლება MP3 ფორმატშია.
- დამატებითი მასალები DVD დისკი ასევე მოიცავს
  სხვა წიგნს და რესურსებს: „სულიწმიდა“.

ეს პროგრამული რესურსები საჩუქარია ჩვენგან!

თავისუფლად შეგიძლიათ DVD დისკის, მასალების კოპირება, მათი მეგობრებისთვის გაგზავნა ელ. ფოსტის საშუალებით, ტექსტის გაგზავნა დოკუმენტის სახით, სწავლებების გაგზავნა ეკლესიაში და ინტერნეტში ატვირთვა სხვაგვარი გამოყენებისთვის. დაარიგეთ მასალები ყველგან, სადაც ღვთის სიტყვის ჯანსაღი სწავლების და ძალით მოსილი ქრისტიანული ცხოვრების წყურვილია.

ქორწინების ამბის პროგრამის კომპონენტების შესახებ დამატებითი ინფორმაცია”

- DVD დისკის ფაილების წაკითხვა შეუძლებელია ჩვეულებრივ ვიდეოფლეიერზე, რადგან მასშია შერეული ფაილები ვიდეო, აუდიო და ტექსტურ ფორმატში, რომლის წაკითხვა მხოლოდ კომპიუტერით ან სხვა ციფრული მედიით არის შესაძლებელი.
- MP 4 ვიდეო-ფაილების ჩამოტვირთვა და ყურება შესაძლებელია თქვენს ტაბლეტზე ან კომპიუტერზე.
- MP3 აუდიო-ფაილების ჩამოტვირთვა შესაძლებელია თქვენს ტაბლეტზე ან კომპიუტერზე.
- PDF ციფრული-ფაილების ჩამოტვირთვა და წაკითხვა შესაძლებელია თქვენს ტაბლეტზე ან კომპიუტერზე. ადვილია მათი წაკითხვა, დაბეჭდვა ან კოპირება. ფაილები საკმარისად მცირე მოცულობისაა ელ.ფოსტით გასაგზავნად. ასევე შესაძლებელია თქვენი საკუთარი დოკუმენტიდან ტექსტების ნაწილების კოპირება და გადატანა!
- დამატებითი სასწავლო ფაილები ბევრ ენაზეა მოცემული CloudLibrary.org-ზე.

მეტი ინფორმაცია გსურთ? დაასკანერეთ აქ.

შედით CloudLibrary.org-ზე ჩამოსატვირთი მასალებისთვის ჯონ და ლიზა ბივერებისგან.

რესურსების დისკი ჯონ ბევირის პირადი საჩუქარია. იგი რამდენიმე მნიშვნელოვან რესურსს გთავაზობთ, რაც ამ ძალმოსილი სწავლების კიდევ უფრო გაღრმავების საშუალებას მოგცემთ და სხვებსაც გაუზიარებთ. თავისუფლად შეგიძლიათ ამ პროგრამის ნებისმიერი ნაწილის გავრცელება ან კოპირება! ფაილები გაუგზავნეთ სხვებს, დაურიგეთ ღვთის სიტყვის შესწავლით დაინტერესებულ პირებს, ატვირთეთ ინტერნეტით, დაბეჭდეთ ან გაამრავლეთ. ის სპეციალურად შეიქმნა, რომ შთააგონოს და გაამხნევოს ყველა ქრისტიანი მთელს მსოფლიოში.

ეს და სხვა სწავლებები (თქვენს მშობლიურ ენაზე) ჯონ და ლიზა ბევირებისგან იხილეთ ვებ-გვერდზე:

www.MessengerInternational.org
www.CloudLibrary.org

შესაძლებელია დამატებითი რესურსების ნახვა და ჩამოტვირთვა მრავალ ენაზე ვებ-გვერდებიდან Youtube.com და Youku.com, ასევე სხვა ანალოგიურ გვერდებზე.

იყო და არა იყო რა...

ქორწინება სამუდამოა. ეს გახლდათ აღთქმა, რომელმაც ერთი კაცი და ერთი ქალი დააკავშირა. მათი შერწყმა ორივეს აძლიერებს და აკეთილშობილებს, გაცილებით მკაფიო ხდება მათი თვითგამოხატვა, რისთვისაც ისინი იშვნენ დედამიწაზე. ისინი უკეთესები არიან ერთად, ვიდრე ცალ-ცალკე იქნებოდნენ.

საქორწინო ცერემონია მხოლოდ დასაწყისია. იგი დიდხანს და ბედნიერად ცხოვრების შენების კარიბჭეა. ყოველი არჩევანი და მოქმედება ისეთი ცხოვრების ასაგებად იყო ჩაფიქრებული, რომელსაც ერთობა წარმოაჩენდა. ცოლ-ქმარმა ერთად შეაბიჯა დიდ, უცნობ სამყაროში, სადაც მათი გულები, ხელები და ხმები ერთმანეთს გადაეწნა მათი შემოქმედის სიყვარულის გამოსახატავად.

როგორ დავკარგეთ ეს საფუძვლიანი სიყვარულის ამბავი? ლიზა და ჯონ ბევირები *ქორწინების ამბით* გიწვევენ ღვთის თავდაპირველი გეგმის აღმოჩენის საქმეში. დაქორწინებული ხართ, მარტოხელა თუ დანიშნული – ეს ამბავი უფლის ნაწილია.

წიგნს მოყვება რესურს DVD დისკი

ჯონ და ლიზა ბევირები რამდენიმე ბესტსელერის ავტორები და Messenger International-ის თანადამფუძნებლები არიან. ისინი ოჯახურ ცხოვრებას ეწევიან ოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში და თავიანთი ბრძოლებისა და გამარჯვებების გაზიარება სურთ სხვა ადამიანების ქორწინების ამბების გასამდიდრებლად და დასაცავად. ჯონი და ლიზა კოლორადოს შტატში, კოლორადო სფრინგსში ცხოვრობენ. ჰყავთ ოთხი ვაჟი და სამი შვილიშვილი.

გადმოტვირთედ ეს და სხვა მასალები: www.CloudLibrary.org

გსურს მეტი? დასაბეჭდად

Messenger International
MessengerInternational.org

წიგნი ავტორის საჩუქარია
და არ იყიდება